

საქართველო და საერთაშორისო სამართალი

(სტატიათა კრებული)

წიგნი გამოიცა
OSI-ის ფინანსური
მხარდაჭერით



თბილისი
2001

ედღვნება საქართველოში საერთაშორისო სამართლის მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარებას

სარედაქციო კოლეგია:

რედაქტორები: კონსტანტინე კორკელია
ირაკლი სესიაშვილი

რედაქტორის თანაშემწე: ნინო სუქნიძე

ტექ. რედაქტორი: ვახტანგ ელიოზიშვილი

ტექ. რედაქტორის თანაშემწე: ირაკლი სვანიძე



აიწყო და დაკაბადონდა საქართველოს
ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

ავლევის ქ. 21

თბილისი 380001, საქართველო

(+995 32) 93 61 01

ტირაჟი 500 ცალი

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და გამოსატავს მხოლოდ ავტორის
შეხედულებებს. აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან
გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© 2001, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ISBN 99928-818-0-1

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....6
კონსტანტინე კორკელია

წინასიტყვაობა.....8
ლევან ალექსიძე

I საერთაშორისო სამართლის თეორიის საკითხები

ლევან მატარაძე

ხალხთა თანასწორობისა და თვითგამორკვევის
პრინციპის შესახებ 10

II საერთაშორისო სამართალი და საგარეო პოლიტიკა

გელა ბეჟუაშვილი

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის როლი საქართველოს
საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში..... 21

III საერთაშორისო სამართლისა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობა

ირინე ქურდაძე

საყოველთაო და რეგიონული საერთაშორისო სამართლის პრიმატი
და საქართველო 36

პაატა ცნობილაძე

ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის
ურთიერთქმედება 48

კონსტანტინე კორკელია

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი საქართველოს
სამართლებრივ სისტემაში 62

IV შეიარაღებული კონფლიქტები

ალექსანდრე ორახელაშვილი

აფხაზეთის კონფლიქტი კოსოვოს კონფლიქტის ფონზე 81

V ადამიანის უფლებათა დაცვა

ლევან ბოძაშვილი

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია – ევექტური
საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი 105

გიორგი ბარათაშვილი

ადამიანის უფლებათა დამცველი (ომბუდსმენი) და
საერთაშორისო სამართალი 128

მარინა კვაჭაძე

პაციენტთა უფლებების დაცვის საკითხები
საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და საქართველოს
კანონმდებლობაში 145

ვახტანგ შევარდნაძე

საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო
სამართლებრივი სტანდარტები თავშესაფრის
მაძიებელი პირებისა და ლტოლვილების შესახებ:
შედარებითი ანალიზი 161

VI საერთაშორისო ორგანიზაციები

ვაჟა გაბრიჩიძე

ევროპის გაერთიანებაში გაწევრიანების
კრიტერიუმები 180

VII საერთაშორისო სისხლის სამართალი

მერაბ ტურავა

| | |
|--|-----|
| საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპები და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში | 194 |
|--|-----|

ლაშა-გიორგი კუტალია

| | |
|---|-----|
| საერთაშორისო სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპები საქართველოს მოქმედ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში | 228 |
|---|-----|

VIII საერთაშორისო საზღვაო სამართალი

ეკა სირაძე

| | |
|---|-----|
| მშვიდობიანი გავლის უფლება საქართველოს ანონმდებლობაში | 235 |
|---|-----|

IX საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი

ირაკლი შაფაქიძე

| | |
|---|-----|
| საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი პრობლემები | 253 |
| ავტორთა სია | 272 |

შესავალი

წინამდებარე კრებულის გამოცემა მრავალმა ფაქტორმა განაპირობა. მათ შორის უმთავრესია ის, რომ საქართველომ უკვე დაამკვიდრა ღირსეული ადგილი საერთაშორისო თანამეგობრობაში, რაც მოითხოვს თანამედროვე დოქტრინალური მიდგომების ჩამოყალიბებასა და ქვეყნის საერთაშორისოსამართლებრივი პრაქტიკის სრულყოფას.

კრებულის გამოცემა მიზნად ისახავს იმ პირთა ნაშრომების ერთად გამოქვეყნებას, რომლებიც საქართველოში საერთაშორისო სამართლის საკითხებზე თეორიულ თუ პრაქტიკულ დონეზე მუშაობენ. მათ მიეცათ შესაძლებლობა გამოეხატათ თავიანთი შეხედულებები საერთაშორისო სამართლის დარგში საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ. ყოველივე ეს საშუალებას მისცემს საერთაშორისო სამართლის დარგში მომუშავე თეორეტიკოსებსა და პრაქტიკოსებს ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი შეხედულებები, რაც ხელს შეუწყობს თეორიასა და პრაქტიკას შორის საქართველოში არსებული იზოლაციის აღმოფხვრას.

აღსანიშნავია, რომ მრავალმა პირმა, რომელსაც სურვილი ჰქონდა გამოეხატა თავისი თვალთახედვა საერთაშორისო სამართლის აქტუალურ საკითხებზე, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ვერ შეძლო ამის განხორციელება. მათი სურვილი ადასტურებს იმ დიდ ინტერესს, რომელიც ქართველ მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს საერთაშორისო სამართლის მიმართ გააჩნიათ. ბუნებრივია, საქართველოში საერთაშორისო სამართლის დარგში მომუშავე სპეციალისტები ამ კრებულში გამოქვეყნებული სტატიების ავტორებით არ შემოიფარგლებიან.

სტატიათა კრებულის ერთ-ერთი მიზანია საერთაშორისო სამართლის პოპულარიზაცია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოთა კომპეტენციაში შემავალი საკითხების მოწესრიგებაში საერთაშორისო სამართალს არასოდეს ჰქონია ისეთი მნიშვნელოვანი როლი, როგორც მას დღეს აქვს მინიჭებული. ეროვნულ სამართალზე საერთაშორისო სამართლის მზარდი ზეგავლენის მიმდინარე ტენდენცია შეუქცევადია. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მნიშვნელობის გათვალისწინებით, სულ უფრო რთული ხდება იმ ზღვრის დანახვა, რომელიც ერთმანეთისაგან მიჯნავს საერთაშორისო სამართალითა და შიდასახელმწიფოებრივი სამართალით მოწესრიგებულ საკითხებს. მით უმეტეს, რომ საქართველომ ლიბერალური პოზიცია დაიკავა საერთაშორისო სამართლისა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობის

საკითხთან დაკავშირებით. საკმარისია მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის უფლებებსა და ვალდებულებებს პირდაპირ წარმოშობს. აღნიშნული სამართლებრივი ინოვაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს სასამართლოებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოებისათვის, რომლებმაც თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში უნდა გამოიყენონ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები, როგორც სამართლის წყარო.

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ავტორები თავისუფალი იყვნენ სტატიათა თემატიკის შერჩევაში (გარდა იმ მოთხოვნისა, რომ ნაშრომებში განხილული უნდა ყოფილიყო საქართველოს მიდგომა საერთაშორისო სამართლის ამა თუ იმ საკითხისადმი), წინამდებარე სტატიებში განხილული თემატიკა თავად მეტყველებს, თუ რა თეორიული და პრაქტიკული საკითხებია განსაკუთრებით აქტუალური დღევანდელი საქართველოსათვის. სტატიებში განხილულია ისეთი პრობლემატური საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საგარეო პოლიტიკასთან, საერთაშორისო სამართლისა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობასთან, შეიარაღებულ კონფლიქტებთან, ადამიანის უფლებათა დაცვასთან, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალთან, საერთაშორისო სისხლის სამართალთან და სხვა.

მკითხველი შეამჩნევს, რომ კრებულში ავტორები გამოთქვამენ განსხვავებულ შეხედულებებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. წინამდებარე კრებულის ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ მკითხველს მისცეს შესაძლებლობა თავად განსაჯოს, თუ რამდენად დასაბუთებულია ესა თუ ის პოზიცია.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას, რომელმაც წინამდებარე სტატიათა კრებულის გამოცემის იდეას მხარი დაუჭირა და სისრულეშიც მოიყვანა.

სტატიები გამოხატავს მათი ავტორების შეხედულებებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს სარედაქციო საბჭოს შეხედულებას. კრებული განკუთვნილია როგორც საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სპეციალისტებისათვის, ასევე ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

კონსტანტინე კორკელია
მარტი, 2001 წელი

წინასიტყვაობა

სიამოვნებით ავიღე ხელში კალამი, რათა დავულოცო გზა საერთაშორისო სამართლის ქართული მეცნიერების ახალგაზრდა თაობას. საკმარისია გადავხედოთ ავტორთა მიერ არჩეულ თემებს, რომ დავრწმუნდეთ რაოდენ მრავალფეროვანი, და, ამავე დროს, ძალზე აქტუალურია არჩევანი. ავტორთა შორის ვხედავთ დღევანდელ, საერთაშორისო სამართლის მეცნიერებაში კარგად ცნობილ, არა მარტო საქართველოში, არამედ ყოფილ სსრ კავშირსა და მის გარეთაც, პროფ. ლევან მატარაძეს, რაც მისასაღებელია, ვინაიდან გამოცდილ და მეცნიერების გზაზე ახლახან დამდგარ ახალგაზრდა თაობებს შორის უწყვეტი კავშირი საერთაშორისო სამართლის ქართული მეცნიერების შემდგომი წინსვლის საწინდარია. მასსოვს დრო, როდესაც ქართველი მეცნიერები, საერთაშორისო სამართლის საბჭოთა სკოლის აღზრდილები, აქტუალურად მოღვაწეობდნენ ამ სკოლის, რომლის სათავეში იდგა პროფ. გ. ტუნკინი, დემოკრატიულ საწყისებზე გადაყვანის პროცესში. უფრო ადრე, ვიდრე “პერესტროიკა” დაიწყებოდა, საერთაშორისო სამართლის საბჭოთა მეცნიერებაში ფეხს იდგამდა საერთაშორისო სამართლის იურიდიული ბუნების, სოციალური ხასიათის, ადამიანის უფლებათა არსის, თანამშრომლობის პრინციპების ახლებური გააზრება, ინერგებოდა დასავლეთის დემოკრატიული ღირებულებები, მათი ზედაპირული, “კლასობრივი” კრიტიკის გარეშე, რასაც საბჭოთა მეცნიერთა სხვა მიმართულება დაჟინებით აგრძელებდა. მასსოვს სმაურიანი, მაგრამ ძალზე პრინციპული პაექრობები, რასაც გარკვეული პოლიტიკური ბრალდებებიც კი მოჰყვებოდა. თუმცა, დემოკრატების მიერ შექმნილმა დოქტრინამ გაიმარჯვა და დასავლეთის ქვეყნებში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა.

სამწუხაროდ, ცნობილი მიზეზების გამო, როდესაც საქართველო, მიუხედავად სსრ კავშირისა და მის საკუთარ კონსტიტუციაში შესაბამისი მუხლების არსებობისა, მოკლებული იყო საერთაშორისო სამართლებრივ ქმედუნარიანობას (ამ უფლებით მხოლოდ უკრაინა და ბელარუსია თუ სარგებლობდნენ, ისიც ეს, ძირითადად, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობით გამოიხატებოდა). საქართველო განიხილებოდა როგორც სსრ კავშირის განუყოფელი ნაწილი და მისი ბედი, ამ კავშირის გარეშე არ აღიქმებოდა.

მიუხედავად ამისა, ქართველი მეცნიერები მაინც ახერხებდნენ ისეთი თემების დამუშავებას, რომლებიც წაადგებოდა საქართველოს

საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტუნარიანობის პრაქტიკულ სფეროში გადაყვანას. თუმცა, რა დასამადია, ჩვენ შრომებში საბჭოთა მეცნიერებისათვის ჩვეული ბევრი შტამში მოიძებნებოდა, აბოლოგეტიკაც კი საბჭოთა საგარეო პოლიტიკისა. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო სამართლის ტუნკინისეული სკოლა უფრო პროგრესული იყო, ვიდრე შიდასახელმწიფოებრივ სამართალთან დაკავშირებული კონცეფციები.

საბჭოთა კავშირის დანგრევის პროცესში ქართველი მეცნიერები იმთავითვე გვერდში ამოუდგნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და თეორიულად ასახუტებდნენ საქართველოს უფლებას აღედგინა დამოუკიდებლობა, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ სსრ კავშირის კანონებს, მიმართულს ამ უფლების შეზღუდვისაკენ. ასეთივე რეაქცია გამოიწვია სეპარატისტულმა მოძრაობამ, რაც შეიარაღებულ კონფლიქტებამდე მიიყვანა ქვეყანა. დღემდე გრძელდება ჩვენი ბრძოლა ამ მოვლენის წინააღმდეგ როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად. დღევანდელი თაობა ბედნიერია იმით, რომ მას ეძლევა საშუალება იმთავითვე მოახმაროს თავისი ცოდნა და ძალისხმევა დამოუკიდებელი საქართველოს ინტერესებს როგორც საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში, ასევე შიდასახელმწიფოებრივი სამართლის საერთაშორისო აქტებთან მიახლოების პროცესის წარმართვის ხელის შეწყობაში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 და მე-7 მუხლები კარგ საფუძველს იძლევა ქართული მეცნიერების განვითარებისათვის, თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით. კრებულში მოთავსებული ნაშრომები მეტყველებენ, რომ ავტორებს კარგად ესმით მათ წინაშე მდგარი ამოცანები. ბედნიერი ვარ, რომ მოვესწარი პირველ ასეთ კრებულს და დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ ამით არ ამოიწურება ქართული მეცნიერების პოტენციალი.

დაბოლოს, არ შეიძლება არ აღვნიშნო ის ძალისხმევა, რომელიც გამოიჩინა დოც. კ. კორკელიამ ამ კრებულის შექმნის თავისი იდეის რეალიზაციისათვის.

კიდევ ერთხელ მინდა დავულოცო გზა ახალგაზრდა თაობას და გამოვთქვა იმედი, რომ ის ყველაფერს გააკეთებს ქართული, ჭეშმარიტი მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის და გააგრძელებს ჩვენს მიერ დაწყებულ საქმეს.

ლევან ალექსიძე

I საერთაშორისო სამართლის თეორიის საკითხები

О ПРИНЦИПЕ РАВНОПРАВИА И САМООПРЕДЕЛЕНИЯ НАРОДОВ

ლევან მათარაძე

Принцип равноправия и самоопределения народов - один из десяти основных начал действующего международного права, составляющих в совокупности его ядро. В первые два послевоенных десятилетия он широко использовался для восстановления исторической справедливости и предоставления независимости колониальным народам, в последующий же период к нему стали прибегать радикально настроенные националисты, что привело к нападениям экспансивного сепаратизма, охватившего планету. Пламя вооруженных конфликтов высветило недостаточную разработанность некоторых базисных понятий, связанных с этим принципом. К острым дискуссиям с юристами активно присоединились этнологи, философы, политологи. Однако это обстоятельство лишь усложнило решение проблемы, что вызвано не столько различием в дисциплинарных подходах, сколько доминированием политической предвзятости над научной объективностью и здравым смыслом.

Нет другого примера большей сыновней преданности своему этносу, чем решимость поставить интересы истины и справедливости выше его предубеждений. Только такие люди, как светлой памяти М.Мамардашвили и патриарх осетинской науки В.Абаев, могли отважиться на то, чтобы смело и открыто сказать своему народу о его заблуждениях. Но таких немного. Создавшееся положение бесчестно используется национал-экстремизмом с тем, чтобы подвергнуть принцип равноправия и самоопределения народов грубой фальсификаций, подменить правду ложью и силу права правом силы.

Юристы расходятся во мнениях относительно социальной сущности рассматриваемого принципа. Большинство из них относят его к числу основных принципов международного права. Такая точка зрения имеет под собой прочное правовое обоснование. Впервые равноправие и самоопределение народов в качестве международно-правового принципа было зафиксировано

в Уставе ООН (п.2, ст.1). Позже, в 1966г. он был подтвержден в международных пактах о правах человека. Наиболее авторитетное и едва ли не аутентичное толкование принципа равноправия и самоопределения народов содержится в Декларации о принципах международного права 1970г. Она, в частности, гласит, что «...все народы имеют право свободно определять без вмешательства извне свой политический статус и осуществлять свое экономическое, социальное и культурное развитие, и каждое государство обязано уважать это право в соответствии с положениями Устава.» Понятно, что при этом составители этого документа не могли не уделить внимания вопросу обеспечения территориальной целостности государств. В Декларации подчеркивается недопустимость толкования рассматриваемого принципа как санкционирующего или поощряющего любые действия, ведущие « к расчленению или частичному, или полному нарушению территориальной целостности, или политического единства суверенных и независимых государств...»

Всеобщее значение эффективного осуществления принципа равноправия и самоопределения народов не раз подтверждали государства-участники ОБСЕ (Хельсинский Заключительный акт, Парижская хартия для новой Европы, решения Московского совещания конференции по человеческому измерению). Так, в Заключительном акте говорится : « Государства-участники будут уважать равноправие и права народов распоряжаться своей судьбой, действуя постоянно в соответствии с целями и принципами Устава ООН и соответствующими нормами международного права, включая те, которые относятся к территориальной целостности государств. »

Даже после принятия Устава ООН в западной специальной литературе преобладало мнение, что этот институт не может быть квалифицирован как международно-правовой принцип. И хотя жизнь доказала несостоятельность этой точки зрения, она вновь дала о себе знать в наши дни. Такие, например, юристы, как Г.Симсон, Дуду Тиам, А.Яковидес, и некоторые другие отрицают наличие этого принципа в позитивном международном праве, относя его к категориям политического или морального порядка.

Промежуточное положение между этими прямо противоположными оценками занимает мнение группы юристов-международников, которая считает, что право на самоопределение относилось лишь к народам, находившимся под колониальным господством, и потому принцип равноправия и самоопределения народов исчерпал себя. Однако с этим мнением трудно согласиться, поскольку статьи 1 и 5 Устава ООН распространяют этот принцип, причем совершенно

недвусмысленно - ко всем народам. Как бы ни был велик соблазн обвинить представителей такой трактовки вопроса в европейском эгоцентризме, я бы от этого отказался, считая, что она порождена вполне объяснимыми опасениями, связанными с пагубными последствиями вакханалии экспансивного сепаратизма. Однако объяснить - не значит оправдать.

Есть основания утверждать, что ныне ни один из основных принципов международного права не подвергается столь злостному и беззастенчивому искажению, как принцип равноправия и самоопределения народов. В результате выхолащивается его демократическая, гуманная суть. Эти искажения начинаются с грубого игнорирования рассматриваемого принципа. Она состоит в том, что в отличие от всех остальных основных принципов международного права принцип равноправия и самоопределения народов не является гомогенным, т.е. однородным по своему содержанию. Он складывается из двух неравнозначных компонентов: 1) равноправие народов и 2) самоопределение народов.

В докладе одного из рабочих органов учредительной конференций ООН (Сан-Франциско, 1945г.) отмечалось: « ...Принцип равноправия народов и принцип самоопределения — суть две составные части одной и той же нормы поведения ». Из этого со всей определенностью следует, что упомянутые слагаемые нельзя отрывать друг от друга, противопоставлять друг другу, и тем более подменять одно другим. Органическая взаимосвязь между ними определяется отношениями между философскими категориями - « цели » и « средства ». Не случайно формулировка рассматриваемого принципа начинается со слова « равноправие ». Оно определяет его социальное предназначение и внутреннюю структуру, перечень и выбор способов достижения желаемых результатов, их легитимность, т.е. оно является целью данного принципа. Последняя, будучи критическим осмыслением действительности, не свободной от дискриминации народов, выступает в качестве правовой доминанты, призванной устранить несоответствие между конкретной жизненной ситуацией и предписанной моделью состояния, выраженной в равноправии.

Таким образом равноправие — главным образом есть правовое требование устранения дискриминации народов, т.е. любого различия, исключения, ограничения или предпочтения по признакам расы, национальности, языка или религии, независимо от того, осуществляется она государственными органами и учреждениями или же отдельными лицами, группами, организациями. Сущность его нормативного содержания состоит в таком порядке нормирования прав и обязанностей, при котором каждый из народов

в равной мере наделен ими и любому из них запрещено использовать свои права в ущерб другим. Таким образом, в термине « равноправие народов » заключено нечто единое, объединяющее — это всеобщность, детерминированная признанием прав человека в качестве высшей общественной ценности, позволяющая распространить благородную идею равенства на все без исключения народы. Есть основания утверждать, что равноправие народов является первоосновой мирового сообщества, самой общей, самой демократической и самой прочной.

Доминирующая роль цели не означает умаления значения средств ее достижения. Нормативная цель столь же зависит от соответствующих средств, сколь со своей стороны определяет их. Как и любая другая цель — равноправие, не подкрепленное правом каждого народа на самоопределение, обречено на несостоятельность. Общепризнанная конвенционная формулировка этого права гласит: « Все народы имеют право свободно определять без вмешательства извне свой политический статус и осуществлять свое экономическое, социальное и культурное развитие, и каждое государство обязано уважать это право в соответствии с Уставом ООН ». Согласно международному праву оно может быть реализовано в следующих формах: а) свободное присоединение к независимому унитарному государству; б) объединение с независимым государством на федеративных началах; в) создание своего собственного суверенного государства; г) установление любого другого политического статуса, который соответствующий народ сочтет для себя наиболее приемлемым.

Самоопределение, в какой бы форме оно не осуществлялось, только тогда и настолько правомерно, когда и поскольку оно направлено на устранение действительной, а не надуманной дискриминации конкретного народа. Парадоксальность вулканической почвы столкновений, возникшей в Абхазии и Земо Картли, в том и состоит, что не массовая дискриминация и этническая нетерпимость породили экспансивный сепаратизм, а экспансивный сепаратизм, возвращенный и активно поддерживаемый нашим северным соседом, породил дискриминацию и взаимную нетерпимость.

Из всего вышесказанного со всей очевидностью следует отметить что скольконибудь правильное толкование рассматриваемого принципа должно непременно исходить из тесного единства двух его ингредиентов: равноправия народов и их права на самоопределение. Они взаимно дополняют друг друга, поскольку выступают выражением одной и той же базовой ценностной ориентации. Между тем озлобленные умы, обуреваемые жаждой власти, в

сотрудничестве с квак-учеными (от английского слова « квак » т.е. шарлатан) обезглавили данный принцип, лишив его главного компонента — равноправия народов. В результате подчиненный компонент стал претендовать на самостоятельность и даже эрцаз-всеобщность. С легкой руки не ведающих сомнений фальсификаторов, стало обычным рассуждать не о принципе равноправия и самоопределения народов, а о принципе самоопределения народов, причем в усеченном виде, сведенном исключительно к внешнему самоопределению. Возникло совершенно ненормальное положение, когда дочернее образование начинает грубо помыкать породившую его материнскую структуру.

В этой связи позволю себе высказать некоторые соображения чисто юридического свойства. Как известно, структура правовых норм состоит из трех элементов — гипотезы, диспозиции и санкции. Гипотезой принято считать формулировку условий, при наличии которых происходит реализация конкретной нормы, диспозицией — само правило поведения участников общественных отношений, а санкцией — меры принуждения, применяемые к его нарушителям. В отличие от внутригосударственных норм в международно-правовых нормах классическая трехзвенная структура подчас отсутствует. Так, в рассматриваемом случае равноправие народов наряду с диспозитивной функцией выполняет одновременно роль гипотезы. Как уже отмечалось, к самоопределению можно обращаться лишь тогда, когда систематически и массовом порядке нарушаются условия равноправия народов. При этом возможность выбора тех или иных форм самоопределения не является произвольной и осуществляется в пределах, допустимых последним. По образному выражению известного российского теоретика права С.С.Алексеева, «... субъективные права — не бескрайняя вольница, не индульгенция вседозволенности, не поприще для свободы вообще, активности вообще ». За рамками, очерченными равноправием, самоопределение в форме государственного отделения неизбежно оборачивается неконтролируемыми действиями, прямым произволом, как бы оно не камуфлировалось.

В введущихся дискуссиях вокруг принципа равноправия и самоопределения народов даже те юристы — теоретики, которые высказываются против абсолютизации права на внешнее самоопределение, почему-то не замечают того, что механизм украшения этой абсолютизации, как и во всякой правовой норме, заложен прежде всего в самом этом принципе. Если вновь обратиться к приведенной мною предохранительной оговорке, защищающей национальное единство и территориальную целостность государств, дочитав ее до конца, то мы без особого труда обнаружим, что она распространяется лишь на те

из них, которые « действуют с соблюдением принципа равноправия и самоопределения народов...». Следовательно, правомерность удовлетворения или, наоборот, отказа в праве на самоопределение всякий раз должна ставиться в зависимость от того, соблюдаются или нет общепризнанные параметры равноправия народов. Трансформировав принцип равноправия и самоопределения народов в самостоятельный принцип самоопределения и сводя все содержание последнего к единственной, самой крайней форме его выражения, националистические маргиналы одновременно грубо исказили вопрос о субъекте права на самоопределение.

В международно-правовых документах, и прежде всего в Уставе ООН и Декларации о принципах международного права, в качестве дестинаторов этого права фигурируют народы, однако идеологи сепаратизма, спекулируя на неоднозначности понятийной сути этого термина и отсутствии его универсального определения, выступают неистовыми приверженцами права нации на самоопределение. При этом они широко используют богатый теоретико -практический опыт, накопленный большевиками в этом вопросе. Право на национальное самоопределение было провозглашено российскими социал-демократами еще в манифесте 1898г. и с тех пор неизменно фигурировало в партийных программах. Будучи незаурядным политиком, В.И.Ленин не мог не сознать той реальной опасности, которая таилась в грозной разрушительной силе расчленения государств по национальному признаку, но именно это обстоятельство оказалось для него завораживающе привлекательным. Благодаря ему он смог, бросая открытый вызов своим наставникам — Марксу и Энгельсу, авторитетом которых он несомненно дорожил, утвердиться в мысли о возможности победы пролетарской революции первоначально в одной и притом такой отсталой стране, как царская Россия.

С тем, чтобы не стать заложниками собственного максимализма после этой революции, большевиго норматго начала подстраховали себя тем, что подчинили право нации на самоопределение задачам классовой борьбы. « ...Если конкретное положение дел сложилось так, что существование социалистической республики подвергается опасности в данный момент из-за нарушения права на самоопределение нации (Польша, Литва, Курляндия и др.), — писал В.И.Ленин, - то, разумеется, интересы сохранения социалистической революции стоят выше ». Таким образом, для большевиков право нации на самоопределение и государственное отделение никогда не имело самодовлеющее значение. Одновременно их подход к этому вопросу не отличался последовательностью и сопровождался такого рода оговорками, которые открывали широкие возможности для беззастенчивого

манипулирования и даже полного отказа от национального самоопределения. После своего прихода к власти большевики распространили право на отделение не на все национальные окраины царской России, а только на Польшу, Финляндию, Прибалтику и частично на Украину. По-видимому, отсутствует необходимость доказывать, что и последних постигла бы та же участь, что и первых, если бы ошестинившаяся штыками советская внешняя политика не оказалась вынужденной отступить перед непреодолимой силой сложившихся обстоятельств. Так или иначе, остается фактом, что такая тактика себя оправдала, лозунгу право нации на самоопределение суждено было стать одним из решающих факторов успеха большевистского переворота 1917г., победы в гражданской войне, впечатляющих достижений советских геополитических устремлений в послевоенные годы.

Общественность бывшего Советского Союза пребывала в неведении о том, что еще в 1945г. участники конференции в Сан-Франциско отклонили предложение делегации СССР распространить действие принципа равноправия и самоопределения народов на нации. Тем не менее советская международно-правовая доктрина продолжала рассматривать в качестве субъектов этого принципа как народы, так и нации. В специальной литературе, издаваемой в постсоветском пространстве, сложилась причудливая мозаика мнений на этот счет. В то время, такие видные российские ученые как Г.В.Старушенко, И.И.Лукашук и другие субъектами принципа равноправия и самоопределения народов признают лишь народы, некоторые их соотечественники, продолжая оставаться в плену стереотипов социалистического прошлого, утверждают, что данной правосубъективностью обладают одновременно и народы, и нации. Более того, авторы учебника по международному праву, изданному в Москве в 1994г. решились на ампутацию рассматриваемого принципа, укоротив его на целую голову и превратив в принцип самоопределения народов. Досадный интеллектуальный просчет, учитывая, что его редактировали такие серьезные юристы-международники, как Ю.М.Колосов и В.И.Кузнецов.

Однако дальше всех в своих умствованиях пошел наш земляк, ныне российский теоретик А.Х.Абашидзе. Он уже давно и безуспешно пытается всеми правдами, а больше неправдами доказать, что правом на государственное отделение обладают не только нации, но и национальные меньшинства. Нельзя сказать, что А.Х.Абашидзе, подобно своему именитому тезке, однофамильцу и родственнику, путает континентальный шельф с волочащимся по полу подолом женского платья — шлейфом и допускает такое умственно

непостижимое словосочетание, как « иммунитет суверенитета » (!?). Однако несомненно и то, что он из той категории авторов, которых называют, с позволения сказать, учеными. За неимением собственных мыслей, они бездумно используют чужие, не утруждая себя соответствующими ссылками с тем, чтобы с их помощью безбоязненно выплеснуть свои политические пристрастия. Такая « творческая » манера оборачивается, мягко выражаясь, несогласованностью высказываемых суждений и умственно облегченными выводами. Так, выдавив из себя признание, что « ни один из международных актов не содержит даже упоминания о праве нацменьшинств на самоопределение », А.Х.Абашидзе буквально тут же пишет: «...на основании современного международного права невозможно однозначно утверждать, имеют ли национальные меньшинства право на самоопределение ». Еще более озадачивает и даже настораживает его следующая фраза: « Вызывает сомнение также то, что безусловный отказ в праве на самоопределение всем, кроме большинства, действительно повышает стабильность. Возможно, это имеет как раз обратный эффект, поскольку не оставляет меньшинствам, стремящимся к независимости, иного выбора, кроме как обращение к силе ». Точка зрения, что и говорить, весьма оригинальная, но маловразумительная. Следуя ей, уходя из дома, не следует закрывать двери с тем, чтобы, упаси Боже, не искушать домушников.

Возвращаясь к вопросу о народе как единственном субъекте права на самоопределение, следует заметить, что, несмотря на двузначность этого термина и отсутствие его общепризнанной дефиниции, мировое сообщество до сих пор не испытывало особых трудностей, решая вопрос о том, является или нет данная совокупность людей народом с учетом специфических особенностей каждого конкретного случая.

Так, обсудив споры о территориальной целостности Гибралтара и Мальвинских (Фолклендских) островов, Генеральная ассамблея ООН отказалась принимать во внимание результаты референдума и опроса местного населения, посчитав, что они ни в одном и ни в другом случае не представляют собой народ, обладающий правом на самоопределение. Специальный докладчик подкомиссии ООН по предупреждению дискриминации и защите меньшинств А. Эйде отмечает, что слово « народ » вполне определенно означает « население, постоянно проживающее на данной территории, а не отдельные этнические или религиозные группы независимо от того, преобладают они на этой территории или нет. Здесь имеется в виду « демос », а не этнос ».

Таким образом, вопреки экстремистской интерпретации права на самоопределение, включая отделение, его субъектом являются народы, но не нации. Еще более беспочвенными являются попытки наделить этой правосубъективностью национальные меньшинства. На них распространяется не ст.1 Международного пакта о гражданских и политических правах, провозглашающая право « всех народов » на самоопределение, а ст.27 этого документа, в которой говорится: « В тех странах, где существуют этнические, религиозные и языковые меньшинства, лицам, принадлежащим к таким меньшинствам, не может быть отказано в праве совместно с другими членами той же группы пользоваться своей культурой, исповедовать религию и исполнять ее обряды, а также пользоваться родным языком ».

Этнические конфликты, охватившие в последние годы почти все континенты — в большей или меньшей степени, убедительно продемонстрировали губительные последствия пресловутого права нации на государственное отделение. Растаскав по кусочкам принцип равноправия и самоопределения народов, предварительно надругавшись над ними, ревностные сторонники ничем не ограниченного права на государственное отделение на пути, ведущему их к заветной цели, неожиданно обнаружили серьезную помеху в лице принципа территориальной целостности государств. К каким только ухищрениям они не прибегают, чтобы устранить это препятствие. Дело дошло до отказа от международно-правовых критериев законности реализации права на внешнее самоопределение и их замены историческими, этнодемографическими и волеизъявительными критериями. В этой триаде, как в кислоте, должно раствориться одно из фундаментальных положений существующего мирового правопорядка.

Самоуверенности неведом гнет сомнений. Одна из « факельщиц » карабахской трагедии — Е.Боннер утверждает, что не разделив понятия самоопределения народов и территориальной целостности государств, « мы практически отказываемся от защиты прав народов, в конечном счете от защиты прав человека ». Эта пышная риторика лишена сколько-нибудь стоящего обоснования. Нужно иметь не слишком глубокое представление о международном праве с тем, чтобы считать, что принцип территориальной целостности перечеркивает право народа на выход из состава государства, в котором он подвергается систематической и массовой дискриминации, безовсяких надежд на его устранение. Чуть ниже я попытаюсь показать, что взаимосвязь между ними носит взаимный характер.

Принцип территориальной целостности ограничивает право на внешнее самоопределение в той же мере, в какой оно в свою очередь ограничивает этот принцип.

Ангажированный абхазскими сепаратистами московский ученый юрист-международник Э.Тузмухамедов дерзнул утверждать, что в строго юридическом смысле принцип территориальной целостности не фигурирует среди основных принципов действительного международного права. Оказывается, государства-участники Общеввропейского совещания в Хельсинки (1975г.) в нарушении своих международных обязательств « исподтишка протащили » этот новый принцип. Иначе как вздорным это утверждение нельзя назвать, если вспомнить, что Заключительный акт был принят на основе консенсуса в условиях биполярного мира.

Убедившись в бесперспективности прямых, так сказать, лобовых атак на принцип территориальной целостности государств, абхазский автор В.Хагба, не мудрствуя лукаво, заявляет, что самоопределение абхазского народа не нарушает территориальной целостности Грузии, поскольку внешняя граница исторического расселения грузин проходит по реке Ингури, а самопровозглашенная республика Абхазия претендует на территорию по другую ее сторону, которая « во все времена принадлежала абхазскому народу ». Соображение, что и говорить, весьма любопытное. Однако у него один изъян — оно не только не подтверждается историей, но и прямо противоречит ей.

В заключение попытаюсь внести ясность в ответ на вопрос — во всех ли случаях принцип территориальной целостности зажигает красный свет на пути сепаратистского движения или эта предохранительная клаузула знает исключения?

Руководствуясь Декларацией о принципах международного права, многие авторитетные ученые — Уругваец Э.Аречага, Норвежец А.Эйде и другие считают, что требование о государственном отделении может считаться справедливым, если соответствующее государство нарушает принцип равноправия и самоопределения народов. При этом внимание концентрируется на двух моментах: а) правительство этого государства не представляет весь народ, делая различие по признакам расы, вероисповеданий или цвета кожи, б) наличие всех доказательств того, что в обозримом будущем положение в этом отношении не изменится к лучшему. По мнению Э.Аречага, « недопущение к равноправному участию в правительстве (но не отказ в

предоставлении автономии по этническим или культурным соображениям) может повлечь за собой справедливое требование о реализации права на самоопределение в многонациональном государстве. Группы населения, не представленные в правительстве, считаются в подобном случае народом, обладающим правом на свободное определение своего политического статуса».

Позволю себе заметить, что при всей важности широкого представительства народа в центральном органе исполнительной власти оно в отдельных случаях вряд ли может быть надежным свидетельством демократии. Примером тому могли бы служить бывший Советский Союз и существующие социалистические государства. Думается, что необходимый в данном случае критерий должен быть универсальным. Таковым является соблюдение требований равноправия применительно ко всем группам населения независимо от их расовой, этнической, лингвистической и религиозной принадлежности. В этой связи нелишнее напомнить резолюцию Генеральной ассамблеи ООН « Всеобщая реализация права народов на самоопределение » (1994г.), в которой, в частности, сказано, что это право является « коренным условием обеспечения и соблюдения прав человека ».

А как обстоит дело на практике? В процессе деколонизации за период с 1945 по 1965 гг. образовалось 56 суверенных государств. В 1965г. Сингапур вышел из состава Федерации Малайзия, став независимым государством. В результате национально-освободительного движения бенгальского народа в 1971г. от Пакистана отделилась Народная Республика Бангладеш. В 1980г. из так называемой Республики Зимбабве — Родезия выделась независимая Замбия. В 1990г., несмотря на противодействие ЮАР, Намибия стала суверенной,

В 1991г. СССР распался на 15 независимых государств. В 1994г. от Эфиопии отделилась Эритрея.

Из вышеприведенного следует заметить что вселенские стенания абхазских сепаратистов по поводу того, что принцип территориальной целостности вбивает осиновый кол в могилу самоопределения, столь же фальшив и неискренен, как слезы и расцарапанные щеки профессиональных плакальщиц на ритуальных похоронах.

II საერთაშორისო სამართალი და საგარეო პოლიტიკა

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის როლი საქართველოს საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში

გელა ბეჟუაშვილი

დღესდღეობით საქართველოში მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის საფუძველთა განსაზღვრის მძიმე პერიოდია. მიმდინარეობს სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიული სახელმწიფოებრიობისა და მისი შესაბამისი სამართლებრივი წესრიგის ჩამოყალიბების რთული პროცესი, რომელიც კიდევ უფრო გართულებულია სერიოზული ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა პრობლემების გამო, რაც განაპირობებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ურთიერთშეფარდების სპეციფიკას.

მოცემულ პირობებში ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს ახალი საგარეო-პოლიტიკური კონცეფციის შემუშავება და მიღება, რომლის განუყოფელ ნაწილადაც უნდა იქცეს საერთაშორისოსამართლებრივი კონცეფცია.

ამასთან, იბადება კითხვა: გვჭირდება თუ არა საერთოდ საგარეო პოლიტიკის კონცეფცია, რომლის შემუშავებაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს? ასეთი კონცეფციის გარეშე, პოლიტიკა მოკლებული იქნება სტრატეგიას და ეროვნულ ინტერესთა დაცვის საიმედო საშუალებად არ გამოდგება. სახელმწიფო ისწრაფვის ოფიციალურად განსაზღვროს შესაბამისი სტილი და ბუნება მისი ურთიერთობების გარე სამყაროსთან. საერთაშორისო ცხოვრებაში ეფექტური მონაწილეობა ბევრად არის დამოკიდებული საქართველოს მოქნილ საგარეო პოლიტიკაზე. თუ თავისი დამოუკიდებლობის პირველ წლებში ქვეყნის საგარეო პოლიტიკა მიზნად ისახავდა პოლიტიკური და ეკონომიკური იზოლაციიდან თავის დაღწევასა და საერთაშორისო აღიარების მოპოვებას, ამჟამად იგი მიმართულია საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებში საკუთარი ადგილის დამკვიდრებისაკენ. საერთაშორისო არენაზე

საქართველოს პოლიტიკის გააქტიურების ფონზე აუცილებელია საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფციის შემუშავება და მიღება.

სახელმწიფოს პოლიტიკისათვის, საერთო ჯამში, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ოპტიმალური თანაფარდობის განსაზღვრას საქართველოს ცხოვრების არამხოლოდ საშინაო, არამედ საგარეო პირობების გათვალისწინებით. კონცეფცია აგებული უნდა იყოს საშინაო პოლიტიკის აბსოლუტური პრიმატის ცნობაზე. შესაბამისად, საგარეო პოლიტიკის უმთავრესი მიზანი მდგომარეობს ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფაში მათი ვიწრო გაგებით, როგორც საშინაო პოლიტიკის ინტერესებისა. ამასთან, გათვალისწინებული არ არის ის, რომ ეროვნულ ინტერესთა საიმედო დაცვა სახელმწიფოს არ ძალუძს სხვა ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობის, აგრეთვე საერთოდ, საერთაშორისო თანამეგობრობის კანონიერ ინტერესთა პატივისცემის გარეშე.

თუმცა, ისტორია იცნობს არა ერთ შემთხვევას, როდესაც სხვადასხვა მიზეზთა გამო დასუსტებული სახელმწიფო ზრდიდა თავის პოლიტიკურ გავლენას. გავიხსენოთ თუნდაც ჯავაჰარლალ ნერუს დროინდელი ინდოეთი, როდესაც ქვეყანამ საგარეო პოლიტიკით დიდი დაინტერესების გამო, ამ სფეროში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. მაგრამ საშინაო პოლიტიკის გაუთვალისწინებლობა ქვეყანაში არსებულ სირთულეთა კატასტროფული ზრდის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. გამოცდილება მოწმობს, რომ საგარეო-პოლიტიკური წარმატებები ვერ ანაზღაურებენ საშინაო პოლიტიკის სირთულეებს. აუცილებელია სახელმწიფო პოლიტიკის ორივე მიმართულების ოპტიმალური თანაფარდობა. არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის ინტერესები ეროვნულ ინტერესთა კატეგორიას მიეკუთვნება.

საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიის არსებობა პოლიტიკას პრაგმატულს ხდის. **პრაგმატიზმი** კი პოლიტიკის აუცილებელი თვისებაა. ამასთან ერთად, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის, რომ დიდი პოლიტიკა არ შეიძლება იყოს იდეის გარეშე. პოლიტიკური სტრატეგია უნდა ემყარებოდეს გარკვეულ იდეებს, გამოხატავდეს იდეალებს, რომლებსაც ძალუძთ მოსახლეობის შთაგონება და ამ პოლიტიკის საერთაშორისო მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

პრაგმატიზმი არ უნდა დომინირებდეს პოლიტიკაში. ზედმეტად პრაგმატული პოლიტიკა კონცენტრირებულია მიმდინარე საკითხთა გადა-

წყვეტაზე, მოვლენათა ურთიერთკავშირისა და მათი განვითარების პერსპექტივის სათანადო გათვალისწინების გარეშე; ძირითადი ყურადღება გადატანილია მიმდინარე საკითხებზე, ანუ ტაქტიკაზე, ხოლო მნიშვნელოვანი სამომავლო პრობლემები, რომლებიც წარმოადგენენ სტრატეგიის საგანს, მეორე პლანზე რჩება. იმავდროულად, სახელმწიფოს ინტერესების უზრუნველყოფა ხდება ისეთი პოლიტიკით, რომელიც ითვალისწინებს პრობლემათა ურთიერთკავშირს, აგრეთვე, საერთო პერსპექტივას და ამ საფუძველზე გავლენას ახდენს მოვლენათა მსვლელობაზე, ხელს უწყობს რა ამ უკანასკნელთა სასურველ განვითარებას და ეწინააღმდეგება არასასურველს. საგარეო პოლიტიკის კონცეფციამ უნდა ჩამოაყალიბოს საგარეო-პოლიტიკური კურსის საფუძვლები, რის გამოც მასში მთავარი ადგილი სტრატეგიას ეკუთვნის.

ზედმეტ პრაგმატიზმს კი შეუძლია პოლიტიკის შემოქმედებითი ხასიათის, მისი ინიციატივურობის დონისა და შესაბამისად, მოქმედების ძალის შეზღუდვა. ზედმეტი პრაგმატიზმი დამახასიათებელია აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკისათვის, რაც, რასაკვირველია, ამცირებს მის ეფექტურობას, ამუხრუჭებს ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნის ტემპებს, ასუსტებს მის ზემოქმედებას მასობრივ ცნობიერებაზე. ვიწროპრაგმატული პოლიტიკა კონსერვატულ ხასიათს ატარებს, რომლის მთავარი ამოცანაა შეინარჩუნოს არსებული მდგომარეობა, ხოლო მისი თვისება მომავლისკენ გახედვის სურვილის არქონაა.

საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების ეფექტური გამოყენება უნდა განისაზღვროს როგორც საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმის ეფექტური გამოყენება უნდა იდგეს ერთ რიგში, ქვეყნის შეიარაღებული ძალების განმტკიცებისა და განვითარების, უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბების სტრატეგიასთან ერთად. "პატარა სახელმწიფოს" საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების, მისი უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბების პროცესში საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების ეფექტურ გამოყენებას უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ადგილი. სამწუხაროდ, "ახალი მსოფლიო მართლწესრიგი" ვერ გათავისუფლდა "დიდი ქვეყნების" პოლიტიკური, ეკონომიკური და ზოგჯერ, სამხედრო ზეწოლის ფაქტებისაგან "პატარა ქვეყნების" მიმართ.

საერთაშორისო ურთიერთობათა რეგულირება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ურთიერთობაში შედიან იურიდიულად თანაბარი სუბიექტები. იმისათვის, რომ ასეთმა რეგულირებამ იარსებოს, სახელმწიფოებმა უნდა მოეპყრონ ერთმანეთს როგორც თანაბარ პარტნიორებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლიათ მათ დადონ ხელშეკრულებები, რომლებიც პასუხობენ მათ ეროვნულ ინტერესებს და შეასრულონ ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები.¹ ფაქტობრივად, საერთაშორისო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ცალიდება ძლიერ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებზე გავლენის მოხდენის საშუალებები. სამართლებრივი რეგულირება არ არსებობს და ვერ იარსებებს სახელმწიფოების იმ გარემოში, სადაც ბატონობს ძალა და სადაც მას გააჩნია სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების პირობების სხვებისათვის თავზე მოხვევის უნარი. საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის გზას საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ალტერნატივა არ გააჩნია და ეს არის ერთადერთი გზა, რომელიც დღევანდელ მსოფლიოს ომის კატასტროფისაგან გადაარჩენს.

საქართველოს საგარეო პოლიტიკა უნდა შეიცავდეს რეგიონალური სახელმწიფოს პოლიტიკის საფუძვლებს, რომლებიც გეოსტრატეგიული პოლიტიკის მახასიათებელი ნიშნებით უნდა იყოს გამდიდრებული და დაეფუძნება საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს, მათ შორის საერთაშორისო ჩვეულებით ნორმებს.

საგარეო პოლიტიკის კონცეფციის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს მასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი კონცეფცია. შეუძლებელია დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ კონცეფციაზე საუბარი, რომელიც არ ეყრდნობა როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სამართალს. სამართლებრივი სახელმწიფოს პოლიტიკა შეუძლებელია იყოს არასამართლებრივი. არ შეიძლება აგრეთვე იმის დავიწყებაც, რომ სადღეისოდ არ არსებობს საერთაშორისო სამართლის, როგორც გლობალური სისტემის მართვის ინსტრუმენტის, ალტერნატივა.

¹ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა ან შეთანხმებების შესრულება იმ სახელმწიფოს მიერ, რომელიც მეორე სახელმწიფოს ფაქტიურ დაქვემდებარებაშია (ხელშეკრულების მეორე მხარე), აღნიშნულ სახელმწიფოზე არ არის დამოკიდებული.

1. საქართველოს საერთაშორისო სამართლებრივი კონცეფციის ჩამოყალიბება

საქართველოს საერთაშორისო სამართლებრივი კონცეფციის ჩამოყალიბება მიმდინარეობს საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი სისტემის, ახალი მსოფლიო წესრიგისა და მართვის შესაბამისი მექანიზმების ფორმირების პირობებში. მისი ყველა უარყოფითი მომენტის მიუხედავად საერთაშორისო სისტემის ორპოლუსიანმა რეგულირებამ „ცივი ომის“ პერიოდში დიდი როლი ითამაშა ბირთვული კატასტროფის აცილების საქმეში, აგრეთვე, ამ სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფაში. დღესდღეობით პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემა გართულდა და უფრო სრულყოფილ რეგულირებას საჭიროებს, რისთვისაც აუცილებელია საამისოდ არსებულ საშუალებათა მთელი არსენალის გამოყენება. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მათგანია საერთაშორისო სამართალი. გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ მეცნიერების მნიშვნელოვანი როლი საქართველოს საერთაშორისო სამართლებრივი კონცეფციის (ეროვნული საერთაშორისო სამართლებრივი დოქტრინის) შექმნაში. საბედნიეროდ, პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა.²

"საერთაშორისო სამართალი კონკრეტული საერთაშორისო სისტემის - სახელმწიფოთაშორისი სისტემის, განუყოფელი ნაწილია და უნდა განიხილებოდეს მთელი სისტემის ყველა კომპონენტთან მჭიდრო კავშირში".³

საერთაშორისო სამართლის როლი სახელმწიფოთა სამართლებრივ სისტემებში სულ უფრო იზრდება. თუმცა, გარკვეულ მიზეზთა გამო, სახელმწიფოები ძალზე შორს დგანან საერთაშორისო სამართლის პოტენციალის სრული გამოყენებისაგან. მას ჯერ კიდევ არ დაუკავებია სათანადო ადგილი საერთაშორისო საზოგადოებრიობაში. ბევრი სახელმწიფო, მათ შორის დიდი სახელმწიფოებიც, არ ჩქარობენ მის პროგრესულ განვითარებასა და უპირველესად, მისი ფუნქციონირების მექანიზმების განვითარებაზე ზრუნვას, რისი დამამტკიცებელი ფაქტებიც პრაქტიკაში მრავლად არის. ამაზე მეტყველებენ თუნდაც ის პრობლემები რომლის წინაშე დადგა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო მთელი რიგი ე.წ. "დიდი" ქვეყნების პოზიციის გამო,

² იხ. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, 1998 წელი.

³ იქვე.

რომლებიც თავს იკავებენ სრული პასუხისმგებლობის აღებაზე და ცდილობენ შეარბილონ სტატუტის გარკვეული მუხლების შინაარსი. ასეთსავე დამამტკიცებელ საბუთად შეიძლება გამოგვადგეს საერთაშორისო სამართლის გაეროს ათწლიანი პროგრამა, რომელიც, სამწუხაროდ, ნაკლებად შეიცავს ისეთ დებულებებს, რომლებიც სრულყოფენ სამართლებრივ ნორმათა რეალიზაციას. ეს მაშინ, როდესაც XXI საუკუნის საზოგადოებრიობა მოიაზრება როგორც დაფუძნებული საიმედო მართლწესრიგზე. ამგვარი მდგომარეობა საინიციატივო საქმიანობის ძალზე ფართო ასპარეზს უქმნის საქართველოს, რომელმაც უნდა იბრძოლოს პოლიტიკაში სამართლებრივი პრიმატის დასამკვიდრებლად.

საერთაშორისო სამართლებრივი კონცეფციის ჩამოყალიბების ამოსავალ წერტილად შეიძლება ჩაითვალოს "საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი", რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 9 აპრილს. აღნიშნული აქტით საქართველომ განაცხადა საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმებისადმი მისი ერთგულება.

აქტის თანახმად, საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს კანონმდებლობის მიმართ და საქართველოს ტერიტორიაზე მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება აღიარებულია საქართველოს "ძირითად საკონსტიტუციო პრინციპად". დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი ადასტურებს დამოუკიდებელი საქართველოს სწრაფვას აღიაროს და უზრუნველყოს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ნორმები, მათ შორის გაეროს წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები.⁴

საერთაშორისო სამართლის როლი მუდმივად იზრდება შიდა სამართლებრივ წყობაში და ამის დასტურია ახლად ჩამოყალიბებული ქვეყნებში გავრცელებული პრაქტიკა. მიუხედავად საერთაშორისო სამართლის მიმართ დადებითი მიდგომისა, სახელმწიფო პრაქტიკა გარკვეულ წილად იცვლება. რაც შეეხება საერთაშორისო ხელშეკრულებათა ნამდვილობას, სახელმწიფოთა უმეტესობას ეროვნულ კანონმდებლობაში ნათლად აქვთ განსაზღვრული საერთაშორისო ხელშეკრულებების შიდასახელმწიფოებრივი როლი, თუმცა, ამავე

⁴ იხ. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები, 291, 1991 წ., 26-27.

დროს განუსაზღვრელი რჩება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის სტატუსი. მეორე მხრივ, ზოგიერთმა სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საერთაშორისო ჩვეულებით სამართალზე და, როგორც ჩანს, მიიჩნია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებების როლი მათ შიდასახელმწიფოებრივ სამართალში პრაქტიკის განმავლობაში იქნება განსაზღვრული. დანარჩენმა სახელმწიფოებმა კი ნათლად გამოხატეს თავიანთი პოზიცია საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიმართ.

საქართველოში მომხდარი სამართლებრივი განვითარება მიგვითითებს სწორედ ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფოების დადებით მიდგომაზე საერთაშორისო სამართლის მიმართ. საერთაშორისო სამართლის, ხელშეკრულების ან ჩვეულების როლის გაზრდა არის თითქმის ყველა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების კონსტიტუციების დამახასიათებელი თვისება.⁵ ასეთი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასამართლოებისათვის, რადგანაც მათ შესაძლებლობა მიეცათ პირდაპირ გამოიყენონ საერთაშორისო სამართალს. საერთაშორისო სამართლის გამოყენება, როგორც წესი, არ იყო შესაძლებელი ბოლო დრომდე, პოლიტიკური-იდეოლოგიური ბარიერების გამო.

საქართველოს საერთაშორისო სამართლებრივი დოქტრინის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს ეტაპად იქცა 1995 წლის კონსტიტუციის მიღება. ამ უკანასკნელის საფუძველზე გამოიცა რიგი კანონებისა, რომელთაც გააჩნიათ პრინციპული მნიშვნელობა დოქტრინის განვითარებისა და კონკრეტიზაციისთვის, მათ შორის კანონები საერთაშორისო ხელშეკრულებათა, სახელმწიფო საზღვრის, კონტინენტური შეღვის შესახებ, კანონი დიპლომატიური სამსახურის შესახებ, კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, კანონი ნორმატიული აქტების შესახებ და ა.შ.

ცნობილმა იურისტმა შტაინბერგმა სწორედ აღნიშნა, რომ "ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, როდესაც კონსტიტუციური რეფორმების გატარების დროს, პირველად სახელმწიფოს ისტორიაში, იქმნება საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ამ სახელმწიფოს ყოფილი იურიდიული პრაქტიკა არ იმსახურებდა

⁵ Vladlen S. Vereshchetin, "New Constitutions and the Old Problem of the Relationship between International Law and National Law", *7 European Journal of International Law* 1996, 32.

რაიმე ნდობას". საქართველოში საკონსტიტუციო რეფორმის ჩატარებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს დღესაც, რამეთუ ერთხელ და სამუდამოდ ჩამოვშორდებოდეთ ძველ საბჭოურ "იურიდიულ პრაქტიკას", იურიდიულ აზროვნებასა და კულტურას.

2. საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების სამომავლო პერსპექტივები

საგარეო პოლიტიკის კონცეფცია უნდა შექმნავდეს უშიშროებისა და საგარეო-ეკონომიკური კონცეფციების მჭიდრო კავშირში, ვინაიდან, საერთო ჯამში, ყველა კონცეფცია უნდა ემსახურებოდეს ქვეყნის განვითარებას, მისი უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, სუვერენიტეტის განმტკიცებისა და სტაბილურობის იდეალებს.

ყოველივე ეს განაპირობებს იმის აუცილებლობას, რომ საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო სამართლის დარგში თეორიებსა და პროგნოზირების პრაქტიკას სერიოზული ყურადღება მიექცეს. ამის გარეშე ძნელია პროფილაქტიკური დიპლომატიის განხორციელება, რომელიც მოწოდებულია თავიდან აიცილოს მოვლენათა არასასურველი განვითარება. ასეთი დიპლომატია გაეროს მიერ საფუძვლიანადაა წამოწეული პირველ პლანზე. საგარეო პოლიტიკასა და სამართალს საერთაშორისო ცხოვრების მზარდი დინამიზმის პირობებში სულ უფრო მასშტაბური პრობლემების გადაწყვეტა უხდებათ.

პროგნოზირება აუცილებელია პოლიტიკისათვის სტაბილურობისა და თანამიმდევრულობის მისანიჭებლად, რაც ეფექტურობის აუცილებელ ელემენტებს წარმოადგენენ. პროგნოზირება ხელს უწყობს პრაქტიკული საქმიანობის ოპტიმიზაციას, ემპირიზმისა და რუტინული შეზღუდულობის ხვედრითი წონის შემცირებას. ზუსტად განსაზღვრული მიზნების მქონე პოლიტიკა, რომელიც თანამიმდევრულად ხორციელდება, თანაბარ პირობებში უფრო დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობებზე, ვიდრე პრაგმატული პოლიტიკა, რომელსაც ცხადი პერსპექტივა არა აქვს და ერთი არსებული პრობლემიდან მეორისკენ მიედინება.

პრაგმატული პოლიტიკა განპირობებულია ტრადიციული პოლიტიკური აზროვნებით, რომელიც თავმოყრილია დღევანდელ, იმწუთიერ პრობლემებზე. ამასთან, ყურადღებას ყოველთვის არ აქცევენ იმას, რომ

პრობლემათა გადაწყვეტა პერსპექტივის გაუთვალისწინებლად არასაიმედოა და შეიძლება კიდევ უფრო გაართულოს პრობლემები. საგარეო-პოლიტიკური პროგნოზირების ამოცანები მდგომარეობს შემდეგში:

- ა) მოგვაწოდოს ინფორმაცია მომავლის შესახებ;
- ბ) მომავლის გათვალისწინებით განსაზღვროს მიზნის მისაღწევად შესაძლო და ოპტიმალური გზები, მეთოდები და საშუალებები;
- გ) აქტიური გავლენა იქონიოს მომავლის ჩამოყალიბებაზე.

ახალი მსოფლიო წესრიგი მოიაზრება როგორც დემოკრატიული. მის დასამყარებლად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გავთავისუფლდეთ „წამყვანთა“ და „მაჩანჩალათა“ მენტალიტეტისგან. დემოკრატიზაცია მოიცავს არა მარტო პოლიტიკურ, არამედ სხვა საერთაშორისო ურთიერთობებსაც, მათ შორის ეკონომიკურსაც. ძალის გამოყენების ან დამუქრების აკრძალვამ შეზღუდა ამ უკანასკნელის გამოყენების შესაძლებლობა. ახალ პირობებში განვითარებული ქვეყნები თავიანთ ეკონომიკურ სიძლიერეს იყენებენ პოლიტიკური მიზნებისთვის. ნობელის პრემიის ლაურეატის, დოქტორ ჰენრი კისინჯერის, აზრით, მომავალი განვითარებისა და გლობალური უშიშროებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია ეკონომიკური ფაქტორი. მისი თქმით, უნდა შეიქმნას ახალი მსოფლიო საფინანსო სისტემა და, რაც მთავარია, "უნდა უზრუნველვყოთ, რომ დიდი ქვეყნები აღარ წარმოადგენდნენ საშიშროებას შედარებით სუსტი მეზობლებისათვის".⁶

აღბათ, არც კი შეიძლება დაეჭვება იმაში, რომ ამ საუკუნის მსოფლიო წესრიგი ძალზე განსხვავებული იქნება წინა საუკუნის წესრიგისაგან. იგი ჩამოყალიბდება არა თავისთავად, არამედ სახელმწიფოთა მიზანმიმართული თანამშრომლობის შედეგად. მოსაზრება ახალი მსოფლიო წესრიგის აუცილებლობის შესახებ გამოითქმის სხვა ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეთა მიერაც და აისახება საერთაშორისო დოკუმენტებში. ამასთან, ძალზე ხშირად ხაზი ესმება საერთაშორისო სამართლის როლს სტაბილურობის ჩამოყალიბებისა და უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

დღესდღეობით ეროვნული და საერთაშორისო საზოგადოებრიობის ინტერესების ოპტიმალური შეთანხმების პრობლემა ისე მწვავედ დგას,

⁶ იხ. თბილისში ჰენრი კისინჯერის ვიზიტის შესახებ ინფორმაცია/ნანა ავალიანი, შოთა დოლონაძე, საქართველოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მოვლენები (1999), „მეცნიერება“, 2000, გვ. 15.

როგორც არასდროს. მისი გადაწყვეტის გარეშე, შეუძლებელია როგორც საერთაშორისო საზოგადოებრიობის, ასევე ცალკეულ წევრ-სახელმწიფოთა ცხოვრებაც. ამ რთული ამოცანის გადაწყვეტას ხელი უნდა შეუწყოს XXI საუკუნის საერთაშორისო სამართალმა, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებრიობის სამართალი იქნება.

საერთაშორისო სისტემის ძირითად ელემენტად სახელმწიფო დარჩება, მაგრამ ინტეგრაციული პროცესები საზოგადოებაში მასზე გავლენას მოახდენენ. მსოფლიო წესრიგის საფუძველი დემოკრატიის პრინციპი იქნება. იგი მოიცავს როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნულ სისტემებს. დემოკრატია, დამყარებული ადამიანის უფლებების პატივისცემასა და თავისუფალ არჩევნებზე, ერთადერთ ლეგიტიმურ რეჟიმად იქცევა. უკვე დღეს, ადამიანის უფლებათა პატივისცემა და დემოკრატიული რეჟიმი ევროპის საბჭოში გაწვევრიანების აუცილებელ პირობებად გვევლინება. მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება დღევანდელი ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა, როგორცაა, საერთაშორისო კონფლიქტების თავიდან აცილება ეროვნულ, რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე.

საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა: "დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის კონფლიქტის გადაწყვეტა მხოლოდ რომელიმე ერთი სახელმწიფოს ნებაზე არ არის დამოკიდებული, რაც ჩვენი საგარეო პოლიტიკის უახლოეს მომავალში ახალ პერსპექტივებს სახავს. თუმცა ამ ფრაზაში არ უნდა ვიგულისხმოდეთ შეუფასებლობა, რომელსაც კვლავაც ძალუძს დადებითი და მშვიდობიანი როლი შეასრულოს ამ ისტორიულ პროცესში".⁷

თავის ცნობილ წიგნში (*The Grand Chessboard*) ზბიგნევ ბჟეზინსკი აღნიშნავს, რომ "ევრაზია წარმოადგენს "ჭადრაკის დაფას", რომელზეც გრძელდება ბრძოლა მსოფლიო ბატონ-პატრონობისათვის, და ეს ბრძოლა ეხება გეოსტრატეგიას - გეოპოლიტიკური ინტერესების სტრატეგიულ მართვას".⁸ საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით ზუსტად ამ რეგიონში და ამ გეოპოლიტიკური "თამაშის" ეპი-

⁷ იხ. პარლამენტში საქართველოს პრეზიდენტის ელვარდ შევარდნაძეს ყოველწლიური მოხსენება 1999 წლის შედეგებისა და 2000 წლის საშინაო და საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების შესახებ.

⁸ იხ. Zbigniew Brzezinski. *The Grand Chessboard. American Primacy and Its Geostrategic Imperatives*, International Relations Publishers, Moscow, 1999, p. 12.

ცენტრშია. რასაკვირველია, საქართველო არ არის ამ "თამაშის" აქტიური მოთამაშე, თუმცა, მას შეუძლია ამ პროცესში გარკვეული როლის შესრულება. საქართველოს მოქნილი და დაბალანსებული საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ეფექტურ და გააზრებულ დიპლომატიასთან ერთად, ითამაშებენ გადამწყვეტ როლს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის, მომავლისთვის. საქართველოს პრეზიდენტი სწორედ აღნიშნავს, რომ "სამხრეთ კავკასიის განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო საქართველოს ურთიერთობა ჩვენს მეზობლებთან სცილდება ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებს. "დიდი აბრეშუმის გზის" იდეის პრაქტიკული განხორციელების დაწყებამ გამოიწვია რეგიონის ქვეყნების თანამშრომლობის გაღრმავება ტრანს-სრეგიონალური პროექტების ფარგლებში".⁹

ახალი მსოფლიო მართლწესრიგი ბევრად იქნება დამოკიდებული საგარეო ურთიერთობების ზრდისა და მდგრადობის მოცულობაზე, ანუ ურთიერთობების ფართო ინტერნაციონალიზაცია იქნება ამ საუკუნის მახასიათებელი ფაქტორი. ინტერნაციონალიზაციის შედეგად არსებითად იზრდება საერთაშორისო კავშირების მოცულობა, ფართოვდება მათი მონაწილეთა წრე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა, აგრეთვე, სახელმწიფოთა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წარმონაქმნთა ხარჯზე. სახელმწიფოებს უხდებათ როგორც დამოუკიდებლად, ასევე ერთობლივად არეგულირონ ასეთი კავშირების მზარდი მოცულობა. ეს ტენდენცია კანონზომიერია, მაგრამ მრავალ პრობლემას წარმოშობს.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ წარმონაქმნთა მონაწილეობას საერთაშორისო კავშირებში შეუძლია ცენტრიდანული ტენდენციები წარმოქმნას. ამას ხელს უწყობს აგრეთვე საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება. ეროვნული ერთიანობის მნიშვნელოვანი ფაქტორი ყოველთვის იყო საგარეო საფრთხე: გადარჩენისთვის აუცილებელია საკმაოდ ძლიერ სახელმწიფოში გაერთიანება. ეს მიზანი ყოველთვის მსხვერპლს მოითხოვდა. დღესდღეობით პატარა სახელმწიფოსაც ძალუძს უსაფრთხოდ და სტაბილურად არსებობა. სწორედ ამიტომ, ძალზე მაცდუნებელია იმ მძიმე ტვირთისაგან გათავისუფლება, რაც დაკავშირებულია დიდი სახელმწიფოს შენახვასა და საპასუხისმგებლო საგარეო პოლიტიკის გატარებასთან, საერთაშორისო საზოგადოებრი-

⁹ იხ. პარლამენტში საქართველოს პრეზიდენტის ელუარდ შევარდნაძეს ყოველწლიური მოხსენება 1999 წლის შედეგებისა და 2000 წლის საშინაო და საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების შესახებ.

ობის ინტერესებზე ზრუნვისაგან გათავისუფლება. სწორედ ამამდ მდგომარეობს სეპარატიზმისა და შიდა კონფლიქტების ზრდის ერთ-ერთი მიზეზი.

უნდა განვასხვავოთ რეგიონთა საერთაშორისო კავშირებში მონაწილეობის კანონზომიერი ზრდა სეპარატიზმისგან, რომელსაც მიყვართ არსებული სახელმწიფოების გახლეჩისა და საერთაშორისო სისტემის დასუსტებისკენ, რომელიც იძლევა საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების გარანტიას, პატარა სახელმწიფოების უშიშროების ჩათვლით. აღნიშნული სისტემის აუცილებელ ელემენტებად გვევლინებიან მძლავრი სუვერენული სახელმწიფოები. გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებაში ხაზგასმულია „სუვერენულ სახელმწიფოთა მნიშვნელობა და აუცილებლობა, როგორც საერთაშორისო საზოგადოებრიობის ძირითადი ერთეულებისა“. უდიდესია სუპერსახელმწიფოთა როლი, რომლებსაც აკისრიათ არა მარტო მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო სისტემის სტაბილურობისათვის, არამედ მის შესანახად აუცილებელი ხარჯების ძირითადი ტვირთიც.

პრობლემის გადაწყვეტა უნდა ვეძიოთ ევროპული ინტეგრაციის გამოცდილებაში. მასტრიხტის შეთანხმებები იძლევიან მნიშვნელოვან შესაძლებლობას სხვადასხვა ქვეყნის რეგიონთა შორის უშუალო კავშირთა განვითარებისათვის. სახელმწიფოთა მხრიდან კონტროლი სულ უფრო ზოგადი ხდება. თუმცა, ამავე დროს სახელმწიფოები ინარჩუნებენ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტის პეროგატივას. ალბათ საჭიროც კი არაა იმის შესწავლა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს განსახილველ პრობლემას საქართველოსათვის და მას სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს, კერძოდ, საჭიროა გამოიციეს კანონი ფედერაციის სუბიექტთა საერთაშორისო კავშირების შესახებ. გამორიცხული არაა აგრეთვე საერთაშორისო დონეზე ამ პრობლემის მოგვარების ინიციატივაც.

მომავალი მოთხოვნის მსოფლიო საზოგადოებრიობის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფას. „კონსტიტუციის“ როლი შენარჩუნდება გაეროს წესდებაში, როგორც ძირითადი მიზნებისა და პრინციპების განმსაზღვრელი და ახალ პირობებთან შეგუების უნარის მქონე. ძველებურად გაიზრდება საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და მათი უფლებამოსილებები.

ორგანიზაციების საქმიანობა, გაეროს ჩათვლით, ბევრ რამეში საფუძვლიან კრიტიკას ექვემდებარება. თუმცა, მხედველობიდან არ უნდა

გამოგვჩვენებს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციათა სისტემა ჯერ ისევე ჩამოყალიბების სტადიაშია და რომ მათი ფუნქციები განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა. ასევე უნდა გავიხსენოთ, რომ სახელმწიფოს ნაკლებად რთული მექანიზმიც სრულყოფილებისაგან შორს დგას.

საერთაშორისო ორგანიზაციათა სისტემაში გაეროს წამყვანი მდგომარეობა შესამჩნევად განმტკიცდება. გაიზრდება აგრეთვე მისი როლი მთავარი ამოცანის – დავების, თავიდან აცილებისა და კონფლიქტების რეგულირების, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების საკითხთა გადაწყვეტაში. გაეროს წესდების შესაბამისი დებულებები და, პირველ რიგში, ისინი, რომლებიც ეხება უშიშროების საბჭოს, უფრო ეფექტური გახდება. არსებობს საფუძველი, რათა მოველოდეთ უშიშროების საბჭოს შესაძლებლობათა გაფართოებას. ასეთი ტენდენცია გამოვლინდა საბჭოს ქმედებებში ერაყთან დაკავშირებით, მის მიერ ორი საერთაშორისო ტრიბუნალის დაფუძნებით. საბჭოს სხდომები რეგულარული გახდება უმაღლეს დონეზე. გაფართოვდება გაეროს პრევენტიული დიპლომატია. ასეთი საქმიანობა არსებით როლს შეასრულებს საერთაშორისო ხასიათის არმქონე კონფლიქტებში.

საქართველო მიიჩნევს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას წამყვანი როლი აკისრია მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრებისა და შენარჩუნების პროცესში. საქართველოს თვალთახედვით, XXI საუკუნეში გაერო საყოველთაო სტაბილურობისა და მშვიდობის უზრუნველყოფის მთავარ ინსტრუმენტად უნდა იქცეს. სწორედ მან უნდა იტვირთოს სახელმწიფოთა შიგნით და მათ შორის მიმდინარე კონფლიქტების მომწესრიგებლის ფუნქცია, გადაჭრით ებრძოდოს სეპარატიზმისა და აგრესიული ნაციონალიზმის ნებისმიერ გამოვლინებას, რაც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და სტაბილურობას. აღნიშნული მიზნების მისაღწევად, საქართველო მხარს უჭერს მისი წესდების მე-7 მუხლით გათვალისწინებული მექანიზმის სრულყოფასა და ეფექტურ ამოქმედებას, რაც, სხვასთან ერთად, ჰუმანიტარულ კატასტროფებზე ადექვატურ რეაგირებას გულისხმობს.

უშიშროების საბჭოს რეზოლუციები აუცილებელ შემთხვევებში საზავო შეთანხმებათა და სამშვიდობო მოლაპარაკებათა ფუნქციებსაც კი შეასრულებენ. ისინი შეიცავენ დებულებებს შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილეთა განიარაღების, წესრიგის დამყარების, ლტოლვილთა დაბრუნების, არჩევნების ჩატარების, ადამიანის უფლებათა დაცვის, პასუხისმგებლობისა და ზარალის ანაზღაურების შესახებ. ამიტომაც

ძალზე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში მიღებული სავალდებულო გადაწყვეტილებების (რეზოლუციების) აღიარება ჩვენი შიდა სამართლის განუყოფელ ნაწილად და მათთვის უპირატესი რეჟიმის მინიჭება საქართველოს სხვა ნორმატიულ აქტებთან მიმართებაში (ანალოგიურად საერთაშორისო ხელშეკრულებების რეჟიმთან).

უშიშროების საბჭო შეინარჩუნებს მონოპოლიას სანქციათა გამოყენებასთან მიმართებით. შესაბამისი პროცედურა დეტალურად უნდა იყოს დარეგულირებული. პირველ ადგილზე გამოვლენ პოლიტიკურ-დიპლომატიური სანქციები, ისეთები, როგორებიცაა: დიპლომატიურ ურთიერთობათა შეზღუდვა, საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობის შეზღუდვა და ა.შ. საჭირო გახდება ეკონომიკურ სანქციებში მონაწილე სახელმწიფოთათვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების რთული პრობლემის გადაწყვეტა.

მნიშვნელოვნად გაიზრდება ეუთოსა და ევროპის საბჭოს¹⁰ როლი მიმდინარე საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობებში. აღნიშნულ ორგანიზაციებს გააჩნიათ სოლიდური პოტენციალი, რომელიც საქართველომ უნდა ეფექტურად გამოიყენოს.

მნიშვნელოვან საგარეო-პოლიტიკურ მოვლენად იქცა სუამუს (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა და უზბეკეთის), როგორც რეგიონალური თანამშრომლობის ჯგუფის, შექმნა. აქაც საქართველო აქტიური დიპლომატიის განხორციელებას ცდილობს და ძალუძს მნიშვნელოვანი ინიციატივები შესთავაზოს პარტნიორებს. ვფიქრობთ, ზუსტად არსებულ ასპარეზზე საქართველომ უნდა განავითაროს თავისი საგარეო პოლიტიკური კურსი და თავი დაიმკვიდროს სამხრეთ კავკასიის რეგიონში აქტიური პოლიტიკის მატარებელ ქვეყნად.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გაიზრდება საერთაშორისო სასამართლოს როლი, გაფართოვდება იმ სახელმწიფოთა წრე, რომლებიც ცნობენ მის სავალდებულო იურისდიქციას; სასამართლო შეიძენს უფლებას გადაწყვიტოს დავები საერთაშორისო ორგანიზაციათა მონაწილეობით; იმუშავებს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო და მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ

¹⁰ საქართველოს და ევროპის საბჭოს ურთიერთობების განვითარების დინამიკაზე იხ. შოთა დოლონაძე, ევროპის საბჭო და საქართველო, “შეცნეურება”, 2000 წ.

დანაშაულთა კოდექსი. შედეგად საერთაშორისო საზოგადოებრიობა საერთაშორისოსამართლებრივი წესრიგის სამსახურში ჩააყენებს სისხლისსამართლებრივ საშუალებებს. ძალზე რეალურია გაეროს ადამიანის უფლებათა სასამართლოს დაფუძნება, რომელიც განიხილავს სახელმწიფოთა მიერ ამ უფლებათა დარღვევის სერიოზულ შემთხვევებს.

საბოლოოდ გაფორმდება საერთაშორისო სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი დარგი, როგორცაა პასუხისმგებლობის სამართალი.

გაეროს როლის ზრდა საერთაშორისო სისტემის მართვაში გარკვეულწილად ეწინააღმდეგება იმ ფაქტს, რომ იგი თავისი ზასიათით რჩება არა იმდენად სახელმწიფოთაშორის, რამდენადაც მთავრობათაშორის ორგანიზაციად, რაც ზღუდავს მის შესაძლებლობებს. ამიტომაც უნდა გადაწყდეს გაეროს საპარლამენტო ასამბლეის დაარსების საკითხი.

ახალი მსოფლიო წესრიგისათვის დამახასიათებელი იქნება არა მართო დემოკრატიზმი და კანონიერება, არამედ მაღალი ზნეობრივი დონეც, იგი სამართლიანი იქნება და უზრუნველყოფს სოციალურ სამართლიანობას ყველა ხალხისათვის.

სავარაუდოა, რომ მომავალი მსოფლიო წესრიგის ძირითადმა ნიშანთვისებებმა გამოხატულება უნდა ჰპოვონ საქართველოს საგარეოპოლიტიკურ კონცეფციაში.

ზაზგასასმელია ისიც, რომ სახელმწიფოს ინტერესთა უზრუნველყოფის ხარისხი სულ უფრო მეტადაა დამოკიდებული სხვა ქვეყნებთან მის ურთიერთობებზე. შესაბამისად, მცირდება საკუთარი პოტენციალის როლიც უშიშროებისა და სახელმწიფოს სხვა ძირეულ ინტერესთა უზრუნველყოფაში. მცირე და საშუალო სახელმწიფოებისათვის საგარეო კავშირები უკვე დღეს ასრულებენ მთავარ როლს მათი უშიშროებისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფაში.

დიდ სახელმწიფოთა ძალა ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, უპირველეს ყოვლისა, როგორც საერთაშორისო საზოგადოებრიობის სტაბილურობის ფაქტორი და მართლწესრიგის საფუძველი. სუპერსახელმწიფოსაც კი არ ძალუძს უზრუნველყოს თავისი ინტერესები საერთაშორისო საზოგადოებრიობასთან აქტიური ურთიერთქმედების გარეშე და მის ინტერესთა გაუთვალისწინებლად. ამიტომაც საქართველოს საგარეო პოლიტიკის სწორ და დაბალანსებულ ორიენტირებასა და საერთაშორისოსამართლებრივი მექანიზმების ეფექტურ გამოყენებაზე არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი.

III საერთაშორისო სამართლისა და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობა

საყოველთაო და რეგიონალური საერთაშორისო სამართლის პრიმატი და საქართველო

ირინე ქურდაძე

საერთაშორისო სამართლისა და სახელმწიფო სამართლის ურთიერთზემოქმედების პრობლემა უფრო ფართო პრობლემის - სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემისა და საერთაშორისო სისტემის ურთიერთზემოქმედების, შემაღვენილი ნაწილია. როგორც სახელმწიფო, ასევე საერთაშორისო სამართალი სწორედ ის ძირითადი მექანიზმებია, რომლებიც ამ ურთიერთზემოქმედებას არეგულირებს.

სამართლის გაბატონება ყოველთვის გვევლინებოდა ნებისმიერი საზოგადოების განვითარების დამადასტურებელ ფაქტორად. ყოველ სახელმწიფოს განვითარების საკუთარი მოდელი გააჩნია, თუმცა, ამასთან ერთად, არსებობს საერთო ელემენტებიც, კერძოდ: ეკონომიკაში, პოლიტიკაში, იდეოლოგიასა (მართლშეგნების ჩათვლით) და სამართალშიც, რომლებიც კაცობრიობის საერთო გამოცდილებას ეყრდნობა. სწორედ ეს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მხოლოდ სოციალური პროგრესისათვის ოპტიმალური პირობების არსებობა უწყობს ხელს სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. თავის მხრივ, მხოლოდ სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა უზრუნველყოფს სამართლის უზენაესობას, როდესაც სახელმწიფოს ან მის რომელიმე ორგანოსა თუ თანამდებობის პირს უფლება არ აქვს გადაუხვიოს დადგენილ ნორმებს. ნორმის დარღვევისათვის დგება შესაბამისი პირების პასუხისმგებლობა, იმისდა მიუხედავად, თუ რომელი თანამდებობრივი ან სოციალური მდგომარეობა უკავია ამ პირს. ასეთ სახელმწიფოში უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. სამართლებრივი სისტემა იცვლება ცხოვრების მოთხოვნებთან ერთად. მხოლოდ ამგვარი სისტემა შეესაბამება დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს საერთაშორისო სტანდარტებს.

ჩვენს დროში სახელმწიფო სისტემების თვისობრივ მახასიათებლებს დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტის განსაზღვრისათვის. ეს ეხება როგორც ძლიერ, ასევე სუსტ სახელმწიფოებს. “ოპტიმალური შემთხვევაა, როდესაც არა მარტო სახელმწიფოს კანონმდებლობა შეეფარდება საერთაშორისო სამართალს, არამედ მისი საგარეო პოლიტიკაც ეყრდნობა საერთაშორისო სამართალს”.¹ სამართლებრივი სახელმწიფო საერთაშორისო საზოგადოების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. ამიტომ საერთაშორისო სამართლის გაბატონების კონცეფცია ასეოდენ აქტუალურია. თუმცა თვით საერთაშორისო სამართლისადმი არსებობდა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არა მარტო ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში, არამედ დღესაც – დაწყებული სრული უგულებელყოფიდან, დამთავრებული მისი შესაძლებლობების გაუმართლებელი გადაჭარბებით. ჰუგო გროციუსი წერდა: “ხალხი, რომელიც ბუნებით სამართალს არღვევს, საკუთარ სიმშვიდესა და კეთილდღეობას საძირკველს უთხრის.”

წარსულის პოლიტიკოსები თვლიდნენ, რომ “არა უმრავლესობის დადგენილებებით, არამედ სისხლით ზდება სადავო საკითხების გადაწყვეტა და იქცეოდნენ კიდევ შესაბამისად”.²

ამასთან დაკავშირებით, ლისტი წერდა, რომ “საერთაშორისო სამართლის დებულებები ხშირად ითვლება, მაგრამ, ამავე დროს, სახელმწიფოები საჯაროდ აღიარებენ საერთაშორისო სამართლის სავალდებულო ძალას ნებისმიერი დავის დროს, ომის ჩათვლით”.³

დღესდღეობით სულ უფრო მეტ მეცნიერს, პოლიტიკოსს თუ იურისტს გათვითცნობიერებული აქვს შემდეგი დებულება: იმისათვის რომ გადაჭრილ იქნეს გლობალური პრობლემა - სამყარო გადავარჩინოთ, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში უნდა ბატონობდეს ცივილიზებული ურთიერთობები, დაფუძნებული საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და ზოგადსაკაცობრიო მორალზე. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ახალ პოლიტიკურ აზროვნებაში, ისეთ ცნებებთან ერთად, როგორებიცაა - ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისა და ინტერესების პრიორიტეტი, მსოფლიოს ერთიანობა და ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულება, განვითარების გზების არჩევანის თავისუფლება - საერ-

¹ Лившиц Р.З., О легитимности закона/теория права - новые идеи, 1995 г., стр. 18.

² Гуго Гроций, О праве и войне, 1956 г., стр. 48, 49.

³ Лист Т., Международное право в систематическом изложении, 1909 г., стр. 9.

თაშორისო ურთიერთობებში სულ უფრო მყარად მკვიდრდება საერთაშორისო სამართლის პრიმატის კონცეფცია. ამავე დროს, მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ სამართლის როლი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში არ წარმოადგენს მთავარ თემას.⁴ თუმცა საერთაშორისო სამართალი არსებობს უძველესი დროიდან, საერთაშორისო საზოგადოებასა და თვით საერთაშორისო სამართლის ხასიათში მეოცე საუკუნეში მომხდარმა ცვლილებებმა მიანიჭა მას ახალი ჟღერადობა.

ის, რაც წარსულში განიხილებოდა საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ატრიბუტად, საკუთარი მოქმედების გამართლების ან პირიქით, პოლიტიკური და იდეოლოგიური მოწინააღმდეგეების დადანაშაულების საშუალებად, გადაიქცა თანამედროვეობის გლობალური პრობლემის გადაჭრის უმთავრეს ხერხად.

რატომ თამაშობს საერთაშორისო სამართალი ასეთ დიდ როლს?

თუ მოკლედ შევეცდებით ამ კითხვაზე პასუხის გაცემას, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მსოფლიო სულ უფრო ურთიერთდამოკიდებული და ინტეგრირებული ხდება. სახელმწიფოთა ცალმხრივი მოქმედება, რომელშიც სხვა სახელმწიფოთა და ერთა ინტერესები არ არის გათვალისწინებული, არა მხოლოდ არ იძლევა გრძელვადიან უპირატესობას, არამედ საფრთხის წინაშე აყენებს თვით კაცობრიობის არსებობას.

ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში როგორც დამარცხება, ისევე გამარჯვება შეიძლება იყოს საერთო, ხოლო სახელმწიფოთა მოქმედებები ურთიერთშეთანხმებული უნდა იყოს. ამის მიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო სამართლის, როგორც ქცევის წესების ერთობლიობის, რაც სახელმწიფოთა ნების, პოზიციებისა და ინტერესების, შედეგს წარმოადგენს, მეშვეობით.⁵ აღნიშნული წესები განმტკიცებულია როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და ჩვეულებებში, ასევე სამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების იურიდიულად სავალდებულო რეზოლუციებში.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი აღარ წარმოადგენს ბურ-

⁴ ნორმან პაეხი, მოხსენება ბერლინის 1999 წ. 17/1 კონფერენციაზე. სამართლის პრიმატის შინაარსი საერთაშორისო პოლიტიკაში. http://home.t-online.de.g.woop/gw_07324.htm

⁵ Алексидзе Л., Некоторые вопросы теории международного права, Императивные нормы, 1982 г., стр. 136-141.

ჟუჯიულ თუ სოციალისტურ სამართალს. ეს არის ზოგადსაკაცობრიო, ზოგადდემოკრატიული ხასიათის ნორმატიული სისტემა. მისი ნორმები, რომლებსაც საფუძვლად უდევს გაეროს წესდების პრინციპები, გამოხატავს ცალკეული სახელმწიფოებისა და, მთლიანად, სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესთა ბალანსს. მასში ნორმატიულად განმტკიცდა მრავალი ზოგადსაკაცობრიო ღირებულება: ძალის გამოყენების აკრძალვა, სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, ხალხთა თვითგამორკვევის უფლება და სხვა. იურიდიულად სავალდებულო ფორმით განმტკიცდა დებულებები, რომლებიც კაცობრიობის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

ამიტომ ერთიანი მართლწესრიგის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლის პრიმატს საერთაშორისო ურთიერთობებში, საციცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრიმატი საერთაშორისო ურთიერთობებში უზრუნველყოფს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებისა და ინტერესების ნორმატიულ ასახვას. საწყის დოკუმენტს, რომელსაც თანამედროვე საერთაშორისო სამართალი დაეყრდნო, წარმოადგენს გაეროს წესდება. ამ დოკუმენტის უნიკალურობა არ წარმოადგენს დავის საგანს. თუმცა წესდების პრინციპები და ნორმები, ასევე, მთლიანად, გაეროს მექანიზმი არაქმდითი ხდება, როდესაც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრები კონსენსუსამდე ვერ მიდიან. მსგავს შემთხვევაში თამაშის ძირითად წესად იქცევა არა სამართლის უზენაესობა, არამედ ძალთა თანაფარდობა. ამის ნათელი მაგალითია ყოფილი იუგოსლავიის მიმართ განხორციელებული ზომები (კოსოვოში ე.წ. ჰუმანიტარული ინტერვენცია). მსგავსი შემთხვევების დაშვება საშიშ პრეტენდენტებს ქმნის, სწორედ ამგვარი პრეტენდენტებისაგან მკაცრად უნდა იყოს დაცული საერთაშორისო სამართლის ნორმები. ყოვლად დაუშვებელია ორმაგი სტანდარტების არსებობა - ერთი მხრივ, საერთაშორისო სამართლის პრიმატის აღიარება და, მეორე მხრივ, ძალის პოლიტიკის გამოყენება საერთაშორისო ნორმების გვერდის ავლით. ორმაგი დამოკიდებულება საერთაშორისო სამართლისადმი - მსოფლიო მართლწესრიგის პროგრესულ განვითარებაში აქტიური მონაწილეობა და ამავე დროს, საკუთარი ეგოისტური პოზიციების რეალიზების მცდელობა, საზოგადოების ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათზე მეტყველებს. როგორც კი ადგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტს, რომელიც ვერ გვარდება სამართლებრივი ნორმებით, თავს იჩენს ე.წ. ძალმომრეობის პრინციპი. ეს მიანიშნებს არა

იმაზე, რომ არ არსებობს ნორმა, რომელიც სადავო საკითხს მოაგვარებს, არამედ იმაზე, რომ არ არსებობს ამ ნორმათა აღსრულების სრულყოფილი მექანიზმი.⁶ ამგვარად, კნინდება საერთაშორისო ურთიერთობებში საერთაშორისო სამართლის პრიმატის კონცეფცია, რომელიც არ უნდა იყოს დამოკიდებული სახელმწიფოთა ნება-სურვილზე გამოიყენოს თუ არა არსებულ ვითარებაში საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა. დღეს, როდესაც საერთაშორისო სამართლის პრიმატი ქვეყნის შიგნით უზრუნველყოფს დემოკრატიისა, და სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციების გაფართოებას, სწორედ სახელმწიფოებმა უნდა ითავონ საერთაშორისო ურთიერთობებში საერთაშორისო სამართლის პრიმატის დაცვა.

საინტერესოა, თუ კონკრეტულად რა იგულისხმება საერთაშორისო ურთიერთობებში სამართლის გაბატონებაში?

I. საერთაშორისო სამართლის გაბატონება მიიღწევა სახელმწიფოთა მხრიდან საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების მკაცრი დაცვით.

II. საერთაშორისო სამართლის პრიმატი საერთაშორისო ურთიერთობებში ნიშნავს ასევე სამართლის გაბატონებას ძალაზე, რადგანაც სწორედ ძალისადმი ან ძალის დამუქრებისათვის მიმართვა საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მართლწესრიგს. საერთაშორისო სამართლის უზენაესობას შეიძლება ჰქონდეს ეფექტურობა მხოლოდ ისეთ პირობებში, როდესაც სახელმწიფოებს გათვითცნობიერებული აქვთ საკუთარი ინტერესი ურთიერთშეთანხმებული პრიორიტეტების უზრუნველყოფაში. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო უნდა ითვალისწინებდეს მრავალმხრივი ზომების პრიორიტეტს ცალმხრივ ქმედებაზე.

III. საერთაშორისო სამართლის პრიმატის განხორციელება საერთაშორისო ურთიერთობებში მოითხოვს ასევე საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების ურთიერთშეთანხმების უზრუნველყოფას შიდასახელმწიფოებრივ სამართალთან. თითოეული სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემა უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ საერთაშორისო ვალდებულებებს.

საერთაშორისო არენაზე სამართლის უზრუნველყოფა, ეს არის მცდელობა შეიქმნას ისეთი სრულყოფილი მართლწესრიგი, რომელიც შე-

⁶ Ушаков Н.А., Правовое регулирование использования силы в международных отношениях, 1997 г., стр. 17-20.

ძლებს საერთაშორისო ურთიერთობებში საერთაშორისო სამართლის პრიმატის იდეის რეალიზებას, რისი განხორციელების საშუალებას თანამედროვე ტენდენციები იძლევა.

საერთაშორისო ურთიერთობებში საერთაშორისო სამართლის პრიმატის უზრუნველყოფა საჭიროებს ცალკეული სახელმწიფოთა გათვითცნობიერებას სამართლის უზენაესობის აუცილებლობაში.⁷ ეს არის მნიშვნელოვანი როგორც დიდი, ისე პატარა სახელმწიფოებისათვის. ბუნებრივია, რომ მხოლოდ თვითშეგნებაზე დაყრდნობა არ მოიტანს ქმედით შედეგებს. საერთაშორისო სამართლის პრიმატის უზრუნველყოფის მიზნის მისაღწევად აღსანიშნავია ორი ძირითადი პირობა:

1. სახელმწიფო უნდა იყოს იძულებული საერთაშორისო სამართლის პრიმატის უზრუნველყოფაში;

მაგალითად, ახლად შექმნილი სახელმწიფოები აღიარებენ საერთაშორისო სამართლის ნორმების პრიმატს თუნდაც იმიტომ, რომ სათანადო რენომე (ავტორიტეტი) მოიხვეჭონ, მოაგვარონ შიდასახელმწიფოებრივი პრობლემები საერთაშორისო მექანიზმების მეშვეობით.

2. საერთაშორისო თანამეგობრობას უნდა გააჩნდეს ისეთი მექანიზმები, რომლებიც აიძულებენ ურჩ სახელმწიფოებს აღიარონ საერთაშორისო სამართლის ნორმები.

მართალია, არც ერთი სახელმწიფო ნებაყოფილობით და ღიად თითქმის არასოდეს აღიარებს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევას. ყველა სამართალდამრღვევი სახელმწიფო ცდილობს მეტნაკლები იურიდიული დასაბუთება მისცეს თავის ქმედებას.

სამწუხაროდ, ამის საშუალებას, რიგ შემთხვევებში, თვით საერთაშორისო სამართლის ნორმა იძლევა, უფრო სწორედ - მისი განმარტება (ინტერპრეტაცია). ეს განპირობებულია იმით, რომ გარკვეულ ვითარებაში სახელმწიფოთა პოლიტიკური ნება აგებულია პრინციპზე - „სხვა სახელმწიფოს ქმედების შეზღუდვით იზღუდება თვით მოცემული სახელმწიფოს ქმედება.“

საერთაშორისო სამართლის პრიმატის საკითხი საგარეო ურთიერთობებში მჭიდრო კავშირშია ზენაციონალურობის საკითხთან. ამ ცნების გამოყენება უკავშირდება ევროპულ ინტეგრაციას. მიიჩნევენ, რომ

⁷ Верещетин В.С., Мюллерсон Р.А., Новое мышление международного права, Сов. Гос-во и право, 1988 г., □3.

ზენაციონალურობა წარმოიშვება მაშინ, როდესაც რომელიმე გაერთიანება უფლებამოსილია დაავალდებულოს წევრი სახელმწიფოები და მოთხოვოს კონკრეტული მოქმედების გატარება ისე, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მისგან უფლებამოსილების დასტური არ მიიღოს. გაერთიანებას გააჩნია უფლებამოსილება გარკვეული მოცულობით გასცეს დამოუკიდებელი განკარგულება, მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო, თავისი ნების გამოძღვანების საფუძველზე, ახდენს თავისი სუვერენული უფლებამოსილების დელეგირებას ამგვარი გაერთიანებებისადმი. სუვერენული უფლების დელეგირება არ იწვევს ნეგატიურ შედეგებს სუვერენიტეტისადმი.⁸ ანუ ეს ნიშნავს, რომ ზენაციონალურობა შესაძლებელია არსებობდეს ისეთი გაერთიანებების ჩარჩოში, რომლის წევრები სუვერენული ერთეულები არიან. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ვისაუბროთ ფუნქციონალურ ზენაციონალურობაზე, რომელიც სახელმწიფოთა შორის წარმოშობილი ურთიერთობების რეგულირების ერთ-ერთი საშუალებაა და რომლის არსებობას საფუძვლად უდევს სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულება. ზენაციონალურობის არსი მდგომარეობს შემდეგში: ზენაციონალური გაერთიანების შიდა სამართალი ავტომატურად იქცევა მისი წევრი სახელმწიფოების შიდა სამართლად; გაერთიანების შიდა სამართალი იქმნება ისეთი ორგანოს მიერ, რომელსაც წევრი სახელმწიფო ოურიდიულად ვერ აკონტროლებს, მისი გადაწყვეტილებები სავალდებულო ხასიათს ატარებს წევრი სახელმწიფოსათვის, მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი გადაწყვეტილებისადმი თუნდაც ნეგატიური დამოკიდებულებისა; ამავე დროს, შესაბამისი საკითხის განხილვა შესაძლებელია ამოღებული იყოს მისი გამგებლობისაგან (კონკურირებადი კომპეტენცია). ზენაციონალური ორგანო იქმნება საერთაშორისოსამართლებრივი შეთანხმებით, რომლის რეალიზება ხორციელდება ნაგულისხმევი კომპეტენციით; წყაროებს, როგორც წესი, წარმოადგენს არა საერთაშორისო სამართალი, არამედ გაერთიანების შიდასამართალი. ამგვარად, საერთაშორისო სამართალში წარმოიშვა ვითარება, როდესაც სავსებით რეალური ურთიერთობები, რომელიც სახელმწიფოთაშორისო სფეროში არსებობს და მოითხოვს სამართლებრივ რეგლამენტირებას, ატარებს არატრადიციულ სუბიექტურ თუ ობიექტურ ხასიათს. ეს არ

⁸ Королев М.А., Наднациональность с точки зрения международного права, МЖМП, 1997 г., □2.

ნიშნავს იმას, რომ ხელყოფილია კლასიკურ საერთაშორისო სამართალში მოქმედი პრინციპი: *par in parem non habet imperium*. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის თავისებურებები შესაძლებლობას გვაძლევს ვისაუბროთ ზენაციონალურობის არა მხოლოდ თეორიულ, არამედ პრაქტიკულ ასპექტებზეც. ამის მაგალითს გვაძლევს როგორც გაეროს, ასევე ევროკავშირის სამართლებრივი სისტემა.

გაეროს წესდების პირველსავე მუხლში აისახა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების ცნება, რითაც ნორმატიულად დაფიქსირდა ის ძირითადი დებულება, რომელზეც აგებულ უნდა იქნეს სახელმწიფოთა თანამშრომლობა: უშიშროების საბჭოს დაეკისრა ფუნქცია განახორციელოს იძულებითი ხასიათის უფლებამოსილება. რაც შემთხვევებში გაეროს შეუძლია მიიღოს ზომები მესამე სახელმწიფოების მიმართ. საერთაშორისო სასამართლომ საკოსულტაციო დასკვნაში 1949 წ. განაცხადა, რომ გაეროს გააჩნია საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტურობა არა მხოლოდ გაეროს წევრი სახელმწიფოების, არამედ სხვა სახელმწიფოების მიმართაც. ამგვარად, გაეროს სისტემის დაარსებამ საფუძველი ჩაუყარა სამართლებრივი ინტეგრაციის ინსტიტუტს, რომელიც გაჯერდა და დაინგვეწა ევროკავშირის ფარგლებში, რაც დღეს უდავო საკითხს წარმოადგენს.

საქართველოს წინაშე, დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად, დადგა საკითხი, თუ რა ადგილს დაიკავებს იგი საერთაშორისო ასპარეზზე. უდავოა, რომ ისეთი სახელმწიფოსათვის, როგორც საქართველოა, ძალზე მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო ურთიერთობებში ავტორიტეტის მოხვეჭა და საკუთარი ადგილის დამკვიდრება-განმტკიცება. საქართველო თავისი არსებობის რთულ პერიოდს განიცდის; მიმდინარეობს სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიული სახელმწიფოებრიობისა და შესაბამისი მართლწესრიგის ჩამოყალიბების ურთულესი პროცესი, რაც გართულებულია სერიოზული ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა პრობლემებით. ყოველივე ეს კი განაპირობებს შიდა და საგარეო პოლიტიკის შეფარდების სპეციფიკას. აქედან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია არსებულ ვითარებაში ქვეყანას საგარეო პოლიტიკისადმი გააჩნდეს სტრატეგიული კონცეფცია. ამგვარი კონცეფციის არსებობა ნაციონალური ინტერესების დაცვის მყარი გარანტიაა, ვინაიდან აღნიშნული ინტერესების დაცვა შეიძლება მიღწეულ იქნეს სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზა-

ციებთან მჭიდრო თანამშრომლობით, მათი სამართლიანი ინტერესების პატივისცემის გათვალისწინებით, საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნათა დაკმაყოფილებით. საგარეო ურთიერთობების წარმართვა უნდა ეყრდნობოდეს გარკვეულ იდეებს, ასახავდეს იდეალებს, რათა სახელმწიფოს პოლიტიკურმა სტრატეგიამ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა მოიპოვოს. საგარეო პოლიტიკური სტრატეგია წარმოდგენილია საერთაშორისო სამართლებრივი კონცეფციის გარეშე. შეუძლებელია დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა არ ემყარებოდეს საერთაშორისო სამართალს. სამართლებრივი სახელმწიფოს პოლიტიკა დაუშვებელია იყოს არასამართლებრივი, მით უმეტეს, რომ თანამედროვე სამყაროში საერთაშორისო სამართლის, როგორც გლობალური სისტემის მართვის ინსტრუმენტის, ალტერნატივა არ არსებობს.

საქართველო სუვერენული არსებობის პირველივე დღიდან ცდილობდა გამხდარიყო საერთაშორისო თანამეგობრობის თანასწორუფლებიანი წევრი, დამორჩილებოდა სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის საერთო ნებას, მის მიერ შექმნილ საერთაშორისო მართლწესრიგს. ჯერ კიდევ 1991 წლის 9 აპრილს „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში“ დაფიქსირდა, რომ „საერთაშორისო სამართლის პრინციპები საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად“. ეს დებულება განვრცობილ იქნა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-6 და მე-7 მუხლებში. ამ ასპექტში ყურადღებას ვამახვილებთ ერთ დოკუმენტზე. ეს გახლავთ საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული დოკუმენტი - “საქართველო და მსოფლიო - მომავლის ხედვა და სტრატეგია“, რომლის პრეზენტაცია 2000 წლის მიწურულს მოხდა. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას და გადაჯაჭვულია საგარეო პოლიტიკურ, საგარეო ეკონომიკურ და თავდაცვითი სტრატეგიულ მიმართულებებთან.⁹

დოკუმენტში მოკლედ აისახა, თუ რა სამუშაო გასწია საქართველომ განვლილი წლების მანძილზე ამ მიმართულებით და, რაც უფრო

⁹ ი. მენაღარიშვილი, საქართველო და მსოფლიო - მომავლის ხედვა და სტრატეგია, გამოსვლა, 2000 წ. კონფერენციაზე.

მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მომავლის სტრატეგიული ხედვა. აქვე მოცემულია ძირითადი პრინციპები, რომელზეც აგებულია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები:

- ზოგადსაკაცობრიო, დემოკრატიული ცივილიზაციის საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობათა უზენაესობა. სწორედ საერთაშორისო სამართალი გვევლინება იმ სისტემად, რომელშიც დაფიქსირდა ყველა ის პროგრესული, დემოკრატიული იდეალები, რომელთაც ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაციის საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობები ეწოდება. ამით საქართველომ კიდევ ერთხელ დააფიქსირა თავისი დამოკიდებულება საერთაშორისო სამართლისადმი, ამჯერად - საერთაშორისო ურთიერთობებში;
- გლობალიზებად სამყაროში საქართველოს ისეთი ადგილისა და ფუნქციების განსაზღვრა, რაც ქვეყანას საშუალებაა მისცემდეს როგორც გლობალიზაციის შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენების, ისე უნარს სათანადო პასუხი გაეცა ამ საყოველთაო პროცესით წარმოშობილ გამოწვევებზე. საქართველო არის საერთაშორისო ორგანიზაციების სრულუფლებიანი წევრი, რაც საშუალებას აძლევს ქვეყანას გამოიყენოს ის საერთაშორისო მექანიზმები, რომლებიც საერთაშორისო თანამეგობრობაში მის ინტეგრირებას შეუწყობს ხელს.
- გლობალიზაციის პროცესში ეროვნული თვითმყოფადობის, ათასწლეულთა მანძილზე შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარების უზრუნველყოფა. საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, ყოველთვის ექცეოდა სხვადასხვა სახელმწიფოების ინტერესების სფეროში. თანამედროვე ეტაპზე ისეთი პატარა სახელმწიფოს არსებობას, როგორცაა საქართველო, საერთაშორისო თანამეგობრობის სრულუფლებიან წევრად სწორედ საერთაშორისო სამართლით აღიარებული პრინციპები და ნორმები უზრუნველყოფს. საერთაშორისო სამართალი გვევლინება იმ ინსტრუმენტად, რომლისადმი აპელირება სახელმწიფოს უფლება-მოვალეობების დაცვის გარანტირების საშუალებაა.

მოცემული პრინციპების გარდა, დოკუმენტში მკაფიოდ განისაზღვრა საგარეო ურთიერთობებში არსებული ის მიმართულებები, რომელთა მიხედვითაც, საქართველოს პოლიტიკური კურსი განვითარდება. პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ევროპულ და ევროატლან-

ტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირება. სწორედ ევროპის საბჭოში თანამშრომლობას განიხილავს საქართველო როგორც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების შეუქცევადობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს. ამიტომ არის, რომ საქართველო ყველა ღონეს ხმარობს, რათა ამ ორგანოში გაწევრიანებისას წამოყენებული პირობები შეასრულოს.

საქართველო დიდ ყურადღებას უთმობს ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავებას, კერძოდ, ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების რეალიზებას. ევროპის სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროპის სამართლის პრიმატის აღიარებაზე, რაც უფრო შორს მიდის, ვიდრე საერთაშორისო სამართლის პრიმატით ნაკარნახევი ვალდებულები. აღნიშნული საკითხის შესწავლა სათანადო მეცნიერულ ყურადღებას მოითხოვს. მაგრამ ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება საქართველოსა და გაეროს თანამშრომლობა, რაც დოკუმენტში ცალკე თავში აისახა. ამით ქვეყანამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, თუ რა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ეს უნივერსალური ორგანიზაცია, როგორცაა გაერო, მშვიდობის დამკვიდრებასა და შენარჩუნების მსოფლიოში ახალი მართლწესრიგის განმტკიცებისა და განვითარების პროცესში. სწორედ ამ მართლწესრიგის პრიმატი დღეს ცალკეულ ქვეყნებში დემოკრატიული, სამართლებრივი მართლწესრიგის არსებობისა და განვითარების გარანტიაა.

უდაოა, რომ საქართველომ ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს საერთაშორისო არენაზე. თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო აღმშენებლობა წარმოუდგენელია საერთაშორისო თანამეგობრობის გარეშე, ხოლო ინტეგრირების პროცესის წარმართვა შეუძლებელია თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინების გარეშე, რაც აისახება სახელმწიფოს როგორც სამინაო, აგრეთვე საგარეო ფუნქციების განხორციელებაში. საქართველომ პირველი ნაბიჯები გადადგა საგარეო პოლიტიკის კონცეფციის შემუშავების ასპარეზზე, რის დასტურსაც ზემონახსენები დოკუმენტი წარმოადგენს, რომელიც პირველი მცდელობაა საქართველოს საგარეო პოლიტიკის თეორიული ასპექტების შეჯამებისა და პერსპექტივაში სტრატეგიულ მიმართულებათა კონცეფციის სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი გამსჭვალულია საერთაშორისო სამართლის პრიმატის სულისკვეთებით, თვით ეს დებულება სათანადოდ ფორმულირებული არ არის,

თუმცა საქართველოს კონსტიტუციის მე-6 და მე-7 მუხლები ამის შესაძლებლობას იძლეოდა.

თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო სამართლის ქართული მეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად გვევლინება უნივერსალური და რეგიონალური საერთაშორისო მართლწესრიგის თანაფარდობის შესწავლა, ცალკეული სახელმწიფოების შიდასახელმწიფოებრივ სამართალში ამ პრიმატის კონკრეტული გამოკვლევა და ამ პროცესის დაჩქარების მიზნით, ახალი კონკრეტული ღონისძიებების დასახვა.

ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ურთიერთქმედება

პაატა ცნობილაძე

საერთაშორისო და ეროვნული სამართლის სისტემების ურთიერთქმედების აქტივიზაცია თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ობიექტური ხასიათის მიზეზთა გარდა, აღნიშნული პროცესის საფუძველს შეადგენს ასევე შიდა და საერთაშორისო კანონიერების ერთიანობის იდეის შეღწევა ადამიანთა სამართალშემეცნებაში, რომელიც ამჟღავნებს კაცობრიობისა და მისი ბედის ღრმა ერთიანობას. ამა თუ იმ ქვეყანაში მისი განვითარების ხარისხი არსებითი მაჩვენებელია მისი პოლიტიკური და სამართლებრივი ცნობიერებისა და კულტურის დონისა. ეს პროცესი კიდევ უფრო მეტად ახდენს ზეგავლენას სახელმწიფოს, მისი ცალკეული ორგანოების, მათ შორის სასამართლოების, საქმიანობაზე.¹

ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში არსებითი გარღვევა, თუმცა, უპირატესად კანონმდებლობის სფეროში, დაკავშირებულია 1961 წელს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მიღებასთან, რომლის 129-ე მუხლში აღნიშნული იყო, რომ, თუ სსრკ-ის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია სხვა წესები, ვიდრე საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობაში, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები. შემდგომში ანალოგიური ნორმები განმტკიცებულ იქნა კანონმდებლობის სხვადასხვა დარგის ფუძემდებლური კანონების უმრავლესობაში. ამასვე იმეორებდნენ რესპუბლიკური კოდექსებიც, მათ შორის საქართველოს კოდექსები. თუმცა აღნიშნულ წესს არ მიენიჭა კონსტიტუციური მნიშვნელობა. იურიდიული ლოგიკის მიუხედავად, ის არ იყო არც 1978 წლის კანონში „სსრ კავშირის ხელშეკრულებების დადების, შესრულებისა და დენონსირების წესის შესახებ“.²

ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით, 1995 წლის კონსტიტუციამ მოცემულ პრინციპს უფრო ფართო ხასიათი მიანიჭა. მართალია, კონსტიტუციის ტექსტში პირდაპირ და კატეგორიული ფორმით არ

¹ Лукашук И.И., «Международное право в судах государств», СПб, 1993, сн\ 49.

² ამჟამად ეს წესი განმტკიცებულია.

წერია, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები და პრინციპები მისი სამართლებრივი სისტემის შემადგენელი ნაწილია, თუმცა, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი შესაბამისად დაფიქსირებულია, რომ საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას და შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, თუ იგი საქართველოს კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება.

საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებზე მითითება მოცემულია ასევე კონსტიტუციის სხვა მუხლებში. მაგალითად, მე-7 მუხლის თანახმად, „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს.“ ასეთივე მითითებებია მოცემული მე-13, 30-ე, 39-ე, 47-ე მუხლებში, სადაც საუბარია მოქალაქეობის საკითხებზე, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე. საქართველოს კონსტიტუციური კანონმდებლობისათვის სიახლეა კონსტიტუციის 38-ე მუხლის დებულება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად უმცირესობათა უფლებების განხორციელების შესახებ.

მოყვანილი კონსტიტუციური ფორმულირებები, მოწმობენ რა საქართველოს ლტოლვას მსოფლიო წესრიგისადმი, რაც განსაზიერებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებში, განსაკუთრებით, საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებში, თავისთავად კიდევაც ამსუბუქებენ ეროვნული კანონმდებლობისა და სამართალშემფარდებლის მდგომარეობას; უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ არ ხსნიან და უზუსტოდაც კი ამჟღავნებენ საერთაშორისო სამართლის კატეგორიებს.

ჯერ ერთი, გაუგებარია, შეეხება თუ არა ტერმინი - „საყოველთაოდ აღიარებული“, მხოლოდ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს (თუმცა პრინციპი, ზოგადად, პრინციპად გვევლინება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ცნობს შესაბამისი ურთიერთობის ყველა სუბიექტი), თუ საერთაშორისო სამართლის ნორმებსაც. ვფიქრობ, რომ ცნება - „საყოველთაოდ აღიარებული“, უნდა შეეხოს საერთაშორისო სამართლის ნორმებსაც. ასეთ შემთხვევაში მოყვანილი ფორმულირება საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების ნაწილში უნდა განვმარტოთ იმ გაგებით, რომ მასში საუბარი ეხება საერთა-

შორისო სამართლის იმ პრინციპებსა და ნორმებს, რომლებსაც აქვთ იმპერატიული ხასიათი. ასეთი სახის დაზუსტება არსებითია არა მხოლოდ ნორმებთან, არამედ საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან მიმართებაშიც.

საქმე ისაა, რომ საერთაშორისო სამართალში არსებობს სამი სახის პრინციპები: 1) პრინციპი - იდეები (მაგალითად, ჰუმანიზმის პრინციპი), რომლებიც არ წარმოშობენ სამართალურთიერთობებს, თუმცა განამტკიცებენ წარმოდგენებს ჯერარსის შესახებ; 2) ზოგადი ხასიათის პრინციპი – ნორმები, ანუ ნორმა პრინციპები (მაგალითად, დიპლომატიური ხელშეუხებლობის პრინციპი); 3) ძირითადი პრინციპები – ჯუს ცოგენს. ეს უკანასკნელი გულისხმობს ისტორიულად განპირობებულ ფუნდამენტურ საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, რომლებიც გამოხატავენ საერთაშორისო სამართლის ძირითად შინაარსს, მის დამახასიათებელ ნიშნებს და აღჭურვილი არიან უმაღლესი, იმპერატიული იურიდიული ძალით. წარმოადგენენ რა ზოგადი საერთაშორისო სამართლის ღერძს და აქვთ რა იმპერატიული ძალა, ძირითადი პრინციპები არსებობენ მხოლოდ როგორც უნივერსალური, საყოველთაოდ აღიარებული და საყოველთაოდ სავალდებულო ნორმები. ცხადია, რომ სწორედ ამას გულისხმობს საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი.

jus cogens პრინციპები იმოსებიან სამართლებრივი ფორმით სახელმწიფოთა საერთო შეთანხმების შედეგად.

საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების მთავარ წყაროს წარმოადგენს გაერო-ს წესდება. ამას მოწმობს წესდების 103-ე მუხლი, სადაც აღიარებულია მისგან გამომდინარე ვალდებულებების უპირატესი ძალა.

საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები არ არის ერთხელ და სამუდამოდ გაყინული ერთ ადგილზე. ისინი კონკრეტდებიან და ვითარდებიან არა მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებებში, არამედ, ასევე, პოლიტიკური ხასიათის აქტებშიც, უპირველეს ყოვლისა, გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებში. ძირითადი პრინციპების სისტემატიზაციის შედეგად მიღებულ იქნა დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, რომლებიც ეხება სახელმწიფოთა შორის მეგობრულ ურთიერთობებსა და თანამშრომლობას გაეროს წესდების შესაბამისად (1970 წ.). დეკლარაცია შეიცავს სახელმწიფოებისადმი მოწოდებას თავიანთ საერთაშორისო საქმი-

ანობაში იხელმძღვანელონ მოცემული პრინციპებით და განავითარონ თავიანთი ურთიერთობები მათი მკაცრი დაცვის საფუძველზე. საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების კონკრეტიზაცია მოცემულია ასევე ეუთოს 1975 წლის დასკვნით აქტში.³

საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების ინტენსიფიკაციასთან ერთად სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მისი მიზანმიმართულება. თანამედროვე პერიოდში საერთაშორისო ნორმატიული რეგულირების როლის გაძლიერება ზდება არა სახელმწიფოს ქცევაზე დეტალური მეურვეობის გაფართოების გზით, არამედ სუბიექტების პასუხისმგებლობის მიზნებისა და სფეროების უფრო მკაფიოდ განსაზღვრის შედეგად. საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების იმპერატიული ძალით აღჭურვის ერთ-ერთი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ამჟღავნებენ საერთაშორისო თანამშრომლობისა და საერთაშორისო სამართლის ძირითად მიზნებს.

საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები ფუნქციონირებენ ორი ფორმით. როგორც ყველა ნორმა, ისინი პირდაპირ ზემოქმედებენ სუბიექტების ურთიერთობებზე. გარდა ამისა, განმტკიცებული არიან რა უფრო კონკრეტულ ნორმებში, ისინი ახდენენ ამ ნორმებით იმავე ზეგავლენას. მნიშვნელოვან როლს ამ საკითხში თამაშობს საერთაშორისო კონვენციები. მაგალითად, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის პრინციპმა, რაც აღიარებულია გაერო-ს წესდებით, თავისი დაკონკრეტება ჰპოვა ჯერ ადამიანისა და მოქალაქის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში, ხოლო შემდეგ საერთაშორისო პაქტებში - ერთი მხრივ, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და, მეორე მხრივ, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ. თავის მხრივ, აღნიშნული პაქტების დებულებები კონკრეტდება მრავალმხრივ კონვენციებში, რომლებიც შეეხება მოქალაქეთა ამა თუ იმ კატეგორიის დაცვას,

³ ეუთოს დასკვნითი აქტის თანახმად ნუსხა გამოიყურება შემდეგნაირად: ა) სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა; ბ) ძალისა და ძალის მუქარის არ გამოყენება; გ) საზღვრების ურღვეობა; დ) სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა; ე) დავების მშვიდობიანი გზით მოგვარება; ვ) შიდა საქმეებში ჩაურევლობა; ზ) ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა; თ) ხალხთა თანასწორობა თავისი ბედის განკარგვის უფლება; ი) სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა; კ) საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულება.

მაგალითად გაერო-ს 1990 წლის კონვენციაში ბავშვთა უფლებების შესახებ და სხვა რასაკვირველია, ძირითადი პრინციპები შეიძლება და უნდა დაკონკრეტდეს სახელმწიფოთა ორმხრივ შეთანხმებებშიც. ძირითადი პრინციპების დამახასიათებელი თვისებაა – მათი სისტემური ხასიათი. ყველა ისინი მჭიდროდ არის გადაჯაჭვული. ასეთი ურთიერთქმედების სტრუქტურული კავშირები საკმაოდ რთულია და ხასიათდება არა მხოლოდ ურთიერთდამოკიდებულებით, არამედ იერარქიის ელემენტებითაც. თუმცა ეს უკანასკნელი არ ატარებს მკაცრი დაქვემდებარების ფორმალურ-იურიდიულ ხასიათს, არამედ აქ საუბარი ეხება უფრო ღირებულებით იერარქიას და, ასევე, აზრობრივ დაქვემდებარებას. მაგალითად, მთელ სისტემაში ყველაზე განზოგადებული პრინციპი - მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპია, დანარჩენი პრინციპები კი ექვემდებარება მას, როგორც უმაღლესი ზოგადსაკაცობრიო ღირებულების – მშვიდობისა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი ურთიერთქმედების, განმამტკიცებელს.

დებულებამ ძირითადი პრინციპების სისტემურობის შესახებ თავისი გამოხატულება ჰპოვა 1970 წლის დეკლარაციაში საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, სადაც გათვალისწინებულია, რომ ძირითადი პრინციპების განმარტებისა და გამოყენებისას თითოეული მათგანი უნდა განიხილებოდეს სხვასთან ურთიერთკავშირში. მოცემულ დებულებას აქვს არა მხოლოდ არსებითი იდეოლოგიური, არამედ, ასევე, პრაქტიკული მნიშვნელობაც. ამიტომ ვეთანხმები პროფ. ვ. ვერეშჩინსს, რომელიც კონფლიქტოლოგიის პრობლემების განხილვისას გამოვიდა იმ მცდელობის წინააღმდეგ, რომ ერთა თვითგამორკვევის უფლების პრინციპისათვის მიენიჭებინათ პრიორიტეტული მნიშვნელობა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპთან მიმართებაში. ამასთან, ვ. ვერეშჩინმა მართებულად აღნიშნა, რომ საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები უნდა განიმარტებოდეს და აღიქმებოდეს ერთობლიობაში და არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ხდებოდეს მათი ურთიერთდაპირისპირება.⁴

ზემოთქმული საერთაშორისო სამართლის ნორმების მრავალმხრივ კონვენციებსა და ორმხრივ შეთანხმებებში ძირითადი პრინციპებისა და მათი დამაკონკრეტებელი ნორმების განმტკიცების შესახებ ამ პროცესში არაფრით არ ამცირებს საერთაშორისო სამართლებრივი

⁴ იხ. «Государство и право», 1994, #4, стр. 18-19.

ჩვეულების ძალას. უფრო მეტიც, საერთაშორისო სამართლის მეცნიერებაში, გაერო-ს წესდებასა და საერთაშორისო სასამართლოს სტატუსზე დაყრდნობით, უსაფუძვლოდ არის ცნობილი საერთაშორისო სამართლის წყაროებს შორის სამართლებრივი პრიმატის შესახებ თვით საკითხის დასმაც კი. პრაქტიკისათვის ცნობილია შემთხვევები, როცა ჩვეულებითი ნორმა აუქმებს ხელშეკრულებით ნორმას და პირიქით. ანალოგიურ შედეგებს აქვს ადგილი ხელშეკრულებითი გზით იმპერატიული ნორმის შექმნისას.

ამ მოვლენის ახსნა დაკავშირებულია თვით საერთაშორისო სამართლის ნორმის არსთან. საერთაშორისო ჩვეულებით ნორმებს აქვს იგივე ბუნება, რაც საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმებს: სახელმწიფოების – საერთაშორისო სამართლის სუბიექტების, შეთანხმებას. მათ შორის განსხვავება დევს მხოლოდ შექმნის მეთოდისა და გამოხატვის ფორმაში და არა არსსა თუ შინაარსში. უფრო მეტიც, ხელშეკრულებები და ჩვეულებები ურთიერთმოქმედებენ ნებისმიერი დონის საერთაშორისოსამართლებრივი ნორმების შექმნისა და განხორციელების პროცესში, ჯუს ცოგენს-ის ძირითადი პრინციპების ჩათვლით. თუ საერთაშორისო პრაქტიკაში ფორმირდება განსაზღვრული წესი, რომლის უკანაც სახელმწიფოები არ ცნობენ იურიდიულად სავალდებულო ძალას, მაშინ ეს არის არა საერთაშორისო ჩვეულება, არამედ საერთაშორისო წესი, ანუ საერთაშორისო თავაზიანობის წესი.

ჩემი აზრით, ზემოაღნიშნული უდაო დასტურია იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლში საუბარია მხოლოდ საერთაშორისო სამართლის იმ საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებსზე, რომლებსაც აქვთ იმპერატიული ხასიათი. საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ჩვეულებითი ნორმების გამოცალკევება პრაქტიკაში უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ 1969 წლის ვენის კონვენციის 53-ე მუხლს, რომლის თანახმად, საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ზოგადი (ე.ი. არარეგიონალური) ნორმა ითვლება ასეთად, თუ მას ღებულობს და ცნობს მთლიანად სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა.“ ლიტერატურაში აღინიშნება, რომ სიტყვა - „მთლიანად“, ამკარად არ ნიშნავს „ყველა სახელმწიფოს“, რამდენადაც 200 სახელმწიფოს კონსენსუსი უბრალოდ შეუძლებელია. ამრიგად, კონვენციის ფორმულირება გულისხმობს ნორმის მიღებას სახელმწიფოთა წარმომადგენ-

ლობითი უმრავლესობით, გამოყენებული სახელმწიფოს ჩათვლით.⁵ ასეთი უმრავლესობა უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნას, რომელსაც უყენებს გაერო-ს საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი მოსამართლეთა შემადგენლობას, კერძოდ, – უზრუნველყონ უმთავრესი ცივილიზაციური ფორმებისა და მსოფლიოს ძირითადი სამართლებრივი სისტემების წარმომადგენლობა.

ზოგადი საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმის ნუსხა, საერთაშორისო სამართლის იმპერატიული პრინციპების ნუსხის მსგავსად, ატარებს ამომწურავ ხასიათს. პირობითად, ისინი შეიძლება გავაერთიანოთ სამ მსხვილ ბლოკად: ა) პრინციპები და ნორმები, რომლებიც განამტკიცებენ საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე სისტემის საფუძველს; ბ) პრინციპები და ნორმები, რომლებიც გამოხატავენ საერთაშორისო ურთიერთობებში მიღწეულ მორალურ სტანდარტს; გ) პრინციპები და ნორმები, რომლებიც განამტკიცებენ საერთაშორისო ურთიერთობებში ჰუმანურობის მიღწეულ დონეს (ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, ომის მსხვერპლთა დაცვა, იარაღის განსაზღვრული სახეობის აკრძალვა და სხვა).

ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ სახელმწიფოთა ერთი ჯგუფის მცდელობა საერთაშორისო სამართლის რიგ ნორმებსა და პრინციპებს მიანიჭონ იმპერატიული ხასიათი, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა სფეროში, ხშირად იწვევს ეროვნული სამართლებრივი სისტემების დაცვით რეაქციას. ასე იყო, მაგალითად, ადამიანის უფლებათა შესახებ მსოფლიო კონფერენციაზე (ვენა, 1993 წ.), როცა „მესამე მსოფლიოს“ ქვეყნების მნიშვნელოვანმა ნაწილმა, სხვა არგუმენტებთან ერთად, მიუთითებდა რა თავის ქვეყნებში ათასწლოვანი ცივილიზაციის ისტორიის შესახებ, უარი თქვა ადამიანის უფლებათა რეგლამენტაციის დასავლური მოდელის მთელი მსოფლიოსათვის იმპერატიულად ცნობაზე.

საქართველოს კონსტიტუცია ქვეყნის სამართლებრივი სისტემის შემადგენელ ნაწილად თვლის არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს, არამედ, ასევე, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსაც. ამასთან,

⁵ იხ. Даниленко Г.М., «Применение международного права во внутренней правовой системе России: практика Конституционного Суда /Государство и право, 1995, #11, стр. 119.

ამით მოქმედი კოდექსებისა და კანონების წესებს მიენიჭათ ზოგადი ხასიათი იმის თაობაზე, რომ, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებაში დადგენილია სხვა წესები, ვიდრე ეს გათვალისწინებულია კანონით, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები. ასეთი კონსტიტუციური ნორმის აღმოცენებას, პრინციპში, შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ, მხოლოდ თუ სიტყვების - „საერთაშორისო ხელშეკრულება“, წინ ჩავსვამთ სიტყვა – „რატიფიცირებულს“. რატიფიცირების ფაქტზე მითითება აუცილებელია სამთავრობათაშორისო და უწყებათაშორისი ხელშეკრულებების მუდმივად მზარდი მოცულობის პირობებში, რომელთა წესებსაც უნდა ჰქონდეთ მათი დამდები ორგანოების აქტის სამართლებრივი ძალა და არ უნდა ჰქონდეთ პრიორიტეტი კანონის ნორმებთან შედარებით.

ის ფაქტი, რომ სამთავრობათაშორისო და უწყებათაშორისი ხელშეკრულებებს უმრავლეს შემთხვევაში ხელს აწერენ იმ ხელშეკრულებების განსავითარებლად, რომლებიც დადებულია ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ, არ ხსნის პრობლემებს. ამას ვერ აწესრიგებს ასევე „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ კანონში მითითებაც იმის შესახებ, რომ უწყებათაშორისი ხასიათის ხელშეკრულებების რატიფიცირება სავალდებულოა, თუ ისინი ადგენენ საკანონმდებლო აქტებისაგან განსხვავებულ წესებს. ხელშეკრულებასა და კანონს შორის წინააღმდეგობის გამოვლენის ფაქტი ხომ მაინც რჩება აღმასრულებელი ორგანოების შეხედულებაზე. ამიტომ კანონში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ პირდაპირ უნდა ჩაიწეროს, რომ საქართველოს სამთავრობათაშორისო და უწყებათაშორისი ხელშეკრულებებს აქვს მათი დამდები ორგანოს სამართლებრივი ძალა.

ასეთი კოლიზიის საშიშროებას, როგორც ჩანს, ითვალისწინებდნენ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის შემადგენლობაშიც. მათ წინაშე იდგა ორმაგი ამოცანა: ერთი მხრივ, საკანონმდებლო წესით განმტკიცებინათ ქვეყნის ერთგულება მსოფლიო წესრიგისადმი, რაც განსახიერებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და, განსაკუთრებით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებში; მეორე მხრივ, – არ დაეშვათ უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური დებულებების შელახვა საერთაშორისო შეთანხმებებით. აღნიშნულმა მოსაზრებამ გამოხატულება ჰპოვა საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლში.

მე-6 მუხლის შესაბამისად, მართალია, საქართველოს კონსტიტუციამ საერთაშორისო ხელშეკრულებები, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებთან ერთად, დააყენა ეროვნულ კანონმდებლობაზე მაღლა, თუმცა მან არ მიანიჭა ამ უკანასკნელ დებულებას უპირობო ხასიათი. ამასთან, ხაზგასმულია თვით საერთაშორისო სამართლის იერარქიული სტრუქტურა, რომელშიც საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიმართებაში გაბატონებული მდგომარეობა უკავია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის საკონსტიტუციო სასამართლოს გამგებლობას მიაკუთვნებს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონში მოცემული დებულება კიდევ უფრო დაკონკრეტებულია. მოცემული კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტში საუბარია კონსტიტუციური სარჩელის შეტანის შესახებ ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულების, შეთანხმების ან მათ ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე, რაც ექვემდებარება რატიფიცირებას. თუმცა, იქვე დათქმულია პირობა, რომ ეს შეიძლება მხოლოდ მათ პარლამენტში რატიფიცირებამდე. გაურკვეველი რჩება მხოლოდ საკითხი: როგორ მოვიქცეთ, თუ საქართველოს მთავრობამ უკვე დაამტკიცა სამთავრობათაშორისო ან საუწყებთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც, პარლამენტის აზრით, არ შეესაბამება კონსტიტუციის მოთხოვნას? ვის შეუძლია გადაწყვიტოს მოცემული დავა, თუ ის არ შედის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში?

არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ „საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი განიხილავს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს როგორც საქართველოს კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილს. ამასვე ადასტურებს, პრინციპში, საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ პირდაპირ არ არის მითითებული აღნიშნულის შესახებ და, საერთაშორისო ხელშეკრულების გარდა, ნახსენებია საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები. ვფიქრობ, მოცემულ ფორმულირებაში უმჯობესი იქნებოდა სიტყვების - „კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია“, ნაცვლად დაფიქსირებულიყო „სამართლებრივი სისტემის შემადგენელი ნაწილი“. მათ შორის

სხვაობა არსებითია, რამდენადაც ცნება - „სამართლებრივი სისტემა“, „კანონმდებლობაზე“ გაცილებით ფართოა ცნება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ უკანასკნელს განვმარტავთ როგორც კანონებისა და სხვა ნორმატიულსამართლებრივი აქტების ერთობლიობის ცნების იდენტურად.

მეცნიერებაში ჩამოყალიბებული წარმოდგენის შესაბამისად, „სამართლებრივი სისტემის“ ცნება მოიცავს სამართლებრივი ფენომენების მთელ ერთობლიობას, მათ შორის სამართალრეალიზაციას, სამართალგამოყენებას, სამართალშემეცნებას, სამართლებრივ კულტურას და სხვა. ამ გაგებით კონსტიტუციისა და, განსაკუთრებით, საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ კანონის მე-6 მუხლების ფორმულირებები არაკორექტული და არასწორია.

საქმე იმაშია, რომ ძალიან მცირე საერთაშორისოსამართლებრივი ნორმებია თვითშესრულებადი, ე.ი. ისეთი, რომელთა წესები გამოსადევია პირდაპირი უშუალო გამოყენებისათვის, ეროვნულსამართლებრივი სისტემის ფარგლებში მათი მაიმპლიმენტირებელი კანონის გამოცემის გარეშე. თვითშესრულებადი საერთაშორისოსამართლებრივი ნორმები არის არა მხოლოდ კანონმდებლობის შემადგენლობის ნაწილი, არამედ, ასევე, საქართველოს მთელი სამართლებრივი სისტემისაც. დანარჩენი საერთაშორისოსამართლებრივი ნორმები ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში შედიან სამართალრეალიზაციისა და სამართალგამოყენების, მათ შორის სასამართლო აქტების, შედეგად.

ლიტერატურაში აღინიშნება, რომ მსოფლიო პრაქტიკაში საერთაშორისოსამართლებრივი ნორმები, ძირითადად საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებები, ნაკლებად მიეკუთვნება თვითშესრულებად კატეგორიას, განსაკუთრებით, თუ ისინი ეხება ადამიანის უფლებებს. არადა, სწორედ ამ სფეროში აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ხელშეკრულებების უშუალოდ გამოყენების პრობლემებს. მაგალითად, ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: აშშ, დიდი ბრიტანეთი, ჰოლანდია - ადამიანთა უფლებების შესახებ ხელშეკრულებები მიეკუთვნება იმ კატეგორიას, რომელსაც არ გააჩნია პირდაპირი მოქმედება. ეს ეხება ადამიანის უფლებების შესახებ ევროპულ კონვენციასაც, რომელიც ხშირად განიხილება როგორც სამართლის დამხმარე წყარო, რომელზე მითითებასაც სასამართლო თავს არიდებს.⁶

⁶ Лукашук И.И. «Международное право в судах государств», М., 1993, стр.108, 111, 131, 149.

საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების კანონებში იმპლემენტაცია სასურველია, რამდენადაც ამით ხდება კონკრეტულ ეროვნულ-სამართლებრივ სისტემასთან ნორმათა შეწყობა-შეგუების უზრუნველყოფა. იმპლემენტაციისას კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა იყენებენ სხვადასხვა სესხებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ჩვეულებითი ნორმებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებების მიმართ. პირველი ადგენს ყველა სახელმწიფოსათვის ზოგადად მისაღებ სტანდარტებს და მათი ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში შემოღება ხორციელდება ცენტრალიზებული საკანონმდებლო პროცედურის მეშვეობით. მეორე შეიცავს კონკრეტულ და სპეციალიზირებულ ნორმებს და ცალკეული სახელმწიფოების პრაქტიკაში მათი დანერგვა ხშირად ხორციელდება ეროვნული სასამართლოების მიერ.

ეროვნულ კანონმდებლობაში შესაძლებელია საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციების იმპლემენტაცია (სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის რეზოლუციები), თუ სახელმწიფოს სურს მიანიჭოს მათ კანონის ხასიათი. როგორც ცნობილია, საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციებს, თავისთავად, სავალდებულო ძალა არ გააჩნიათ და შედეგად, არ ხვდებიან საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მოქმედების ქვეშ. სხვა რამ შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოს კონსტიტუციაში სპეციალური დათქმის არარსებობისას, რომელიც ადგენს საერთაშორისო ორგანიზაციის რეზოლუციის სავალდებულობას, რაც თანამედროვე პრაქტიკაში ძალზე იშვიათია. მაგალითად, ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუციის 93-ე მუხლის თანახმად, „გენერალურ კორტესებს ან მთავრობას, კომპეტენციათა შესაბამისად ეკისრებათ მოვალეობა უზრუნველყონ ხელშეკრულებების ან რეზოლუციების შესრულება, რომლებიც გამომდინარეობს საერთაშორისო ან ზეეროვნული ორგანიზაციებისაგან“. ცალკეულ შემთხვევებში საერთაშორისო ორგანიზაციების ყველაზე მნიშვნელოვანი რეზოლუციების იმპლემენტაცია წარმოებს სპეციალური კანონის მიღების გზით.

კანონმდებლობასა და სამართალგამოყენების ორგანოთა აქტებში საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების ნორმათა იმპლემენტაციასთან დაკავშირებით, პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს საკითხი იმის შესახებ, რამდენად აუცილებელი და მისაღებია კანონებში, დადგენილებებში, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და

სხვა სამართალგამოყენების აქტებში პირდაპირი მითითება საერთაშორისოსამართლებრივი ნორმების ან საერთაშორისო ხელშეკრულებების რეკვიზიტებზე. პრაქტიკულად, მათზე პირდაპირი მითითება იშვიათად გვხვდება, რამდენადაც იმპლემენტაციის პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ თვითშესრულებადი ნორმების რედაქცია. სხვა ნორმები, ჩვეულებრივ, განიცდიან ამა თუ იმ სარედაქციო ტრანსფორმაციას. თუმცა ნებისმიერ პირობებში სასურველია საკანონმდებლო აქტების პრეამბულაში საერთაშორისოსამართლებრივ წყაროებზე მითითება იმისათვის, რათა სასამართლოებსა და სხვა სამართალ-გამოყენებით ორგანოებს თავის პრაქტიკულ საქმიანობაში გაუადვილდეთ საქართველოს კონსტიტუციის მე-ნ მუხლის შესრულება.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ცალკეულ შემთხვევებში გამოყენებას დაქვემდებარებული საერთაშორისო ხელშეკრულებების თვითშესრულებადი ნორმები გაცილებით დეტალიზირებულია, ვიდრე ეროვნული კანონმდებლობის ნორმები. თუმცა სასამართლო ორგანოები, საერთაშორისოსამართლებრივი ნორმების შესაბამისად გადაწყვეტილების მიღებისას, უფრო ხშირად არ იმოწმებენ მათ.

საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირის პრობლემას აქვს კიდევ ერთი ასპექტი - ის განპირობებულია იმით, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოქმედებას აგრძელებს მრავალი საკავშირო კანონი და სხვა სამართლებრივი ნორმები, რომელთა შენარჩუნება გამოწვეულია, უპირველეს ყოვლისა, დღევანდელი სუვერენული რესპუბლიკების ეკონომიკური კავშირების მოთხოვნილებით. ამას ადგილი აქვს, კერძოდ, სარკინიგზო გადაზიდვების სფეროში, რომლებიც დსთ-ს ქვეყნებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ შეთანხმებათა სისტემის ძალით, რომლებიც დაიღო მათ შორის 1992 წლის დასაწყისში. აღნიშნული შეთანხმებებით შენარჩუნებულია ყოფილი სსრ კავშირის მოქმედი სარკინიგზო კანონმდებლობა. ასეთი გადაწყვეტილება არის ყველაზე მარტივი და ეკონომიკური სარკინიგზო ტრანსპორტის ექსპლუატაციის პირობების თვალსაზრისით, რომლის მუშაობის ტექნოლოგია მოითხოვს ერთიან სამართლებრივ რეჟიმს. შედეგად, სსრკ-ის სარკინიგზო კანონმდებლობამ დსთ-ს ქვეყნებისათვის შეიძინა საერთაშორისო სამართლის ნორმების მნიშვნელობა, აქედან გამომდინარე, - ყველა შედეგებით.

აღნიშნავს რა ამ ფაქტს, ო.ნ. სადიკოვი მიუთითებს, რომ დსთ-ს

ქვეყნების მეწარმეებს შორის სხვა მრავალ სამეურნეო კავშირებთან მიმართებაში მათი ახალი საერთაშორისო სამართლებრივი ბუნება არ არის გათვალისწინებული და აგრძელებს ავტომატურ მოქმედებას (ანუ სპეციალური შეთანხმების გარეშე) ადრე მოქმედი სსრკ-ს კანონმდებლობა ან დსთ-ს შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობა. ეს უკანასკნელი ხშირად გამოიყენება კოლიზიური სამართლის დებულებების გაუთვალისწინებლად, რომელიც დსთ-ს ქვეყნებში განსხვავებულია და არის არასაკმარისად სრული და თანამედროვე.⁷

საქართველოს კონსტიტუციის მე-ნ მუხლი საქართველოს ხელშეკრულებების პრიორიტეტის შესახებ ეროვნულ საკანონმდებლო ნორმებთან მიმართებაში სავალდებულოა არა მხოლოდ მთლიანად საქართველოს, არამედ, ასევე, მისი სუბიექტების ნორმაშემოქმედი და სამართალგამომყენებელი ორგანოებისათვის. ეს ნიშნავს, რომ იერარქიის ყველა დონის კანონმდებლობისა და თანამდებობის პირის ცნობიერებაში საერთაშორისო სამართლის როლისა და ეროვნულ კანონმდებლობაში მისი იმპლემენტაციის იდეის ჩანერგვა ირიბად ხელს უწყობს ქართული სახელმწიფოებრიობის, როგორც ასეთის, განმტკიცებას. საქართველოს რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას გააჩნია საქართველოს კანონის სტატუსი და ამ სახით, - პრიორიტეტი საქართველოს შემადგენელი ნაწილების კანონებთან მიმართებაში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-ნ მუხლის განხილვისას, ყურადღებას იმსახურებს კიდევ ერთი თეორიულად და პრაქტიკულად მნიშვნელოვანი საკითხი: მართებულია თუ არა მითითება ეროვნულ კანონმდებლობაში, რომ, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია სხვა წესები, ვიდრე საქართველოს კანონმდებლობაში, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები?

ერთი შეხედვით, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ აქ არ არის რაიმე პრობლემა. რა თქმა უნდა, ეროვნული კანონმდებელი უფლებამოსილია გადაამეტოს საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი სამართლებრივი დაცვის სტანდარტები, განსაკუთრებით შრომითი ურთიერთობების სფეროში. თუმცა, მოცემული საკითხი შეიძლება და უნდა იყოს კიდევ სპეციალური განხილვის საგანი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ამასთან, მოყვანილი ფორმულირება არსებითად

⁷ Садиков О.М. «О хозяйственных связях между предпринимателями государств СНГ», М., 1994, стр.43-47.

ხსნის შემოწმების შესაძლებლობას, მათ შორის სასამართლოს მიერ, შეესაბამება თუ არა საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმებს მოცემული კანონი, აცხადებს რა აპრიორად შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს. საკმაოდ სუბიექტურია თვით იმის განმარტებაც, კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის რომელი წესი ამეტებს მოცემულ სტანდარტებს. ეს იგრძნობა, განსაკუთრებით, საოჯახო სამართლის სფეროში.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ანალოგიური პრობლემები არსებობს ბევრ სახელმწიფოში. მაგალითად, საქმეში - „ტომსონი ტომსონის წინააღმდეგ“, რომელიც განიხილა კანადის უმაღლესმა სასამართლომ, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა, არის თუ არა კოლიზია კანადის მიერ 1980 წელს რატიფიცირებული ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანის საერთაშორისოსამართლებრივი ასპექტების შესახებ ჰააგის კონვენციის მე-13 მუხლისა და მანიტობას შტატის 1987 წლის კანონის მე-5 მუხლს შორის. კონვენციის მე-13 მუხლის თანახმად, საზღვარგარეთიდან შეიძლება ბავშვი არ დაუბრუნდეს პირს, რომლის ზედამხედველობის ქვეშაც ის უნდა იმყოფებოდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ „არსებობს სერიოზული რისკი“, რომ ბავშვის დაბრუნება მიაყენებს მას ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ზიანს ან სხვა სახით ჩააყენებს მას აუტანელ მდგომარეობაში. მანიტობის კანონის მე-5 მუხლი ადგენს, რომ სასამართლომ შეიძლება არ დააბრუნოს ბავშვი, თუ ამის შედეგად „ბავშვმა შეიძლება განიცადოს სერიოზული ზიანი.“

კანადის უმაღლესმა სასამართლომ ეს უკანასკნელი ნორმა ჩათვალა უფრო მოქნილად და ბავშვის ინტერესებთან უფრო შესაბამისად.

ჩემი აზრით, გაცილებით მოქნილია საერთოდ და ბავშვის ინტერესებთან უდავოდ შესაბამისი არის კონვენციის მე-13 მუხლი, რომლის დასტურია მოცემული კაზუსიც. სასამართლომ, იხელმძღვანელა რა მანიტობის კანონის მე-5 მუხლით, დაადგინა გადაეცათ მამისათვის 13 თვის ბავშვი, რომელიც ამ მომენტამდე დედას არ განშორებია. ეტყობა, არც ისე ადვილია დამტკიცდეს, რომ ასეთი გადაცემის შედეგად ბავშვი განიცდის სერიოზულ ფიზიკურ და ფსიქიკურ ზიანს, თუმცა ის, რომ არსებობს ასეთი ზიანის სერიოზული რისკი, ეჭვს არ იწვევს.

საერთაშორისო ჩვეულებითი საპარტალი საქართველოს საპარტლუბრიც სისტემაში

კონსტანტინე კორკელია

I. შესავალი

საერთაშორისო სამართლის როლი სახელმწიფოთა სამართლებრივ სისტემებში სულ უფრო იზრდება. საერთაშორისო სამართლისათვის მზარდი როლის მინიჭების საერთო ტენდენციიდან გამონაკლისი არც საქართველოა. საქართველოს პრაქტიკაში სულ უფრო ხშირად გამოიყენება საერთაშორისო სამართლის ისეთი წყარო, როგორცაა საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც გახდა საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი და, შესაბამისად, ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის წყარო. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისათვის შიდასახელმწიფოებრივი ძალის მინიჭების შედეგად იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შეუძლიათ ისარგებლონ საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებით.

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებათა შიდასახელმწიფოებრივი როლი საკმაოდ მკაფიოდ განისაზღვრა საქართველოს კანონმდებლობით და მათი უშუალო გამოყენების შესაძლებლობა არ იწვევს დავას, არსებობს აზრთა სხვაობა საქართველოს სამართლებრივ სისტემაში საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის სტატუსის შესახებ.

წინამდებარე სტატიის მიზანია საქართველოს სამართლებრივ სისტემაში საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის როლის დადგენის ხელშეწყობა. ამისათვის გაანალიზდება - არის თუ არა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნაწილი; შესაძლებელია თუ არა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების უშუალო გამოყენება, მათ შორის სასამართლო დავების გადაწყვეტისას; და რა იერარქიული ადგილი ენიჭება საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს საქართველოში მოქმედ სამართლებრივ აქტებს შორის?

ხსენებულ კითხვებზე პასუხის გასაცემად სტატიაში განხილულია საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის არსი, მისი როლი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში და საქართველოს სასამართლო პრაქტიკა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების გამოყენებასთან

დაკავშირებით. ასევე, ნაშრომის განსჯის საგანს წარმოადგენს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების იერარქიული ადგილი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებს შორის და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების ისეთი კატეგორია, როგორცაა, ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები.

II. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის არსი

თავიდანვე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოების დიდი ნაწილი არაერთგვაროვნად უდგება საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა წყაროს როლის განსაზღვრას შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში. სახელმწიფოები, ძირითადად, უპირატესობას ანიჭებენ საერთაშორისო ხელშეკრულებების შიდასახელმწიფოებრივი სტატუსის დადგენას. ისინი კანონმდებლობით შედარებით იშვიათად განსაზღვრავენ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების შიდასახელმწიფოებრივ სტატუსს, რაც განპირობებულია სხვადასხვა გარემოებით, მათ შორის, ეროვნული სასამართლოების მიერ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების დადგენასთან დაკავშირებული სირთულეებით.¹

საქართველოს სამართლებრივ სისტემაში საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის როლის განხილვამდე, მოკლედ მიმოვიხილოთ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის არსი.²

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში აღიარებულია, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია ორი ისეთი ელემენტის არსებობა, როგორცაა სახელმწიფოთა საერთო პრაქტიკა და ამ პრაქტიკის იურიდიულად სავალდებულობის აღიარება (*opinio juris*).³

¹ И. И. Лукашук, Конституции государств и международное право, М. “Спарк” 1998г., стр. 61.

² ზოგადად იხ. A. D’Amato, The Concept of Custom in International Law, Cornell, 1971; M. Akehurst, Custom as a Source of International Law, 47 BYIL, 1974-1975; K. Wolfke, Custom in Present International Law, 2nd ed. 1993.

³ იხ. გაეროს საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 38-ე მუხლის 1 (b) პუნქტი; ასევე გაეროს საერთაშორისო სასამართლოს საქმეები: *Nicaragua v. USA* (merits), ICJ Rep. 1986, 14, at 97; *Continental Shelf (Libya v. Malta)*, ICJ Rep. 1985, at 29, para. 27; ასევე იხ. G.J.H. van Hoof, Rethinking the Sources of International Law, 1983, 87.

სახელმწიფოთა საერთო პრაქტიკის არსებობასთან დაკავშირებით, ძირითადად, ისეთი ფაქტორებია გასათვალისწინებელი, როგორებიცაა: პრაქტიკის ხანგრძლივობა, ერთგვაროვნება და საყოველთაობა.

იმისათვის, რათა ჩამოყალიბდეს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმა, აუცილებელია, რომ პრაქტიკა სახელმწიფოების მიერ აღიარებულ იქნეს იურიდიულად სავალდებულოდ.⁴ საჭიროა განვასხვაოთ სახელმწიფოთა პრაქტიკა, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოყალიბდა და, იმავდროულად, საყოველთაო ხასიათს ატარებს, მაგრამ სახელმწიფოები ამ პრაქტიკას მათთვის იურიდიულად სავალდებულოდ არ აღიარებენ. სახელმწიფოთა ასეთი პრაქტიკა მოქმედებს ძირითადად დიპლომატიური ცერემონიალისა და პროტოკოლის სფეროში, რომელთა დაცვაც მოტივირებულია სახელმწიფოთა კეთილი ნებით, დიპლომატიური თავაზიანობითა და ტრადიციებით და არა იურიდიული ვალდებულებით.

სახელმწიფოთა პრაქტიკისა და *opinio juris* დადგენისათვის, როგორც წესი, ანალიზდება სახელმწიფოთა ოფიციალური განცხადებები, საერთაშორისო ხელშეკრულებების (განსაკუთრებით, მრავალმხრივი) ტექსტები (მათ მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით), საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები, ეროვნული კანონმდებლობა, დიპლომატიური მიმოწერა, სახელმწიფოთა პოზიცია საერთაშორისო ორგანიზაციების (განსაკუთრებით, გაეროს გენერალური ასამბლეის) მიერ მიღებული რეზოლუციების მიმართ. ხსენებული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოთა პრაქტიკისა და *opinio juris* დადგენისათვის გამოდგება ყველა საშუალება, რომლის მეშვეობით სახელმწიფო გამოხატავს თავის ოფიციალურ პოზიციას.⁵ ბუნებრივია, რომ სახელმწიფოთა პრაქტიკისა და *opinio juris* დადგენისათვის საჭიროა ხსენებული აქტების კომპლექსური ანალიზი.

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შიდასახელმწიფოებრივ როლთან დაკავშირებით, საინტერესოა მოვიყვანოთ სახელმწიფოთა

⁴ *North Sea Continental Shelf cases (Federal Republic of Germany v. Denmark; Federal Republic of Germany v. The Netherlands)*, I.C.J Rep. 1969, 44, para. 77; M. N. Shaw, *International Law*, 4th ed. 1997, 68.

⁵ D. J. Harris, *Cases and Materials on International Law*, 5th ed., 1998, 25-26; I. Brownlie, *Principles of Public International Law*, Oxford, 1998, 5.

კონსტიტუციური დებულებების რამდენიმე მაგალითი, რომლებიც ადგენენ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შიდასახელმწიფოებრივ სტატუსს. გერმანიის კონსტიტუციის თანახმად, საერთაშორისო საჯარო სამართლის ზოგადი წესები ფედერალური კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია (მუხლი 25). ასევე უდგება საბერძნეთის კონსტიტუცია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ მიღებულ წესებს (მუხლი 28). ავსტრიის კონსტიტუციის შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული წესები განიხილება ფედერალური კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილად (მუხლი 9).⁶

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების (ფრაზა, რომელიც გარკვეული განსხვავებით გამოიყენება სხვადასხვა სახელმწიფოს კონსტიტუციაში) ფორმალური წყაროების შესახებ, სახელმწიფოთა პრაქტიკა ადასტურებს, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებში გაიგება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმები.⁷ აქედან გამომდინარე, სტატიაში ორივე მათგანი ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოიყენება.

III. საქართველოს ნორმატიული ბაზა

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შესახებ

საქართველოში საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შიდასახელმწიფოებრივი სტატუსი, საკონსტიტუციო დონეზე, რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით, რომლის

⁶ L. Erades, *Interactions between International and Municipal Law: A Comparative Case Law Study*, T.M.C. Asser Institute, The Hague 1993, 570.

⁷ Oppenheim's *International Law*, Edited by Sir R. Jennings and Sir A. Watts, 9th ed., Vol. 1, Longman, 1996, 64; L. Henkin, R. Crawford Pugh, O. Schachter, H. Smit, *International Law: Cases and Materials*, 3rd ed., American Casebook Series, 1993, 154-155; Л. В. Алексеева, В. М. Жуйков, И. И. Лукашук, *Международные нормы о правах человека и их применение судами Российской Федерации*, "Права человека", 1996 г., стр. 8; Л. Ф. Браво, *Применение международного права в правовом порядке европейских стран*. Российский ежегодник международного права, 1995 г., "Россия-Нева", Санкт-Петербург, 1996 г., стр. 170-171.

თანახმად „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს . . .“.

საქართველოს კონსტიტუციის მოცემულ დებულებასთან დაკავშირებით, ჩამოყალიბდა განსხვავებული შეხედულება: ხდება თუ არა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმები საქართველოს სამართლებრივი სისტემის ნაწილი, საქართველოს სამართლის წყარო, რომელიც შეიძლება უშუალოდ იქნეს გამოყენებული, მათ შორის, სასამართლო დავების გადაწყვეტისას?

აღნიშნული შეხედულებათა კორექტულობის დასადგენად, განვიხილოთ ხსენებულ ნორმებთან დაკავშირებით საქართველოში შექმნილი სამართლებრივი ბაზა.

ის გარემოება, რომ საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, ნიშნავს, რომ ქვეყნის კანონმდებლობა მათზე დამოკიდებულია. მაგალითად, თუ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები ადგენენ სხვა წესებს, ვიდრე საქართველოს კანონმდებლობა, ეს უკანასკნელი უნდა შეიცვალოს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნორმათა კოლიზია. კონსტიტუციის დებულება ვრცელდება ასევე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ იმ პრინციპებსა და ნორმებზე, რომლებიც მომავალში ჩამოყალიბდება. კონსტიტუციის ამ დებულებიდან გამომდინარეობს, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების ჩამოყალიბების კვალდაკვალ საქართველომ თავის კანონმდებლობაში უნდა შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, რათა უზრუნველყოს ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის იმ ნორმებთან, რომლებიც მომავალში ჩამოყალიბდება.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუცია მოითხოვს ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისობას საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებთან. საინტერესოა, რა მოხდება, თუ დადგინდება, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს; ექნება თუ არა უპირატესობა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს ქვეყნის კანონმდებლობასთან შედარებით? იურიდიულ ნორმათა განმარტების პრინციპებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ კონსტიტუცია მოითხოვს საქართველოს კანონ-

მდებლობის შესაბამისობას საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებთან, ასეთი შესაბამისობის არარსებობის დადგენის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შიდასახელმწიფოებრივი სტატუსის შესახებ საქართველოს კონსტიტუციის ხსენებული დებულების განმარტებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია უცხოეთის სახელმწიფოებში არსებული მდგომარეობის ანალიზი. საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული მუხლის მსგავსი დებულება ჩამოყალიბებულია იტალიის კონსტიტუციის მე-10 მუხლში. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ იტალიის საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა მოცემული მუხლი როგორც დებულება, რომელიც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებს ანიჭებს შიდასახელმწიფოებრივ იურიდიულ ძალას. გარდა ამისა, იტალიაში არსებული დოქტრინის თანახმად, საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს ენიჭება უპირატესი იურიდიული ძალა, ვიდრე დარგობრივ კანონმდებლობას.⁸

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების შიდასახელმწიფოებრივ სტატუსთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს საქართველოს დარგობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებები. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ითვალისწინებს, რომ სისხლის საპროცესო სამართლის ნორმებს შეიცავს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კოდექსი, საქართველოს სხვა კანონები, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები (მუხლი 2 - სისხლის სამართლის პროცესის წყაროები).⁹

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ნათელს ჰყენს რიგ საკითხებს საქართველოს სამართლებრივ სისტემაში საერ-

⁸ G. Bogneri, *The Role of Italian Parliament in the Treaty-Making Process, Parliamentary Participation in the Making and Operation of Treaties: A Comparative Study*, Edited by S. A. Riesenfeld and F. M. Abbott, Martinus Nijhoff Publishers, 1994, 92-93.

⁹ საქართველოს პარლამენტის დადგენილება, 1251, 1998 წლის 20 თებერვალი, „საქართველოს რესპუბლიკა“, 63-66, 18 მარტი, 1998 წელი, გვ. 5.

თაშორისო ჩვეულებითი სამართლის როლთან დაკავშირებით. უპირველეს ყოვლისა, კოდექსის ეს დებულება ადგენს, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმები საქართველოს სამართლის წყაროს სისხლის სამართლის პროცესის სფეროში. გარდა ამისა, ამავე კოდექსით, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებს მინიჭებული აქვთ იერარქიული ადგილი საქართველოში მოქმედ ნორმატიულ აქტებს შორის, კერძოდ, მათ ენიჭებათ საქართველოს კანონებზე უფრო დაბალი იერარქიული ადგილი.

ყურადღებას იპყრობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (1999 წლის 22 ივლისი) 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმად, „ეს კოდექსი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.“ აქედან გამომდინარე, თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, უპირატესობა მიენიჭება კონსტიტუციას. ასევე შეიძლება დავასკვნათ, რომ კოდექსსა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს შორის კოლიზიის აღმოჩენის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების უშუალო გამოყენების შესაძლებლობას (და საჭიროებას) ადასტურებს საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 3 ივნისის N284 ბრძანებულება „საქართველოში ადამიანის უფლებათა განმტკიცების შესახებ“, რომლის მე-9 მუხლის თანახმად, საქართველოს უზენაეს სასამართლოს ეთხოვა ღონისძიებების გატარება საქართველოს სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების აქტიურად გამოყენების მიზნით, საქართველოს კონსტიტუციის მე-6 (2) და მე-7 მუხლების შესაბამისად.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მიღებამდე გამოიცა აქტი, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, მიზნად ისახავდა საქართველოს სამართლებრივ სისტემაში საერთაშორისო სამართლის როლის განსაზღვრას. კერძოდ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში მითითებულია, რომ „საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს

რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად¹⁰ ბუნებრივია, რომ დამოუკიდებლობის აქტში გამოყენებული ფრაზა ‘საერთაშორისო სამართლის პრიმატის შესახებ მოიცავს ასევე საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის პრიმატს.

გარდა ამისა, საინტერესოა საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 11 ოქტომბერს მიღებული კანონი „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლის ნორმებისათვის კონსტიტუციური კანონის ძალის მინიჭებისა და საქართველოს რესპუბლიკაში მათი პირდაპირი მოქმედების შესახებ“, რომლის თანახმადაც, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას დაემატა შემდეგი შინაარსის 37-ე (1) მუხლი: ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ საერთაშორისო სამართლის ნორმები საქართველოს რესპუბლიკის სამართლის შემადგენელი ნაწილია, მათ აქვთ უპირატესობა საქართველოს რესპუბლიკის კანონებთან შედარებით და უშუალოდ წარმოშობენ უფლებებსა და მოვალეობებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის . . . მოცემულ აქტს, მართალია, უკვე ძალა აქვს დაკარგული, მაგრამ იგი საყურადღებოა საერთაშორისო სამართლის ნორმების შიდასახელმწიფოებრივი სტატუსის მიმართ სახელმწიფოს მიდგომის დადგენის თვალსაზრისით.

ამდენად, განხილული სამართლებრივი აქტების კომპლექსური ანალიზი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი გახდა საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი, მის ნორმებს ენიჭება შიდასახელმწიფოებრივი იურიდიული ძალა საქართველოში, რაც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების უშუალო გამოყენების წინაპირობაა. ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი გახდა საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი, არ ნიშნავს, რომ მან დაკარგა კავშირი საერთაშორისო სამართალთან. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი რჩება საერთაშორისო სამართლის წყარო. უბრალოდ, მან, საერთაშორისო სამართლებრივ სტატუსთან ერთად, ასევე შეიძინა შიდასახელმწიფოებრივი სტატუსი.

¹⁰ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები, 1991 წლის 9 აპრილი, 291; „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“.

სახელმწიფოთა კანონმდებლობაში საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის იერარქიული ადგილის საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შიდასახელმწიფოებრივ იურიდიულ ნამდვილობასთან. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის შიდასახელმწიფოებრივი ნამდვილობის განსაზღვრა იწვევს ქვეყანაში მოქმედ იურიდიულად სავალდებულო აქტებს შორის ჩვეულებითი სამართლის ნორმათა იერარქიული ადგილის დადგენის საჭიროებას.

განხილული აქტების საფუძველზე, შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოში მოქმედ სამართლებრივ აქტებს შორის არსებობს გარკვეული წინააღმდეგობა. აქტების დიდი ნაწილი უპირატესობას ანიჭებს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებს, საქართველოს დარგობრივ კანონმდებლობასთან შედარებით. აქტების მეორე ნაწილი, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებს ანიჭებს კანონზე უფრო დაბალ იერარქიულ ადგილს.

საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების იერარქიულ თანაფარდობასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ქვეყნის კონსტიტუციას. ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის თანახმად, „საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.“ მსგავსი დებულებაა გათვალისწინებული საქართველოს კანონით „ნორმატიული აქტების შესახებ“ (მუხლი 20) იმ განსხვავებით, რომ მასში პირდაპირაა მითითებული, რომ კონსტიტუციას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ.

საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებს შორის კოლიზიის აღბათობა მცირეა განსხვავებული რეგულირების ობიექტის გამო. რეგულირების საერთო ობიექტის გამო, არ შეიძლება გამოირიცხოს კოლიზიის არსებობის აღბათობა საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ისეთ ნორმებს შორის, რომლებიც არეგულირებენ საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

სხენებულის გარდა, როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუცია მოითხოვს, რომ ქვეყნის კანონმდებლობა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, რაც ავალდებულებს როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებას, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისობაში მოიყვანონ საქართველოს კანონმდებლობა საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებთან.

სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოში კოლიზიის არსებობის შედარებით დიდი ალბათობაა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებსა და დარგობრივ კანონმდებლობას შორის.¹¹

IV. საქართველოს სასამართლო პრაქტიკა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების გამოყენებასთან დაკავშირებით

საქართველოში პოზიტიურად ვითარდება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების გამოყენების პრაქტიკა. ამგვარი შეფასების საფუძველს იძლევა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, სადაც მზარდი სიხშირით იქნა გამოყენებული საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმები სასამართლო დავების გადაწყვეტისას, რასაც ვერ ვიტყვით სხვა სასამართლოების პრაქტიკის შესახებ. თავის თავად ის ფაქტი, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უშუალოდ იყენებს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის

¹¹ თვალსაჩინოობისათვის შეიძლება მოვიყვანოთ იაპონიის სასამართლოს ერთ-ერთი საქმე, რომელშიც დადგინდა წინააღმდეგობა კანონმდებლობასა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმას შორის. კერძოდ, ტოკიოს რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიტიკურ დამნაშავეთა ექსტრადიციისაგან თავის შეკავება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმაა, რის გამოც მან გააუქმა ბრძანება დეპორტაციაზე, რომელიც გაცემული იყო კორეელი მოსარჩელის მიმართ. ტოკიოს რაიონულმა სასამართლომ მის ერთ-ერთ მომდევნო სასამართლო საქმეში დაადასტურა, რომ პოლიტიკურ დამნაშავეთა ექსტრადიციისაგან თავის შეკავება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმაა, რის გამოც მისცა კომპენსაცია უკანონოდ დეპორტირებული ტაივანელი მამაკაცის მეუღლესა და შვილს. იხ. საქმეები Yoon Soo Kil (1969 წ.) და Liu Wen Chin. იხ. Y. Iwasawa, *International Human Rights Adjudication in Japan*, B. Conforti, F. Francoini (Ed.), *Enforcing International Human Rights in Domestic Courts*, Martinus Nijhoff Publishers, Vol. 49, 1997, 228.

ნორმებს, ადასტურებს პოზიციას, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი საქართველოს სამართლებრივი სისტემის ნაწილია. მოკლედ მიმოვიხილოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების გამოყენების თვალსაზრისით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში, საქართველოს ნორმატიულ აქტებსა და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებასთან ერთად, რომლის მონაწილეც საქართველოა (საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966 წელი), მიუთითა 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა (გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული სარეკომენდაციო რეზოლუცია) და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაზე (ამ უკანასკნელის მონაწილე საქართველო არ იყოს იმ დროისათვის, როდესაც სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ამ საქმეზე).¹² სასამართლოს მიერ ამ ორ უკანასკნელ საერთაშორისო აქტზე დაყრდნობის საჭიროება არ არსებობდა იმის გამო, რომ ისინი, იურიდიული თვალსაზრისით, საქართველოსათვის სავალდებულო არ იყო.

იურიდიული თვალსაზრისით, ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტი, თუ რატომ გამოიყენა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (სარეკომენდაციო რეზოლუცია) და საქართველოსათვის იმ დროისათვის იურიდიულად არასავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულება, არის ის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა ხსენებული დოკუმენტები საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების ამსახველ აქტად.

სხვა სასამართლო საქმეში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო ხელშეკრულებასთან (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი, 1966 წელი) გადაწყვეტილების

¹² საქმე „ლალო სანიკიძე და კობა დავითაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, (1/7/20), 15 იანვარი, 1997 წელი, „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1997 წელი, №1, გვ. 99.

მიღებისას ასევე გამოიყენა 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.¹³

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც მოსარჩელე, საქართველოს კანონმდებლობასა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ერთად, დაეყრდნო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას (მუხლი 23). ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ სასამართლოს არ გამოუთქვამს საწინააღმდეგო პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელე დაეყრდნო ქვეყნისათვის იურიდიულად არასავალდებულო საერთაშორისო აქტს, რაც, სავარაუდოდ, ნიშნავს იმას, რომ სასამართლო განიხილავს დეკლარაციით გათვალისწინებული ნორმას მისთვის იურიდიულად სავალდებულოდ.¹⁴

საქართველოში საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების უშუალო გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია გვახანალიზოთ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების დადგენასთან დაკავშირებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „ავთანდილ ჭაჭუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომელიც ეხებოდა მოსამართლეთა ვადამდე დათხოვნის კანონიერებას, დაეყრდნო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვიდე კონგრესის მიერ 1985 წლის 6 სექტემბერს მიღებულ „სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობის ძირითად პრინციპებს“ და აღნიშნა, რომ ამ აქტით „საყოველთაოდ აღიარებულია დებულება, რომ არჩეულ ან დანიშნულ

¹³ საქმე „საქართველოს პარლამენტის წევრების, საპარლამენტო ფრაქციათა კოალიცია „ერთიანი საქართველოს“ წევრების კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, მეორე კოლეგია, განმწესრიგებელი სხდომის განჩინება, №2/35/1, „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1998 წელი, გვ. 67-68.

¹⁴ საქმე „ნინო იოსელიანის სამცხე-ჯავახეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის და საქართველოს განათლების სამინისტროს წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგია, განმწესრიგებელი სხდომის განჩინება, №2/33/1, 1997 წლის 4 ნოემბერი, „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 1998 წელი, გვ. 55-57.

მოსამართლეებს აქვთ უფლებამოსილებათა გარანტირებული ვადა პენსიაზე სავალდებულო გასვლამდე ან უფლებამოსილების ვადის გასვლამდე¹⁵. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დაეყრდნო ხსენებულ დებულებას, როგორც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმას, და მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლის ამ საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპთან შესაბამისობას.

ამავე საქმეში თავისი პოზიციის დასასაბუთებლად სასამართლო ასევე დაეყრდნო ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1994 წლის 13 ოქტომბრის მემორანდუმსა და 1998 წლის 8-10 ივლისს სტრასბურგში მიღებულ მოსამართლეთა ევროპულ წესდებას და აღნიშნა, რომ „აღიარებულია პრინციპი, რომ მოსამართლეთა უფლებამოსილების შეწყვეტა დაიშვება ისეთი ამომწურავი შემთხვევებიდან ერთ-ერთის დადგომისას, როგორცაა: გადადგომა, საპენსიო ასაკი, სამედიცინო დასკვნა, უფლებამოსილების ვადის ამოწურვა ან დისციპლინული დარღვევა.“ სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „საერთაშორისო სამართალი არ ითვალისწინებს ქვეყნის ყველა სისტემის სასამართლოების მოსამართლეთა საყოველთაო დათხოვნის შესაძლებლობას და ამას, თითქმის, არ მოეძებნება ანალოგი სხვა დემოკრატიული ქვეყნების ისტორიაში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში მყოფ ქვეყნებს, რომლებშიც ეს პროცესი სულ სხვაგვარად მიმდინარეობდა და, ძირითადად, საბჭოთა კავშირის პერიოდის მოსამართლეებს ეხებოდა. . .“

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ხსენებულ დოკუმენტებზე მითითების შედეგად დაასკვნა, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 86-ე მუხლით, „ხელყოფილია საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, რის დაცვასაც საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი მოითხოვს.“

ხსენებულიდან გამომდინარე, მოცემულ საქმეში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის დადგენისათვის დაეყრდნო რამდენიმე საერთაშორისო

¹⁵ საქმე „ავთანდილ ჭაჭუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება, №2/80-9, 1998 წლის 3 ნოემბერი, „აღამიანი და კონსტიტუცია“, გვ. 105-106.

აქტს, რომელიც იურიდიულად სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის დადგენის ამგვარი მეთოდი სადაოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვეულებითი სამართლის ნორმათა დადგენისათვის აუცილებელია ორი ისეთი ელემენტის განსაზღვრა, როგორცაა სახელმწიფოთა საერთო პრაქტიკა და ამ პრაქტიკის იურიდიულად სავალდებულობის აღიარება.

ხსენებული ორი ელემენტის ანალიზის გარეშე, ძალზე რთულია იმის მტკიცება, რომ საერთაშორისო აქტში (არა მხოლოდ სარეკომენდაციო, არამედ, თუნდაც, სახელმწიფოებისათვის იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულებაში) გათვალისწინებული დებულებები ასახავენ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმას. არსებობს საშიშროება, რომ საქართველოს სასამართლოების მიერ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმათა დადგენის ამგვარი მიდგომა გამოიწვევს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმათა კომპლექსის ძალზე ფართო განმარტებას.

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების დადგენის მეთოდის განსაზღვრისას, საქართველოს სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის რეკომენდაცია, რომელიც განიხილავდა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის დადგენის სასამართლო პრაქტიკას. მისი 1993 წლის რეზოლუციის მე-4 მუხლში აღნიშნულია, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შინაარსის დადგენისათვის უნდა გამოიყენონ იგივე მეთოდი, რასაც იყენებენ საერთაშორისო სასამართლოები.¹⁶ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების დადგენისათვის საერთაშორისო სასამართლოები, როგორც უკვე აღინიშნა, ახდენენ ორივე ელემენტის (სახელმწიფოთა პრაქტიკა და *opinio juris*) ანალიზს.¹⁷

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების დადგენის პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ

¹⁶ 5 (II) *Institut de droit international*, Annuaire (1993) 257; Gennady M. Danilenko, Implementation of International Law in CIS States: Theory and Practice, 10 *European Journal of International Law*, N1 1999, 62-63.

¹⁷ გაეროს საერთაშორისო სასამართლოს მიერ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის დადგენის მეთოდის შესახებ იხ. მისი საკონსულტაციო დასკვნა „ბირთვული იარაღით დაბუქებისა ან გამოყენების კანონიერების შესახებ“, I.C.J. Reports, 1996. para. 64-73.

საქართველოს მოსამართლეებს ექნებათ გარკვეული სირთულეები (საწყის ეტაპზე მაინც) საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების დადგენასთან დაკავშირებით.

საქართველოს პრაქტიკაში არ არის განსაზღვრული, საჭიროა თუ არა, რომ საქართველომ აღიაროს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმა, რათა იგი გამოყენებულ იქნეს ქვეყნის შიგნით, მათ შორის, სასამართლოების მიერ. სახელმწიფოების დიდი ნაწილი, რომელიც აღიარებს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შიდასახელმწიფოებრივ იურიდიულ ძალას, მოითხოვს, რომ იმისათვის, რათა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმა უშუალოდ იქნეს გამოყენებული იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ, ეს სახელმწიფო უნდა დაეთანხმოს ჩვეულებითი სამართლის კონკრეტულ ნორმას. სახელმწიფოთა მეორე ჯგუფი (რაოდენობრივად ბევრად უფრო მცირე, მაგალითად: გერმანია, იაპონია) არ მოითხოვს ქვეყნის თანხმობას საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმისადმი, იმისათვის, რათა ეს ნორმა გამოყენებულ იქნეს ქვეყნის ფარგლებში. ასეთი ქვეყნებისათვის საკმარისია ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმა მოქმედებს საერთაშორისო დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე შეუძლებელია დადგინდეს, თუ რომელ მიდგომას მიენიჭება უპირატესობა საქართველოში, მხედველობაშია მისაღები სახელმწიფოების პოზიცია, რომელთა უმრავლესობა იზრება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების ჩამოყალიბების კონსენსუალისტური თეორიისაკენ.

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების არსებობის დადგენასთან დაკავშირებით, საქართველოს სასამართლოების წინაშე არსებული სირთულეების გათვალისწინებით, სასურველია დამკვიდრდეს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან საქართველოს სასამართლო ხელისუფლების კონსულტაციების პრაქტიკა. თუმცა ასეთ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ, ხელისუფლების განაწილების პრინციპიდან გამომდინარე, აღმასრულებელი ხელისუფლების პოზიცია შეიძლება მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებდეს სასამართლო ხელისუფლებისათვის.¹⁸

¹⁸ Third Report of the Committee on International Law in National Courts, Taipei Conference (1998), International Law Association. 12; ასევე იხ. E. Benvenuti, "Judges and Foreign Affairs: A Comment on the Institut de Droit International's Resolution on 'The Activities on National Courts and the International Relations of their States'", 5 *European Journal of International Law* 1994, 429-431.

აღმასრულებელ ხელისუფლებასთან კონსულტაციების შედეგად, სასამართლო ხელისუფლებამ შეიძლება დაადგინოს სახელმწიფოთა პრაქტიკის არსებობისა და სახელმწიფოების მიერ მისი სავალდებულოდ აღიარების საკითხი, ასევე, საქართველოს პოზიცია საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ამა თუ იმ ნორმასთან დაკავშირებით (თუ საქართველო კონსენსუალისტურ თეორიას გამოიყენებს).

ზოგადად, შეიძლება აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების გამოყენების დადებითი ტენდენციის მიუხედავად, ჯერ კიდევ დიდია საქართველოს სასამართლოების (გარდა საკონსტიტუციო სასამართლოსი) პრაქტიკაში საერთაშორისო სამართლისათვის, განსაკუთრებით კი, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის გამოყენებისადმი საკმაოდ ინდიფერენტული დამოკიდებულება.

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების გამოყენებლობის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს სასამართლო პრაქტიკის არარსებობა და საერთაშორისო სამართლის დარგში მოსამართლეთა არასაკმარისი მომზადება, თუმცა ამ უკანასკნელთან დაკავშირებით არსებული სირთულეების დასაძლევად დადებითი ტენდენცია უკვე გამოიკვეთა.

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების გამოყენების პრაქტიკის დასამკვიდრებლად კომპლექსური ღონისძიებებია გასატარებელი. ამ პრაქტიკის დამკვიდრებას ხელს შეუწყობს მოსამართლეთა და ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო სამართლის დარგში, მათთვის განმარტებების მიცემა საქართველოს კანონმდებლობაში საერთაშორისო სამართლის, მათ შორის, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის სტატუსის შესახებ, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმათა ჩამოყალიბების ელემენტების დადგენის გზებისა და მეთოდების შესახებ, საქართველოს სამართლებრივ სისტემაში საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების იერარქიული ადგილის შესახებ, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების განმარტების წესების შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია მოსამართლეთა და ადვოკატთა უზრუნველყოფა საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტებით. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის (ისევე, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებები) გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრებას ხელს შეუწყობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ სხვა სასამართლოებისათვის განმარტების მიცემა მართლმსაჯულების განხორციელებისას საერთაშორისო სამართლის ნორმების გამოყენებისა და მათი განმარტების წესის შესახებ. საერ-

თავორისო სამართლის დარგში მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საქართველოს იუსტიციის საბჭოს საქმიანობას.

V. სამართლებრივი ჩვეულებითი სამართლის ნორმატივი ადამიანის უფლებათა სფეროში

საქართველოს კონსტიტუცია დიდ როლს ანიჭებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვას. კონსტიტუცია ითვალისწინებს დებულებას ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების სტატუსის შესახებ, რომლის თანახმად, „სახელმწიფო ცნობს და იცავს საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“ (მუხლი 7).

აღნიშნული დებულებიდან გამომდინარეობს, რომ საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები საქართველოში პირდაპირი, უშუალო მოქმედებისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ, მიუხედავად იმისა, ასახულია თუ არა საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტში საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, მათი დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფოში.¹⁹ ამდენად, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შეუძლიათ უშუალოდ დაეყრდნონ საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს თავიანთი უფლებების დასაცავად, მიუხედავად იმისა, დაცულია თუ არა ანალოგიური უფლება და თავისუფლება საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტებით.

ძალზე საინტერესოა იმის დადგენა, თუ რა იერარქიული ადგილი ენიჭება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართ-

¹⁹ მსგავსი შეხედულება გამოთქმულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ი. ფუტკარაძის მიერ. იხ. ი. ფუტკარაძე, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები და მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 1998 წელი, გვ. 27.

ლის ნორმებს ქვეყანაში მოქმედ სამართლებრივ აქტებს შორის. იმის გამო, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი არ განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების იერარქიულ ადგილს, სხვა აქტებთან შედარებით, ძირითადად, გამოიკვეთა ორი განსხვავებული შეხედულება. ერთი შეხედულების თანახმად (რომელსაც ამ სტატიის ავტორიც უჭერს მხარს), რამდენადაც კონსტიტუციის მე-7 მუხლი არ ადგენს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების იერარქიულ თანაფარდობას სხვა აქტების მიმართ, ამ კატეგორიის ნორმებისადმი გამოყენებულ უნდა იქნეს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებთან დაკავშირებით საქართველოში არსებული საერთო მიდგომა (რაც განისაზღვრა როგორც კონსტიტუციის მე-6 (2) მუხლით, ისე განხილული სხვა ნორმატიული აქტებით), რომლის თანახმად, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებს საქართველოს კანონმდებლობის მიმართ უპირატესობა ენიჭება (მაგალითად: კანონის მიმართ), მაგრამ არა კონსტიტუციის მიმართ (კონსტიტუციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის გათვალისწინებით).

მეორე მხრივ, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული შეხედულება ქვეყანაში მოქმედ სხვა აქტებთან ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების თანაფარდობის შესახებ, რომლის თანახმად, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა თვით საქართველოს კონსტიტუციის მიმართ.²⁰

იმედია, რომ პრაქტიკა უახლოეს მომავალში ნათელს მოჰფენს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების იერარქიულ ადგილს.

²⁰ აღნიშნულ შეხედულებას ი. ფუტკარაძე ასაბუთებს კონსტიტუციის მე-7 მუხლის ისეთი განმარტებით, რომლის თანახმად „ხელისუფლების განხორციელებისას, ე.ი. კონსტიტუციის პრინციპებისა და ნორმების დადგენის დროსაც, ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან საყოველთაოდ აღიარებული უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“, იქვე, „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 1998 წელი, გვ. 28.

VI. დასკვნა

საქართველოს სამართლებრივ სისტემაში საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებს სულ უფრო მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი საკითხი ჯერ კიდევ დაზუსტებას საჭიროებს, რასაც სასამართლო პრაქტიკამ და დარგობრივმა კანონმდებლობამ უნდა შეუწყოს ხელი, რამდენიმე დასკვნის გაკეთება მაინც შესაძლებელია.

საქართველოს კონსტიტუციის, სხვა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი საქართველოს სამართლებრივი სისტემის ნაწილი გახდა.

საქართველოში მოქმედ ნორმებს შორის საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების იერარქიულ ადგილთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებს აქვს უფრო მაღალი იურიდიული ძალა, ვიდრე დარგობრივ კანონმდებლობას.

რაც შეეხება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმების ისეთი კატეგორიას, როგორცაა, საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, აღსანიშნავია, რომ არსებობს აზრთა სხვაობა მოცემული ნორმების იერარქიული ადგილის შესახებ. იურისტთა ერთი ნაწილის პოზიციის თანახმად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა დარგობრივ კანონმდებლობასთან, მაგრამ არა კონსტიტუციასთან შედარებით. მეორეთა აზრით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებს აქვთ უპირატესი ძალა თვით საქართველოს კონსტიტუციის მიმართაც კი.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ, მიუხედავად მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა, რომლებიც საქართველოში საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის შიდასახელმწიფოებრივი სტატუსის განსაზღვრის თვალსაზრისით გადაიდგა, დაწყებული ღონისძიებები უნდა გაგრძელდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციისა და დარგობრივი კანონმდებლობის ნორმებს არ ექნებათ პრაქტიკული ეფექტი.

ოქტომბერი,
1999.

IV შეიარაღებული კონფლიქტები

აფხაზეთის კონფლიქტი კოსოვოს კონფლიქტის ფონზე

ალექსანდრე ორახელაშვილი

აფხაზეთისა და კოსოვოს კონფლიქტებს ბევრი რამ აერთიანებთ, თუმცა მათ შორის ბევრი განსხვავებაც არის. ეს ზოგადი მოსაზრება უდავოდ ძალაშია ამ კონფლიქტების როგორც წმინდა სამართლებრივი, ისე ისტორიული და (გეო)პოლიტიკური ასპექტების განხილვისას. აფხაზეთისა და კოსოვოს კონფლიქტები განვითარდა, შესაბამისად, კავკასიისა და ბალკანეთის რეგიონებში, რომლებიც გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, განსხვავებული პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გადაკვეთის ადგილებია. როგორც კავკასია, ისე ბალკანეთი ერთმანეთთან აკავშირებს ევროპისა და აზიის სხვადასხვა რეგიონებსა და სუბრეგიონებს. ორივე ეს რეგიონი დასავლური, რუსული და თურქული ინტერესების ობიექტს წარმოადგენს. თანაც, ამ ინტერესთაგან არც ერთი მიიჩნევა მეორეხარისხოვნად; როგორც დასავლეთი, ისე თურქეთი და რუსეთი ამ რეგიონებში თავისი გავლენის ზრდასა და შენარჩუნებას თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური წონის ზრდისა და შენარჩუნების პროპორციულად აღიქვამს. შესაბამისად, ამ აქტორებისაგან ნებისმიერს გააჩნია მისეული ხედვა აფხაზეთისა და კოსოვოს კონფლიქტების მოგვარებისა და, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობს ამ ხედვის რეალობად ქცევას. ეს ეხება როგორც კონფლიქტის გადაწყვეტის მეთოდებს (მშვიდობიანი თუ ძალისმიერი გზით), ისე თავად გადაწყვეტას, კერძოდ, ტერიტორიულ საკითხებსა და, რაც მთავარია, კონფლიქტის მხარეებთან ურთიერთობას. ეს ყოველივე გავლენას ახდენს არსებული კონფლიქტების სამართლებრივ ასპექტზე იმ კუთხით, რომ ხელს უწყობს ან ხელს უშლის კონფლიქტის მხარეთა მოქმედებების სამართლებრივი შედეგების რეალიზაციას. სწორედ აღნიშნული სამართლებრივი შედეგები და მათი ხელშემწყობი და ხელშემშლელი გარემოებები წარმოადგენს ამ ნაშრომის კვლევის ობიექტს. ამასთანავე,

ძირითადი ყურადღების გამახვილება გვსურს ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე; კერძოდ, იმაზე, თუ რა სახით ახდენს გავლენას ორ კონფლიქტში მონაწილე მხარეების ინტერესები ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის ეფექტურ რეალიზაციაზე. ეს ნაშრომი ამოსავალ წერტილად იღებს იმას, რომ მკითხველი გაცნობიერებულია ორივე კონფლიქტის ძირითად ფაქტებში და აქ მათ დაწვრილებით განხილვას არ შეუდგებით.

როგორც აფხაზეთის, ისე კოსოვოს კონფლიქტმა საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება მიიპყრო ადამიანის უფლებათა მასიური დარღვევებით, მოსახლეობის ფართომასშტაბიანი დეპორტაციებითა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულების ჩადენის ფაქტებით. აფხაზეთში ჩადენილი დანაშაულები კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული იყო ქართულ მოსახლეობაზე, რომელიც ტიტულურ ერს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოში. ეუთო-ს ბუდაპეშტისა (1994) და ლისაბონის (1996) შეხვედრების დასკვნით დოკუმენტებში¹ დადასტურდა, რომ აფხაზეთში ადგილი ჰქონდა კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულებსა და ეთნიკურ წმენდას “უპირატესად ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ”. კოსოვოში, ამისგან განსხვავებით, კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულები ჩადენილ იქნა ალბანური უმცირესობის წარმომადგენელთა მიმართ და ეს განხორციელდა მმართველი სერბული რეჟიმის მიერ. განსაკუთრებულ აღნიშვნას არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ დიდი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეაქცია კოსოვოს შემთხვევაში გაცილებით უფრო ფართო და რადიკალური იყო, ვიდრე აფხაზეთის შემთხვევაში. ეს ასე იყო მანამდეც, სანამ კოსოვოში ჩადენილი დანაშაულების და ძალადობის მასშტაბები აფხაზეთში ჩადენილი ძალადობისა და დანაშაულებისას გაუტოლდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთ კონფლიქტზე ჯეროვანი რეაგირება ჯერაც არ მომხდარა, ხოლო მეორე კონფლიქტზე საკმაოდ სწრაფად მოხდა და სუვერენულ სახელმწიფოზე შეიარაღებული თავდასხმაც გამოიწვია, ორივე შემთხვევისათვის საერთო გარემოება მდგომარეობს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საფრთხის შექმნაში. ეს საფრთხე პირდაპირ გამომდინარეობს როგორც ერთ შემთხვევაში არასაკმარისი რეაგირებიდან, ისევე მეორე შემთხვევაში მრავალპროფილიანი რეაგირებიდან,

¹ ლისაბონის დასკვნითი დოკუმენტის (1996) მე-20 პუნქტი; იხ. ასევე, სტამბულის სამიტის დეკლარაცია (1999), მე-17 პუნქტი.

რომელიც დიპლომატიურ და სამხედრო საშუალებებს მოიცავდა. აქედან გამომდინარე, ძირითადი საკითხი, რომელიც ამ მიმართულებით უნდა იქნას გამოკვლეული, არის სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის გარანტიები ეთნიკურ კონფლიქტებზე განსხვავებული ფორმებით რეაგირებისას. სწორედ ტერიტორიული საკითხები არის როგორც კოსოვოს, ისე აფხაზეთის კონფლიქტის მონაწილეთა ძირითადი ინტერესებისა და განსხვავებული პოზიციების საფუძველი,² ხოლო სხვა საკითხები, როგორებიცაა: ადამიანის უფლებები, საერთაშორისო დამნაშავეთა დასჯა და ლტოლვილთა დაბრუნება, წარმოადგენს ტერიტორიულ საკითხებთან მიმართებაში კონფლიქტის მონაწილეთა ინტერესების რეალიზაციის მცდელობების შედეგს.

ტერიტორიული მთლიანობა, ხალხების თვითგამორკვევა და საერთაშორისო სამართალი

როგორც აფხაზეთის, ისე კოსოვოს კონფლიქტის მიმდინარეობისას, წინა პლანზე იქნა წამოწეული აფხაზეთისა და კოსოვოელი ალბანელების თვითგამორკვევის უფლების საკითხი. ორივე შემთხვევაში მოთხოვნები ავტონომიური მმართველობიდან ამ მოსახლეობათა სრულ დამოუკიდებლობამდე ვარირებდა. როგორც აფხაზი, ისე კოსოვოელი სეპარატისტების მიერ მათი სრული დამოუკიდებლობის მხარდამჭერი პოზიცია უკომპრომისოა და იმაში მდგომარეობს, რომ ვერ გააგრძელებენ საქართველოსა და იუგოსლავიის ერთიანი სახელმწიფოების შექმნაში ცხოვრებას. ასეთი რადიკალური პოზიცია გავლენას ახდენს გარე დამკვირვებელთა მიდგომებზე, რომლებიც მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ასეთ სიტუაციებში ორი ეთნიკური ჯგუფის თანაცხოვრების გაგრძელება შეუძლებელია. ასევე, კოსოვოს სიტუაციის სპეციფიური ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ ნატო-ს სახელმწიფოების მთავრობების პოზიციით, კოსოვო ვერ აღდგებოდა იუგოსლავიის შექმნაში, სანამ ამ უკანასკნელის მმართველი რეჟიმი საფუძვლიანად არ შეიცვლებოდა (რაც, ფაქტიურად, უკვე მოხდა და იუგოსლავიის მიერ კოსოვოში კონტროლის ხელახლა განხორციელების საწინააღმდეგო შესაძლო არგუმენტი მხოლოდ ეთნიკური შუღლი შეიძლება იყოს). ასე რომ, უნდა გავარკვიოთ, თუ როგორ პასუხობს საერთაშორისო სამართალი იმ სიტუაციებს, როცა

² იხ., მაგალითად, Celac, Emerson & Tocci, *A Stability Pact for the Caucasus* (2000), 9-10.

ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიული ერთობის დაცვას ხელი ემშობა ეთნიკური კონფლიქტის შედეგად.

სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების არა მარტო ძირეულ პრინციპს, არამედ იმ პრინციპსაც, რომელსაც საერთაშორისო მართლწესრიგი, როგორც ასეთი, ემყარება. სახელმწიფოთა მიერ საკუთარი ტერიტორიის კონტროლი (მიუხედავად ამ სახელმწიფოთა შიდატერიტორიული ორგანიზაციისა) არის მათ მიერ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების წინაპირობა. ტერიტორიის კონტროლი წარმოშობს სახელმწიფოს იურისდიქციას და ეს ფაქტორი გადაწყვეტა სახელმწიფოთა მიერ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებისათვის. თუ სახელმწიფო კარგავს მისი ტერიტორიის ამა თუ იმ ნაწილის კონტროლს, იგი, ამის პარალელურად, კარგავს არსებულ ტერიტორიაზე საკუთარი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების უნარს. ეს პროცესი განსაკუთრებით მტკივნეულ შედეგებს წარმოშობს ადამიანის უფლებათა დამცავი ვალდებულებების მოქმედების სფეროში. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა საერთაშორისო მართლწესრიგის საფუძველია.

გაერო-ს წესდების მუხლი 2(4) კრძალავს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ძალისმიერი წესით დარღვევას. გაერო-ს დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ,³ რომელიც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ამსახველი დოკუმენტია,⁴ თუმცა ადასტურებს ხალხების თვითგამორკვევის პრინციპს, ამასთანავე აშკარად გასაგებად აცხადებს, რომ თვითგამორკვევის მოშველიებით დაუშვებელია ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. გენერალური ასამბლეის დეკლარაცია კოლონიური ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ⁵ ასევე გამორიცხავს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას თვითგამორკვევის უფლების მოშველიებით. ანალოგიური გადაწყვეტა ჰპოვა ამ საკითხმა კანადის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში კვებეკის სეცესიის თაობაზე,⁶ რომელიც ცალსახად ადასტურებს,

³ გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 2625 (1970).

⁴ *Case concerning Military and Paralimitary Activities in and against Nicaragua*, ICJ Reports, 1986, paras 178ff.

⁵ გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 1514 (1960).

⁶ *Reference Re Secesion of Quebec* (20 August 1998), 57 *ILM* (1998), 1371, paras 127-128.

რომ უკანონო გზით განხორციელებული სეცესიის დაკანონება შეუძლებელია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ შემდგომი ცნობის მეშვეობითაც, რადგან “ასეთი ცნობა, მისი მინიჭების შემთხვევაშიც კი, ვერ გამოიწვევს სეცესიის აქტის რეტროაქტიულ გამართლებას კანადის კონსტიტუციის ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით”.⁷ გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის პირველი მუხლის კომენტარებისას ადასტურებს, რომ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევა უარყოფით ზეგავლენას ახდენს თვითგამორკვევის პრინციპის რეალიზაციაზე და აქედან გამომდინარე თვითგამორკვევის პრინციპი ამის სანქციონირებას არ ახდენს.⁸ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის კომიტეტის დასკვნაც ადასტურებს, რომ თვითგამორკვევის უფლების მოშველიებით სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის სრული ან ნაწილობრივი ხელყოფა სანქციონირებული არ არის.⁹

1970 წლის დეკლარაცია სეცესიის ერთადერთ პოტენციურ შესაძლებლობას ქმნის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ სახელმწიფოში არ არსებობს მთავრობა, რომელიც არჩეულია ქვეყნის მთელი მოსახლეობის მიერ, მიუხედავად ეროვნული თუ რასობრივი განსხვავებებისა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ეთნიკურ ჯგუფს, რომელიც თავის თავს ხალხად მიიჩნევს, სახელმწიფოდან გამოყოფა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის წარმომადგენლებს არ ეძლევათ ცენტრალური მთავრობის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება. შესაბამისად, საერთაშორისო სამართალი არ უმაგრებს ზურგს თვითგამორკვევის უფლების იმ სახით რეალიზაციას, რომლითაც ამ უფლებას ყველაზე ხშირ შემთხვევებში მოითხოვენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები: ტერიტორიული ავტონომიის სახით და ადამიანის უფლებების დარღვევათა შემთხვევაში სეცესიის სახით.

ტერიტორიული ავტონომიის საკითხი საერთაშორისო სამართლის რეგულირების სფეროს მიღმაა. ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია, რადგანაც როგორც კოსოვოს, ისე აფხაზე-

⁷ id., 1375-1376, paras 146, 155.

⁸ UN Human Rights Committee, General Comment 12, Article 1 (Twenty-first session, 1984), para. 6.

⁹ General Recommendation XX (48) adopted at 1147th meeting on 8 March 1996, para. 6.

თის კონფლიქტების მოგვარების პროცესში საქართველოს და იუგოსლავიას გამოდებით წაეყენებოდათ და წაეყენებათ მოთხოვნები იმასთან დაკავშირებით, რომ მათ უნდა მიიღონ საკუთარი ტერიტორიული მოწყობის ესა თუ ის ფორმა თუ მოდელი. იუგოსლავიისაგან ჯერ კიდევ სამხედრო შეტევის დაწყებამდე დასავლეთის სახელმწიფოები ითხოვდნენ, რომ მომხდარიყო კოსოვოს სტატუსის შეცვლა ისე, რომ ეს უკანასკნელი ყოფილიყო ავტონომიური ერთეული არა სერბიის რესპუბლიკის, არამედ თავად იუგოსლავიის ფედერაციის შემადგენლობაში. საქართველოს მიმართაც ხშირად გაისმის მოთხოვნები და მოწოდებები, რომ ეს ქვეყანა, კონფლიქტის მოგვარების ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა გახდეს ორ- ან მრავალსუბიექტიანი ფედერაცია თუ კონფედერაცია. ამავე დროს, აღნიშნულ მოთხოვნებს, მიმართულს საქართველოსა და იუგოსლავიის მიმართ, საერთაშორისო სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია, რადგანაც აფხაზეთისა და კოსოვოს ტერიტორიულ-სამართლებრივი სტატუსი არის არა საერთაშორისო სამართლის, არამედ, შესაბამისად, საქართველოსა და იუგოსლავიის შიდასახელმწიფო კონსტიტუციური სამართლის რეგულირების საგანი. იუგოსლავიასა და საქართველოს საერთაშორისო სამართალი აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყონ მთელ საკუთარ ტერიტორიაზე, აფხაზეთისა და კოსოვოს ჩათვლით, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნათა დაცვა როგორც მშვიდობის, ისე შეიარაღებული კონფლიქტის დროს. ამისგან განსხვავებით, საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ნორმა, რომელიც იუგოსლავიას, საქართველოს ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს დააკისრებდა ტერიტორიული მოწყობის ამა თუ იმ კონკრეტული ფორმის მიღების ან ამა თუ იმ ტერიტორიაზე ავტონომიური წარმონაქმნების შექმნისა თუ შენარჩუნების ვალდებულებას. აქედან გამომდინარე, რამდენადაც მორალურად დასაგმობი არ უნდა იყოს იუგოსლავიის მთავრობის მიერ კოსოვოს ავტონომიის გაუქმების ფაქტი, იგი საერთაშორისო სამართლის დარღვევა არ არის.¹⁰ ეს ლოგიკურიცაა: სახელმწიფოებს ადამიანის უფლებების, მათ შორის ეროვნულ უმცირესობების, უფლებათა დაცვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ მარტივი ფაქტის გამო, რომ ისინი

¹⁰ ისევე, როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წელს მიღებული კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, რომლის დეტალურად განხილვა ამ ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს.

საკუთარ ტერიტორიაზე იურისდიქციასა და კონტროლს ახორციელებენ და სწორედ ეს გარემოება აძლევს მათ რეალურ შესაძლებლობასა და ვალდებულებას დაიცვან საკუთარ ტერიტორიაზე მყოფი ეთნიკური ჯგუფების მინიმალური უფლებები და გარანტიები. ავტონომიური ერთეულების შექმნა და გაუქმება თავისთავად არ არის ის ფაქტი, რომელიც ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა უფლებების დაცვის ან დარღვევის ტოლფასი იქნებოდა; გადამწყვეტია სახელმწიფოს მიერ საკუთარი ტერიტორიის კონტროლის საკითხი.

ყოველივე ამის ფონზე ნათელია, რომ საერთაშორისო მოლაპარაკებებში ავტონომიური ერთეულებისა და ამ ერთეულთა უფლებამოსილებების საკითხების წამოწევა იწვევს მხოლოდ კონფლიქტების მოგვარების გართულებას, რადგანაც სუვერენული სახელმწიფოებისაგან ხდება ისეთი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნა, რომლებსაც საერთაშორისო სამართალი მათ არ აკისრებს. ეს დამტკიცდა როგორც კოსოვოს, ისე აფხაზეთის მაგალითზე. იუგოსლავიაზე სამხედრო შეტევის დაწყებამდე გამართული მოლაპარაკებების ჩიხში შეყვანა სწორედ ტერიტორიული სტატუსის საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობას უკავშირდებოდა. იუგოსლავიის მხრიდან სავსებით გამართლებული იყო იმ შეთანხმებაზე ხელის არმოწერა, რომელიც მის ტერიტორიულ მთლიანობას რაიმე ფორმით საფრთხეს შეუქმნიდა. მიუხედავად ამისა, იუგოსლავიაზე დაწოლა სწორედ ტერიტორიული საკითხების კუთხით ხდებოდა და ამან მძიმე შედეგები გამოიღო როგორც იუგოსლავიის, ისე კოსოვოელი ალბანელების მიმართ. აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებასაც დიდ პრობლემას სწორედ საქართველოს ტერიტორიული მოწყობის ქართულ-აფხაზეთური მოლაპარაკებების დღის წესრიგის ნაწილად ქცევა უქმნის. იუგოსლავიის მსგავსად, საქართველოს მიმართ წაყენებულია ტერიტორიული გადაწყვეტის მოთხოვნები, რომელთა მიღება საქართველოს მხარის მიერ ნაკლებად რეალურია, რადგანაც მათ აქვთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის შეუქცევადი საფრთხის შექმნის პოტენციალი. განხილვა “ფედერაციის”, “კონფედერაციის”, “ორსუბიექტიანი ფედერაციის”, “ასიმეტრიული ფედერაციის” ვარიანტები, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა არ უნდა ხდებოდეს არც დიპლომატიური მოლაპარაკებების და არც საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში. ყოველივე ეს კონფლიქტის გადაწყვეტას მხოლოდ აჭიანურებს და ნაკლებად რეალურს ხდის.

სეცესიის შესაძლო საფუძვლად იშველიებენ ასევე ადამიანის უფლებათა მასიურ დარღვევებს, რომლის მსხვერპლიც არის ესა თუ ის ეთნიკური ჯგუფი მოცემულ სახელმწიფოში.¹¹ ასეთ მიდგომას საერთაშორისოსამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია. არც ერთი სამართლებრივი ნორმა თუ პრინციპი ეთნიკურ ჯგუფს, რომელიც ადამიანის უფლებათა მასიური დარღვევების მსხვერპლი აღმოჩნდა, არსებული სახელმწიფოსაგან გამოყოფის უფლებამოსილებას არ აძლევს. ადამიანის უფლებათა მასიური დარღვევები, რომლებიც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებად კვალიფიცირდება, საკუთარ შედეგებს წარმოშობს. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულში მონაწილე ფიზიკური პირების ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი სახელმწიფოს შიდასახელმწიფო სასამართლოებში,¹² ან სპეციალურად ამისთვის შექმნილ საერთაშორისო ტრიბუნალების მიერ.¹³ კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულთა შედეგებს შორის ფიგურირებს ასევე მსხვერპლთა კომპენსაცია და ადრინდელი მდგომარეობის აღდგენა (რესტიტუცია), რისი ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულება შეიძლება იყოს საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების გარანტიების

¹¹ ამ შესაძლებლობას იხსენიებს კასესე, მაგრამ იგი მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებათა მასიური დარღვევები სეცესიის საფუძველი შეიძლება იყოს არა დამოუკიდებლად, არამედ სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებში მოცემული ეთნიკური ჯგუფისათვის ხელისუფლების განხორციელების პროცესში მონაწილეობის აღკვეთასთან ერთად (ეს უკანასკნელი პირობა 1970 წლის დეკლარაციაშიც გვხვდება); ანუ ორივე პირობა კუმულატიურად უნდა დაკმაყოფილდეს, რომ ეთნიკურ ჯგუფს სეცესიის უფლება წარმოექმნას. Cassese, *Self-Determination of Peoples, A Legal Reappraisal* (1988), 119-120.

¹² ამის სანქციონირებას იძლევა, მაგალითად, გენოციდის დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის შესახებ კონვენციის (1948) VI და VII მუხლები.

¹³ 827-ე (1993) და 955-ე (1994) რეზოლუციებით გაერო-ს უშიშროების საბჭომ შექმნა საერთაშორისო ტრიბუნალები, რომლებიც განიხილავენ იუგოსლავიისა და რუანდის კონფლიქტებში ჩადენილი დანაშაულებისათვის ფიზიკურ პირთა პასუხისმგებლობის საკითხებს. ასევე, რომის 1998 წლის კონფერენციაზე მიღებულ იქნა მუდმივი საერთაშორისო ტრიბუნალის სტატუტი, რომელიც ჯერჯერობით რატიფიცირებულია მხოლოდ 22 სახელმწიფოს მიერ და არ არის ძალაში შესული (ძალაში შესვლისათვის საჭიროა 60 სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიკაცია).

შექმნა.¹⁴ თუმცა, ეს გარემოებები ეთნიკურ ჯგუფს, რომელიც კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულთა მსხვერპლი გახდა, სახელმწიფოდან გამოყოფის მოთხოვნის უფლებას მაინც არ ანიჭებს. მორალური და პოლიტიკური შეხედულებების არსებობის მიუხედავად, ასეთი უფლების დამაკანონებელი იურიდიული ნორმა არ არსებობს; შესაბამისად, კოსოვოს იუგოსლავიისაგან გამოყოფის ტიტულს ამ რეგიონში იუგოსლავიის ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულები არ ქმნის.

ამის ფონზე ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის მიერ თვითგამორკვევის წესით სეცესიის მოთხოვნა შეკითხვებს ბადებს არა მარტო მოცემული კონფლიქტის მოგვარების, არამედ მთელი საერთაშორისო მართლწესრიგის სტაბილურობის თვალსაზრისით. არასტაბილურობის რისკი იმდენად დიდია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები ტერიტორიული მთლიანობის პრინციპზე შეტევას თავს არიდებენ. გაერო-ს უშიშროების საბჭომ მსგავსი პოზიცია დაიკავა როგორც აფხაზეთის, ისე კოსოვოს კონფლიქტის მიმართ. მთელ რიგ რეზოლუციებში უშიშროების საბჭომ დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობა.¹⁵ მსგავსი დადასტურება მოხდა ეუთო-ს დოკუმენტების მეშვეობითაც. იუგოსლავიის ტერიტორიული მთლიანობა უშიშროების საბჭომ უპირობოდ დაადასტურა შემდეგი რეზოლუციებით: 1198 (1998), 1203 (1998) და 1244 (1999); ეს მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ გაერო-ს წესდების VII თავის საფუძველზე მიღებული ამ რეზოლუციების ადრესატი სწორედ იუგოსლავია იყო. აღნიშნული რეზოლუციების თანახმად, გაერო-ს ინტერესებში არ შედის სეპარატისტული და სეცესიონისტური მისწრაფებების მხარდაჭერა და ხელსაყრელი პრეცედენტების შექმნა მომავალში წარმოშობილი შესაძლო სეპარატისტული მისწრაფებებისათვის. ეუთო-ს სტამბულის დეკლარაციაც ადასტურებს, რომ კოსოვოს სტატუსი უნდა გან-

¹⁴ იხ., მაგალითად, უშიშროების საბჭოს რეზოლუციები 829 (1993), პუნქტი 7; 836 (1993), პუნქტი 6; 941 (1994), პუნქტი 3; ასევე რეზოლუცია 808 (1993), რომელიც დეპორტაციის მსხვერპლთა კომპენსაციის საკითხს ეხება. ამ პრობლემის უფრო დეტალური ანალიზისათვის იხ. ა. ორახელაშვილი, გაერო-ს უშიშროების საბჭოს როლი ფუნდამენტური საერთაშორისო ვალდებულებების განხორციელებაში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ალმანახი, საერთაშორისო სამართლის სერია, №2, გვ. 1-16.

¹⁵ რეზოლუცია 876 (1993), პუნქტი 1; რეზოლუცია 1096 (1997), პუნქტი 4.

ისაზღვროს იუგოსლავიის სახელმწიფოს ფარგლებში ამ უკანასკნელის ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის საფუძველზე.¹⁶

სეცესიის, ანუ ეთნიკური ჯგუფების სახელმწიფოდან ცალმხრივად გამოყოფის უფლებას საერთაშორისო სამართალი არ იცნობს. როგორც კროუფორდი აცხადებს, საერთაშორისო პრაქტიკა მხარს არ უჭერს სეცესიის უფლებას, მათ შორის მოცემული რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობის ნების საფუძველზე სახელმწიფოდან გამოყოფის უფლებას; ხალხების თვითგამორკვევა უნდა ხორციელდებოდეს მოცემული სახელმწიფოს კონსტიტუციურ სისტემაში მონაწილეობის გზით მისი ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის საფუძველზე.¹⁷ ასეთია საერთაშორისო მართლწესრიგის მიერ ეთნიკური ჯგუფების სეპარატისტულ მისწრაფების პრობლემაზე გაცემული პასუხი.

სამართლის ნორმათა მიღება

უშიშროების საბჭოს არც ერთი რეზოლუცია და არც ერთი ხელმოწერილი შეთანხმება არ შეიცავს დებულებას კოსოვოელ ალბანელთა თვითგამორკვევის უფლების, მით უმეტეს მათი სეცესიის შესახებ. მიუხედავად ამისა, კოსოვოს იუგოსლავიისაგან გამოყოფა (ისევე, როგორც აფხაზეთისა - საქართველოსაგან) გარკვეული პოლიტიკური წრეების დღის წესრიგში მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს. ნები-სმიერი ქვეყნიდან ამა თუ იმ ტერიტორიის გამოყოფა თუ თავისთავად დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს, ეს შეიძლება წაადგეს ზოგიერთი სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის ამა თუ იმ რეგიონის მიმართ არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესს. ზოგ შემთხვევაში კი სახელმწიფოს შეიძლება არც ჰქონდეს პირდაპირი პოლიტიკური ან ეკონომიკური დაინტერესება ამ რეგიონში, მაგრამ დაინტერესებული იყოს შესაბამისი ტერიტორიის სახელმწიფოსაგან გამოყოფით იმიტომ, რომ მისთვის ხელსაყრელი პრეცედენტი შეიქმნას. ასე მაგალითად, სომხეთი ცდილობს, რომ კოსოვოს იუგოსლავიისაგან შესაძლო გამოყოფა თავის ინტერესებში გამოიყენოს. ეს ინტერესი არაა უშუალოდ პოლიტიკური, რადგან სომხეთისნაირ პატარა სახელმწიფოს ბალკანეთის რეგიონში დიდი და უშუალო დაინტერესება

¹⁶ სტამბულის სამიტის დეკლარაციის (1999) მე-3 და მე-4 პუნქტები.

¹⁷ Crawford, *State Practice and International Law in Relation to Secession*, *British Year Book of International Law* (1998), 114, 116.

ვერ ექნება. მიუხედავად ამისა, კოსოვოს შესაძლო სეცესია შექმნიდა აზერბაიჯანიდან მთიანი ყარაბაღის გამოყოფისათვის სახარბიელო პრეცედენტს და ეს სომხეთის მისწრაფებებს წაადგებოდა.

არც ის შეიძლება გამოირიცხოს, რომ აფხაზეთის ან კოსოვოს გამოყოფის მოთხოვნა ან ამის შესაძლო პერსპექტივების დასახვა წარმოადგენს არა ამა თუ იმ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის რეალურ მისწრაფებას, არამედ მხოლოდ მათი პოლიტიკური თამაშის ელემენტს. მიუხედავად ამისა, ასეთი პოლიტიკური თამაშის შედეგად სეპარატისტებისათვის მხარდაჭერამ კოსოვოსა თუ აფხაზეთში გამოიწვია აფხაზებისა და ალბანელების ნაციონალისტური თუ სეცესიონისტური მისწრაფებების გაზრდა, მათი დაიმედება რუსეთიდან თუ ნატო-დან მხარდაჭერის შესაძლებლობაში, რამაც “ჯინის ბოთლიდან გამოშვების” ეფექტი იქონია. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზ ან ალბანელ სეპარატისტებს შეიძლება გარკვეულ შემთხვევებში მოაკლდეთ გარედან მხარდაჭერა, მათი სეპარატისტული მისწრაფებები არ გაქრება და მეტიც, ამ რეგიონებში ეთნიკური თუ პოლიტიკური დაპირისპირების (სისხლისღვრის ჩათვლით) მნიშვნელოვანი წყარო გახდა.

კოსოვოს კონფლიქტის დაწყებისთანავე ნათელი იყო, რომ ეს არ იყო უბრალო შეიარაღებული კონფლიქტი ან, უბრალოდ, ეთნიკური კონფლიქტი, ან უბრალოდ ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული სიტუაცია, თუნდაც ისეთი, რომელიც (გაერო-ს წესდების გაგებით) საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას დაემუქრებოდა. ეს იყო და არის სიტუაცია, რომლის ერთ-ერთი მხარე მიზნად ისახავს სუვერენული სახელმწიფოსაგან გამოყოფას ამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შეუქცევადი დარღვევის ხარჯზე. ალბანელი სეპარატისტები დასაწყისიდანვე კოსოვოს მხარის დამოუკიდებლობის საკითხში უკომპრომისო პოზიციაზე იდგნენ და შემდგომ მოლაპარაკებებშიც ეს დადასტურდა. დიდი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ამ კონფლიქტზე რეაგირების ფონზე თითქოსდა წინა პლანზე გადმოვიდა ადამიანის უფლებათა დარღვევის საკითხი და ტერიტორიული საკითხები უკანა პლანზე დარჩა და ამ კონფლიქტურ სიტუაციაზე რეაგირებაც, პირველ რიგში, ადამიანის უფლებათა კუთხით ხდებოდა; მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად ჩანს ასე, რადგან ტერიტორიული საკითხი არ გამქრალა არც დიდი სახელმწიფოების, არც საერთაშორისო ორგანიზაციების დღის წესრიგიდან.

კონფლიქტში ჩართული ნებისმიერი აქტორის (იქნება ეს ნატო, ალბანელი სეპარატისტები თუ იუგოსლავია) უპირველესი მისწრაფება სწორედ ტერიტორიულ საკითხებში მდგომარეობდა. იუგოსლავია თავის ტერიტორიულ მთლიანობას იცავდა; ალბანელები იუგოსლავიისაგან გამოყოფაზე მუშაობდნენ (სხვადასხვა გზებით); ასევე გულუბრყვილობა იქნება, ვიფიქროთ, რომ ნატო-ს მთავარი პოლიტიკური მიზანი ადამიანის უფლებათა დაცვა იყო და რომ ამ ორგანიზაციას კონფლიქტში ჩართვისას არ გააჩნდა ტერიტორიული პრობლემების მისეული ხედვა ან პროექტის ან შესაძლო ტერიტორიული შედეგების რეალისტური აღქმის დონეზე. ზედმეტია იმის თქმა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციის ნება და პოლიტიკური პრიორიტეტი, პირველ რიგში, მისი წევრი სახელმწიფოების პოლიტიკურ პრიორიტეტებს ემყარება. ასე რომ, დასავლეთის დიდ სახელმწიფოებსაც უდავოდ ჰქონდათ გაცნობიერებული ის ტერიტორიული შედეგები, რომლებიც იუგოსლავიაზე სამხედრო შეტევის შემდგომ უნდა დამდგარიყო და ნაწილობრივ უკვე დამდგარია.

ის, თუ რა სახით ჰქონდა ნატო-სა და მის წევრ სახელმწიფოებს პრობლემის ტერიტორიული გადაწყვეტა წარმოდგენილი, ჩანს იმ გარემოებიდან, რომ ნატო-ს მიერ გაკეთებულ განცხადებებსა და იუგოსლავიის მიმართ წაყენებულ ულტიმატუმებში, ფაქტიურად, არსად ფიგურირებს იუგოსლავიის ტერიტორიული მთლიანობის დადასტურება. ამას მოწმობს როგორც საკონტაქტო ჯგუფის მიერ 1999 წლის 29 იანვარს გაკეთებული განცხადება,¹⁸ ისე ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს მიერ 1999 წლის 12 აპრილს გაკეთებული განცხადება.¹⁹ რაოდენ ირონიულადაც არ უნდა ჟღერდეს, ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს განცხადება (მე-13 პუნქტი) სპეციალურ აქცენტს აკეთებს ალბანეთისა და მაკედონიის ტერიტორიულ მთლიანობაზე, რასაც იუგოსლავიისაგან არანაირი რეალური საფრთხე არ ემუქრებოდა, ხოლო მითითებას იუგოსლავიის ტერიტორიულ მთლიანობაზე არ შეიცავს. ამ მხრივ, ნატო-ს მიერ არჩეული ტაქტიკა არ დაემთხვა გაერო-ს მიერ აღებულ კურსს, რომელიც იუგოსლავიის ტერიტორიული მთლიანობის დაცვას უჭერდა მხარს. ეს მოსაზრება ძალაშია იმის

¹⁸ *Statement by the Contact Group* issued in London on 29 January 1999.

¹⁹ *The Situation in and Around Kosovo*. Statement issued at the Extraordinary Ministerial Meeting of the North Atlantic Council held at NATO Headquarters, Brussels, on 12 April 1999.

მიუხედავად, რომ ნატო-ს არც ერთ განცხადებაში კოსოვოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერა არ გვხვდება.

ყოველივე ეს ნათლად ასახავს იმ ნაბიჯების მიზანშეწონილობასა და ღირებულებას, რომლებიც საქართველოში იუგოსლავიის წინააღმდეგ ნატო-ს მიერ სამხედრო მოქმედებების დაწყების მხარდასაჭერად გადაიდგა (იქნება ეს მთავრობის ოფიციალური განცხადებები, პოლიტიკური პარტიების პოზიციები თუ არასამთავრობო ორგანიზაციების). აღნიშნული აქტორების სხვა მხრივ პოლიტიკური პოზიციების განსხვავების მიუხედავად, მათ მიერ ნატო-ს აქციის მხარდასაჭერად გაკეთებულ განცხადებებს აერთიანებთ ის, რომ ეს განცხადებები წარმოადგენს იმ შესაძლო შედეგების იგნორირებას, რომლებიც შეიძლება ამ აქციის შედეგად იუგოსლავიის ტერიტორიული მთლიანობისათვის დამდგარიყო. მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო შეტევის დასაწყისში ზუსტად გარკვეული არ იყო (და არც დღეს არის ზუსტად ცნობილი), თუ რა შედეგს მოუტანდა ეს აქცია იუგოსლავიის ტერიტორიულ მთლიანობას და, შესაბამისად, რა პრეცედენტულ შედეგს შექმნიდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო წრეების მიერ ნატო-ს აქციის მხარდაჭერა ამ პრეცედენტული შედეგის სერიოზული იგნორირება იყო; თუნდაც იმიტომ, რომ ნატო-ს აქციის შესაძლო საბოლოო გავლენა იუგოსლავიის ტერიტორიულ მთლიანობაზე მათთვის უცნობი იყო.

ნატო-ს აქციის მხარდაჭერის გამართლება საქართველოს პოლიტიკური წრეების მიერ მოხდა გარკვეულ ფაქტორებზე დაყრდნობით, როგორცაა, მაგალითად, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების დაცვა, რაც გარკვეულ წრეებში მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლებოდა აფხაზეთიდან დევნილი ქართველი მოსახლეობის ძველ მდგომარეობაში აღდგენის თვალსაზრისით. მაგრამ აღნიშნული პოზიციის თანდაყოლილი სისუსტე მდგომარეობს სულ ცოტა ორ რამეში. ჯერ ერთი, საქართველოს პოლიტიკურ წრეებს გამოჩნათ, რომ დიდი მასშტაბის სამხედრო აქციების წამოწყება ხდება უპირატესად პოლიტიკური დაინტერესების გამო და არა ჰუმანიტარული მოსაზრებებით, თუმცა ადამიანის უფლებები შეიძლება ასეთი აქციების საბაზად იქნას გამოყენებული. მეორეც, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაზე ნატო-ს იუგოსლავიის წინააღმდეგ აქციის მეშვეობით, შესაძლო პრეცედენტის შექმნის თვალსაზრისით, მოხდა იმ გარემოების იგნორირე-

ბა, რომ ამა თუ იმ პოლიტიკური გადაწყვეტილების პრეცედენტული ღირებულება განისაზღვრება არა იმით, თუ ვინ ახორციელებს მას და ვინ სარგებლობს ამით, არამედ, უპირველესად, იმით, თუ რა პრინციპების შესაბამისად ხორციელდება ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება და რა ახალი პრინციპების დამკვიდრებას თუ არსებული პრინციპების რა წესითა და მოცულობით შეცვლას შეიძლება ხელი შეუწყოს ამ პოლიტიკურმა გადაწყვეტილებამ. იმის არგანტურება, თუ რა მოცულობით დაახიანებდა ნატო-ს აქცია იუგოსლავიის ტერიტორიულ მთლიანობას, უტოლდება იმის შეუფასებლობას, თუ რა ადგილი შეიძლება დაიკავოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევამ შეერთებული შტატებისა და ნატო-ს საგარეო-პოლიტიკურ ტრადიციაში, რომელიც სხვა მსგავსი ანალოგიური შემთხვევების გადაწყვეტისას უცილობლად თავს იჩენს. სამწუხაროდ, სწორედ ამის იგნორირებას ჰქონდა ადგილი საქართველოს პოლიტიკური წრეების მიერ.

ეს ყოველივე ერთმანეთისაგან პარალელურად იჩენს თავს ორივე კონფლიქტში, როცა საქმე ეხება სეცესიონისტური მისწრაფებების რეალიზაციის მცდელობებს არჩევნების ჩატარების გზით. აფხაზეთში ჩატარებული ხელისუფლების არჩევნები საერთაშორისო თანამეგობრობამ არ ცნო. ეს დაფიქსირდა ისეთ დოკუმენტებში, როგორებიცაა: ეუთო-ს დასკვნითი აქტები, კერძოდ, ბოლოდროინდელი სტამბულის სამიტიის დეკლარაცია (1999), რომლის მიხედვითაც, “მიმდინარე წელს ჩატარებული ეგრეთ წოდებული საპრეზიდენტო არჩევნები და რეფერენდუმი აფხაზეთში, საქართველო, არის მიუღებელი და უკანონო”.²⁰ ამისგან განსხვავებით, კოსოვოში ჩატარებულ არჩევნებს დასავლეთის დიდმა სახელმწიფოებმა არათუ მხარი დაუჭირეს, არამედ სწორედ მათი მეცადინეობით, გაერო-ს მხარდაჭერითა და ზედამხედველობით ჩატარდა.

აფხაზეთისაგან განსხვავებით, კოსოვოში ჩატარებული არჩევნები არის არა “ნაციონალური”, არამედ ადგილობრივი და არჩეული ორგანო არის არა კოსოვოს ნაციონალური პარლამენტი, არამედ კოსოვოს ადგილობრივი საბჭო. ეს ფაქტი ფორმალურად ამართლებს გაერო-ს ჩართვას საარჩევნო პროცესში, რადგანაც უშიშროების საბჭოს 1244-ე (1999) რეზოლუცია, რომელიც იუგოსლავიის ტერიტორიულ მთლიანობას ადასტურებს, არ დარღვეულა.

²⁰ სტამბულის სამიტიის დეკლარაცია (1999), პუნქტი 17.

კოსოვოში ჩატარებული ადგილობრივი არჩევნების შემდეგ (რომელსაც ბოიკოტი გამოუცხადეს როგორც იუგოსლავიის მთავრობამ, ისე ადგილობრივმა სერებმა) ალბანელ სეპარატისტთა ლიდერები ერთხმად მოითხოვენ კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობას სხვა სახელმწიფოთა მიერ, რადგან, მათი აზრით, ეს არჩევნები, თავისი მნიშვნელობით, დამოუკიდებლობის თაობაზე გამართულ რეფერენდუმს უტოლდებოდა.²¹ ამასთანავე, მსგავს პოზიციას იკავებს შეერთებული შტატების მთავრობა, რომელიც მიიჩნევს, რომ 1244-ე რეზოლუციის მიუხედავად, კოსოვოს დამოუკიდებლობას წინა არაფერი უდგას, რადგანაც კოსოვოს ფაქტიური დამოუკიდებლობა უკვე რეალობაა. ეს არის ბოლოდროინდელი ცვლილება შეერთებული შტატების პოზიციაში, რომელიც ადრე (ფორმალური განცხადებების დონეზე მანც) მხარს უჭერდა იუგოსლავიის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას.²²

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ უახლოეს წლებში არ არის მოსალოდნელი კოსოვოს ტერიტორიული პრობლემის იმ სახით გადაწყვეტა, რომელიც კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარისა და საერთაშორისო პოლიტიკის ყველა მძლავრი აქტორის თანხმობაზე იქნება დამყარებული. გაერო-ს პროტექტორატის ქვეშ მყოფი კოსოვოს დამოუკიდებლობის უპირობო ცნობა თუ არ მოხდება (როგორც აფხაზეთის შემთხვევაში), სავარაუდოა, რომ დაიწყება (უფრო სწორად უკვე დაწყებულია) კოსოვოს ფაქტიური დამოუკიდებლობის მიღწევის პროცესი. ეს სიტუაცია აფხაზეთისა და კოსოვოს სიტუაციებს ერთმანეთთან მეტად აახლოებს. თუმცა კოსოვოს არჩევნების შედეგად არჩეული ორგანო არის არა ნაციონალური პარლამენტი, არამედ რეგიონული წარმომადგენლობითი ორგანო, იგი შეეცდება თავის თავზე აიღოს ნაციონალური პარლამენტის ფუნქციები და ამისთვის გამოიყენებს კოსოვოს მოსახლეობის მიერ მისთვის მიცემულ მანდატს. რა თქმა უნდა, კოსოვოს რეგიონული წარმომადგენლობითი ორგანო არ იქნება გარედან აღიარებული ნაციონალურ პარლამენტად, მაგრამ როგორც დასავლეთის სახელმწიფოები, ისე გაერო და ნატო მას ანგარიშს გაუწევენ როგორც

²¹ Moderate Party Claims Victory in Kosovo Vote, LA Times (30.10.00), www.latimes.com/news/asection (ციტირებულია 31.10.00).

²² Kosovo Leader Wants Independence Now, BBC News (30.10.00), www.news.bbc.co.uk (ციტირებულია 31.10.00).

კოსოვოს მოსახლეობის ნების გამომხატველ ერთადერთ ორგანოს.²³ ასეთ სიტუაციაში მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს არა წარმომადგენლობითი ორგანოს დასახელებას, არამედ მის ფაქტიურ არსსა და პოლიტიკურ წონას, რაც გამოიხატება იმაში, რომ არჩეული ორგანო კოსოვოში დაიწყებს ადგილობრივი პოლიტიკის განსაზღვრასა და წარმართვას. აღნიშნული ორგანოს ნება გადამწყვეტი იქნება ადგილობრივი ადმინისტრაციის შექმნასა და დაკომპლექტებაში; უცხოელ ინვესტორებთან ურთიერთობაში; საერთაშორისო ორგანიზაციებში წარმომადგენლობაში.

ასე რომ, აფხაზეთის მსგავსად, კოსოვო, სახელმწიფოებრიობის ფორმალური ცნობის არარსებობის მიუხედავად, იღებს ფაქტიურ სახელმწიფოებრიობას. აფხაზეთში დღეს არსებობს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც სეპარატისტთა მიერ მიღებულ კონსტიტუციას ემყარება; არსებობს პოლიცია, შეიარაღებული ძალები და სხვა სახელმწიფო სტრუქტურები, ადგილობრივი მმართველობის ჩათვლით. აფხაზეთი ავითარებს დიპლომატიურს თუ არა, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებს მაინც, კერძოდ, ვაჭრობისა და ტურიზმის სფეროში. კოსოვოც მიიხნევა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტიულ სუბიექტად. ეს გამოიხატება როგორც საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების საქმიანობის, ისე პირდაპირი ინვესტიციების დაბანდების პერსპექტივაში. აფხაზეთთან ეკონომიკური ურთიერთობებით ძირეულად არის დაინტერესებული რუსეთი და ეს, პირველ რიგში, აფხაზეთიდან პროდუქციის იმპორტსა და აფხაზეთში ტურიზმის სფეროზე ვრცელდება. დასავლეთის სახელმწიფოებსაც დაგეგმილი აქვთ კოსოვოში ინვესტიციების დაბანდება, რადგან იუგოსლავიიდან კოსოვოს მოწყვეტა მათთვის ახალი ბაზრისა და ახალი საინვესტიციო ნიადაგის შექმნის საფუძველია. ასე რომ, რუსეთისა და დასავლეთის სახელმწიფოების პოლიტიკური პრიორიტეტი მდგომარეობს იმაში, რომ აფხაზეთი და კოსოვო აღარასდროს შეუერთდეს საქართველოსა და იუგოსლავიას. როგორც რუსეთმა, ისე დასავლეთის სახელმწიფოებმა იციან, რომ

²³ ამის დასტური შეიძლება იყოს ისიც, რომ კოსოვოში არჩევნებთან და იუგოსლავიის გაერო-ში მიღებასთან (ეს ორი მოვლენა დროში ფაქტიურად ერთმანეთს დაემთხვა) დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაკეთებულ განცხადებებში იუგოსლავიის ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა საერთოდ აღარ მოიხსენიება.

აფხაზეთსა და კოსოვოში შექმნილი სეპარატისტული მთავრობები, რომლებიც თავიანთ არსებობას მათ უმაღლიან, განსაკუთრებულად მორჩილი იქნებიან მათ მიმართ. საქართველოსა და იუგოსლავიაში სიტუაცია რუსეთისა და დასავლეთისათვის სასურველადაც რომ შეიცვალოს და, შესაბამისად, საქართველო ბოლომდე პრორუსული, ხოლო იუგოსლავია ბოლომდე პროდასავლური გახდეს, რუსეთი და დასავლეთი მანც არ დაუშვებენ საქართველოსა და იუგოსლავიის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. საქართველოსა და იუგოსლავიის ცენტრალური მთავრობები (რომელთაც ეხსომებათ გავლილი კონფლიქტები) არასდროს იქნებიან რუსეთისა და დასავლეთის იმ ხარისხით მორჩილები, რა სახის მორჩილებაც მათ სეპარატისტულმა მთავრობებმა შეიძლება შესთავაზონ. ამა თუ იმ რეგიონის ცენტრალურ მთავრობასთან ერთად კონტროლი ერთია და ამავე რეგიონში საკუთარი ინტერესების სხვასთან უზიარებლად გატარება მეორე. როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, მეორე ვარიანტი ნებისმიერისათვის მომგებიანი იქნება. ასე რომ, დასავლეთისა და რუსეთის როლი, შესაბამისად, კოსოვოსა და აფხაზეთის კონფლიქტებში აბსოლუტურად იდენტური არ არის, თუმცა ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით ერთმანეთს ემთხვევა. კოსოვოს პრეცედენტის შემდგომი განვითარება, მასში მონაწილე აქტორების გავლენისა და ინტერესების გათვალისწინებით, აუცილებლად გავლენას იქონიებს აფხაზეთის კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტაზეც.

შემდეგი საკითხი, რომელსაც განვიხილავთ, არის ტერიტორიული კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივა მოცემულ რეგიონში პოლიტიკური გავლენის ცვლის ფონზე. აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივისათვის მნიშვნელობა აქვს რუსეთსა და დასავლეთს, კერძოდ, შეერთებულ შტატებს შორის კავკასიაში დაპირისპირების შესაძლო შედეგებს. რუსეთის თანდათანობითი პოლიტიკური და სამხედრო დასუსტება ზოგიერთებში იმედს ბადებს, რომ კავკასიაში რუსეთის ნატო-თი ჩანაცვლების პროცესი ხელს შეუწყობს აფხაზეთის კონფლიქტის საქართველოს სასარგებლოდ გადაწყვეტას. რა თქმა უნდა, ცალსახა გამორიცხვა დაუსაბუთებელი იქნებოდა; მაგრამ არანაკლებ დაუსაბუთებელია ამის ცალსახად დადასტურება და აღიარებაც.

ამოსავალი წერტილი მდგომარეობს იმ გარემოებაში, რომ აფხაზეთის დაბრუნება აძლიერებს საქართველოს, როგორც გეოპოლიტიკური

აქტორის როლს; მკვეთრად ზრდის საქართველოს როლს კავკასიაში. ეს ნატო-ს წევრ სახელმწიფოებს გაცნობიერებული აქვთ ისევე, როგორც იუგოსლავიაზე სამხედრო შეტევის დამწყებებმა იცოდნენ, რომ ამას იუგოსლავიის ტერიტორიული მთლიანობის შეუქცევადი დარღვევა შეიძლება გამოეწვია. აქედან გამომდინარე, ნატო და შეერთებული შტატები საქართველოს მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში ქმედით დახმარებას გაუწევენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათთვის სასურველი იქნება კავკასიაში საქართველოს გავლენის ზრდა.

შესაძლებელია საქართველოს გაძლიერება ნატო-მ და შეერთებულმა შტატებმა თავიანთ ინტერესებთან შეუსაბამოდ მიიჩნიონ; ცალკეული დასუსტებული და ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფი აქტორებისაგან შემდგარი კავკასიის რეგიონის გაკონტროლება ბევრად უფრო ადვილია.

შეიძლება შემოგვედავონ, რომ ნატო-ს და შეერთებულ შტატებს, პირველ რიგში, სტაბილურ კავკასიასთან სურთ ურთიერთობა და არა ისეთ კავკასიასთან, რომელიც ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფი რეგიონების დაპირისპირებაშია ჩაფლული. მაგრამ ისიც უნდა გავაცნობიეროთ, რომ სტაბილურობა ფარდობითი ცნებაა და მისი შინაარსი დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე და ამ სიტუაციის მიმართ კონკრეტული პოლიტიკური აქტორის ინტერესებზე. სტაბილურობას თითოეული აქტორი აფასებს იმის მიხედვით, თუ როგორ ესადაგება ეს სტაბილურობა მის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ინტერესებს და რის მოსამოქმედებლად არის ის მზად, რომ არსებული სტაბილურობა (რა სახითაც ეს მას ესმის) უზრუნველყოს. აფხაზი სეპარატისტებისათვის, მაგალითად, სტაბილურობის უმაღლესი ფორმაა იმის შეგრძნება, რომ ენგურის სანაპიროზე და კოდორის ხეობაში შეიარაღებული ქართველი არ ჩანს და აფხაზეთის “დამოუკიდებლობას” საფრთხეს არავინ უქმნის. პალესტინელთათვის სტაბილურობის მწვერვალი ალბათ იერუსალიმის პალესტინის დედაქალაქად გამოცხადებაა, კოსოვოელთათვის კი – იუგოსლავიიდან საბოლოოდ გამოყოფა და, ალბათ, ალბანეთთან შეერთებაც.

ყოველივე ამის ფონზე ნათელია, რომ სტაბილურობის ერთგვაროვანი ცნება არ არსებობს და ყველაფერი იმ აქტორის ინტერესზეა დამოკიდებული, რომელიც მოცემულ რეგიონში სიტუაციას აკონტროლებს. თუ შეერთებული შტატები მიიჩნევენ, რომ დასუსტებული აქტორებისაგან შემდგარი კავკასია უფრო ადვილი გასაკონტროლებელია და უფრო მეტად პასუხობს მის ინტერესებს, იგი არ მიიღებს ქმედით

ზომებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. შესაძლო დესტაბილიზაციას კი შეერთებული შტატები თავისი სამხედრო და ეკონომიკური ძლიერების გამოყენებით აღკვეთს იმ მოცულობით, რომ მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს კავკასიაში საფრთხე არ შეექმნას. კოსოვოს სეცესიონისტური მისწრაფებებისადმი შეერთებული შტატების დამოკიდებულება და ამის შედეგად მიღწეული კოსოვოს პრობლემის გადაწყვეტა უდავოდ იქონიებს გავლენას აფხაზეთის პრობლემისადმი შეერთებული შტატების მიდგომაზე; ეს პროცესი უდავოდ დაამკვიდრებს გარკვეულ სტანდარტებს შეერთებული შტატებისა და ნატო-ს სხვა წევრი ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში ეთნიკური კონფლიქტების გადაწყვეტასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ხელაღებით იმის მტკიცება, რომ შეერთებული შტატები აუცილებლად დაეხმარება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში, თუმცა არც საპირისპიროს ჯიუტად და უპირობოდ მტკიცება წარმოადგენს ჩვენს მიზანს.

პერსპექტივა?

პარადოქსია, რომ ყველაფრის მიუხედავად, დღეს იუგოსლავიის პოზიცია კოსოვოსთან მიმართებაში უფრო პერსპექტიულია, ვიდრე საქართველოსი – აფხაზეთთან. კოსოვოს კონფლიქტში მსხვერპლი გახდა ალბანური უმცირესობა, აფხაზეთისაში კი - ქართული მოსახლეობა. მიუხედავად ამისა, კოსოვოს იუგოსლავიისაგან ფაქტობრივი მოწყვეტის ხარისხი შესამჩნევად უფრო დაბალია, ვიდრე საქართველოსაგან აფხაზეთის მოწყვეტისა. იუგოსლავიის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება კოსოვოში დარჩენილ სერბებს თავისუფლად მიეცათ; ხოლო აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს საარჩევნო უბნების გახსნის საკითხი ჯერაც ოცნების სფეროს არ გასცილება. კოსოვოში მდებარე სერბული ეკლესია-მონასტრების უსაფრთხოების გარანტიად KFOR-ის ჯარები გვევლინება (იმ ქვეყნების ჯარები, რომელთაც იუგოსლავიის წინააღმდეგ ომი გააჩაღეს); სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესია კოსოვოში მოქმედებს და პატრიარქსაც ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მხარის მონახულება. აფხაზეთში მდებარე ქართული ეკლესია-მონასტრების უსაფრთხოების გარანტიები არ არსებობს და ბევრი მათგანი დარბევასა და გაძარცვას დაექვემდებარა; საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ვერანაირად ახორციელებს თავის საქმიანობას აფხაზეთში და პატრიარქის აფხაზეთში

ჩასვლა სავსებით წარმოუდგენელია. ამ განსხვავებების სრულად ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და არც არის საჭირო, რადგან ისინი ყოველდღე მაინც გვახსენებენ თავს.

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, შეუძლებელია იმ სამართლებრივი მექანიზმებისა თუ პროცესების წარმოდგენა, რომლებსაც კოსოვოს ან აფხაზეთის იურიდიულ დამოუკიდებლობამდე საქმის მიყვანა შეუძლიათ. საქართველოსა და იუგოსლავიის ტერიტორიული მთლიანობა დაცულია უპირატესი ძალის მქონე იურიდიული ნორმებითა და პრინციპებით. მათი ნების საწინააღმდეგოდ კოსოვოსა და აფხაზეთის სუვერენიტეტი მხოლოდ უტოპიურ სფეროს თუ შეიძლება განეკუთვნებოდეს. სამაგიეროდ, როგორც აფხაზეთი, ისე კოსოვო დღეს სარგებლობს ფაქტიური დამოუკიდებლობით ან არის მისი ეფექტური მოპოვების პროცესში. სწორედ ეს ფაქტიური დამოუკიდებლობა და არა სუვერენიტეტი საერთაშორისო-სამართლებრივი გაგებით არის ის გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც ხალხების (როგორც სეპარატისტული ჯგუფების, ასევე ტიტულური ერების) პოლიტიკური ცნობიერების განვითარებას განაპირობებს. ხალხის პოლიტიკური ცნობიერება განისაზღვრება იმითაც, თუ როგორი სახელმწიფოს მოსახლეობას წარმოადგენს მოცემული ხალხი.

ზემოთ დავინახეთ, რომ საერთაშორისო საზოგადოება გაერო-სა და ეუთო-ს მიერ მიღებულ დოკუმენტებში სისტემატურად ადასტურებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობას.²⁴ ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საერთაშორისო საზოგადოების მიერ ამა თუ იმ სახელმწიფოს უფლებების ცნობა და შემდგომი დადასტურება მხოლოდ ამ სახელმწიფოს ნეგატიური სუვერენიტე-

²⁴ ლისაბონის დასკვნითი დოკუმენტის (1996) მე-20 პუნქტი. ეუთო-ს გადაწყვეტილებების მიმართ აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ ამ დოკუმენტების მიღება შესაძლებელი გახდა იმ ფაქტის გამო, რომ აფხაზეთი ეუთო-ში წარმოდგენილი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ სეპარატისტების ეს მოსაზრება ეუთო-ს გადაწყვეტილებების სამართლებრივ წონას არ ამცირებს, მას პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა რეალურად გააჩნია. შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ მთიანი ყარაბაღის კონტექსტში აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი გადაწყვეტილებების ეუთო-ს მიერ მიღებას ხელს უშლის სომხეთის პოზიცია, რომელიც ეუთო-ში აზერბაიჯანთან ერთად არის წარმოდგენილი.

ტის დადასტურებაა და, როგორც ასეთი, არ გულისხმობს პრობლემების გადაწყვეტაში დახმარების მზადყოფნას. საკუთარ პრობლემებს სახელმწიფოები აგვარებენ არა საერთაშორისო საზოგადოების მიერ ცნობის მეშვეობით, არამედ საკუთარი მოქმედებებისა და უნარის მიხედვით.²⁵ უდავოა, რომ ეს მოსაზრება ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარებასაც ეხება. რამდენადაც საქართველოს დღეს ამის უნარი არ გააჩნია, იგი მართებულად შეიძლება იწოდებოდეს კვაზი-სახელმწიფოდ.

კვაზი-სახელმწიფოს ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია, რომ იგი საკუთარი პრობლემების მოგვარების დროს სხვა აქტორების ნებაზე დამოკიდებული და ამ პრობლემების გადაწყვეტის დამოუკიდებელი უნარი არ გააჩნია. საქართველოს შემთხვევაში ამ უუნარობის დასტურია აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში გამუდმებით გადაჭარბებული დაიმედება სხვადასხვა აქტორების მიერ (ნატო, გაერო, რუსეთი, შერთებული შტატები). უუნარობას ორი ასპექტი აქვს: მატერიალური და ფსიქოლოგიური. უუნარობის მატერიალური ასპექტი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია სამხედრო და ეკონომიკური რესურსები ტერიტორიული პრობლემის გადასაწყვეტად. უუნარობის ფსიქოლოგიური ასპექტი იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოებას არ აქვს ნათლად წარმოდგენილი, თუ რა გზით უნდა მოგვარდეს კონფლიქტი და რა შედეგამდე უნდა მიგვიყვანოს კონფლიქტის მოგვარებამ. ეს კი იქიდან გამომდინარეობს, რომ არ არსებობს საზოგადოების ხედვა და საზოგადოებრივი კონსენსუსი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან მიმართებაში.

ამ ორმაგი უუნარობის ფონზე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების ფარგლებში ხდება აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების მთელი რიგი პროექტების შემუშავება და როგორც ქართული, ისე დასავლეთის საზოგადოებრიობისათვის წარდგენა. აღნიშნული პროექტები, უპირველეს ყოვლისა, ტერიტორიული საკითხების გადაწყვეტას ეხება და ეფუძნება ნაწილობრივ პროექტების ავტორთა მოსაზრებებს, ნაწილობრივ - უცხოურ გამოცდილებას, იქნება ეს ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბელგია თუ კანადა. რამდენადაც საქართველოს სახელმწიფოსა და ქართულ საზოგადოებას კონფლიქტის მოგვარების მყარი ხედვა არ გააჩნია, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების

²⁵ Jackson, *Quasi-States: Sovereignty, International Relations and the Third World* (1990), 30.

შესახებ საერთაშორისო საზოგადოების მიდგომის თანდათანობით ჩამოყალიბება, ფაქტიურად, ამგვარი პროექტების საფუძველზე და საქართველოს მონაწილეობის გარეშე ხდება. ეს ყოველივე ისედაც ჩამოყალიბებულ და ფრაგმენტულ საქართველოს საგარეო პოლიტიკასა და საზოგადოებრივ აზრს გამუდმებით ფაქტების წინაშე აყენებს, რაზე რეაგირების უნარიც საგარეო პოლიტიკასა და საზოგადოებრივ აზრს არ გააჩნია. მეტიც, საქართველოს კონფლიქტის მოგვარების დამოუკიდებელი ხედვა რომც გააჩნდეს, იგი ამ ხედვას, ზემოაღნიშნული მატერიალური უუნარობის გამო, ვერ განახორციელებს. სახელმწიფოსა და საზოგადოების ამგვარი ორმაგი უუნარობა ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს იმისათვის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტები წარიმართოს და გადაწყდეს არა თავად საქართველოს, არამედ კავკასიის რეგიონით დაინტერესებული სხვა დიდი თუ მცირე სახელმწიფოების ინტერესების შესაბამისად.

ყოველივე ამის ფონზე თვალმისაწვდომ მომავალში ძნელად თუ წარმოსადგენია აფხაზეთის კონფლიქტის იმ სახით მოგვარება, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ეფექტურ უზრუნველყოფაზე იქნება დამყარებული.

Post Scriptum

ამ სტატიის რედაქციისათვის ჩაბარებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მომხდარი ზოგიერთი მოვლენა იძლევა იმის საშუალებას, რომ შემოწმდეს, თუ რამდენად მართებულია ჩვენს მიერ გაკეთებული დასკვნები. მხედველობაში გვაქვს 2001 წლის მარტში მაკედონიაში მომხდარი მოვლენები.

მაკედონიის ალბანური მოსახლეობის (რომელიც სხვადასხვა მონაცემებით ქვეყნის მოსახლეობის 25-იდან 35%-მდე შეადგენს) მოთხოვნა მდგომარეობს მათი, როგორც ეთნიკური ჯგუფის უფლებების გაფართოებაში. კოსოვოელ ალბანელთა მსგავსად, მაკედონიის ალბანელებმაც ამ მიზნის მიღწევა შეიარაღებული გზით გადაწყვიტეს და ამ მიზნით მაკედონიაში საომარი მოქმედებები დაიწყო ალბანელთა “ეროვნული გათავისუფლების არმიამ” (NLA), რომელსაც “კოსოვოს გათავისუფლების არმიისაგან” (KLA) ბევრი არაფერი განასხვავებს. ეს იმიტაც დასტურდება, რომ მაკედონიაში მოქმედ შეიარაღებულ სეპარატისტთა შორის უხვად არიან კოსოვოდან შემოღწეული ალბანელები. მაკედონიის მთავრობამ სეპარატისტთა შეიარაღებულ მოქმედებებს

ძალითვე უპასუხა და მათ მიერ დაკავებული დასახლებული პუნქტები დაიბრუნა. ევროპულმა და ევროატლანტიკური ორგანიზაციებმა (ევროკავშირი და ნატო) მაკედონიის მთავრობის მოქმედებით შემოღობა გამოხატეს, მაგრამ განაცხადეს, რომ გაგებით ეკიდებიან მაკედონიის მიერ საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად მიღებულ ზომებს. ეს ალბათ იმას უნდა მივაწეროთ, რომ მაკედონია ნატო-სთან თანამშრომლობდა იუგოსლავიის წინააღმდეგ საჭირო შეტევების დროს.

მიუხედავად ამ ფორმალური განცხადებისა, ევროკავშირმა და ნატომ სხვა საკითხებში წმინდა პროალბანური პოზიცია დაიკავეს. ისინი მოითხოვენ მაკედონიის მთავრობისაგან, რომ წარმატებული სამხედრო მოქმედებების შემდეგ მაკედონიის მთავრობა ალბანელ სეპარატისტებთან პოლიტიკურ დათმობებზე წავიდეს. ეს მოთხოვნები იმდენად შორს მიდის, რომ ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის კომისარმა ხავიერ სოლანამ მაკედონიის მთავრობისაგან პირდაპირ მოითხოვა ამ ქვეყნის კონსტიტუციის შეცვლა ალბანელთა ინტერესების სასარგებლოდ.

ნებისმიერ შემთხვევაში, ტიტულურ ერსა და უმცირესობას შორის ურთიერთობა არსებითად უკეთესია შეიარაღებულ კონფლიქტამდე, ვიდრე ამ კონფლიქტის შემდეგ. რამდენადაც ეს კონფლიქტი უკვე მოხდა, უდავოა, რომ ალბანელთა დამოკიდებულება მაკედონური უმრავლესობისადმი გაცილებით უარესია, ვიდრე ადრე. ასეთ პირობებში კონსტიტუციის შეცვლა და ალბანური უმცირესობის პოზიციის გაძლიერება თავისთავად ნიშნავს მაკედონური უმრავლესობისა და ცენტრალური მთავრობის პოზიციის შესუსტებას. საღი აზრის მოშველიებით მხოლოდ ორი შესაძლებლობაა გამართლებული: პოლიტიკურ დათმობაზე წასვლა და ამ გზით საომარი მოქმედებების თავიდან აცილება ან, თუ პოლიტიკური დათმობები სასურველად არ მიიჩნევა, საომარი მოქმედებების დაწყება ამ დათმობების თავიდან აცილების მიზნით. გაუგებარია, თუ რაში დაჭირდებოდა მაკედონიის მთავრობას საომარი მოქმედებების დაწყება, თუ იგი პოლიტიკურ დათმობებზე თანახმა იყო. საომარი მოქმედებების დაწყებით მაკედონიამ საკმარისი გასწია საკუთარი სამხედროების სიცოცხლისა და ქვეყანაში სტაბილურობის თვალსაზრისით. პოლიტიკური დათმობა კი მას აიძულებს უარი თქვას იმ სარგებელზე, რომელსაც მას სამხედრო მოქმედებების წარმატებით დასრულება მოუტანდა.

ეს ევროატლანტიკურ სტრუქტურებს, ბუნებრივია, გაცნობიერებულ აქვთ. მაგრამ მათ, მიუხედავად ამისა, წაუყენეს მაკედონიას ზემოხსენებული მოთხოვნები. სწორედ ეს ადასტურებს ჩვენს მიერ გამოტანილ დასკვნას იმის შესახებ, რომ ევროატლანტიკური სტრუქტურების საგარეო-პოლიტიკურ ტრადიციაში მკვიდრდება მიდგომა, რომელიც სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის იგნორირებას ემყარება და ამან უკვე სერიული ხასიათი მიიღო.

ფაქტია, რომ მაკედონიამ იუგოსლავიის წინააღმდეგ ნატო-ს აქციის აქტიური მხარდაჭერის სამაგიეროდ ვერაფერი მიიღო. მაკედონიის მთავრობამაც, ამ ქვეყნის მოსახლეობამაც და ევროატლანტიკურმა სტრუქტურებმაც მშვენივრად იციან, რომ ალბანელი სეპარატისტების ძირითადი მიზანი ე.წ. “დიდი ალბანეთია”, რომელიც ამჟამინდელი ალბანეთის, კოსოვოსა და მაკედონიის ალბანური ნაწილისაგან უნდა შედგებოდეს და რომ ალბანელები მიღებულ პოლიტიკურ დათმობებს ამ მიზნისათვის გამოიყენებენ (ისევე როგორც ვერავინ დაეჭვდება იმაში, რომ აფხაზი სეპარატისტების საბოლოო მიზანი დამოუკიდებლობა ან რუსეთთან შეერთებაა, ზოლო ოსი სეპარატისტებისა – ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანება). მეორეს მხრივ, პოლიტიკურ დათმობებზე უარის თქმა ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ურთიერთობების გაუარესების ტოლფასია და არავინ იცის, რა გადაწყვეტილებას მიიღებს მაკედონიის მთავრობა. ერთი რამ კი ნათელია: ადრე თუ გვიან საქართველოს მმართველი წრეებიც მსგავს მოთხოვნებს უნდა მოელოდნენ აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში. საეჭვოა, რომ საქართველოს ჩამოუყალიბებელმა და ფრაგმენტულმა საგარეო პოლიტიკამ და საზოგადოებრივმა აზრმა ამ პროცესებს რაიმე სერიოზული დაუპირისპიროს.

საქართველოს ასეთ სიტუაციაში მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ქონდეს, რაც ილუზიაა: ქვეყანას არ გააჩნია რეალური შეიარაღებული ძალები და სახელმწიფო ბიუჯეტი. ამასთანავე, როგორც მაკედონიის, ისე საქართველოს მთავრობებმა მათ ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტებთან დაკავშირებით გადადგმული ნაბიჯები საკუთარი ქვეყნების საზოგადოებრივ აზრს უნდა შეუთანხმონ. თუმცა, ამ კონფლიქტების მიმდინარეობა კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ზოგიერთი სოციოლოგის მიერ დასმულ შეკითხვას: არსებობს კი საზოგადოებრივი აზრი?

V ადამიანის უფლებათა დაცვა

ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია – ეფექტური საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი

ლევან ბობაშვილი

მონტესკიე წერდა: „როდესაც მოვინახულებ ამა თუ იმ ქვეყნას, მე ვინტერესდები არა იმით, არის თუ არა იქ კარგი კანონები, არამედ იმით, თუ როგორ სრულდებიან ისინი, ვინაიდან კარგი კანონების ნახვა ყველგან შეიძლება“. საერთაშორისო სამართლის ეფექტური ნორმის შემუშავებისას წამოჭრილი ნებისმიერი სირთულე სიმწვავეს კარგავს ამ ნორმათა ამოქმედებასთან დაკავშირებულ სირთულეთა წინაშე. საერთაშორისო სამართლის ისტორია იძლევა მრავალ მაგალითს იმისას, თუ საუკეთესოდ დამუშავებული ნორმები როგორ იქნა იგნორირებული პრაქტიკაში. საკმარია დავასახელოთ 1928 წლის ბრაიან-კელოგის პაქტი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და ომის აკრძალვის წარუმატებელი მცდელობები აქვე გვახსენდება გაცვეთილი ფრაზა – „საერთაშორისო სამართალი არ მოქმედებს“.¹

თუმცა, საერთაშორისო სამართალი მოქმედებს და უფრო ხშირად საქმე გვაქვს მის გამოყენებასთან ეროვნული სამართლებრივი სისტემების სფეროში. თუ გადაწყვეტილების მიღებისას ეროვნული სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანო ხელმძღვანელობს ხელშეკრულების დებულებით, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმით ან რომელიმე სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმით, საერთაშორისო სამართალი მოქმედებს ისეთივე ეფექტურობით, როგორითაც თვით ეროვნული სამართლებრივი სისტემა. მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეექვსე მუხლი აცხადებს: „ყველა ხელ-შეკრულება, რომლებიც დადებულია, ან დადებულ იქნება შეერთებული შტატების მიერ... ქვეყნის უზენაესი კანონებით“. გარდა ამისა, უზენაესმა

¹ მონტესკიე „Notes sur l'Angleterre/Oeuvres Completes“, P. 331-332 (1964).

სასამართლომ დაადგინა, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი არის ამერიკის ზოგადი სამართლის ნაწილი.² საერთაშორისო სამართალში მომუშავე იურისტთა უმრავლესობა, განსაკუთრებით სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ საერთაშორისო ეკონომიკური სამართლის სხვადასხვა წრეებში, მაგალითად, საერთაშორისო კომერციულ, კორპორაციულ, სავაჭრო ან სავადასახადო სამართალი, კმაყოფილებიან ეფექტურობის ამგვარი დონით, რამდენადაც მათ წინაშე არსებული ამოცანების გადაჭრისას ისინი ეყრდნობიან ეროვნულსამართლებრივ და არა საერთაშორისო სამართლის რომელიმე სისტემას. ეროვნული სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვა ჩვეულებრივი საშუალებაა საერთაშორისო სამართლის ნორმათა პრაქტიკაში რეალიზაციის განსახორციელებლად. მართლაც, საერთაშორისო ურთიერთობებზე საერთაშორისო სამართლის ზემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ქმედითი მიმართულებაა საერთო წესების შემოღება, რომლებიც გამოყენებული და ეფექტურად მოქმედი იქნება ერთდროულად ერთ, ორ ან რამდენიმე ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში.

ვამახვილებთ რა ყურადღებას საერთაშორისო სამართლის არაეფექტურობაზე, ჩვენ მხედველობაში ვიღებთ არა იმას, თუ როგორ ტრანსფორმირდება საერთაშორისო სამართალი შიდასახელმწიფოებრივად და რეალიზდება ამ უკანასკნელის ჩარჩოში, არამედ საერთაშორისო სამართლის არაეფექტურობა გამოიხატება მათი გამოყენებისას საერთაშორისოსამართლებრივ სისტემაში, რაც მასში არ უნდა იგულისხმებოდეს. ლაპარაკია არა იმდენად საერთაშორისო სამართლის ნორმათა კრებულზე, არამედ საერთაშორისო სამართლებრივ პროცედურაზე. საკითხი უნდა დაისვას შემდეგნაირად: რამდენად ეფექტურია საერთაშორისო სამართლის ნორმები საერთაშორისო სამართლებრივი პროცედურისას?

საერთაშორისო სამართლებრივ პროცედურაში საერთაშორისო სამართლის ეფექტურობის საკითხისადმი იურისტების ყურადღება გამოიხატება საერთაშორისო სამართლის ტრადიციულ კრიტიკაში, ეყრდნობიან რა მოსაზრებას, რომ იგი არ არის „სამართალი“. XIX საუკუნეში ცნობილმა ინგლისელმა იურისტ-პოზიტივისტმა, ჯონ ოსტინმა, სპეციალურად განიხილა ურთიერთკავშირი ნორმასა და მისი აღსრულების მექანიზმს

2 M.W. Janis, An introduction to International Law 83-105 (1993).

შორის. იგი ამტკიცებდა, რომ რეალურად „სამართლის“ განსახორციელებლად აუცილებელია სუვერენი, ხოლო რამდენადაც საერთაშორისო სუვერენი არ არსებობს, საერთაშორისო სამართალი თავისი განსაზღვრებით არის არა „სამართალი“, არამედ მორალის ნორმა.³ 1961 წელს ჰარტმა პოზიტივიზმის თანამედროვე მოდელში აღიარა, რომ ენობრივი და ტრადიციული თვალსაზრისით, სამართლიანია, რომ საერთაშორისო სამართალს ვუწოდოთ „სამართალი“, თუმცა იქვე მიუთითა, რომ მისივე დაკვირვებით საერთაშორისო სამართალი წარმოადგენს არა ეროვნული სამართლებრივი სისტემის ანალოგს, არამედ პრიმიტიულ სამართლებრივ სისტემას, რომელიც შეიცავს პირველად (ზოგად) წესებს – ვალდებულებებს, თუმცა, იქ არ მოიძებნება მეორადი (უფრო დაკონკრეტებული) წესები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა მოგვეხიზნა პირველადი წესების ეფექტური ფორმულირება, გვეცნო (გვეღიარებინა) ან გამოგვეყენებინა (განგვეხორციელებინა) ისინი.⁴

მიუხედავად მეცნიერთა შორის უთანხმოებისა, არც ოსტინი, არც ხარტი და არც სხვა ავტორები არ იძლევიან საერთაშორისო სამართლის საერთო დახასიათებას იურისპრუდენციის თვალსაზრისით და არც საერთაშორისო სამართლებრივი პროცედურის ნაირსახეობას აქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საერთაშორისო სამართლის ეფექტურობისა და, მთლიანად, მისი სამართალთან მსგავსების პრობლემებზე მსჯელობისას, როგორც წესი, გამოითქმის მოსაზრება, რომ არსებობს საერთაშორისო სამართლის ერთგვარი სისტემა (თუნდაც არაეფექტური) და რაღაც ერთიანი, საერთო, ინტეგრირებული და იერარქიულიც კი – საერთაშორისო სამართლებრივ პროცედურათა სისტემა. ფაქტიურად, საქმე სხვაგვარადაა. იმის მიუხედავად, რომ არსებობს საერთაშორისო სამართლის ზოგიერთი სფეროები და საერთაშორისო ინსტიტუტები, რომლებიც შეიძლება უნივერსალურად ჩაითვალოს, მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მის მიერ შემუშავებული სამართალი, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ზოგიერთი ნორმები ან შესაძლებელია ჩვეულებითი სამართალი და *ius cogens*, - საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და პროცედურების დიდ ნაწილს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ რიგი სახელმწიფოებისთვის,

³ Austin J., *The Province of Jurisprudence Determined* (1st ed., 1832).

⁴ Hart H. L. A., *The Concept of Law* (1961).

რომელთა მიერაც ამ სამართლის ნორმათა დაცვა ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე ხდება, ისეთ პოპულარულ ხელშეკრულებებსაც კი, როგორებიცაა გენერალური ხელშეკრულება ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ და საერთაშორისო სავალუტო ფონდი. თეზისი, რომ არსებობს საერთაშორისო სამართლის ერთგვარი სისტემა, ისეთივე ზუსტია, როგორც იმის მტკიცება, რომ არსებობს ეროვნული სამართლის ერთგვარი სისტემა, ზუსტად ისევე, როგორც არსებობს ეროვნული სამართლისა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მრავალი სისტემა, სამართალიც მრავალია.

იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს საერთაშორისოსამართლებრივი პროცედურების მრავალსახეობა, კიდევ ერთხელ შეგვიძლია შევცვალოთ მათი ეფექტურობის შესახებ კითხვის ფორმულირება და ამ კითხვაზე პასუხიც გვექნება. ისმის კითხვა: როგორი საერთაშორისოსამართლებრივი პროცედურებია ეფექტური? კითხვის შეცვლით ჩვენი ამოსავალი წერტილი ხდება სწორი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც არსებობს საერთაშორისოსამართლებრივ ნორმათა სხვადასხვა სისტემები, ვიდრე რა მხედველობაში იმ ფაქტს, რომ ერთი შესაძლებელია იყოს მეორეზე უფრო ეფექტური და პირიქით.

XX საუკუნის დამდეგს, მაქს ვებერმა, გააანალიზა რა ურთიერთკავშირი სამართალსა და საზოგადოებას შორის, „სამართალი“ განსაზღვრა როგორც “წესრიგის სისტემა, რომელიც ფლობს მისი ემპირიული სინამდვილის აღზატობის რიგ კონკრეტულ გარანტიებს”.⁵ ვებერის აზრით, „გარანტიები“, რომლებიც თან უნდა ახლდეს სამართალს, უფრო რთულია, ვიდრე ოსტინის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, სამართლის (უფლებების) განსახორციელებლად აუცილებელია „სუვერენი“. ვებერი წერდა „ძალდატანების აპარატის“ შესახებ, ანუ ერთი ან რამდენიმე პირის ერთობლიობის შესახებ, „რომელთა განსაკუთრებული ფუნქციაა მზადყოფნა, რათა უფლებათა განსახორციელებლად გამოიყენონ სპეციალურად გათვალისწინებული ძალდატანების საშუალება (სამართლებრივი ძალდატანება ან იძულება)“. ძალდატანების აპარატმა შესაძლებელია გამოიყენოს ძალდატანების ფსიქოლოგიური და ასევე ფიზიკური საშუალებები და შეუძლია პირდაპირ ან ირიბად შეეწი-ნააღმდეგოს სისტემის მონაწილეებს.

⁵ Weber M., Law in Economy and Society 13 (Rhein and Shils, გავ.1954 წ.).

გასაკვირია სამართალმცოდნეთა არასაკმარისი ყურადღება საერთაშორისო სამართლის ეფექტურობასთან დაკავშირებული პრობლემის მიმართ. საერთაშორისო სამართლის მკვლევარ ავტორთა უმრავლესობას აინტერესებს ნორმები და არა პროცედურები. როგორც ჩანს, მეცნიერთა მიერ აღნიშნული საკითხის გვერდის ავლა ნაწილობრივ აიხსნება პოლიტოლოგებისა და იურისტ-სამართალმცოდნეების მიდგომათა შორის განსხვავებით: იურისტთა სტიქია ნორმებია და არა საერთაშორისო ურთიერთობები, ხოლო პოლიტოლოგებისთვის პირიქით.

ყველაზე ცნობილი საერთაშორისო ტრიბუნალი - ჰააგის საერთაშორისო სასამართლო, ძალიან ხშირად აღმოჩენილა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შექმნილი ნაწილობრივ არაეფექტური საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის ნაწილად. ეს არ აკნინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემას, პოლიტიკურ პლანში ის ძალზე მნიშვნელოვანია. შესაძლებელია მხოლოდ იმის თქმა, რომ დღეისათვის ჰააგის სასამართლო და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თეორეტიკოსებისთვის უფრო ნაკლებ ინტერესს წარმოადგენს, რამდენადაც, ძირითადად, ისინი არაეფექტურ სამართლებრივ ინსტრუმენტებად გვევლინებიან.

თეორიულად, გაცილებით საინტერესოა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის საფუძველზე შექმნილი საერთაშორისო სამართლებრივ ნორმათა სისტემა: მის ჩარჩოში ოფიციალური იურიდიული სტრუქტურა – ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლო სტრასბურგში ახორციელებს რეალურ ძალაუფლებას. მათი ეფექტურობა საერთაშორისო მასშტაბში გადაუჭარბებელია, გამონაკლისი შესაძლებელია იყოს ევროპის კავშირის სასამართლო და ლუქსემბურგის პირველი ინსტანციის სასამართლო.

ქვემოთ მოყვანილი არგუმენტები და მონაცემები ნათელს გახდის საერთაშორისო სამართლებრივი პროცედურის პოტენციურ ეფექტურობას.

ევროპული სამართალი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არის არა მხოლოდ პრეცედენტული სამართლის მნიშვნელოვანი კრებული, რომელიც ეხება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საერთაშორისო სამართლის არსს, არამედ იგი არის საერთაშორისო სამართლებრივი პროცედურის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და საინტერესო მაგალითი. რა თქმა უნდა, ევროპული სამართლის სისტემა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არ გარდაისახება ევროპაში ვიღაც „სუვერენში“;

ხოლო მისი ინსტიტუტები არ შედიან სუვერენული ხელისუფლების რომელიმე სუვერენულ სისტემაში, რაც შესაბამისობაში მოვიდოდა „სამართლის“ ოსტინისეულ ვიწრო და პოზიტივისტურ განმარტებასთან. ზოგიერთ მიმართებებში ეს აქცევს კარგ მოდელად ევროპულ სამართალს ადამიანის უფლებათა შესახებ. მთლიანობაში, დღეისათვის მსოფლიოში არ არსებობს სუვერენულ ორგანოთა ხელისუფლება, რომელსაც მიესადაგებოდა ოსტინისეული განსაზღვრება და, როგორც ჩანს, ისინი არც მომავალში წარმოიშობიან. შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ინსტიტუტები, რომლებიც შექმნილია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ევროპული სისტემების მიხედვით, მიუთითებენ იმის არსებობაზე, რასაც ხარტი დაარქმევდა მეორად წესებს. ამგვარ შემთხვევაში ეს სქემები უნდა მიემსავლოს არა პრიმიტიულ, არამედ ცნობილ ეროვნულ სამართლებრივ სისტემებს. ვებერის აზრით, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საერთაშორისო სამართლის მსგავსი სამართლებრივი სისტემა შესაძლებელია საკმაოდ ზუსტად განვსაზღვროთ, კერძოდ, როგორც სამართლებრივი ძალდატანების (იძულების) სისტემა, რომელიც ემყარება როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური საშუალებების გამოყენებას და სისტემის მონაწილეებზე, უფრო ზუსტად კი სახელმწიფოებზე, უზრუნველყოფს – როგორც პირდაპირ, ისე ირიბ ზემოქმედებას.

პირველივე შეფასებისას შესაძლებელია კიდევ გაგვიკვირდეს, რომ ამგვარ მოვლენას ადგილი აქვს ისეთ სფეროში, როგორცაა ადამიანის უფლებათა დაცვა. პოლიტიკურად არადედიკატური პრობლემები, რომელთაზეც ამგვარ სისტემას უნდა ჰქონდეს საქმე, შესაძლებელია მოგვეჩვენოს განსაკუთრებულად მიუღებელ სფეროდ ზენაციონალური ფსიქოლოგიური კონსენსუსის ფორმირებისათვის. განმარტება შესაძლებელია იმალებოდეს არსებით განსხვავებაში – სახელმწიფოთა თანხმობასა და სამართლის მიერ შემოთავაზებული ნორმების საერთო ხასიათსა და მათი რეალიზაციის მექანიზმებში – ერთი მხრივ და მეორე მხრივ ნორმათა რეალურ გამოყენებასა და მექანიზმების ამოქმედებას შორის. უფრო მეტიც, დისკუსიებში, რომლებიც თან სდევდა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პროცესს, აისახა მრავალი მოსაზრება და არსებითი უთანხმოებები, ამის საპირისპიროს კი ის გარემოება წარმოადგენს, რომ შემუშავებულ იქნა სახელმწიფოთა ქცევის საერთო სტანდარტები.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სისტემა დროთა მანძილზე სულ უფრო ფართო აღიარებას ჰპოვებდა, მიუხედავად ევროპის სასამართლოს სადავო გადაწყვეტილებებისა. როგორც ქვემოთ ვიხილავთ, ქვეყნების უმრავლესობამ, რომლებიც შეუერთდნენ კონვენციას, დააფიქსირეს თავიანთი მზადყოფნა დაემორჩილონ აღნიშნულ გადაწყვეტილებებს, რაც გაცილებას იწვევს. ამის მიზეზი ბევრია, მაგრამ ჩვენთვის მხოლოდ ერთი ფაქტორია მნიშვნელოვანი, ეს არის სამართლის ფორმათა მისტიკა. არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ითქვას, რომ ეროვნული სახელმწიფოები, უბრალოდ, რაღაც არასასამართლო ორგანოს (რომელიც მთლიანად უცხოელებისაგან შედგება) მითითებით, უარს იტყვიან თავიანთ კანონებზე; მაგრამ, თუ ეს განკარგულებები იურიდიულად გაფორმებულია როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებები, მათთვის წინააღმდეგობის გაწევა ძნელია. შეუსრულებლობა იქნებოდა არა მხოლოდ უთანხმოება პოლი-ტიკურ საკითხებში (რისი გამართლებაც შესაძლებელია), არამედ ადამიანის უფლებებისა და მათი დაცვის პრინციპების უარყოფა, რის გარანტიაც იქცევა სახელმწიფო ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სისტემასთან შეერთებისას. თანამედროვე ევროპაში ამგვარი უარი, როგორც წესი, პოლიტიკური თვალსაზრისით არ ითვლება რეალურ ალტერნატივად. რა თქმა უნდა, ამგვარი მიდგომა ლოგიკურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, ფაქტიურად, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები ევროპულ კონვენციაში თავიდანვე დაცული ქვეყნის საერთო სტანდარტების ნაწილად გვევლინება. მართლაც, სასამართლოს გადაწყვეტილებების იურიდიული ფორმა, როგორც ჩანს, შეესაბამება ამ მოსაზრებას. ეყრდნობა რა სამართლის ზოგად ნორმას, სასამართლო გადადის არსებული ნორმის საფუძველზე გასაჩივრებული ქმედების ნეიტრალურ განხილვაზე. ამგვარი პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის სავალდებულობა უკვე დიდი ხანია უარყოფილ იქნა სასამართლოს მიერ არსებითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესუალური წესით.⁶ სასამართლო გადაწყვეტილებების უსასრულო პრობლემა გამოქვეყნებულ აბსტრაქტულ ნორმებსა და კონკრეტულ შემთხვევებში ამ ნორმების მოხმარებას შორის არსებული მანძილი (იქნებ უკეთესი იყოს სიტყვა „განხეთქილება“). აღნიშნული პრობლემის გარშემო ჯერ კიდევ კონვენციის შემუშავების პროცესში ყოფილა სერიოზული დებატები, რის საფუძველდაც კონვენციის

⁶ The Logic and Rhetoric of Constitutional Law, 15 Journal of Philosophy (1918).

დებულებების არაერთმნიშვნელოვანი განმარტება უნდა ჩაითვალოს. ერთ-ერთი დელეგატი მოუწოდებდა კოლეგებს მოეხდინათ დებულებათა გარკვეული და ნათელი განმარტება, რათა შემდეგში არ დამდგარიყო მათი სხვადასხვაგვარი კომენტარების საკითხი; ბრიტანელმა დელეგატმა კი გაილაშქრა კონვენციის ფორმულირებების წინააღმდეგ, რომლებიც, მისი აზრით, „ათასი და ერთი განმარტების“ საშუალებას იძლევიან.⁷

როგორც მოგვიანებით გახდა ნათელი, ამგვარი ეჭვები უსაფუძვლო ნამდვილად არ იყო. უფლებათა სიტყვიერი ფორმულირება, როგორც წესი, ზოგადი და არაკონკრეტული აზრის მატარებელია. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო კი პირდაპირ აცხადებს, რომ ნორმათა შემოქმედებით განმარტებას სასამართლო კომპეტენციის შემაღვენელ ნაწილად მიიჩნევს. თავის ამოცანას კი იგი იმაში ხედავს, რომ „განავითაროს კონვენციაში დაცული ნორმები“, რომელიც განხილულ უნდა იქნეს როგორც ცოცხალი დოკუმენტი.⁸

ევროპის სამართლებრივი სისტემების ნაირსახეობა

კონვენცია უფლებას აძლევს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოს განახორციელოს ერთგვარი კვაზი – კონსტიტუციური ზედამხედველობა სახელმწიფო უფლებამოსილების გამოყენებაზე. ამგვარი კონტროლი შესაძლებელია დაწესდეს, იმის მიუხედავად, სახელმწიფოს ქმედება (რომელსაც ეხება სარჩელი) განპირობებულია თუ არა უშუალოდ პირველადი კანონმდებლობით, სასამართლო გადაწყვეტილებით ან მმართველი უწყების თუ სხვა სახელმწიფო ორგანოს აღმასრულებელი ზომებით.

თითოეული კონვენციის მონაწილე 30 და მეტ სახელმწიფოს აქვს საკუთარი კონსტიტუციური და პოლიტიკური ისტორია, ასევე სამართლებრივი სისტემა, შესაბამისად, მრავალფეროვანია იქ მოქმედი კონსტიტუციური და სამართლებრივი სისტემებიც. კონსტიტუციების ერთი ნაწილი უკვე ას წელს ითვლის, მეორენი ბოლო ათი წლის განმავლობაში შეიქმნა, როდესაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები კომუნიზმის გავლენისაგან გათავისუფლდა. თითქმის ყველა სახელმწიფოს

⁷ *Travaux preparatoires*, ტომი 1, 80, 148.

⁸ *Ireland v. United Kingdom*, Judgment of 18 Jan. 1978.

კონსტიტუცია ამა თუ იმ ფორმით ითვალისწინებს ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. მაგრამ კონსტიტუციათა განსხვავება მდგომარეობს იმაშიც, თუ როგორ განსაზღვრავენ ისინი დასაცავ უფლებებსა და თავისუფლებებს (უფლებათა „კატალოგი“) და იმ წესებს, რომლებსაც ისინი ამ უფლებათა განსახორციელებლად იყენებენ.

მაგალითად, გერმანიაში ძირითადი უფლებების ისედაც ფართო კატალოგის უზენაესი გარანტი, ძირითადი კანონის პირველი ნაწილის მიხედვით, მოქმედი ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოა. იგი ახორციელებს კონსტიტუციურ კონტროლს ფედერალურ კანონმდებლობასა და აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე, რომლებიც არღვევენ და ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციურ დებულებებსა და ადამიანის უფლებებს. არსებობენ ასევე ადმინისტრაციული სასამართლოები, რომელთა მთავარი ფუნქცია სახელმწიფო ორგანოების აქტების შემოწმება და მათი კონსტიტუციურობის დადგენაა. ამის საპირისპიროდ, გაერთიანებულ სამეფოში არ არის არც „დაწერილი“ კონსტიტუცია და ადამიანის უფლებათა „კატალოგი“. კანონის უზენაესობის დოქტრინა უფლებას არ აძლევს სასამართლოებს აკონტროლონ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონთა შინაარსი, ამასთან, ჩვეულებრივი სასამართლოები ასრულებენ სამთავრობო უწყებებისა და სხვა სახელმწიფო ორგანოების აქტების კანონიერების კონტროლისა და ზედამხედველობის მნიშვნელოვან ფუნქციას. მოცემული კონტროლი ისეთ სფეროებზე ვრცელდება, როგორებიცაა, კანონქვემდებარე აქტები და საჯარო სამართლითა და ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები.

კონტროლის კიდევ ერთ, განსხვავებულ ფორმას ვხვდებით საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის კონსტიტუციაში, რომლის მიხედვითაც, კანონთა კონსტიტუციურობის კონტროლი საკონსტიტუციო საბჭოს პრეროგატივაა. ეს უკანასკნელი, მიღებული პარლამენტის მიერ, თუმცა ჯერ ძალაში არმქსული, კანონების ე.წ. პრევენციულ კონტროლს ახორციელებს, მაგრამ საფრანგეთში ჩვეულებრივი სასამართლოები არ არიან უფლებამოსილი იმსჯელონ ძალაში შესულ კანონთა კონსტიტუციურობაზე. მთავრობის გადაწყვეტილებებისა და აქტების, ასევე სამთავრობო და სახელმწიფო ორგანოთა გადაწყვეტილებების კონტროლი შედის სახელმწიფო საბჭოსა და ტრიბუნალების კომპეტენციაში, მათი უფლებამოსილება ვრცელდება

სახელმწიფო ორგანოთა სახელშეკრულებო და სხვა სახის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ დავებზე – დავებზე, რომელთა მოგვარებაც ევროპის სხვა სამართლებრივი სისტემების უმრავლესობაში ჩვეულებრივი სამოქალაქო სასამართლოების ფუნქციაა.

ეროვნული სასამართლო სისტემების სწორედ ამ განსხვავებებზე კეთდება აქცენტი მაშინ, როცა საუბარია ინდივიდუალური უფლებებისა თუ თავისუფლებების დაცვაზე. ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის ამოცანაა საერთაშორისო დონეზე შეავსოს ამ სისტემებში არსებული ხარვეზები, თუ ისინი შიდასახელმწიფოებრივ საფეხურზე გამართულია და სრული არ არიან.

სახელმწიფოთა ვალდებულება უზრუნველყონ კონვენციის უზენაესი პრინციპი ეროვნული სამართლის ჩარჩოში

მიუხედავად იმისა, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები შეიძლება ატარებდნენ კვაზი კონსტიტუციურ ხასიათს, კონვენცია ფორმალურად რჩება ხელშეკრულებად, საერთაშორისო სამართლის ნაწილად. ხელშეკრულების არსებობა, შინაარსი, განმარტება და სავალდებულო ძალა, ეს ის საკითხებია, რომლებსაც არეგულირებს საერთაშორისო სამართალი და პირიქით, - საკითხი იმის შესახებ, აქვს თუ არა ხელშეკრულებას რაიმე ძალა ეროვნული სამართლის ჩარჩოში, უპირველეს ყოვლისა, რეგულირდება მოცემული სახელმწიფოს საკონსტიტუციო სამართლით.⁹ თუ ხელშეკრულება აუცილებლად უნდა განხორციელდეს ეროვნული სამართლის ჩარჩოში (როგორებიცაა, მაგალითად, ხელშეკრულებები ევროპული გაერთიანებების შექმნის შესახებ), მაშინ ამგვარი ვალდებულება აღემატება ეროვნულ სამართალში არსებულ ნებისმიერ დაბრკოლებას. მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ საერთაშორისო სამართლის დონეზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, თავის გასასამართლებლად სახელმწიფოს არ შეუძლია დაეყრდნოს შიდა, ეროვნულ სამართალს (კონსტიტუციურის ჩათვლით).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, იკვეთება რამდენიმე საკითხი:

1. ითხოვს თუ არ კონვენცია, რომ სახელმწიფოებმა:

⁹ Jacobs F.G., Roberts S. (eds), *The Effect of Treaties in Domestic Law* (1987).

ა) უშუალოდ მიანიჭონ ძალა კონვენციით დაცულ კონკრეტულ უფლებებსა და თავისუფლებებს ეროვნული სამართლის ჩარჩოში;

ბ) ეროვნულ სამართალში გაითვალისწინონ, ჩართონ პროცედურა, რომელიც ცალკეულ პირებს საშუალებას მისცემს გამოიყენონ სამართლებრივი დაცვის საშუალებები მათი კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევისას.

2. ვალდებულია თუ არა სახელმწიფო მიიღოს ზომები კონვენციის დარღვევის შემდგომ დადგენილი დებულებების, პირობების შესასწორებლად? მაშინაც კი თუ 1(ა) და (ბ) კითხვებზე პასუხი უარყოფითია, ეს ხელს არ უშლის კონვენციის დებულებებს ამოქმედდნენ უშუალოდ, ეროვნული სამართლის ჩარჩოში, თუ ეს დასაშვებია მოცემული სახელმწიფოს კონსტიტუციური სამართლით.

კონვენციის პირველი მუხლი თითოეულ სახელმწიფოს აკისრებს ფუნდამენტურ ვალდებულებას მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა ადამიანისათვის უზრუნველყოს კონვენციით განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. მე-13 მუხლის თანახმად, ყოველი ადამიანი, რომლის კონვენციით განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებებიც ირღვევა, ფლობს სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებას სახელმწიფო ორგანოების მიმართ მაშინაც კი, თუ ამგვარი დარღვევა ჩადენილ იქნა ოფიციალური სტატუსით მოქმედ პირთა მიერ.

საკმეში – *Swedish Engine Drivers' Union v. Sweden*,¹⁰ შვედეთის სახელმწიფო რკინიგზის მუშათა უმცირესობის წარმომადგენელმა პროფ. კავშირმა იჩივლა მე-11 მუხლით (ასოციაციების უფლება) გარანტირებული უფლების დარღვევის გამო, სარჩელში მითითებული იყო, რომ მუშათა უმცირესობის წარმომადგენელ პროფ.კავშირს უფლებას არ აძლევდნენ მონაწილეობა მიეღო კოლექტიური ხელშეკრულებების მომზადებაში, სადაც დაშვებულ იქნა მუშათა უმრავლესობის წარმომადგენელი პროფ.კავშირი. სასამართლომ დაადგინა, რომ მე-11 მუხლი არ ითვალისწინებს კოლექტიური ხელშეკრულებების მომზადებაში ამა თუ იმ პროფ.კავშირის მონაწილეობის უფლებას.

უმცირესობის წარმომადგენელი პროფ.კავშირი ასევე აცხადებდა, რომ ირღვეოდა მე-13 მუხლი, ვინაიდან შვედეთის კანონმდებლობით, მას არ

¹⁰ 1978 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება.

პქონდა სხვა ეფექტური საშუალება, რათა დაკმაყოფილებულიყო მისი სარჩელი, გარდა შვედეთის შრომითი სასამართლოსი. სარჩელის მოცემულ ასპექტზე ევროპის სასამართლომ დაადგინა:

შვედეთის კანონმდებლობა სთავაზობს პროფ.კავშირს – განმცხადებელს, სამართლებრივი დაცვის საშუალებას – საქმის აღძვრას შვედეთის შრომით სასამართლოში, რაც მან უკვე გამოიყენა. სარჩელი არ იქნა დაკმაყოფილებული, მაგრამ ეს არ არის იმის დასტური, რომ მოცემული სამართლებრივი საშუალება არაეფექტურია. პირიქით, თუ გადავხედავთ 1972 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებას, ნათელი გახდება, რომ შრომითმა სასამართლომ მოქმედი კანონმდებლობის შუქზე, შვედეთის საერთაშორისო ვალდებულებების ჩათვლით, დაწვრილებით განიხილა წარდგენილი სარჩელი. გარდა ამისა, არც მე-13 მუხლი და არც მთლიანად კონვენცია არ ითვალისწინებენ კონკრეტულ ინსტრუმენტებს, რომელთა ჭრილშიც ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნ-ველყოფნა კონვენციის ამა თუ იმ დებულების ეფექტური განხორციელება თავიანთ შიდა სამართალში.

ამგვარად, სასამართლო დაეთანხმა კომისიის მოხსენების 98-ე პუნქტს და განაცხადა, რომ მე-13 მუხლი გამოყენებადია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია კონვენციის სხვა მუხლით გარანტირებული უფლება. საქმეში – *Republic of Ireland v. United Kingdom*, ირლანდიის მთავრობა ჩიოდა კონვენციის 1-ლი მუხლის დარღვევის გამო, რამდენადაც ჩრდილოეთ ირლანდიის სამართალი პირდაპირ არ კრძალავდა კონვენციით გათვალისწინებული შესაბამისი უფლებების შეზღუდვას.

ირლანდიის მთავრობის შენიშვნა მდგომარეობდა შემდეგში: ექვს საგრაფოში მოქმედი კანონები პირდაპირ არ კრძალავდა კონვენციის მე-3,5,6 და მე-14 მუხლებით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას. ზოგიერთი კანონი და ასევე ადმინისტრაციული პრაქტიკის ფორმა, პირიქით, სანქცირებულს ხდის ასეთი სახის შეზღუდვებს. ამგვარად, გაერთიანებული სამეფო თითოეულ ამ მუხლთან მიმართებაში არღვევს სახელმწიფოთაშორის ვალდებულებებს, პირველი მუხლით გათვალისწინებული კერძო პირთა მიმართა მისი ვალდებულებებიდან ცალკე, რაც ითვალისწინებს: ხელშემკვრელი მხარეები თავიანთი იურისდიქციის ქვეშ მყოფი თითოეული ადამიანისთვის უზრუნველყოფენ კონვენციის პირველ ნაწილში განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

არც ბრიტანეთის მთავრობა და არც კომისია თავის მოხსენებაში არ დაეთანხმა მოცემულ მოსაზრებას. ისინი თვლიან, რომ პირველი მუხლი არ შეიძლება ჩაითვალოს ცალკეული დარღვევის საგნად, ვინაიდან იგი არ წარმოადგენს კონვენციის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი უფლებებისა და თავისუფლებების დამატებას.

პირველი მუხლი, მე-14.2, მე-13 და 63.1 მუხლებთან ერთად, კონვენციის მოქმედების სფეროდ გამოყოფს *ratione personae, materiae* და *loci*-ს; იგი ასევე გვევლინება როგორც კონვენციის სავალდებულობის დამადასტურებელ ერთ-ერთ მუხლად. პირველი მუხლის ფორმულირება მიგვითითებს კონვენციის პირველ ნაწილზე და, ამგვარად, მოქმედებს მხოლოდ მასთან ერთად. პირველი მუხლის დარღვევა ავტომატურად გამოძინარეობს პირველ ნაწილით განსაზღვრული დებულებების დარღვევიდან, მაგრამ არაფერს ამატებს მათ; ძველად, როდესაც სასამართლო გამოააშკარავებდა ხოლმე ამგვარ დარღვევებს, მას არასდროს მიუთითებია, რომ, შესაბამისად, დარღვეულ იქნა პირველი მუხლიც. სასამართლომ თანმიმდევრულად განაცხადა, რომ სახელმწიფო არ არის ვალდებული გამოიყენოს კონვენციით გარანტირებული უფლებების უზრუნველყოფის კონკრეტული ხერხი, კერძოდ, უზრუნველყოს კონვენციის ნორმათა ჩართვა ეროვნულ სამართალში. მთავარია, რომ ცალკეულმა პირებმა, რომელთა უფლებებიც ილახება ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანობით, არსებითად ისარგებლონ მათთვის კონვენციით განსაზღვრული გარანტიებით.

ამგვარმა მიდგომამ გავლენა ჰპოვა სასამართლოს მიერ მე-13 მუხლის განმარტებაზეც. ბევრი განმცხადებელი ამტკიცებდა (უმრავლესობა უშედეგოდ), რომ მე-13 მუხლი მოითხოვს, რომ ეროვნულ სამართალში არსებობდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული კონვენციის აშკარა დარღვევები. 1984 წელს ორმა მოსამართლემ (მატჩერმა და პინიერუ ფანერია) გამოთქვა განსხვავებული აზრი: ჩვენ ვაღიარებთ, რომ მე-13 მუხლი, ეს არის კონვენციის ყველაზე უფრო ბუნდოვანი მუხლი, ხოლო მისი განმარტება – ყველაზე უფრო რთული. ამიტომაც თითქმის ოცი წელია კონვენციის შემქმნელი ორგანოები გაუზიან მის ანალიზს, ასახელებენ რა უმეტეს წილად ნაკლებ დამაჯერებელ მიზეზებს.¹¹ მაგალითად, *Malone*-ს საქმეზე სასამართლომ დაადგინა: იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ

დარღვეულია კონვენციის მე-8 მუხლი, სასამართლო არ ხედავს იმის აუცილებლობას, რომ იმსჯელოს მე-13 მუხლის დარღვევაზე. მოსამართლეებმა იქვე დაამატეს, რომ ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებებში შეინიშნება მე-13 მუხლის განმარტების ტენდენცია.¹²

მე-13 მუხლი აცხადებს, რომ ნებისმიერი პირი, რომლის კონვენციით გარანტირებული უფლებებიც “დაირღვა”, უნდა ფლობდეს სახელმწიფო ორგანოების მიმართ სამართლებრივი დაცვის ეფექტურ საშუალებას, მაშინაც კი, თუ დარღვევა ჩადენილ იქნა ოფიციალური სტატუსით მოქმედი პირების მიერ. ერთი შეხედვით, ეს დებულება სიტყვასიტყვით მიუთითებს იმაზე, რომ პირს აქვს სამართლებრივი დაცვის ეროვნული საშუალებების გამოყენების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარღვევა რეალურად სახეზე იყო. ამავდროულად, პირი ვერ შეძლებს ეროვნულ ორგანოში დაამტკიცოს, ჰქონდა თუ არა ადგილი დარღვევის ფაქტს, თუ ვერ შეძლებს ამგვარ ორგანოში შესაბამისი სარჩელის შეტანას. შესაბამისად, კონვენციის ფაქტიური დარღვევა არ შეიძლება იყოს მე-13 მუხლის გამოყენების წინაპირობა. სასამართლოს აზრით, მე-13 მუხლი მოითხოვს, რომ, თუ პირი თავს თვლის დაზარალებულად იმ გარემოების გამო, რომელიც, როგორც მტკიცდება, არღვევს კონვენციას, სახელმწიფო ორგანოს წინაშე უნდა ფლობდეს სამართლებრივი დაცვის საშუალებას, რათა მიიღოს გადაწყვეტილება როგორც მის მიერ წარდგენილ სარჩელზე, ასევე აუცილებლობის შემთხვევაში ზარალის ანაზღაურების უფლებაზე. ამგვარად მე-13 მუხლი უნდა განიმარტოს როგორც სახელმწიფო ორგანოთა წინაშე სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალების გარანტი თითოეული ადამიანისთვის, ვინც ამტკიცებს, რომ დარღვეულია კონვენციით განსაზღვრული მისი უფლებები და თავისუფლებები.

კონვენციის ინკორპორაცია პროვნულ სამართალში

როგორც ზემომოყვანილ მაგალითიდან დავინახეთ, სასამართლო არ მოითხოვს, რომ სახელმწიფოები ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის ინკორპორაციას ახდენდნენ ეროვნულ სამართალში: კონვენციის დარღვევად არ მიიჩნევა ის, რომ ეროვნულ სასამართლოებს არ შეუძლიათ

¹¹ *Malone v. United Kingdom*, 1984 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება.

¹² *Klass v. Germany* და *Silver v. United Kingdom* საქმეები.

კონვენციით გათვალისწინებული უფლებების პირდაპირ განხორციელება. ფაქტიურად, კონვენცია ბევრი სახელმწიფოს ეროვნულ სამართალშია ინკორპორირებული და მასზე დაყრდნობა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოებში. რიგ სახელმწიფოებში მდგომარეობა სხვაგვარია (უპირველესად, გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიაში) – კონვენცია ეროვნული სამართლის ჩარჩოში არ მოქმედებს უშუალოდ. ამ მიმართულებით კონვენციას აქვს ნაკლებად მტკიცე პოზიცია, ვიდრე ხელშეკრულებებს ევროპული გაერთიანების შექმნის შესახებ, რომლებიც პირდაპირ მოითხოვენ, რომ ყველა წევრ სახელმწიფოს სასამართლოს ჰქონდეს შესაძლებლობა ერთნაირად დაიცვან ცალკეული პირის უფლებები, გაერთიანების მიერ შემოთავაზებული გარანტიებიდან გამომდინარე, მაშინაც კი, თუ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება მანიშნებელი იქნება იმისა, რომ ამით შეიცვლება ან საერთოდ გამოუყენებელი დარჩება ეროვნული სამართლის დებულებები.

ვინაიდან კონვენცია აღნიშნული საკითხის რაღაც ერთგვაროვნად განსაზღვრულ გადაწყვეტას არ ითვალისწინებს, შესაბამისად განსხვავებულია ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა ეროვნულ სამართალში კონვენციის რეალიზაციის ხარისხიც. ეს განსხვავება მნიშვნელოვანი დოზით ასახავს თითოეული წევრი სახელმწიფოს ეროვნული სამართლის ტრადიციებსა და დებულებებს, ხელშეკრულებების დამდეგი აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციასა და, ასევე, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთმიმართებას. რიგ ქვეყნებში სამართლებრივი ტრადიცია იხრება “მონიზმისაკენ” – ლტოლვა იმისკენ, რომ მინიმუმამდე დავიდეს დაშორიშორება (ანუ შემცირდეს მანძილი) საერთაშორისო და ეროვნულ სამართალს შორის. დანარჩენ შემთხვევებში ტრადიცია ეყრდნობა “დუალიზმს”, რაც გულისხმობს ეროვნული და საერთაშორისო სამართლის მკვეთრ გამოიჯვანას. ვფიქრობთ, უფრო საინტერესო იქნება კონკრეტული სახელმწიფოების ეროვნულ პრაქტიკაში არსებული მაგალითების განხილვა ზემოხსენებულ სახესხვაობათა ფონზე.¹³

ავსტრიაში მოცემული საკითხები, სხვა ქვეყნებთან შედარებით მეტად განვითარდა: აქ კონვენციას ეროვნული კონსტიტუციის სტატუსი აქვს და, ამგვარად, პრიორიტეტით სარგებლობს მასთან წინააღმდეგობაში მყოფ ეროვნული სამართლის ნორმებთან, მიუხედავად მათი მიღების

¹³ Марк Дженис, Ричард Кей, Европейское право в области прав человека (1997), стр. 499.

თარიღისა. ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლო მზადაა შეასრულოს სტრასბურგის სასამართლოს კონვენციის განმარტების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები.

ბელგიაში, საფრანგეთში, ნიდერლანდებსა და შვეიცარიაში კონვენციის უშუალოდ გამოსაყენებელი დებულებებო ჩართული არ არიან ეროვნულ კონსტიტუციაში, მაგრამ მოქმედებენ ეროვნული სამართლის ჩარჩოში და პრიორიტეტით სარგებლობენ ეროვნული სამართლის მათთან შეუსაბამო დებულებებთან მიმართებაში, მიუხედავად ეროვნული სამართლის ნორმათა მიღების თარიღისა. ამ კონტექსტში კონვენციას მეტი ძალა აქვს, ვიდრე ჩვეულებრივ კანონმდებლობას, ვინაიდან ნორმათა იერარქიაში ერთი და იმავე საფეხურზე მყოფი ორი დებულების კონფლიქტისას უპირატესობა უფრო გვიან მიღებულს ენიჭება (*lex posterior derogat lege priori*).

ბელგიაში კონვენციის პოზიციები საკონსტიტუციო სასამართლოს ავტორიტეტული გადაწყვეტილების შედეგად განმტკიცდა, რომელმაც 1971 წელს, ევროპის გაერთიანების სამართლის საქმესთან დაკავშირებით, დაადგინა, რომ ყველა ხელშეკრულებების უშუალოდ გამოსაყენებელი დებულებები პრიორიტეტით სარგებლობენ მათთან წინააღმდეგობაში მყოფ ეროვნული კანონმდებლობის დებულებებთან მიმართებაში, მიუხედავად იმისა, ესა თუ ის დებულება შესული იქნა ძალაში ხელშეკრულების რატიფიკაციამდე თუ მას მერე.

საფრანგეთში საკონსტიტუციო სასამართლომ (1975 წ.) და სახელმწიფო საბჭომ (1989 წ.), მნიშვნელობის მიხედვით, ერთნაირი გადაწყვეტილებები, 1958 წლის საფრანგეთის კონსტიტუციის 55-ე მუხლის გამოყენების შესახებ, რომლის მიხედვითაც: „სათანადო წესით რატიფიცირებულ ან მოწონებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს გამოქვეყნებისთანავე აქვთ უფრო მეტი იურიდიული ძალა, ვიდრე შიდასახელმწიფოებრივ კანონებს, თუ ხელშეკრულების ან შეთანხმების მეორე მხარეც ამ პირობას იცავს“.¹⁴

ნიდერლანდებში ანალოგიური კონსტიტუციური დებულებების ამოქმედებამ მიგვიყვანა იქამდე, რომ სასამართლოები სულ უფრო ხშირად უშუალოდ იყენებენ კონვენციას. ნიდერლანდების კონსტიტუციის 93-ე მუხლის მიხედვით, ხელშეკრულებათა დებულებები და საერთაშორისო

¹⁴ საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ავთანდილ დემეტრაშვილის რედაქციითა და კომენტარებით.

ორგანიზაციათა გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიძლება ყველასათვის სავალდებულო იყოს, ასეთად ჩაითვლება გამოქვეყნების მომენტიდან. სიტყვები - „შეიძლება სავალდებულო იქნას ყველასათვის“, ზოგადად გაიგება როგორც მინიშნება იმაზე, რომ აღნიშნულ დებულებებს თავად გაანჩიათ აღსრულებადი ძალაუფლება, ე.ი. თვითაღსრულებადი არიან, რასაც ნიდერლანდების სასამართლოები მოითხოვენ იმ დოკუმენტებისაგან, რომელთა გამოყენებასაც აპირებენ. კონვენციაში შეტანილი უფლებები აღნიშნული სასამართლოების მიერ მიჩნეულია თვითაღსრულებადად და ამიტომ მათ პირდაპირ იყენებენ.¹⁵

ნიდერლანდების კონსტიტუციის 94-ე მუხლის მიხედვით, „კანონები, რომლებიც ძალაშია ნიდერლანდების სამეფოში, არ უნდა იქნეს გამოყენებული, თუკი მათი გამოყენება წინააღმდეგობაში იქნება საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეკრულებებისა და გადაწყვეტილებების დებულებებთან, რომლებიც სავალდებულოა ყველასთვის“. აღნიშნულის გამო ნიდერლანდების სასამართლოები ვალდებული არიან თვითაღსრულებადი ხელშეკრულებების დებულებებს უპირატესობა მიანიჭონ შიდასახელმწიფოებრივ კანონებთან შედარებით, რომლებიც წინააღმდეგობაშია ამ დებულებებთან, წინ უსწრებს ამ დებულებებს თუ მათი მომდევნოა, ამ კანონთა ორგანულობისა თუ კონსტიტუციურობის მიუხედავად, ორგანული თუ კონსტიტუციური სამართალია.

რაც შეეხება შვეიცარიას, 1974 წელს, კონვენციის რატიფიცირების შემდგომ, ამ ქვეყნის მოსამართლეები სულ უფრო ხშირად ხელმძღვანელობენ სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტებით. გერმანიასა და იტალიაში კონვენციის უშუალოდ გამოსაყენებელ დებულებებს ყველაზე ხშირად ჩვეულებრივი კანონმდებლობის ძალა აქვთ, ანუ, პრინციპში, კანონმდებლობასთან მიმართებაში პრიორიტეტით სარგებლობენ.

ლაპარაკია ეროვნულ სამართალზე, რომელიც მოქმედებდა კონვენციის ძალაში შესვლამდე, ხოლო უფრო გვიანდელი კანონმდებლობა შესაძლებელია უპირატესი ძალა ჰქონდეს კონვენციის დებულებებზე. ამავდროულად, გერმანიაში კონვენციის პრიორიტეტი უფრო ბევრს ნიშნავს, ვიდრე ამ ფორმალურ დებულებებზე მითითებიდან შეიძლება დავასკვნათ. მაგალითად: 1987 წელს გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ, პრინციპში, კონვენცია პრიორიტეტით

¹⁵ “ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებების დაცვა“, 1998 წლის გამოცემა.

სარეგულაციო უფრო გვიან მიღებულ კანონმდებლობასთან, თუ ნათლად არ არის გამოკვეთილი, მითითებული და ჩამოყალიბებული საკანონმდებლო ორგანოს სხვაგვარი პირობა და ის, რომ ძირითადი კანონი განმარტებულ უნდა იქნეს კონვენციის ჭრილში. რაც შეეხება იტალიას, სასამართლოები კონვენციით გათვალისწინებული უფლებების უშუალო რეალიზაციას იშვიათად ახდენენ.

ირლანდიასა და გაერთიანებულ სამეფოში კონვენცია ინკორპორირებული არ არის ეროვნულ სამართალში და იგი უშუალოდ არ გამოიყენება ეროვნული სასამართლოების მიერ. ძველად ასეთივე მდგომარეობა იყო სკანდინავიის ქვეყნებშიც, მაგრამ დანიაში (ძალაში შევიდა 1992 წლის 1 ივლისს), ისლანდიაში (1994 წ. 30 მაისს), შვედეთსა (1995 წლის 1 იანვარს) და ნორვეგიაში (1995 წლის ბოლოს) მიიღეს კანონები კონვენციის ეროვნულ სამართალში ჩართვის შესახებ.

საქართველოს შემთხვევაში საქმე გვაქვს ეროვნულ კანონმდებლობაში კონვენციის ჩართვასთან. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში ვკითხულობთ „... საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“.¹⁶

იქ, სადაც კონვენცია ინკორპორირებული არ არის ეროვნულ სამართალში, სასამართლოებს შესაძლებელია მოუწიონ ამა თუ იმ პრეტენზიის უკუგდება იმ მიზეზით, რომ ეს პრეტენზია დაუსაბუთებელია ეროვნული სამართლის ნორმებით. თუმცა მოდავე მხარეს რჩება უფლება ამტკიცოს, რომ დარღვეულია კონვენციით გარანტირებული უფლება. ამ სიტუაციაშიც კი ზოგიერთმა პრეზუმპციებმა შესაძლებელია შეამციროს იმის ალბათობა, რომ სასამართლო მიიღებს კონვენციის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას. ერთი პრეზუმპცია მდგომარეობს იმაში, რომ, თუ არსებობს ეროვნული კანონის კონვენციის შესაბამისი გონივრული განმარტება, მაშინ სასამართლო გამოიყენებს მას და არა კონვენციის დებულებათა საპირისპიროს. კიდევ ერთი პრეზუმპციის მიხედვით, თუმცა კონვენცია ფორმალურად არ არის ეროვნული სამართლის ნაწილი, ამის მიუხედავად, მას შეუძლია დაეხმაროს ეროვნული სამართლის განვითარებასა და შიდასახელმწიფოებრივ კანონებში გაურკვევლობის მოხსნის პროცესს.

¹⁶ „ევროპის საბჭო და ადამიანის უფლებების დაცვა“, ლ. ბოძაშვილი, 1998 წ.

მესამე პრინციპი, რომლის გამოყენებაც ეროვნულ სასამართლოებს შეუძლიათ მდგომარეობს შემდეგში: სახელმწიფო თანამდებობის პირებმა, იქიდან გამომდინარე, რომ მათ ევალებათ საკუთარი სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებების ცოდნა, უნდა გაითვალისწინონ ცალკეულ პირთა კონვენციით განსაზღვრული უფლებები, რომლებიც ეხება ამა თუ იმ პირის ინტერესებს და ამგვარად განახორციელონ აღმასრულებელი უფლებამოსილება.

კონვენციის სტატუსმა განსაკუთრებული სიძნელეები მოუტანა გაერთიანებულ სამეფოს, რომლის „დაწერილი“ კონსტიტუცია ფორმალურად არანაირად არ იცავს ძირითად უფლებებს და არ ითვალისწინებს პირველადი კანონმდებლობის კონსტიტუციური გადასინჯვის პროცედურას.

ხელისუფლების სამეფო პრეროგატივების თანახმად, გაერთიანებულ სამეფოს სრული უფლება აქვს დადოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციის რატიფიკაციისას ისარგებლა კიდევ ამ უფლებით. ამავდროულად, ხელშეკრულებას არ შეუძლია შეცვალოს გაერთიანებული სამეფოს სამართალი, თუ ეს დადგენილი არ არის პარლამენტის აქტით. სასამართლოები არ არიან უფლებამოსილი რეალობაში გაატარონ სახელშეკრულებო სამართალი და ვალდებულებები, გარდა იმ ნაწილებისა, რომლებიც ეროვნულ სამართალში სახელშეკრულებო სტატუტებითაა ჩართული. იმის მიუხედავად, რომ 1951 წელს გაერთიანებული სამეფო იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა, მოგვიანებით, ბრიტანეთის მთავრობა არასდროს შეხებია კონვენციის ინკორპორაციის საკითხს.

1978 წელს ღონდონელი ანტიკვარიატით მოვაჭრე *Malone*-ს¹⁷ წინააღმდეგ მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი არაკეთილსინდისიერების ბრალდებით, შედეგად იგი გაამართლეს, ხოლო მან, თავის მხრივ, საქმე პოლიციის წინააღმდეგ აღძრა, რათა უმზღლეს სასამართლოს ელიარებინა, რომ პოლიცია არ იყო უფლებამოსილი მოესმინა მისი ტელეფონი. მოცემული საქმის განხილვისას, მოსარჩელე ეყრდნობოდა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე “*Klass v. Germany*”. იგი ამტკიცებდა, რომ ტელეფონის მოსმენის შესახებ კანონის არარსებობისა და ამ პრაქტიკაზე კონტროლის დაუწესებლობის გამო, მისი საკუთარი ტელეფონის მოსმენამ დაარღვია კონვენციის მე-8 მუხლით

¹⁷ *Malone v. Metropolitan Police Commissioner*, 1979.

გათვალისწინებული უფლება პირადი ცხოვრების პატივისცემის შესახებ. მოსამართლემ, რომელიც გაეცნო ზემოხსენებულ პრეცედენტს, განაცხადა „მე შემიძლია ვთქვა, რომ მოცემული საქმე, ჩემი აზრით, დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ ტელეფონის მოსმენა არის პრობლემა, რომელიც მოითხოვს სასწრაფო საკანონმდებლო დარეგულირებას. ამის მიუხედავად, ხელისუფლებამ უარი განაცხადა შესაბამისი კანონის მიღებაზე. მაგონემ საქმე გადასცა სტრასბურგის კომისიას და 1984 წელს სასამართლომ მხარი დაუჭირა განმცხადებლის მტკიცებას იმის შესახებ, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული მისი უფლება. მხოლოდ ამის შემდეგ, 1985 წელს, კომუნიკაციებთან მიერთების კანონმა გაითვალისწინა სამართლებრივი დაცვის საშუალებები უკანონო მოსმენის შემთხვევაში. თუმცა დღესაც არ შეიძლება დარწმუნებით იმის თქმა, რომ 1985 წლის კანონით დადგენილი კონტროლის სისტემა პასუხობს კონვენციის ყველა მოთხოვნას. აღნიშნული კანონი მხოლოდ არეგულირებს ტელეფონის მოსმენას და ეროვნული სამართლით არ უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების გარანტირებას.

1995 წელს, ბრიტანეთის მთავრობა განაგრძობს შიდა სამართალში კონვენციის საკანონმდებლო ინკორპორაციის მომხრეთა მოსაზრებების უარყოფას, თუმცა მოსამართლეები და ოპოზიციური პარტიები სულ უფრო აქტიური ხდებიან. ინგლისელი მოსამართლეები გამოთქვამენ მხადყოფნას გამოიყენონ პრინციპი, რომლის მიხედვითაც, უნდა დავასკვნათ, რომ, თუ საერთაშორისო ვალდებულებების წარმოშობი ხელშეკრულებების დადების შემდგომმა კანონი მიღებული, საკანონმდებლო ორგანო მიზნად არ ისახავს ამ ხელშეკრულების დარღვევას. ლორდ დიპლოკმა ამ პრინციპის რეზიუმირება შემდეგნაირად მოახდინა: “გაერთიანებული სამეფოს სტატუტების განმარტების ერთ-ერთი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ, თუ სტატუტი მიღებულია გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო ვალდებულებებთან დაკავშირებული ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ, მისი განმარტება უნდა მოხდეს ისე, რომ შესრულდეს ვალდებულება და ადგილი არ ჰქონდეს წინააღმდეგობას, თუ გონივრული იქნება მათთვის ამგვარი აზრის მიჩიქება”. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვაგვარი ფორმით ამგვარი მიდგომა ფიქსირდება ბევრ სხვა სამართლებრივ სისტემაში, როგორებიცაა: დანია, საფრანგეთი, იტალია. აღნიშნული პრინციპი არ გამოიყენება იმ სტატუტების განმარტებისას, რომლებიც შესაბამისი ხელშეკრულების დადებამდე იქნა მიღებული.

მიუხედავად იმისა, რომ, გაერთიანებულ სამეფოში კონვენცია არ სარგებლობს სამართლის ფორმალური წყაროს ავტორიტეტით, არ შეიძლება იგნორირება გაუწიოთ მის გავლენას საკანონმდებლო და სასამართლო პოლიტიკის ფორმირებაზე. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ევროპული სახელმწიფოები სულ უფრო ხშირად მიმართავენ კონვენციას, არის მისი მჭიდრო კავშირები ევროპული გაერთიანების სამართალთან.

კონვენციის კავშირი ევროპის გამართიანების სამართალთან

ევროპული გაერთიანების (ევროგაერთიანების) სამართალი ნიშნავს იმას, რასაც ევროპულმა სასამართლომ უწოდა ახალი სამართლებრივი წესრიგი საერთაშორისო სამართალში, თუმცა იგი სათავეს იღებს ხელშეკრულებათა სერიიდან. მისი ეფექტურობა განპირობებულია იმით, რომ ის მოქმედებს უშუალოდ წევრი სახელმწიფოების ეროვნული სამართლის დონეზე. როგორც არაერთხელ მიუთითა ევროპის სასამართლომ, ყოველმა ეროვნულმა სასამართლომ მისი განსჯადი საქმის წარმოებისას უნდა გამოიყენოს ევროპის საბჭოს სამართალი მთელი თავისი სისრულით და დაიცვას ის უფლებები, რომლებსაც ეს უკანასკნელი ცალკეულ პირებს ანიჭებს და, შესაბამისად, უარყოფილ უნდა იქნას ეროვნული სამართლის ნებისმიერი საწინააღმდეგო დებულება, იმის მიუხედავად, მიღებულია ისინი გაერთიანების სამართალთან შეერთებამდე თუ მას მერე.¹⁸

მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ცხარე კამათი გაერთიანების სამართლის გამოყენებისას ეროვნულ სასამართლოებს უნდა განეხორციელებინათ თუ არა ცალკეული პირების უფლებები, იმის მიუხედავად, რომ ხელშეკრულებები ევროპული გაერთიანებების შექმნის შესახებ ამას პირდაპირ არ მოითხოვენ. ერთ-ერთი პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ ამ სახელმწიფოებში სხვადასხვანაირადაა განსაზღვრული ძირითადი უფლებები. იმავდროულად, გაერთიანების სამართლის უხედავობა, ეროვნული კონსტიტუციების მიხედვით, არ უთანხმდება სამართლის სხვადასხვანაირ გამოყენებას. გასაგებია ისიც, რომ მიზნისთვის უკეთესია გამოვიყენოთ საერთაშორისო წყაროდან მომდინარე ადამიანის უფლებათა განსაზღვრა. 1974 წელს ხომ ადამიანის უფლებათა დაცვის

¹⁸ Henry J. Steiner and Philip Alson, *International Human Rights in Context, Law, Politics, Morals* (1996).

ევროპის კონვენცია რატიფიცირებულ იქნა ყველა სახელმწიფოს – გაერთიანების წევრების, მიერ.

მეორე ფაქტორად გვევლინება ის, რომ წევრი სახელმწიფოების იურისტებმა (კერძოდ გერმანიაში), რომლებმაც ძირითადი უფლებები მაღალ კონსტიტუციურ რანგში აიყვანეს, მოითხოვეს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების გადაცემა ეროვნული ორგანოებიდან გაერთიანების ორგანოებისათვის არ უნდა ყოფილიყო ძირითადი უფლებების დაცვის შესუსტების მანიშნებელი.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ თავდაპირველად უარი განაცხადა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სამართალზე გაერთიანების სამართლის პრიორიტეტის აღიარებაზე და მან მხოლოდ მას შემდეგ შეიცვალა პოზიცია, როდესაც ნათელი გახდა, რომ ევროპის სასამართლო უზრუნველყოფდა ადამიანის უფლებებისა და ევროპული ხელშეკრულებების განმარტებისა და გამოყენებისას სამართლის საერთო პრინციპების დაცვას.

1969 წელს, ევროპის სასამართლომ განაცხადა, რომ უზრუნველყოფდა ძირითადი უფლებების გარანტს ევროპული გაერთიანების კონტექსტში. მოგვიანებით გადაწყდა, რომ დაცვას დაქვემდებარებული ძირითადი უფლებების განხილვისას სასამართლო გაითვალისწინებდა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ხელშეკრულებებს, კონკრეტულად კი, - ევროპის კონვენციას. 1986 წელს, ვინმე *Johnston*-ის საქმეზე გადაწყვეტილების მე-18 პუნქტში სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლები თავისთავში მოიცავენ სასამართლო კონტროლის მოთხოვნას, რაც გვევლინება სამართლის საერთო პრინციპად, რომელიც ზოგადია და ყველა წევრი სახელმწიფოს კონსტიტუციური ტრადიციის საფუძველში დევს.¹⁹

ადამიანის უფლებათა პატივისცემის ვალდებულება ეხება არა მხოლოდ გაერთიანების სამართლის განმახორციელებელი ეროვნული ხელისუფლების საქმიანობას, არამედ ვრცელდება გაერთიანების კომისიისა და საბჭოს მიერ მიღებულ ზომებზეც.

¹⁹ Марк Дженис, Ричард Кей, Европейское право в области прав человека, (1997), стр. 542.

ევროპული დაწესებულებების ინტეგრაცია გაღრმავდა და კონვენცია სულ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა გაერთიანების სამართალს. 1977 წლის 5 აპრილს ევროპარლამენტმა, საბჭომ და კომისიამ მიიღეს ერთობლივი დეკლარაცია, რომელშიც ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული კონსტიტუციებისა და ევროპის კონვენციიდან მომდინარე ძირითადი უფლებების დაცვას. 1992 წლის ევროპის კავშირის შექმნის შესახებ მასტრიხტის ხელშეკრულების F2 მუხლის მიხედვით, გაერთიანების თორმეტმა სახელმწიფომ დაადგინა, რომ კავშირი პატივს სცემს და დაიცავს წევრი სახელმწიფოებისათვის საერთო კონსტიტუციური ტრადიციებითა და ევროპის კონვენციით გარანტირებული ძირითად უფლებებს, როგორც გაერთიანების სამართლის ძირითად პრინციპებს.²⁰

და ბოლოს, გამომდინარე იქიდან, რომ კონვენციაც, თავის მხრივ, თავისებურად მოითხოვს, რომ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენისთანავე სახელმწიფომ მიიღოს საკანონმდებლო ან სხვა ზომები, რათა აღარ განმეორდეს მსგავსი დარღვევები, ცხადი ხდება, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ, განსაკუთრებით იქ, სადაც კონვენცია ინკორპორირებული არ არის ეროვნულ სამართალში, შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, თუ რამდენად ზუსტად ხდება სახელმწიფოების მიერ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება.

²⁰ Erik Lundberg, *the Protection of Social Rights in the European Community*, (1994).

ადამიანის უფლებათა დამცველი (ომბუდსმენი) და საერთაშორისო სტანდარტები

გიორგი ბარათაშვილი

.....როდესაც საზივარი თავისუფლად მოსმენილი და გაგებულია, საფუძვლიანად შესწავლილი და დროულად რეფორმირებული, სამოქალაქო თავისუფლების უდიდესი მიღწევაა, თუ ყოველივე ამას თვალყურს ადევნებს ვინმე ბრძენი ადამიანი..

ჯონ მილტონი, არეოპაგეტი

I. შესავალი ნაწილი

ინსტიტუტი, რომელიც წინამდებარე სტატიაშია გადმოცემული, თანამედროვე ისტორიის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული¹ სტრუქტურა, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვას ემსახურება და ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ეს არის ადამიანის უფლებათა დამცველი, ანუ ომბუდსმენი. ყოველივე ზემოთ აღნიშნული გამომდინარეობს თეორიიდან, თუ როგორ უნდა უზრუნველყოთ და დავიცვათ ადამიანის უფლებები ისე, როგორც ეს განსაზღვრულია ქვეყნის კონსტიტუციასა და სხვა სამართლებრივ აქტებში, რომლებიც მიმართულია ბიუროკრატიული აპარატისა და სახელმწიფო ხელისუფლების თანამდებობის პირთა მიერ ძალაუფლების უკანონოდ გამოყენებისა და თვითნებობის წინააღმდეგ. ეს არის სისტემა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა იყოს იმპლემენტირებული ქვეყანაში სამართლის წესი.

ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტების უმრავლესობა შეიძლება დაჯგუფებული იყოს ორი კატეგორიის მიხედვით, ერთი - ადამიანის უფლებათა დაცვის **კომისიები** ან **კომიტეტები** და **სახალხო დამცველები**, ანუ ომბუდსმენი, ხოლო მეორე - ნაკლებად გავრცელებული და არანაკლებ მნიშვნელოვანი, ე.წ. **სპეციალიზირებული** ეროვნული ინსტიტუტები, რომელთა ფუნქციონირების საგანს

¹ Al-Wahab, Ibragim, *The Swedish Institute of Ombudsman, Stockholm, 1979.*

ეროვნული, ენობრივი თუ რელიგიური უმცირესობებისა და მკვიდრი მოსახლეობის უფლებების დაცვა წარმოადგენს.²

ადამიანის უფლებათა დამცველის ანუ, როგორც მას მთელს მსოფლიოში უწოდებენ, ომბუდსმენის სისტემა თითქმის ყველა სახელმწიფომ გადმოიღო და გაითავისა. ომბუდსმენი, ძირითადად, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის მიერაა არჩეული,³ რომლის კომპეტენციასაც კონსტიტუცია და მოქმედი კანონმდებლობა განსაზღვრავს. აღნიშნული ინსტიტუტის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვა, კერძოდ, იმ ინდივიდებისა, რომლებიც თავს უსამართლობის მსხვერპლად თვლიან. ომბუდსმენი უმეტეს შემთხვევაში მოქმედებს როგორც დამოუკიდებელი მედიატორი უფლებაშელახულ პირსა და მთავრობას შორის.

ახლო წარსულში, ომბუდსმენის ინსტიტუტმა საქართველოშიც მოიკიდა ფეხი, როდესაც ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმის არსებობა ქვეყნის დემოკრატიული პრინციპების გამომხატველი გახდა. თუ როგორ უნდა იმოქმედოს ომბუდსმენმა, რათა მისი საქმიანობა ხალხის საკეთილდღეოდ იქნას წარმართული, ან რას უნდა მიაქციოს მან ყურადღება, ერთ-ერთ მთავარ საკითხს საერთაშორისო სამართალსა და მის ნორმატიულ ბაზასთან ომბუდსმენის საქმიანობის დაახლოება წარმოადგენს, რაც მის მოღვაწეობას მხოლოდ უფრო ნაყოფიერს ხდის.

1995 წელს საქართველოს კონსტიტუციის მიღებამ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სახალხო დამცველის ინსტიტუტის ამოქმედებას. კონსტიტუციის 43-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი,⁴ რომელიც განსაზღვრავს საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებას.

გარანტია იმისა, რომ თითოეულ ადამიანს გააჩნია შესაძლებლობა წარადგინოს სარჩელი რომელიმე ინსტანციაში, აქვს თავისი დადებითი დატვირთვა, რაც გამაფრთხილებელ ფაზად გვეკვლინება პარანოიკების, ბიუროკრატიებისა და ამბიციით შეპყრობილ საჯარო მოხელეთა მცდარი ტაქტიკის გამოსწორებისა და ადამიანის უფლებათა სამართლისადმი მათი უკუღმართი დამოკიდებულების შეცვლის საქმეში. სახალხო დამცველის ინსტიტუტს გააჩნია უდიდესი პოტენციალი

² UNHCHR, fact Sheet No 19,

National Institute For the Promotion and Protection of HR.

³ იქვე.

⁴ საქართველოს კანონი სახალხო დამცველის შესახებ, 16 მაისი, 1996 წელი.

საჯარო სამსახურის უკეთესად მოსაწყობად. მას შეუძლია აიძულოს სახელმწიფო ხელისუფლების აპარატი გაატაროს ადმინისტრაციული რეფორმები და წინა პლანზე წამოწიოს ადამიანის უფლებათა დაცვის აუცილებლობა. თუმცა, ამავე დროს, იგი შეზღუდულია მოქმედებაში, მას მხოლოდ ფაქტებზე შეუძლია რეაგირების მოხდენა, კერძოდ, - რჩევისა და რეკომენდაციების მიცემა.

ბევრი ქვეყანა პირდაპირი გავებით მოექცა ომბუდსმენის ინსტიტუტის გავლენის ქვეშ და გადმოიღო მისი ინსტიტუციონალური სისტემა უმნიშვნელო ცვლილებებითა და მოდიფიცირებით, რაც თავიანთი ქვეყნის სოციალურ სტრუქტურასა და პოლიტიკურ სისტემას შეესაბამებოდა. აღიარებულია, რომ ომბუდსმენი შეიძლება არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ თავისი იურისდიქციით განსაზღვრული ადმინისტრაციული საკითხების მოგვარებით, არამედ უფლება აქვს ყურადღება გაამახვილოს საერთაშორისო კონვენციებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაციაზე. ეს გასაგებია, ვინაიდან ომბუდსმენის ძირითად ფუნქციას უნდა წარმოადგენდეს ზედამხედველობის გაწევა სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო კონვენციათა შესრულებაზე, რომ საერთაშორისო კონვენციები მიღებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში გათვალისწინებულ იქნეს ქვეყნის კანონშემოქმედებით პროცესში.

II. ომბუდსმენის ინსტიტუტის წარმოშობის მოკლე ისტორიული მსჯობისი

ომბუდსმენის ინსტიტუციონალურ სისტემას საფუძველი ჩაეყარა შვედეთში, რომელმაც განვითარების ისეთ მაღალ დონეს მიაღწია, რომ ამ ინსტიტუტის კონსტიტუციურ სისტემაში გადმონერგვის საკითხი თითქმის ყველა ქვეყნის საზრუნავი გახდა. ყოველივე ეს, ალბათ, გამოწვეული იყო დემოკრატიული მმართველობის ხელმოკლეობითა და ცხოვრებაში გასატარებელ ცვლილებათა მოლოდინით.

⁵ ჯონ ლოკი აღნიშნავდა, რომ ინდივიდები დაბადებიდან დაჯილდოვებული არიან სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებით, რაც მათ საკუთრებას წარმოადგენს და არ შეიძლება ჩამორთმეულ იქნას სახელმწიფოს მიერ. მონტესკიე კი, თავის ნაწერებში ძალაუფლების დანაწილების პრინციპის (აღმასრულებელი, სასამართლო და საკანონმდებლო) მნიშვნელობისა და აუცილებლობის შესახებ გვაფრთხილებდა იმ საშიშროებაზე, რაც შეიძლება მოიტანოს ამ ძალაუფლების ერთი პიროვნების ხელში მოქცევა.

1809 წელს შვედეთში კონსტიტუციის მიღებისთანავე, რომელიც დაფუძნებულია ჯონ ლოკისა და მონტესკიეს ცნობილ სისტემებზე,⁵ საფუძველი ჩაეყარა ომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნას. შვედეთის კონსტიტუციის მიხედვით, ომბუდსმენი მტკიცდებოდა პარლამენტის (რიკსტაგი) მიერ. პიროვნებას, რომელიც ამ თანამდებობაზე ინიშნებოდა, უნდა ჰქონოდა სამართლებრივი ცოდნის საფუძველები და გამორჩეული ყოფილიყო თავისი პატიოსნებითა და სამართლიანობით.⁶ ეს დოგმა, ასე რომ ვთქვათ, - წინა პირობა, ომბუდსმენის ასარჩევად დღესაც შენარჩუნებული აქვს შვედეთის პარლამენტს.

სიტყვა ომბუდსმენი შედარებით შორეულ წარსულს უკავშირდება, კერძოდ კი მეფე კარლოს მე-12-ის მეფობის პერიოდს. 1907 წელს რუსების მიერ პოლტავასთან შვედების დამარცხების შემდეგ, კარლოსი თურქეთში გაიქცა, სადაც იგი საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე სულთანის კარზე იმყოფებოდა. ამ პერიოდში შვედეთში სრული უმართავი და განუკითხავი მდგომარეობა შეიქმნა. შვედეთის ადმინისტრაცია უმოქმედობითა და კორუფციის დონის ამაღლებით გაჯერდა. საჭირო გახდა გადაუდებელი ზომების მიღება მდგომარეობის სრული გამოსწორებისათვის, რაზეც სწორედ მეფე იყო პასუხისმგებელი. სხვა ქვეყანაში გადახვეწილ მეფეს არ ასვენებდა თავისი ქვეყნის ასეთი სავალალო მდგომარეობა. 1713 წელს ტიმურჩადიდან (ადგილი თურქეთში, სადაც მეფე ცხოვრობდა) მეფემ გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც, უნდა შექმნილიყო ომბუდსმენის სტრუქტურა, რა თქმა უნდა, ომბუდსმენის ხელმძღვანელობით, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა კანონებისა და სავალდებულო წესების შესრულებაზე კონტროლი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას ზედამხედველობა უნდა გაეწია მოსამართლეებისა და სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობისათვის. თუმცა იგი რჩებოდა არა საკანონმდებლო, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენელ ნაწილად.

1719 წლისათვის ომბუდსმენის სამსახური, რომელიც შექმნილი იყო მეფე კარლოს მე-12-ის მიერ, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილი, ცოტა მოგვიანებით გადაკეთდა მეფის “იურის კანცლერის ოფისად”, რომელიც დღემდე არსებობს. იმის გათვალისწინებით, რომ იურის კანცლერი აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ იყო არჩეული, სამთავრობო გადაწყვეტილებებით მასზე გავლენის მოხდენის ალბათობა შედარებით დიდი იყო. იგი უფრო აღმასრულებელი

⁶ შვედეთის კონსტიტუცია, 1809 წელი, მუხლი 96.

ხელისუფლების დამცველად გამოდიოდა, ვიდრე ხალხის ინტერესებისა. საქმისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ ხალხის ფართო ფენებში უნდობლობა გამოიწვია. აღიარებულია პრინციპი - თუ ხელისუფლებას სურს, რომ დაიცვას ხალხის უფლებები და ინტერესები, უნდა შექმნას სრულიად დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც განცალკევებული იქნება აღმასრულებელი ხელისუფლების ზეწოლისაგან. ამ მიზნის მისაღწევად შვედეთის პარლამენტშიც მოხდა რიგი ცვლილებებისა, რასაც მოჰყვა იურის კანცლერის საქმიანობაზე კონტროლის დაწესება⁷ და უკვე 1739 წელს იურის კანცლერი იძულებული შეიქმნა ანგარიშვალდებული ყოფილიყო პარლამენტის წინაშე.⁸ ყოველივე ეს იყო უმნიშვნელოვანესი და სასიცოცხლო წინა პირობა ომბუდსმენის ინსტიტუტის შესაქმნელად. მაგრამ აღნიშნულმა ცვლილებამ დიდხანს ვერ გასტანა, რადგან 1772 წელს, მეფე გუსტავ III-ის მმართველობის დამხობის შემდგომ, ბოლო მოეღო პარლამენტის მიერ იურის კანცლერის გაკონტროლებას და იგი კვლავ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი დარჩა.

1809 წელს, მეფე გუსტავ IV გადაყენების შემდგომ, რომელიც გამოირჩეოდა არნახული დესპოტიზმითა და აბსოლუტური მონარქიით, შვედეთში პირველად დადგა საკითხი ახალი კონსტიტუციის მიღებისა, რომელიც მეფისა და რიკსტაგის (შვედეთის პარლამენტი) ძალაუფლებათა დაბალანსებისა და გამიჯვნის პრინციპების საფუძველზე იქნებოდა აგებული. მრავალწლიანი ბრძოლა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის საბოლოოდ დასრულდა 1809 წლის კონსტიტუციის მიღებით. მოვლენების ასეთმა სწრაფმა განვითარებამ პარლამენტი აიძულა დაენიშნა საპარლამენტო ომბუდსმენი,⁹ როგორც აღმასრულებელი და საკანონმდებლო (რაც გამოიხატებოდა ომბუდსმენის ფუნქციებისა და გადაწყვეტილებათა მიღების დამოუკიდებლობაში) ხელისუფლებისაგან სრულიად დამოუკიდებელი ორგანო. ყოველივე ეს არ ნიშნავდა იმას, რომ იურის კანცლერის ოფისმა არსებობა შეწყვიტა, უფრო მეტიც, ორივე სამსახური აქტიურად ახორციელებდა კონტროლს საჯარო სამსახურზე, მაგრამ მხოლოდ თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში.

⁷ Al-Wahab, Ibragim, The Swedish Institute of Ombudsman, Stockholm 1979.

⁸ შვედეთის კონსტიტუცია, თავი II-6.

⁹ ბარონ ლარს აუგუსტ მანერჰიმი პირველ ომბუდსმენად აირჩიეს 1810 წელს. ამ დროისათვის ის იყო საპარლამენტო კომიტეტის უფროსი, რომელმაც შეიმუშავა 1908 წლის კონსტიტუციის პროექტი.

1915 წელს რიკსტაგის დადგენილებით, საპარლამენტო ომბუდსმენის (*justitieOmbudsmen*) სისტემა გაიზარდა, რაც მეორე სამხედრო ომბუდსმენის (*militieOmbudsmen*) არჩევაში გამოიხატა, რომლის ვალდებულებასაც ამიერიდან სამხედრო ძალების მომსახურე მაღალ ჩინოსანი ოფიცრების წინააღმდეგ შეტანილი სარჩელების განხილვა-გამოძიება წარმოადგენდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნათელი გახდა, რომ საპარლამენტო ომბუდსმენის სამუშაო უფრო დატვირთული და ყოვლისმომცველი იყო, სამხედრო ომბუდსმენი კი, მხოლოდ რამდენიმე სარჩელით შემოიფარგლებოდა. შესაბამისად, 1968 წელს პარლამენტმა გადაწყვიტა, რომ გაეუქმებინა სამხედრო ომბუდსმენის თანამდებობა და მის მაგივრად ომბუდსმენების რაოდენობა გაეზარდათ სამამდე, რომლებსაც ექნებოდათ თავისი საკუთარი იურისდიქცია სარჩელების განხილვის დროს.

1972 წელს პარლამენტმა შექმნა კომიტეტი, რომელიც გამოიკვლევდა ყველა იმ პრობლემებს, რომლებიც ომბუდსმენის აპარატში არსებობდა. 1975 წელს კომიტეტმა გამოსცა რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც, უნდა მომხდარიყო ცვლილებები იმ დებულებაში, რომლითაც ომბუდსმენები ხელმძღვანელობდნენ. პარლამენტმა მხარი დაუჭირა კომიტეტის რეკომენდაციას და უკვე 1976 წელს ფუნქციონირება დაიწყო ომბუდსმენის განახლებულმა სისტემამ, რომლის საფუძველზეც, შვედეთში უნდა ყოფილიყო 4 ომბუდსმენი და არც ერთი მოადგილე. სტრუქტურა კი შემდეგი გახლდათ: ერთ ომბუდსმენს ირჩევდა პარლამენტი, რომელიც მთელს სამსახურს ხელმძღვანელობდა და უფროს ომბუდსმენად იწოდებოდა. იგი კოორდინაციას უწევდა დანარჩენი ომბუდსმენების მუშაობას მათი იურისდიქციიდან გამომდინარე და მათთან კონსულტაციების გზით, გამოჰქონდა საბოლოო გადაწყვეტილება სარჩელის ირგვლივ გამოძიების დაწყებისა და საგამომძიებლო ინიციატივის შესახებ.

დღესდღეობით ომბუდსმენის კონტროლი არ ვრცელდება ქვემდგომ სახელმწიფო მოხელეებზე, რომლებიც არ ფლობენ დამოუკიდებლობას.¹⁰ აქ კი ომბუდსმენის მთავარი იარაღი გაფრთხილება, კრიტიკა და გამოძიების ინიცირებაა საკუთარი შეხედულებისამებრ. ინიცირებული გამოძიებების უმრავლესობა ტარდება ზედამხედველობისა და ინსპექტირების დროს, რიგი ინიციატივებისა კი იწყება საგაზეთო სტატიებისა და სატელევიზიო პროგრამების საფუძველზე.¹¹

¹⁰ საპარლამენტო ომბუდსმენის ინსტრუქციები, სექცია 8.

¹¹ Ludvik, Ulf, International Handbook of the Ombudsmen, by Gerald E. Gaiden, 1983, p. 179.

III. ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტი და სამართლის სტანდარტები

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების კონცეფცია განსაკუთრებულია. ეს არის ორგანოები, რომელთა ფუნქციები, ძირითადად, მიმართულია ადამიანის უფლებათა დაცვისაკენ. ეროვნული ინსტიტუტები ადმინისტრაციული დაწესებულებებია იმ გაგებით, რომ ისინი არც სასამართლო და არც კანონმემოქმედებითი ორგანოებია. როგორც ტრადიციულად არის აღიარებული, ამ ინსტიტუტებს ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საკონსულტაციო სტატუსი გააჩნია, რომელთა მიზნები გამოიკვეთება რეკომენდაციების მიცემითა და სარჩელების განხილვით.¹²

ადამიანის უფლებები უკეთ იქნება დაცული, თუ კანონმდებლობაში იარსებებს ადეკვატური საშუალებები,¹³ დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება და დემოკრატიული ეროვნული ინსტიტუტები.¹⁴ ეროვნული ინსტიტუტების ფუნქციონირების დახვეწა შესაძლებელია საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობითა და მათი დებულებების ინკორპორაციით შიდაკანონმდებლობაში.

გასული წლები აშკარა გამოხატულება იყო მსოფლიოს ქვეყნებში დემოკრატიული ინსტიტუტების გავრცელების თვალსაზრისით. სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა აღიარებს ამ ინსტიტუტების მნიშვნელობას საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინების საქმეში.¹⁵

ა) ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტების სტატუსის განმსაზღვრელი პრინციპები (შემდგომში პარიზის პრინციპები)

(მიღებულია 1993 წლის 20 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 48/134 რეზოლუციით)

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გარკვეული წლების მანძილზე აქტიურად იყო ჩაბმული ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული

¹² Al-Wahab, Ibragim, The Swedish Institute of Ombudsman, Stockholm 1979.

¹³ ვენის დეკლარაცია და მოქმედების გეგმა, 1993, პარაგრაფი I.

¹⁴ United Nations Fact Sheet N 19, Raoul Wallenberg Institute, 5th edition, Lund 1997.

¹⁵ Juviler, Peter, & Gross, Bertman with Kartashkin, Vladimir & Lukasheva Elena, Human Rights for 21st century, foundation of responsible hope, Essay by Vladimir Kartashkin, New-York, London, 1993.

დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესში. 1990 წელს, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ ორგანიზება გაუწია სამუშაო შეხვედრას, რომელზეც მიწვეული იყო მრავალი ადგილობრივი დემოკრატიული ინსტიტუტი. შეხვედრის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი დემოკრატიული ინსტიტუტების საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მათ სააგენტოებთან თანამშრომლობის საკითხის განხილვა, ასევე, მათი მოქმედების ეფექტურობის გაზრდის გზების ძიება. ცოტა მოგვიანებით, 1993 წელს, ამ უმნიშვნელოვანესი სამუშაო შეხვედრის შედეგმა ასახვა ჰპოვა ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტების შესახებ დეტალურად შემუშავებულ პრინციპებში, რომლებსაც მოგვიანებით “პარიზის პრინციპები”¹⁶ ეწოდა.

პარიზის პრინციპები, რომელიც მთელ მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული, უმნიშვნელოვანესი და სამაგალითო დოკუმენტია, რადგანაც იგი ადგენს იმ ეროვნული ინსტიტუტების სტატუსის მინიმუმ სტანდარტებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვას ემსახურება. პარიზის პრინციპების მიხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტის ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ პარლამენტის წინაშე კომენტირება წარმოადგენს, ისევე როგორც კანონის შესრულებაზე აქცენტის გამახვილება.

პარიზის პრინციპების დებულებათა გათვალისწინებით, ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულმა ინსტიტუტებმა უნდა გამოიხატონ გზები საქმის მეგობრული მოგვარებისათვის და ინფორმირება გაუწიონ მომჩივანს მათი დარღვეული უფლებების აღსადგენად. პარიზის პრინციპები არ იძლევა ამომწურავ ინფორმაციას ეროვნული ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე. მიუხედავად ამისა, ისინი განსაზღვრავენ ძირითად კრიტერიუმებს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული მექანიზმების შესაქმნელად. პრინციპების ძირითადი განმსაზღვრელი კრიტერიუმებია¹⁷:

- დამოუკიდებლობა, რაც გარანტირებულია წესდებით ან კონსტიტუციით;
- მთავრობისაგან დამოუკიდებელი მოქმედების უზრუნველყოფა;

¹⁶ მიღებული 1993 წლის 20 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 48/134 რეზოლუციით.

¹⁷ პარიზის პრინციპები, პარაგრაფი IV (ა).

- პლურალიზმი;
- მოქმედების ფართო არეალი, დაფუძნებული ადამიანის უფლებათა უნივერსალურ სტანდარტებზე;
- ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარების უფლება;
- ფინანსური უზრუნველყოფა.

ზემოჩამოთვლილი პრინციპები, პირველ რიგში, განსაზღვრავენ ეროვნული ინსტიტუტების კომპეტენციას ადამიანი უფლებათა დაცვის საქმეში, რათა მათ გააჩნდეთ მოქმედების ფართო მანდატი.

პრინციპები გამოხატავენ ინსტიტუტების ფუნქციონირების მეთოდს, სადაც თავისუფლად უნდა იქნას განხილული ნებისმიერი საკითხი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტის გარშემო. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ ინსტიტუტს უნდა ჰქონდეს უფლება მოისმინოს და განიხილოს ინდივიდუალური საჩივრები და პეტიციები, როდესაც სარჩელი შეტანილი იქნება ინდივიდების მათი წარმომადგენლების, მესამე პირების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ან ასოციაციების მიერ.¹⁸ პარიზის პრინციპებზე დაყრდნობით, ქვეყნებს შესაძლებლობა ეძლევათ უზრუნველყონ ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია.

1993 წელს ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენციამ, რომელიც ვენაში ჩატარდა ფართოდ აღიარა პარიზის პრინციპების მნიშვნელობა ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტების ჩამოყალიბების ეტაპზე:

“ქვეყნების მიერ პარიზის პრინციპების გაზიარება ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტების ეფექტურ მოქმედებას”.¹⁹

ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული გაერო აქტიურადაა ჩაბმული ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტების ფორმირებისა და მათი საქმიანობის ჩამოყალიბებაში, რათა მათი მეშვეობით მოხდეს ადამიანის უფლებათა სრული რეალიზაცია. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა რიგი რეზოლუციებისა და ანგარიშებისა.²⁰ ცოტა მოგვიანებით, ადამიანის უფლებათა კომისიის რეზოლუციის

¹⁸ იქვე, პუნქტი 1, 2.

¹⁹ ვენის დეკლარაცია და მოქმედების გეგმა, პუნქტი 36.

²⁰ A/36/440 (1981), A/38/416 (1983), E/CN.4.1987/37 (1987), E/CN.4/1989/47 and 1 (1998), E/CN.4/1991/23.

საფუძველზე, აღიარებულ იქნა პარიზის პრინციპების გავრცელების გადაუდებელი აუცილებლობა.

ორი წლის შემდეგ, ადამიანის უფლებათა დაცვის ვენის კონფერენციაზე ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების მნიშვნელობის აღიარებამ განსაზღვრა, რომ ეს ინსტიტუტები ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმის²¹ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ, სადაც გათვალისწინებულია შემდეგი:

“ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოებისადმი რჩევის მიცემა და ადამიანის დარღვეულ უფლებათა აღდგენა, განათლებისა და ინფორმაციის გავრცელება”.²²

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების მნიშვნელობამ და მისმა აუცილებლობამ ადგილი ჰპოვა ასევე საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაციების მიერ მიღებულ მრავალ დოკუმენტში, მათ შორის აღსანიშნავია ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ მიღებული დოკუმენტები, რომლებშიც აისახება ომბუდსმენის ინსტიტუტების საქმიანობის დახვეწისა და განვითარებისათვის ხელშეწყობის აუცილებლობა, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი დემოკრატიული საშუალება.

1990 წელს, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის მიერ კოპენჰაგენში მიღებულ “ადამიანური განზომილების დოკუმენტში” აღიარებულია, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტია დამოკიდებულია ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტებზე.²³ შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა იკისრონ ვალდებულება, დაუახლოვდნენ საერთაშორისო სტანდარტებს და ხელი შეუწყონ ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნას, რომლებიც თავის წვლილს შეიტანენ ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში და სამართლის წესის დასამკვიდრებლად.

იგივე საკითხი ფორმულირებულ იქნა ადამიანის უფლებათა განზომილების შემდგომ შეხვედრაზე, რომელიც მოსკოვში 1991 წლის ოქტომბერში ჩატარდა, სადაც გამოიკვეთა საერთო ინტერესი ომბუდსმე-

²¹ Yeldin, Maxwell, The Time is now: supporting national infrastructures for Human Rights 1994.

²² ვენის დეკლარაცია და მოქმედების გეგმა, პარაგრაფი 36.

²³ Para.III - 26, Document of Copenhagen meeting of the Human Dimension of OSCE 29 June 1990.

ნის ინსტიტუტების სწორი ფუნქციონირებისა და საქმიანობის დახვეწისადმი.²⁴

ადამიანის უფლებები არ შეიძლება დაცული იყოს, თუ თავად ადამიანის უფლებათა დამცველები არ არიან დაცულები. არამართებული იქნებოდა, თუ პრიორიტეტი მხოლოდ ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტებს მიენიჭებოდათ და ადამიანის უფლებათა დამცველები ჩრდილში აღმოჩნდებოდნენ, მით უმეტეს, როდესაც საერთაშორისო საზოგადოებრიობა მათი უფლებების დაცვას არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს.

ადამიანის უფლებათა დამცველები, ეს ის ხალხია, რომლებიც წინა პლანზე დგანან ადამიანის უფლებათა დამცველთა შორის, რომლებიც აღიარებენ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრინციპებს. მაგრამ ისინი, ვინც ამას აკეთებენ ხშირად ძვირ საფასურს იხდიან თავისი სითამამის გამო. ადამიანის უფლებათა დამცველები ხშირად უჩინარდებიან,²⁵ არიან დატყვევებული და დაპატიმრებულები იმიტომ, რომ იცავენ პატიმართა უფლებებს, არიან მუდმივი საფრთხის ქვეშ უბრალოდ იმიტომ, რომ იძიებენ გატაცებისა და პოლიტიკური მკვლელობის საქმეებს.

1998 წლის 9 დეკემბერს გაეროს მიერ ადამიანის უფლებათა დამცველების შესახებ დეკლარაციის მიღება ისტორიულ მიღწევას წარმოადგენს. დეკლარაციას საფუძვლად უდევს პრინციპი: როდესაც ადამიანის უფლებათა დამცველების უფლებები თავად ილახება, თითოეული ჩვენთაგანის უფლებებს საფრთხე ემუქრება და თითოეულ ჩვენთაგანი ნაკლებად დაცულია.²⁶

ომბუდსმენის ინსტიტუტის განვითარების საწყის ეტაპზე, კანონ-შემოქმედებითი პროცესი ნელა ვითარდებოდა. ცამეტწლიანი²⁷ მუშაობა ხასიათდებოდა მუდმივი წინააღმდეგობებით იმ ჯგუფებს შორის,

²⁴ Article 26, Conference on the Human Dimension of CSCE October 1991.

²⁵ Mas, Nuca, Brody, Reed, Gonsalez Felip, An Analysis of International Instruments on Disappearances, Human Rights Quarterly, 1993.

²⁶ კოფი ანანი, 1998 წლის 14 სექტემბერი.

²⁷ 1985 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ შექმნა საბუშო ჯგუფი განსაკუთრებული მანდატით, შეედგინა ტექსტი დეკლარაციისა სახელწოდებით “ინდივიდების, პირთა ჯგუფებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა უფლებამოვალეობები ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დასაცავად”.

რომლებიც, ერთი მხრივ, ცდილობდნენ გაემყარებინათ იმ პირთა მდგომარეობა, რომლებსაც შესწევდათ ადამიანის უფლებების დაცვის უნარი და, მეორე მხრივ, რომლებსაც სურდათ ადამიანის უფლებათა დამცველებზე მოეხვიათ ახალი შეზღუდვები, რათა მათი მუშაობა, პრაქტიკულად, უშედეგო გამხდარიყო. მიუხედავად არსებული დაძაბულობისა, დეკლარაციის მიღება მაინც მოხერხდა 1998 წლის 9 დეკემბერს.

საერთაშორისო საზოგადოებრიობა უდიდეს როლს ანიჭებს ადამიანის უფლებათა დამცველებს ადამიანის უფლებათა რეალიზაციის საქმეში. საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმში, როგორცაა გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის სპეციალური მომხსენებელი და სხვა სახელმწიფოებო ორგანოები ხშირად ადამიანის უფლებათა დამცველების პოზიციას ითვალისწინებენ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესასწავლად. ამ მიზნით, გაეროს გენერალური მდივანი და ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი საჯაროდ უცხადებენ თავიანთ მხარდაჭერას ადამიანის უფლებათა დამცველებს.²⁸

IV. სასაზღვრო დამცველის მიერ საერთაშორისო ნორმების გამოყენების აუცილებლობა

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხმა საერთაშორისო განზომილება შეიძინა საერთაშორისო და ეროვნულ სამართალს შორის. ქვეყანა, რომელიც შეუერთდა საერთაშორისო კონვენციებს, კისრულობს ვალდებულებას მათ ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციაზე. შესაბამისად, ქვეყნებზეა დამოკიდებული იმპლემენტაციის მეთოდებისა და საშუალებების არჩევანი, კონვენციების ძირითადი პრინციპებისა და მიზნების სრული დაცვით.

1982 წელს სიენაში (იტალია) გამართულ სემინარზე, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის არასასამართლო მეთოდებს მიეძღვნა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქვეყნებმა უნდა დაამკვიდრონ ისეთი მექანიზმი, რომელიც განავითარებს ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო მყარ გარანტიებს. ასევე ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ომბუდსმენს განსაკუთრებული ფუნქციები უნდა დაეკისროს საერთაშორისო კონვენციათა იმპლემენტაციის ეტაპზე. ასევე, 1971 წლის ვენისა და

²⁸ ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მიმართვა ადამიანის უფლებათა დამცველების დეკლარაციის ტექსტზე მომუშავე ჯგუფისადმი.

1974 წლის პარიზის კონფერენციებზეც აღინიშნა ომბუდსმენის ფართო იურისდიქციის აუცილებლობის არსებობა და მისთვის რიგი ფუნქციების მინიჭება.

რასაც ომბუდსმენი ძირითადად აკეთებს, ადამიანის უფლებათა დაცვას უკავშირდება, სადაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები წინა პლანზეა წამოწეული. ომბუდსმენის ფუნქციებში უნდა შედიოდეს ადამიანის უფლებათა იდეოლოგიის გამყარება და საერთაშორისო სტანდარტებთან მათი დაახლოება.

პარიზის პრინციპები პირდაპირ განსაზღვრავენ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების მიერ საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების აუცილებლობას ეროვნულ დონეზე.²⁹

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება განსხვავებული სახით გვევლინება ბევრი ქვეყანის ომბუდსმენის სისტემებში. მათ შორის აღსანიშნავია პოლონეთის,³⁰ ფინეთის,³¹ დანიისა და შვედეთის საპარლამენტო ომბუდსმენების პრაქტიკა, რომლებიც საჩივრებისა და დავის გადაწყვეტის ეტაპზე მრავალგზის აკეთებენ მითითებებს საერთაშორისო კონვენციებზე.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს. ამასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან მიმართებაში, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას. საქართველოს სამართლებრივი სისტემა ადგენს კანონმდებლობის მონისტურ სტრუქტურას, ამდენად, ხელისუფლების ორგანოები იზღუდებიან პიროვნებებთან ურთიერთობაში საერთაშორისო სამართლის ძალით, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ტრანსფორმირებული ეროვნულ სამართალში საერთაშორისო სამართლის ნორმები. მოცემული მოსაზრებიდან გამომდინარე, გარდა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა, პიროვნებათა უფლებები და მოვალეობები

²⁹ პარიზის პრინციპები, პარაგრაფი I (3-ბ).

³⁰ Letovska, Eva, The ombudsmen nad Basic Right, East European Constitutional Review Vol.4 No 1.

³¹ Alan Rosas, International Human Rights Norms in Domestic Law, 1990, Paper by Lauri Lehtimaja, p. 93.

გამომდინარეობს უშუალოდ საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან. ამდენად, მათ შეუძლიათ ეროვნული სამართალწარმოების პროცესში პირდაპირ გააკეთონ მითითება საერთაშორისო სამართლით დადგენილ ნორმებზე, რასაც უნდა მიენიჭოს უპირატესობა ნებისმიერ ადგილობრივ კანონთან მიმართებაში, თუ ეს უკანასკნელი მას ეწინააღმდეგება.

საქართველოს კონსტიტუციური ნორმები ითვალისწინებენ საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებათა გამოყენების შესაძლებლობას მრავალ ინსტანციებში საქმეთა განხილვის პროცესში. კონსტიტუცია განსაზღვრავს ხელშეკრულებების ადგილს ნორმატიული აქტების იერარქიაში (საქართველოს კანონით ნორმატიული აქტების შესახებ). ხსენებულის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულება აღიარებულია როგორც საქართველოს ნორმატიული აქტი. ეს ძირითადად, გულისხმობს იმას, რომ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება გამოყენებულია საქართველოს სასამართლოების მიერ სამართალწარმოების პროცესში, როგორც ადგილობრივი ნორმატიული აქტი.

“საერთაშორისო ხელშეკრულებების” შესახებ საქართველოს კანონის მე-6 (1) მუხლი განსაზღვრავს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებები განუყოფელი ნაწილია საქართველოს კანონმდებლობისა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაში საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენების შესაძლებლობას. ამგვარ სამართლებრივ სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება პირდაპირ არის შესაძლებელი, როდესაც საკითხი განიხილება ადგილობრივ დონეზე.

დასკვნა

დასასრულს, მინდა აღვნიშნო, რომ ომბუდსმენის ინსტიტუტი გააგრძელებს არსებობას და შეინარჩუნებს თავის პოზიციას, როგორც პროფესიონალურად მაღალი დონისა და პოლიტიკურად ნეიტრალური ინსტიტუტი, რომელსაც შეუძლია წარმატებულად განაგრძოს მუშაობა არა მარტო მმართველობაში შეცდომებისა და ხარვეზების გამოსასწორებლად და მათი თავიდან ასაცილებლად, არამედ შეიმუშავოს რეკომენდაციები წესებსა და პრაქტიკაში ცვლილებების შეტანისა და საყოველთაოდ აღიარებული მმართველობითი ღირებულებების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის.

ომბუდსმენი აღიქმება როგორც პოლიტიკურად ნეიტრალური მხარე. ომბუდსმენი არჩეული უნდა იყოს როგორც დამოუკიდებელი პირი არა აღმასრულებელი, არამედ საკანონმდებლო ხელისუფლებისა. მუნიციპალური სამართლის მიხედვით, სახალხო დამცველი აღჭურვილი უნდა იყოს ისეთი მოქმედებების განხორციელების უფლებით, როგორებიცაა: კრიტიკა, მოკვლევა, გამოძიება და ინსპექტირება. იგი, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველი, ხშირად უნდა იყენებდეს საერთაშორისო კონვენციათა დებულებებზე მითითებებს და ხელისუფლების წარმომადგენლებს ავალდებულებდეს მათ გამოყენებას, რათა დაცული იყოს ადამიანის უფლებები.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი უნდა გააგრძელოს განვითარება. საქართველოს ომბუდსმენის წინაშე არსებულ საქმეთა მზარდი რიცხვის გათვალისწინებით, ჩემი აზრით, აუცილებლობა მოითხოვს ომბუდსმენების დამატებითი თანამდებობების შემოღებას, იქნება ეს რეგიონალური თუ ეროვნული, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში. ამის დასტურია შვედეთის მაგალითი, სადაც პარლამენტის მიერ მიღებული ახალი რეფორმით, რომელიც გატარებულ იქნა 1967 წლის დეკემბერში, ამ ინსტიტუტის ეფექტურობა მნიშვნელოვნად გაიზარდა უკვე 1968 წლის მარტში. რეფორმებს შედეგად მოჰყვა ორი ძალზე საჭირო ცვლილება, რომელთა მიხედვითაც, იუსტიციის ომბუდსმენისა და სამხედრო ომბუდსმენის აპარატები გაერთიანდა ერთ აპარატში და ომბუდსმენტთა რაოდენობა სამამდე გაიზარდა. რეფორმის მიერ უზრუნველყოფილ იქნა ომბუდსმენისათვის ორი მოადგილის არჩევა, მაგრამ, მიუხედავად აპარატის გაზრდისა, შვედეთში დაწესებულება მოგვიანებით ისევ გაიზარდა ოთხ ომბუდსმენამდე.

როდესაც აპარატი იქმნება, ბიუჯეტი უნდა იყოს საკმარისი მის ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ, თუ ბიუჯეტი არ გაიზარდა საჭირო მოკვლევების პროცესების ჩასატარებლად, რომელსაც შესაბამისი თანამშრომლები ახორციელებენ, მაშინ შედეგი დაყოვნდება და ამგვარად, დაწესებულება დაკარგავს ნდობას და მიიღებს ჩვეული ბიუროკრატიის სახეს, რომლის წინააღმდეგაც იგი იქმნება.

„ეროვნულ დაწესებულებას უნდა გააჩნდეს ინფრასტრუქტურა, რომელიც შეესაბამება წინააღმდეგობების გარეშე განხორციელებულ საქმიანობას, განსაკუთრებით კი ადეკვატურ დაფინანსებას. ამ დაფინანსების ამოცანა უნდა იყოს კოლექტივის დაფინანსება და უძრავი ქონების არსებობა,

რათა იგი იყოს მთავრობისგან დამოუკიდებელი და არ ექვემდებარებოდეს მის ფინანსურ კონტროლს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის დამოუკიდებლობაზე”, ნათქვამია “პარიზის პრინციპებში”.

სათანადო კოლექტივის გარეშე, ომბუდსმენი და ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტები ვერ შეძლებენ საშუალოს ისე შესრულებას, რომ დაიმსახურონ ხალხისა და მთავრობის წარმომადგენელთა პატივისცემა და ნდობა.

ომბუდსმენი არის მოთხოვნის დაკმაყოფილების და არა ნეგატიური შედეგების პრევენციის საშუალება. მას შეუძლია მხოლოდ უფლებადარღვეული პიროვნების ინიციატივიდან გამომდინარე მოხსენება გააკეთოს შესაბამის სტრუქტურებში ფაქტების შესახებ და მოითხოვოს სათანადო ქმედების ჩატარება. ეს დაწესებულება გამიზნულია კორექტული მიზნებისთვის. ცდომილების შემცირება ღირსეული მიზანია და მისი მიღწევა განსაკუთრებით ღირსესანიშნავი ხდება, როდესაც ერთი შეცდომის გამოსწორებით შესაძლებელია სხვა შეცდომების თავიდან აცილება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ომბუდსმენის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ცოდნა არის ძლიერებისა და გავლენიანობის წინა პირობა. აქვე აღვნიშნავ, რომ გამოძიებისა და ინსპექტირების პერიოდში სახალხო დამცველს უნდა ჰქონდეს ნებისმიერი დოკუმენტის მიღებისა და განხილვის შესაძლებლობა, რაოდენ საილუმლოც არ უნდა იყოს იგი.

რამდენადაც ომბუდსმენის ინსტიტუტი მნიშვნელოვანი დემოკრატიული დაწესებულება გახდა და ბევრი ქვეყანა იყენებს სხვადასხვა მეთოდებსა და საშუალებებს მთავრობისა და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებებისადმი მიმართული საჩივრების გადასაწყვეტად, მან მოიპოვა ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებები იმ დარბი და შევიწროვებული ხალხის დასახმარებლად, რომლებიც ეძებენ სამართალსა და დარღვეული უფლებების აღდგენას.

ომბუდსმენის ფუნქცია შეგვიძლია გამოვყოთ, როგორც სპეციალური ბრალმდებლისა, როდესაც ნებისმიერი სახელმწიფო მოხელე მხილებული იქნება უკანონობის ჩადენაში, ომბუდსმენს მაშინვე აქვს სამართლებრივი პროცესის ინიცირების ან უბრალოდ გაფრთხილების უფლება, ყველა ეს გაფრთხილებები და სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ უკანონო ქმედებების დაფიქსირება კი ადგილს პოულობს ომბუდსმენის წლიურ ანგარიშში, რომელიც პარლამენტს

მენტს წარედგინება და ეგზავნება პრესას, რასაც ხალხში საკმაოდ ფართომასშტაბიანი რეზონანსი გააჩნია.

დაბოლოს, ომბუდსმენის ინსტიტუტი აძლიერებს ინდივიდუალურ თავისუფლებას, ხელს უშლის ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას და ემსახურება საჯარო ადმინისტრაციის საქმიანობის გამოსწორებას, იცავს პიროვნებებს მმართველობის ორგანოების არასწორი ზემოქმედებისაგან. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვაღიაროთ ომბუდსმენის სისტემის დიდი ენთუზიაზმით და ფართოდ გავრცელების აუცილებლობა.

კახინგთა უფლებების დაცვის საკითხები საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და სამართლებრივ კანონმდებლობაში

მარინა კვაჭაძე

XX საუკუნე მედიცინაში მნიშვნელოვანი აღმოჩენებით აღინიშნა. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა და განსაკუთრებით, მისმა ერთ-ერთმა დარგმა - მედიცინამ, ახალი საკითხები დასვა დღის წესრიგში. მედიცინის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები სამართალსაც შეეხო. განსაკუთრებით გამოიკვეთა ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები მედიცინის ისეთ დარგებში, როგორებიცაა: ტრანსპლანტოლოგია, გენეტიკა, ბიოსამედიცინო გამოკვლევები, ხელოვნური ინსენინაციის საკითხები და სხვა. თავი იჩინა ახალმა პრობლემებმა, რომლებიც ორგანულად დაუკავშირდა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს.

ჯანდაცვის სისტემის განვითარებამ და მისმა მრავალფეროვნებამ, მედიცინაში სამართლებრივი საკითხების სიუხვემ, ხელი შეუწყო 60-იანი წლების ბოლოს მედიცინაში პაციენტის მიმართ პატრიმონალური დამოკიდებულების რღვევასა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სამედიცინო დაწესებულებებში ბიოეთიკური კომისიების ჩამოყალიბებას, რამაც, თავის მხრივ, საფუძველი ჩაუყარა პაციენტთა უფლებების დაცვასა და შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებას.

მედიცინის დარგების სწრაფმა განვითარებამ საერთაშორისო დონეზე დღის წესრიგში დააყენა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები. 70-80-იანი წლებიდან დღემდე, მთელი რიგი ქვეყნებისა, საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე, ამუშავებენ და იღებენ საკანონმდებლო აქტებს, რომელთა მიზანია მედიცინაში დაიცვას არა მარტო პაციენტის, არამედ არაპაციენტების უფლებებიც.

საბჭოთა სისტემის რღვევის შემდეგ, მასში შემავალმა უმეტესმა ქვეყნებმა თავისი განვითარების კურსი ევროპას დაუკავშირა. გამონაკლისი არც სამართლებრივი სფერო აღმოჩნდა. ის სახელმწიფოები, რომლებიც უკვე ევროპის საბჭოს წევრები გახდნენ, ცდილობენ ინტეგრაცია მოახდინონ ევროპულ სისტემებში და დაუახლოვონ თავისი კანონმდებლობა ევროპულ სტანდარტებს. ინტეგრაციის პროცესი ჯანდაცვის კანონმდებლობის სფეროშიც მიმდინარეობს. ამის ნათელი

მაგალითია ზემოაღნიშნულ ქვეყნებში ბიოეთიკური კომიტეტების ჩამოყალიბება და ჯანდაცვის სფეროს მთლიანი რეორგანიზაცია, ახალი კანონმდებლობის შექმნა.

დისკუსია პაციენტის უფლებების შესახებ საზოგადოებაში დიდი ხანია მიმდინარეობს. მაგრამ არასოდეს ეს საკითხი ისე მტკივნეული არ ყოფილა, როგორც უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიების, განსაკუთრებით ტრანსპლანტაციისა და გენური ინჟინერიის, ხელოვნური ინსემინაციის განვითარებისას.

ჯანმრთელობის დაცვის უფლება, ადამიანის სხვა უფლებებთან შედარებით, უფრო ახალი უფლებაა, რომელიც ასახულია საერთაშორისო სამართლისა და შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ აქტებში. ამ უფლებამ მთელი მოცულობით ასახვა ჰპოვა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

ჯანმრთელობის დაცვის უფლებას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, კერძოდ, 1853 წელს პარიზში გაიმართა პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიემდგნა სანიტარიის საკითხებს.¹

უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება საინტერესო ტენდენცია. კერძოდ, რაც უფრო ვითარდება სამედიცინო ტექნოლოგიები, მით უფრო მკაცრი ხდება პაციენტის (ზოგჯერ არა მარტო პაციენტის, არამედ, უფრო ფართოდ - ადამიანის) უფლებების დაცვის მექანიზმების შექმნისა და მათი სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა. ამის დასტურია ის საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, რომლებიც პირდაპირ შეეხებიან პაციენტის უფლებების დაცვის საკითხებსა და მედიცინის სფეროში ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემებს.

გასული საუკუნის ბოლოს, პაციენტთა უფლებების კანონმდებლობის სფეროში გაიმართა აქტიური სამართალშემოქმედება როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სამართლის დონეზე. საერთაშორისო დონეზე მიღებულ იქნა ახალი დეკლარაციები, ქარტიები და სხვა სახის აქტები, რომლებიც დეტალურად ახდენენ ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმის შექმნისა და რეგულირების საკითხების რეგლამენტაციას, ცდილობენ დაადგინონ ის მინიმუმი ზღვარი, რომლის ჩარჩოებშიც სამედიცინო პერსონალი უფლებამოსილია ჩაატაროს სამედიცინო მანიპულაციები (ექსპერიმენტები, მკურნალობა და სხვა).

¹ Carleton B. Chapman. Physicians, Law and Ethics. N-Y, London, 1989, p. 2-9.

საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, რომლებიც შეეხებიან პაციენტის უფლებების დაცვას თანამედროვე მედიცინაში, შეიძლება დაიყოს რამდენიმე ჯგუფად:

უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, რომლებიც, ზოგადად იცავენ რა ადამიანის უფლებებს, ამავდროულად, შეეხებიან ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებს მედიცინაში. ესენია: 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966 წლის საერთაშორისო პაქტი ეკონომიურ, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, ჟენევის 1949 წლის კონვენციები შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ, 1949 წლის ჟენევის კონვენციების 1977 წლის დამატებითი ოქმები, 1950 წლის ადამიანთა უფლებების და თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენცია, 1961 წლის ადამიანთა უფლებების ევროპის ქარტია.

ადამიანის უფლებას ჯანმრთელობის დაცვაზე პირველად ვხვდებით 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლში:

“ყოველ ადამიანს აქვს უფლება ქონდეს ცხოვრების ისეთი ღონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, ასევე უფლება აქვს უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის და მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში” (25-ე მუხლი, პუნქტი 1).²

ჯანმრთელობის დაცვაზე საუბარია 1950 წლის ევროპის კონვენციაში ადამიანთა უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ. მასში ისე მკვეთრად არ არის გამოყოფილი უფლება ჯანდაცვაზე, თუმცა მის მე-8 მუხლში (ადამიანის პატივისა და ღირსების უფლებაზე) ნათქვამია:

“სახელმწიფო ორგანოების მხრივ, არავითარ შემთხვევაში ხელი არ უნდა შეეშალოს ამ უფლების განხორციელებას, გარდა კანონით

² საქართველოს კანონები; საერთაშორისო აქტები და კონვენციები ადამიანის უფლებათა შესახებ, თბილისი, 1998 წ., 384-385.

გათვალისწინებული შემთხვევებისა, როცა საფრთხე ემუქრება სახელმწიფოს და საზოგადოების უსაფრთხოებას ან ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას, როცა საჭიროა უწესრიგობათა თავიდან აცილება, მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვა; ან სხვა პირადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა” (მე-8 მუხლი, პუნქტი 2). ანალოგიურადაა განხილული საკითხი მე-9 მუხლის მე-2 პუნქტში. უფრო ფართოდაა ეს უფლება ასახული 1961 წლის ევროპის სოციალურ ქარტილაში. კერძოდ, მე-11 მუხლი შეეხება ჯანმრთელობის დაცვის უფლებას:

“ჯანმრთელობის დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელებისათვის მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულია იღებენ უშუალოდ სახელმწიფოებთან ერთად ან კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მიიღონ შესაბამისი ზომები, რომლებიც მიმართულია:

1. მაქსიმალურ მისაღწევ დონეზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამომწვევი მიზეზების აღკვეთისაკენ;
2. ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის და ჯანმრთელობის საკითხში პირადი პასუხისმგებლობის წახალისების მიზნით კონსულტაციური დახმარების და სასწავლო ბაზის უზრუნველყოფისაკენ;
3. მაქსიმალურად შესაძლო დონეზე ეპიდემიოლოგიური, ენდემიური და სხვა დაავადებების აღკვეთისაკენ” (მე-11 მუხლი).³

ამავე დოკუმენტის მე-13 მუხლი ეხება სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლებას.

“სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლების ეფექტურად განხორციელებისათვის მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულია იღებენ:

1. უზრუნველყონ, რომ ყოველმა პირმა, რომელსაც არა აქვს საკმარისი სახსრები და არ შეუძლია თავისი ძალებით ან სხვა საშუალებებით მოიპოვონ ამგვარი სახსრები, კერძოდ სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ფარგლებში არსებული შეღავათების ხარჯზე - მიიღოს აუცილებელი დახმარება, ხოლო ავადმყოფობის შემთხვევაში მისი მდგომარეობის შესაბამისი მოვლა გაეწიოს;
2. უზრუნველყონ რომ ამგვარი დახმარების მიმღები პირების პოლიტიკური და სოციალური უფლებები არ შეიზღუდოს.

³ Международные акты о правах человека, М., 1998 г., ст. 540-542.

3. მიაღწიონ, რომ ყოველმა ადამიანმა შესძლოს შესაბამისი სახელმწიფო ან კერძო სამსახურის მეშვეობით მიიღოს ისეთი კონსულტაცია ან პირადი დახმარება, რომლებიც საჭიროა პირადი ან ოჯახური გასაჭირის აღკვეთის, თავიდან აცილების ან შემსუბუქებისათვის.

4. მათ ტერიტორიაზე მოლაპარაკებაში მონაწილე სხვა მხარეთა მოქალაქეებისადმი განხორციელდეს ამ მუხლის 1, 2 და 3 პუნქტებში მითითებული დებულებანი თავის მოქალაქეებთან თანაბარ პირობებში კანონიერად, თანახმად 1953 წლის 11 დეკემბერს პარიზში დადებული ევროპის კონვენციისა სოციალური და სამედიცინო დახმარების შესახებ”.⁴

მოგვიანებით, 1966 წელს, ჯანმრთელობის დაცვის უფლება აღიარებულ იქნა საერთაშორისო პაქტში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, სადაც ჯანმრთელობის დაცვის უფლება მოხსენებულია ორ მუხლში, კერძოდ, მე-7 მუხლში, შრომის უფლებასთან მიმართებით და მე-12 მუხლში:

“ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები, რაც კერძოდ, გულისხმობს:

ბ) უსაფრთხო და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნების შესაბამის შრომის პირობებს” (მე-7 მუხლი, “ბ” პუნქტი).

“1. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი შესაძლო სტანდარტებზე.

2. ზომები, რომლებიც ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ამ უფლების სრული რეალიზაციისათვის, უნდა შეიცავდეს ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია:

ა) მკვდრადშობადობისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისა და ბავშვის ჯანსაღი განვითარების უზრუნველსაყოფად;

ბ) გარემოს ჰიგიენისა და მრეწველობაში შრომის ჰიგიენის ყველა ასპექტის გასაუმჯობესებლად;

გ) ეპიდემიური, ენდემური, პროფესიული და სხვა დაავადებების თავიდან ასაცილებლად, სამკურნალოდ და შესამოწმებლად;

⁴ იქვე, გვ. 542.

დ) ისეთი პირობების შესაქმნელად, რომლებიც ავადმყოფობის შემთხვევაში ყველასათვის უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებასა და მოვლას” (მე-12 მუხლი, ა, ბ, ც, დ პუნქტები).

ბ) **საერთაშორისო ორგანიზაციების აქტები**, რომლებშიც მკვეთრად არის გამოხატული მედიცინაში ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები. ესენია, 1996 წლის ევროპის საბჭოს მიერ მიღებული კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ, 1997 წლის იუნესკოს მიერ მიღებული საყოველთაო დეკლარაცია ადამიანის გენომისა და ადამიანის უფლებების შესახებ, გაეროს მიერ 1982 წელს მიღებული სამედიცინო ეთიკის პრინციპები.

გ) **სამედიცინო ასოციაციების მიერ მიღებული ქარტიები**, რომლებიც მთლიანად ეძღვნება პაციენტის (ზოგჯერ უფრო ფართო წრეს - ადამიანთა) უფლებების დაცვის საკითხებს მედიცინის სხვადასხვა სფეროში. მართალია, მათ სავალდებულო ძალა არ გააჩნიათ, მაგრამ ისინი მნიშვნელოვანია სამედიცინო პერსონალისათვის ბიოსამედიცინო კვლევების ჩატარებისას. ესენია, მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის ჰელსინკის 1964 წლის დეკლარაცია სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანზე სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევების ჩატარების შესახებ, რომელიც პერიოდულად განიცდიდა ცვლილებებსა და დამატებებს (1975 წლის ტოკიოს დეკლარაცია, 1983 წლის ვენეციის დეკლარაცია, 1989 წლის ჰონგ-კონგის დეკლარაცია, 1996 წლის სომერსეტ ვესტის დეკლარაცია). 1975 წლის მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის ტოკიოს დეკლარაცია მთლიანად მიეძღვნა სამედიცინო პერსონალის სახელმძღვანელო პრინციპებს, დაკავებულთა და პატიმართა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის შემთხვევაში.

ეროვნული კანონმდებლობა პაციენტთა უფლებების დაცვის შესახებ

თანამედროვე მედიცინაში სერიოზული დამოკიდებულება პაციენტთა უფლებების მიმართ ყოველთვის არ იყო დამახასიათებელი. აღსანიშნავია, რომ ქვეყნებში, სადაც უკვე შეიმუშავეს და მოქმედებს კანონები პაციენტის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად ან ამზადებენ ამგვარ კანონმდებლობას, თავისი ხასიათით, უფრო პროგრესული და მრავალსიმომცველი აღმოჩნდა, ვიდრე აქამდე არსებული სამართლებრივი აქტები. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მათი დამუშავების პროცესში

შესწავლილ და განზოგადოებულ იქნა სხვა ქვეყნების საკანონმდებლო პრაქტიკა, გაზიარებულ იქნა ის პროგრესული დებულებები, რაც არსებობდა სხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. აქედან გამომდინარე, რაც უფრო ახალი მიღებულია კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, მით უფრო მრავალფეროვანია იგი.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი კანონმდებლობა აღნიშნულ სფეროში უკვე არსებულზე უფრო მრავალმხრივი და საინტერესო აღმოჩნდა, შეინიშნება ერთი ტენდენცია, კერძოდ, საუბარია კანონის აღსრულებისა და მისი სიცოცხლისუნარიანობაზე.

კანონმდებლობა პაციენტის უფლებების შესახებ მიღებულ იქნა მთელ რიგ პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში. მიუხედავად მათი პროგრესული ხასიათისა და მცდელობისა შეიქმნას პაციენტის უფლებების დაცვის მექანიზმები, საკანონმდებლო ბაზა, პაციენტის უფლებები მხოლოდ დეკლარირებულ ღირებულებებად რჩება და ყოველდღიურ ცხოვრებაში იშვიათად თუ იკიდებს ფეხს. უფრო მეტიც, მათ შესახებ არაფერია ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის. ქვეყნებში, რომლებშიც არა მარტო პაციენტის, არამედ ადამიანის სხვა უფლებებიც არ იყო დაცული, რთულია ისეთი ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება და ამოქმედება, როგორცაა ჯანდაცვის სფეროში პაციენტის უფლებების დაცვა. გარდა ამისა, აღნიშნულ ქვეყნებში 70 წლის მანძილზე გამეფებული იყო პაციენტებისადმი პატრიმონალური დამოკიდებულება.

სოციალურ-ეკონომიური პრობლემებიდან გამომდინარე, პოსტ-კომუნისტური ქვეყნების ჯანდაცვის სისტემა თანდათან კრიზისში აღმოჩნდა; ზოგიერთ შემთხვევაში არ გაამართლა დაზღვევის ამა თუ იმ მოდელმა; იგივე მიზეზების გამო, თანამედროვე მოთხოვნებს ჩამორჩა სამედიცინო ტექნოლოგიებისა და კვლევების განვითარება. შექმნილ ვითარებაში ყველაზე დაუსველი და უსუსური პაციენტები აღმოჩნდნენ. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით, მსოფლიოში პაციენტების უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სამართლებრივი პროცესი შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს შემდეგნაირად:

ქვეყნები, რომლებშიც ჩამოყალიბდა პაციენტის უფლებების კანონმდებლობა;

ქვეყნები, რომლებშიც პაციენტის უფლებები ჩამოყალიბებულია ქარტიებში, ეს უკანასკნელი კი არ არის ნორმატიული ხასიათის და პარლამენტის მიერ არ არის მიღებული;

ქვეყნები, რომლებშიც პაციენტის უფლებების დაცვის შესახებ ნორმები ჩართულია სხვადასხვა სამართლებრივ აქტში.⁵

| | | | |
|--|---|---|---|
| ქვეყნები, რომლებშიც უკვე მოქმედებს პანონომალურ-პაციენტთა უფლებების შესახებ | ქვეყნები, რომლებშიც მზადდება პანონომალური პაციენტთა უფლებების შესახებ | ქვეყნები, რომლებშიც პაციენტთა უფლებათა დამცველი ინსტიტუტი არ არსებობს, მაგრამ უკვე არსებობს საპრობლემატიკო აქტები | ქვეყნები, რომლებშიც მზადდება პანონომალური პაციენტთა უფლებების შესახებ |
| დანია | ბელორუსია | ავსტრია | საფრანგეთი |
| ფინეთი | ნორვეგია | ბულგარეთი | ირლანდია |
| საბერძნეთი | თურქეთი | ჩეხეთის რესპ.* | პორტუგალია |
| ისლანდია | აზერბაიჯანი | საფრანგეთი | დიდი ბრიტანეთი |
| ლიტვა | | უნგრეთი | ჩეხეთის რესპ.* |
| ნიდერლანდები | | პოლონეთი | სლოვაკეთი** |
| რუსეთის ფედერ. | | სლოვაკეთი** | შვედეთი |
| საქართველო | | სლოვენია | |
| ისრაელი | | ესპანეთი | |
| | | შვედეთი | |
| | | უზბეკეთი | |

ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა და საკმაოდ ეფექტურად განვითარდა პაციენტის უფლებების დამცავი მექანიზმები: საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სამედიცინო დაწესებულებათა ბიოეთიკური კომიტეტები, პაციენტთა უფლებების ომბუდსმენის ინსტიტუტი და სხვა. აღნიშნული ორგანიზაციები არა მარტო ეხმარებიან ავადმყოფებს და მათ ახლობლებს (და არა მარტო ავადმყოფებს) გაერკვნენ თავიანთ უფლებებსა და მოვალებებში, არამედ ხელს უწყობენ სამედიცინო პერსონალს უფრო უკეთ შეასრულონ თავიანთი მოვალეობები.

⁵ Loula Merakou and Ellie Tragakes, Development of Patients' Rights legislation, European Journal of Health Care Law, 1999, pp. 71-82.

*ზოგიერთი ქვეყნის მიკუთვნება რაიმე ერთი ჯგუფისათვის რთულია, რადგან პაციენტის უფლებების დაცვის შესახებ მათ გააჩნიათ როგორც ცალკე კანონმდებლობა, ისე ცალკეული დებულებები, გაბნეული ეროვნული კანონმდებლობის სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში.

** გააჩნიათ პაციენტების უფლებათა ქარტია, მაგრამ ცალკეული დებულებები არ არის ასახული სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებში.

საინტერესო ტენდენციას ვხვდებით იმ ქვეყნებში, სადაც ჯანდაცვის სისტემა საკმაოდ განვითარებულია, დიდი ხანია არსებობს ბიოეთიკური კომიტეტები და სპეციალური კანონმდებლობა პაციენტების უფლებების დაცვის შესახებ. ამ ქვეყნების გარკვეული ნაწილი ლეგიტიმურად აცხადებს ისეთ მანიპულაციას, როგორცაა ეუთანაზია (ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი აშშ-ის ზოგიერთ შტატში დაშვებულია პასიური ეუთანაზია). ეს განპირობებულია ამ ქვეყნებში სამედიცინო პერსონალისადმი ნდობის ფაქტორით, ქვეყანაში მაღალგანვითარებული სამედიცინო ტექნოლოგიებით და, რაც მთავარია, საზოგადოების მხრიდან კონტროლის მექანიზმების არსებობით. რაც უფრო განვითარებულია ჯანდაცვის სისტემა, სამედიცინო ტექნოლოგიები, მით უფრო მკაცრდება საზოგადოების მხრიდან კონტროლი ადამიანის და, უპირველეს ყოვლისა მისი ერთი მიმართულების - პაციენტის უფლებების, დაცვაზე.

როგორც უკვე ითქვა, მსოფლიოში არსებობს პაციენტთა უფლებების დაცვის 3 ძირითადი ვარიანტი. მათი არსებობა განპირობებულია ამ ქვეყნების კულტურული ტრადიციებითა და სამართლებრივი სისტემების სხვადასხვაობით. ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, რომ მთელ რიგ ქვეყნებს გააჩნიათ პაციენტის უფლებების დაცვის ქარტიები ან ეს ნორმები იმპლემენტირებულია ეროვნული კანონმდებლობის სხვადასხვა სფეროში. ეს უკანასკნელი კი უფრო მეტ სამუშაოს იძლევა პაციენტთა უფლებების დასაცავად. ცალკე საკანონმდებლო აქტების მიღებას თავისი დადებითი მომენტებიც გააჩნია. ყველა ის უფლება, რომელიც გააჩნია პაციენტს, თავმოყრილია და განზოგადებულია ერთიან სამართლებრივ აქტში. მიუხედავად იმისა, თუ რომელ სისტემას აირჩევს ესა თუ ის ქვეყანა, პაციენტის უფლებების დაცვა უკვე თეორიული დისკუსიებიდან რეალობად იქცევა.

პაციენტის უფლებების დაცვის ძირითადი პრინციპები

თანასწორუფლებიანობა

მოცემული პრინციპი გულისხმობს პაციენტთა თანასწორუფლებიანობას. აკრძალულია პაციენტის დისკრიმინაცია სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რწმენისა და აღმსრულებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების მიხედვით. ეს მოთხოვნა ასახულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წესდებაში, მსოფლიო სამედიცინო ასოცი-

აციის წესდებაში, 1948 წლის მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის დეკლარაციაში, ყველა იმ შიდასახელმწიფოებრივ კანონში, რომელიც შეეხება პაციენტის უფლებებს. ასე მაგალითად, 1997 წელს მიღებული კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ პირდაპირ მიუთითებს: “დაუშვებელია პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, აღმსრულებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი დამოკიდებულების გამო” (მე-5 მ).

საქართველოს კანონი ჯანდაცვის შესახებ დაუშვებლად მიიჩნევს სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში მყოფი პაციენტების დისკრიმინაციას სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას (მე-6 მუხლი).

მოგვიანებით, 2000 წლის საქართველოს კანონში პაციენტთა უფლებების შესახებ, კერძოდ კი მის ერთ-ერთ მუხლში პაციენტთა დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ ვხვდებით ახალ ელემენტს: “პაციენტის დისკრიმინაცია გენეტიკური მემკვიდრეობის გამო მიუღებელია” (მე-6 მუხლი). გენეტიკური მონაცემებით პაციენტის დისკრიმინაციის აკრძალვაზე ზემოქმედება მოახდინა იუნესკოს 1997 წლის დეკლარაციამ ადამიანს გენომისა და ადამიანთა უფლებების შესახებ.

სამედიცინო ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ თანასწორუფლებიანობის პრინციპის განუხრელად დაცვის საკითხში წარმოშვა გარკვეული პრობლემები. კერძოდ, უახლესი სამედიცინო საშუალებები და მეურნეობის მეთოდები დეფიციტური და ძვირადღირებულია, აქედან გამომდინარე, პაციენტთა თანასწორუფლებიანობის ეთიკური და სამართლებრივი იმპერატივი მედიცინაში გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან, ექიმის არსებული შესაძლებლობის გამო. ამგვარი წინააღმდეგობა ბიოეთიკაში ახალი მიმდინარეობის გაჩენის საფუძველი გახდა, რომელიც მეცნიერთა შორის ცნობილია “სოციალ-დარვინიზმის” სახელწოდებით. აღნიშნული მიმდინარეობის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ შეუძლებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში პაციენტებს შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპის დამკვიდრება. გარდა ამისა, თანასწორობის პრინციპი საპოლემიკოს ხდის მედიცინის ახალი, ძვირადღირებული დარგების განვითარებას.

პაციენტის ინფორმირებული თანხმობის საკითხები

კონვენციაში ყურადღება დაეთმო სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას პაციენტის თანხმობის საკითხებს.

ადამიანის ჯანმრთელობის სფეროში ჩარევა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირი განაცხადებს თავისუფლად გამოხატულ, ე.წ. “ინფორმირებულ”, თანხმობას. ინფორმირებული თანხმობა ეთიკური ნორმიდან გადაიზარდა სამართლებრივ მოთხოვნად და მან თავისი გამოხატულება ჰპოვა როგორც საერთაშორისო, ასევე შიდასახელმწიფოებრივ სამართალში. კერძოდ, „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლი მიუთითებს: “... არც ერთ პირზე, თუ არ იქნა მისი თავისუფალი თანხმობა, არ შეიძლება სამედიცინო ან სამეცნიერო ცდების ჩატარება”. მსგავსი მოთხოვნა გვხვდება ჰელსინკის 1964 (1975, 1989 წწ. რედაქციებით) დეკლარაციაში, 1996 წლის ევროპის საბჭოს კონვენციასა და იუნესკოს 1997 წლის დეკლარაციაში, ენევის 1949 წლის კონვენციებში შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ. ასეთივე მოთხოვნაა დაწესებული შიდასახელმწიფოებრივ სამართალის აქტებშიც. მაგალითად, 1997 წლის საქართველოს კანონში „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ ნათქვამია: “სამკურნალო, სადიაგნოზო, სარეაბილიტაციო, საპროფილაქტიკო პროცესებში პაციენტის მონაწილეობის აუცილებელი პირობაა მისი ზეპირი ან წერილობითი თანხმობა” (მე-8 მუხლი). კანონმდებელი მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ პირი არის ქმედითუნარიანი და მან გარკვეულ ასაკს მიაღწია. დაუშვებელია მასზე ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედება. თავისუფალი, ინფორმირებული თანხმობის გაცხადება პირს შეუძლია იმ შემთხვევაში, როდესაც ის ღებულბს ამომწურავ ინფორმაციას სამედიცინო ღონისძიებების შესახებ.

პირს, რომელიც დათანხმდა სამედიცინო ჩარევაზე, უფლება აქვს ნებისმიერ დროს გამოითხოვოს თავისი თანხმობა. აღნიშნული დებულება აღიარებულია ყველა საერთაშორისო სამართლებრივ აქტებსა და ეროვნულ კანონმდებლობებში.

აღნიშნული მიმართულებით სიახლე შეტანილ იქნა მხოლოდ 1996 წლის ევროპის კონვენციაში, რომელიც თავისებურად მიუდგა საკითხს იმ პირთა დაცვის შესახებ, რომელთაც არა აქვთ საშუალება გამოხატონ თავისი თანხმობა. ამავე კონვენციის თანახმად, ადამიანის

ჯანმრთელობაში ჩარევა მისი ნებართვის გარეშე შესაძლებელია მხოლოდ მისივე საკეთილდღეოდ. ეს დასაშვებია, როდესაც პირი უგონო მდგომარეობაშია და მას სასწრაფოდ ესაჭიროება სამედიცინო ხასიათის დახმარება.

ამავე კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც არასრულწლოვანს არ შეუძლია განაცხადოს თანხმობა სამედიცინო ჩარევაზე, მის ნაცვლად, თანხმობას იძლევა მისი წარმომადგენელი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანის აზრი სამედიცინო მანიპულაციის თაობაზე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არასრულწლოვანის ასაკისა და მომწიფების ხარისხის გათვალისწინებით.

საქართველოს კანონმდებლობამ, კერძოდ კი, კანონმა პაციენტების უფლებების შესახებ, პირდაპირ განსაზღვრა ასაკი, რომლის მიღწევის შემდეგაც არასრულწლოვან პაციენტს უფლება აქვს მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია თავისი ჯანმრთელობის შესახებ ან დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება: “14-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პაციენტი, რომელიც სამედიცინო მომსახურების გაწევის შეხედულებით სწორად აფასებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას” (მე-40 მუხლი).

ფსიქიურად დაავადებულთა უფლებები

კონვენციამ უყურადღებოდ არ დატოვა ფსიქიურად დაავადებულ პირის უფლებები. მის ნაცვლად თანხმობას განაცხადებს არაქმედუნარიანი პირის წარმომადგენელი, ხელისუფლების ორგანო ან კანონით გათვალისწინებული ინსტანცია (მე-6 მუხლი). ფსიქიურად დაავადებულ პირებმა შეძლებისდაგვარად უნდა მიიღონ მონაწილეობა თანხმობის მიცემის პროცედურაში. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისაგან განსხვავებით, კონვენციის ეს დებულება წინ გადადგმული ნაბიჯია ფსიქიურად დაავადებულ პირთა უფლებების დაცვის საქმეში.

1996 წლის ევროპის კონვენციაში ადამიანთა უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ გათვალისწინებულია შემთხვევები, როდესაც სამედიცინო ხასიათის მოქმედებების ჩასატარებლად არ ხერხდება თანხმობის მიღება. აღნიშნული დოკუმენტის მე-7 მუხლში საუბარია იმ გარემოებებზე, როდესაც პირს, სერიოზული ფსიქიური დაავადების გამო, შეიძლება დაენიშნოს იძულებითი მკურნალობა. ჩვენი აზრით,

ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მკურნალობაზე უარის თქმა საფრთხეს უქმნის ფსიქიურად ავადმყოფი პირისა და გარშემო მყოფ ადამიანთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. კონვენცია ასეთ ვითარებაში კატეგორიულად მოითხოვს ფსიქიურად დაავადებული პირის უფლებებისა და ინტერესების დაცვას. თუ რა იგულისხმება ამ უფლებებსა და ინტერესებში და როგორ უნდა მოხდეს მათი დაცვა, მითითებულია 1971 წლის დეკლარაციაში “გონებრივად ჩამორჩენილ პირთა უფლებების შესახებ”. “გონებრივად ჩამორჩენილ პირს აქვს უფლება შესაბამის სამედიცინო მომსახურებასა და მკურნალობაზე”, - ნათქვამია აღნიშნული დოკუმენტის მე-2 მუხლში.

ინფორმაციის მიღების უფლება

1996 წლის ევროპის კონვენციაში პირველად იქნა აღიარებული პირის უფლება არ მიიღოს ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ, თუკი მას ამის სურვილი არ გააჩნია (მე-10 მუხლი, მე-2 პუნქტი). ანალოგიური უფლება გვხვდება 1997 წლის იუნესკოს დეკლარაციაში “ადამიანის გენომის და ადამიანის უფლების შესახებ”. კონვენციის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულია, რომ გამონაკლის შემთხვევაში შესაძლებელია ამგვარი უფლებების შეზღუდვა. ჩვენი აზრით, ინფორმაციის მიღება საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელია, კერძოდ: 1. თუ პირის ჯანმრთელობა საფრთხეს უქმნის გარეშე პირებს (მაგალითად, ვენერიული სნეულების დროს აუცილებელია პირის გაფრთხილება, რათა ავადმყოფმა მიიღოს ზომები და გამოიჩინოს გარკვეული სიფრთხილე სხვა პირთა მიმართ); 2. იმ დროს, როდესაც სავალდებულოა პირისაგან მკურნალობაზე თანხმობის მიღება (მაგალითად, ორგანოთა გადანერგვისას აუცილებელია რეციპიენტის ან მისი ახლობლებისა ან კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობა. ასევე, ინფორმირებული უნდა იყოს ავადმყოფი, თუ მასზე ტარდება კლინიკური ექსპერიმენტი); 3. პაციენტისათვის ინფორმაციის მიწოდება სავალდებულოა იმ შემთხვევებშიც, თუკი არსებობს რაიმე შანსი მისი ჯანმრთელობის აღდგენის ან სიცოცხლის გადასარჩენად.

ვფიქრობთ, რომ სამედიცინო პერსონალის მიერ თავის მართლება იმ მოტივით, რომ პაციენტს არ სურს იცოდეს თავისი დიაგნოზი, არ ათავისუფლებს მათ სამედიცინო დახმარების აღმოჩენისაგან. მაგრამ, თუკი პაციენტი არ არის მძიმედ დაავადებული და მის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე არ ემუქრება, სამედიცინო ჩარევა შეი-

ძლება ჩაითვალოს მისი უფლების დარღვევად.

ამასთან, პირველ და მეორე შემთხვევაში ავადმყოფის გაფრთხილება უნდა მოხდეს ოფიციალურად, წერილობითი ფორმით და მას ხელშეკრულების სახე უნდა მიეცეს.

პაციენტთა უფლებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობაში

საერთაშორისო სამართლებრივი აქტების გარდა, პაციენტთა უფლებების დაცვა ასახულია შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებშიც. ჯანდაცვის სისტემის განვითარებამ, მედიცინაში მიმდინარე პროგრესმა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ადამიანის სოციალური და ინდივიდუალური უფლებების დაცვაშიც. დღეს ჯანმრთელობის დაცვის უფლება მოცემულია თითქმის ყველა ქვეყნის კონსტიტუციებსა და ეროვნულ საკანონმდებლო აქტებში, რომლებიც არეგულირებენ სამედიცინო სფეროში წამოჭრილ პრობლემებს.

აღნიშნული დებულება მოცემულია თითქმის ყველა სახელმწიფოს კონსტიტუციაში. აღსანიშნავია, რომ პირველად, უფლება ჯანმრთელობაზე ცალკე გამოყოფილი იყო მექსიკის 1917 წლის კონსტიტუციაში. მაგრამ ჯანმრთელობის დაცვის უფლება დამოუკიდებლად არ მოიხსენიებოდა, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებული იყო ადამიანის სხვა უფლებები.

დღეისათვის ჯანმრთელობის დაცვის უფლებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სხვა სოციალურ უფლებათა სისტემაში და ამდენად, ინდივიდის ეს უფლება ყველა ქვეყნის კონსტიტუციაშია დაფიქსირებული.

ჯანმრთელობაზე უფლების აღიარებამ ხელი შეუწყო შიდასახელმწიფოებრივ სამართალში მთელი რიგი ნორმატიული აქტების დამუშავებასა და მიღებას. მხოლოდ ამ ბოლო წლებში საქართველოში ჯანდაცვის სფეროში მიღებულია მთელი რიგი კანონებისა: 1995 წლის კანონი სისხლისა და სისხლის კომპონენტების დონორობის შესახებ; 1995 წლის კანონი იმუნოდეფიციტის ვირუსით/შიდსით დაავადებული ადამიანის პროფილაქტიკის შესახებ; 1995 წლის კანონი სამედიცინო გადასახადების შესახებ; 1995 წლის კანონი წამლებისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ; 1997 წლის კანონი „სამედიცინო დაზღვევის შესახებ“, 1997 წლის კანონი „ფსიქიატრიული

დახმარების შესახებ“, 1997 წლის კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, 2000 წლის კანონი “პაციენტთა უფლებების შესახებ” და სხვა.

საქართველოს კანონმდებლობა ამ სფეროში შეიცავს შემდეგ სამართლის წყაროებს:

საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც აღიარებს ჯანდაცვის უფლებას. ჯანდაცვის უფლება, როგორც სოციალური უფლება, დეკლარირებულია საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 37-ე მუხლში, კერძოდ, მასში აღნიშნულია:

“1. ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევით, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება” (37-ე მუხლი).

2. საქართველოს კანონები ჯანდაცვის სფეროში და მათ შორის კანონი პაციენტის უფლებათა დაცვის შესახებ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

ახალ სისხლის სამართლის კოდექსში შესულია მთელი რიგი მუხლებისა, რომლებიც პაციენტთა უფლებების დაცვას შეეხება. ახალ კოდექსში ვხვდებით ისეთი სახის დანაშაულებს, რომლებიც ხელყოფს ადამიანის სიცოცხლესა და მისი სხეულის ხელშეუხებლობას. კერძოდ, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში (მუხლი 109 “ნ” პუნქტი), რომელიც ითვალისწინებს “მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადაწვევის ან სხვაგვარად გამოყენების მიზნით”; მუხლი 117-ე “ნ” პუნქტი ითვალისწინებს ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებას “დაზარალებულის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადაწვევის ან სხვაგვარად გამოყენების მიზნით”. კოდექსში პირველად იქნა გამოცხადებული გენური მანიპულაციებისათვის სისხლისსამართლებრივი სასჯელი (136-ე მუხლი). გენეტიკური მანიპულაცია, ე.ი. ადამიანის მსგავსი არსების შექმნა - ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე”.

მიუხედავად საქართველოში მიღებული კანონებისა და კონსტიტუციური გარანტიებისა, რეალური მდგომარეობა სხვაგვარია. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მუშაობა და მასში განხორციელებული რეფორმები. ასე მაგალითად, რიგით მო-

ქალაქებს ნაკლები გარანტია აქვს იმისა, რომ მიიღოს შესაბამისი სამედიცინო მომსახურება სახელმწიფო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიის პროგრამებიდან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მოქალაქე ეკუთვნის იმ მცირე ჯგუფს, რომლისათვისაც გათვალისწინებულია სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა. ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ 2000 წელს გათვალისწინებული იყო მხოლოდ 2 მილიონი ლარი და ეს მაშინ, როდესაც ქირურგიული ოპერაციისათვის, ქიმიოთერაპიის 3 სავალდებულო კურსისა და წელიწადში 4 სავალდებულო რენტგენის სურათის ღირებულება თითოეულ პაციენტზე 2,500-3,000 ლარს შეადგენს. ამ მონაცემების ანალიზის მიხედვით, სახელმწიფო კომპანიას შეუძლია მხოლოდ 670 პაციენტის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება მაშინ, როდესაც რეალური მოთხოვნები სულ ცოტა სამჯერ მეტია.⁶

ასევე სავალალო მდგომარეობაა ბავშვთა სიკვდილიანობის საკითხში. მაგალითად, ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ქალაქში სიცოცხლის პირველი კვირის განმავლობაში შეადგენს 82,4%.

დაბოლოს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული კრიტერიუმების თანახმად, სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემებს არ შეუძლიათ თავიანთი ფუნქციების სათანადოდ განხორციელება იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის სფეროზე გამოყოფილი ერთ სულ მოსახლეზე თანხები 60 აშშ დოლარზე ნაკლებია.⁷ საქართველოში კი ეს თანხა 7 აშშ დოლარს შეადგენს.

⁶ ჰუმანური განვითარების ანგარიში, საქართველო 2000, გვ. 67.

⁷ World Health Report, Washington DC, 2000, released in Internet on June 21, 2000. ჰუმანური განვითარების ანგარიში, საქართველო 2000, გვ. 75.

**საქართველოს კანონმდებლობა და
საერთაშორისო საპარტაზო
სტანდარტები თავისუფლის მაქიზალი
პირებისა და ლტოლვილების შესახებ:**

შედარებითი ანალიზი

ვახტანგ შვეარდნაძე

მე-20 საუკუნის ბოლოს ქართველმა ხალხმა მეორედ აღიდგინა დაკარგული სახელმწიფოებრიობა და აირჩია ევროპული ინტეგრაციის პროცესებში მონაწილეობის გზა. საქართველოსა და მისი ხალხის საბოლოო მიზანი კი საერთო ევროპული სახლის სრულუფლებიანი წევრობაა, რომელიც დამყარებული იქნება პლურალისტური დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის პრინციპებზე. ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის პირველ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ევროპის საბჭოში საქართველოს გაწევრიანება. გაწევრიანების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენდა 1950 წლის „ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპულ კონვენციის“ (შემდეგში „ევროპული კონვენცია“) რატიფიცირება. ამრიგად, ზოგადად, სამართლის ნორმების იერარქიული დამოკიდებულების გარკვევა აუცილებელ და მეტად პრაქტიკულ სასიათს იძენს. წინამდებარე ნაშრომის პირველ ნაწილში სამართლებრივი ნორმების ურთიერთდამოკიდებულების ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, კონკრეტული კონვენციისა და შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტების ურთიერთშესაბამისობის განხილვის მაგალითზე, წარმოჩენილი იქნება საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების ტრანსფორმაციის აუცილებლობა შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ ნორმებთან მიმართებაში.

საერთაშორისო იურიდიული ჩარჩო

საქართველო „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის 28 ივლისის კონვენციას (შემდეგში „1954 წლის კონვენცია“) და მასთან დაკავშირებულ „1967 წლის 31 იანვრის ოქმს ლტოლვილთა სტატუ-

სის შესახებ“ (შემდეგში „1967 წლის ოქმი“) 1999 წლის 28 მაისს შეუერთდა. ამავე დროს, საქართველომ მოახდინა ადამიანის უფლებების რამდენიმე საერთაშორისო ინსტრუმენტის რატიფიცირება, რომელთა შორისაა საერთაშორისო კონვენცია „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან), საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ (1994 წლის 3 აგვისტო), საერთაშორისო პაქტი „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ (1994 წლის 3 აგვისტო), კონვენცია „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“ (1994 წლის 25 ნოემბერი), „ბავშვის უფლებების კონვენცია“ (1994 წლის 2 ივლისი), კონვენცია „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ“ (1994 წლის 25 ნოემბერი) და ა.შ.

რეგიონულ დონეზე საქართველო 1999 წლის 27 აპრილს გაწევრიანდა ევროპის საბჭოში და 1999 წლის 20 მაისს მოახდინა „ევროპული კონვენციის“ რატიფიცირება.

საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ნორმების იმპარტიული დამოკიდებულების ზოგიერთი საკითხი

ადამიანის უფლებათა „ევროპული კონვენციის“ ამა თუ იმ ქვეყნის სასამართლოების საქმიანობაზე ზემოქმედების საკითხის განხილვისას, ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ურთიერთმოქმედების ზოგიერთ ფუნდამენტურ საკითხს. ევროპული კონვენციის პრეამბულისა და 1-ლი მუხლის თანახმად, ხელშეკრულების ხელმომწერი ქვეყნის ხელისუფლებას, უპირველეს ყოვლისა, ევალება ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების აღიარება და დაცვა. თუ რა მასშტაბითა და სახით მონაწილეობენ სასამართლო ორგანოები ადამიანის უფლებების დაცვაში, ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, უფლებამოსილი არიან თუ არა ეს უკანასკნელნი უშუალოდ იხელმძღვანელონ ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმებითა და დებულებებით, რომლებიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს, თუ რა სახის ზემოქმედებას ახდენენ საერთაშორისო სამართლის ნორმები შიდასახელმწიფოებრივი, ანუ ეროვნული სამართლის ნორმებზე.

მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით, სამართალმცოდნეებს შორის გაბატონებულია ორი ძირითადი მიმართულება. ეგრეთ წოდებული *დუალისტური¹ მიმდინარეობის* წარმომადგენლები საერთაშორისო და ეროვნული სამართლის სისტემებს განიხილავენ როგორც სამართლის ორ, დამოუკიდებელ სფეროს. შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის ნორმები აისახება ეროვნული სამართლის სისტემაში მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი სათანადო კონსტიტუციური და პროცედურული წესების დაცვით ტრანსფორმირდებიან მასში. ამრიგად, სახელმწიფოს სამართლებრივ სუბიექტებს ეკისრებათ ის უფლებამოვალეობები, რაც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებითაა გათვალისწინებული. აღნიშნული მიმდინარეობის მკაფიო წარმომადგენელია დიდი ბრიტანეთი.

ე.წ. *მონისტური² მიმდინარეობის* მიმდევრები კი თვლიან, რომ ყოველისმომცველი სამართლებრივი სისტემა ერთიანია და იგი შედგება სხვადასხვა სამართლებრივი სისტემებისგან: როგორც საერთაშორისო, ისე შიდასახელმწიფოებრივისაგან. ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლები მოქალაქეებთან ურთიერთობის პროცესში ვალდებული არიან იხელმძღვანელონ საერთაშორისო სამართლის ნორმებით, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა მათი ტრანსფორმაცია შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სისტემაში. მონისტური მიმდინარეობის მიხედვით, პიროვნება თავის უფლებებსა და თავისუფლებებს მოიპოვებს უშუალოდ საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე. ამრიგად, მას ეროვნული სამართლის სისტემაში შეუძლია მიმართოს საერთაშორისო სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც განსახილველად სავალდებულო უნდა იყოს სასამართლოსთვის და მათ ენიჭებათ უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებთან მიმართებაში.

მოკლედ განვიხილოთ საერთაშორისო სამართლის სისტემით გათვალისწინებული ე.წ. *პირდაპირი მოქმედების ან თვითაღსრულებადი ნორმები³*. იმ ქვეყნებში, სადაც საერთაშორისო სამართლის ნორმები უშუალოდ გამოიყენება სასამართლოების მიერ და პირს უფლება აქვს სასამართლოში ისარგებლოს ამ ნორმებით მისი დარღვეული უფლების

¹ Lauterpacht, H., *International Law and Human Rights* (London, 1950. Reprinted in 1968).

² იქვე.

³ ინგლისურენოვან ლიტერატურაში *Self-executing norms*.

აღსაღვანად, მათ ეწოდებათ პირდაპირი მოქმედების ნორმები. ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულება წარმოადგენს სახელმწიფოს კონსტიტუციის შემადგენელ ნაწილს და ითვლება ამ ქვეყნის სამართლის წყაროდ (მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-6 მუხლი). რიგ ქვეყნებში პირდაპირი მოქმედების ნორმებს უპირატესი იერარქიული საფეხური უკავიათ შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სისტემასთან მიმართებაში. მაგალითად, საფრანგეთის 1958 წლის კონსტიტუციის 55-ე მუხლის თანახმად, „სათანადო წესით რატიფიცირებულ ან მოწონებულ ხელშეკრულებებს ან შეთანხმებებს მათი გამოქვეყნების შემდეგ აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა სხვა კანონებთან შედარებით, იმ პირობით, რომ მოცემულ ხელშეკრულებაში ან შეთანხმებაში მონაწილე მეორე მხარე იყენებს მოცემულ წესს.“ უფრო მეტიც, თუ გადავხედავთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1949 წლის კონსტიტუციის 25-ე მუხლს, ვნახავთ, რომ შემოხსენებული დებულება კიდევ უფრო მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული: „საჯარო საერთაშორისო სამართლის ზოგადი ნორმები წარმოადგენენ ფედერალური სამართლის შემადგენელ ნაწილს. მათ აქვთ უპირატესი ძალა სხვა კანონების მიმართ და უშუალოდ ანიჭებენ უფლებებსა და აკისრებენ მოვალეობებს ფედერალური ტერიტორიის მაცხოვრებლებს.“

ამ საკითხთან დაკავშირებით, განვიხილოთ საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია. თუ სამართლის დუალისტური და მონისტური მიმდინარეობების მომხრე სამართალმცოდნეების ან სახელმწიფოების დადგენა მეტწილად აკადემიურ ხასიათს ატარებს, ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სამართლის ნორმების საერთაშორისო სტანდარტების განსაზღვრა და სასამართლოსა თუ კერძო პირის მიერ მათი პრაქტიკაში გამოყენება უდიდეს მნიშვნელობას იძენს.

აღნიშნული კუთხით შევაფასოთ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი დებულებები. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის მე-2 თავი, რომელიც მთლიანად ეხება ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, სრულად შეესაბამება ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და სტანდარტებს. მასში გათვალისწინებულია იურიდიული მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარების დღევანდელი დონე, საერთო სურათი. ამასთან ერთად,

კონსტიტუციაში ჩადებულია საკმაოდ ქმედუნარიანი გარანტიები და მექანიზმები ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სხვადასხვა სფეროების სათანადო მიმართულებით განვითარებისათვის. ერთი შეხედვით, საქართველოს კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ კანონმდებელმა მათზე მუშაობის დროს ე.წ. მონიტორინგის მიმდინარეობა აირჩია და საერთაშორისო სამართლის აღიარებულ ნორმებს უპირატესობა მიანიჭა ეროვნულ სამართალთან შედარებით. მაგალითად, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად:⁴

„საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.“

როდესაც ადგილი აქვს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმების ურთიერთგადაფარვას, პრაქტიკოსი იურისტისთვის, რა თქმა უნდა, მათ განმარტებასთან დაკავშირებით არ წარმოიშობა დიდი სიძნელე.

მაგრამ, თუ საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოს აკისრებს ისეთ ვალდებულებას, რომელიც ეროვნული სამართლით არ არის გათვალისწინებული ან პირდაპირ ეწინააღმდეგება ამ უკანასკნელს, სასამართლო ორგანო, როგორც წესი, სარგებლობს შემდეგი წესით: პირველ რიგში, განიხილავს და მხედველობაში მიიღებს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებს და მხოლოდ მათი განხილვის შემდეგ - საერთაშორისო ხელშეკრულებებს ან შეთანხმებებს. აღნიშნული პრაქტიკა, ვფიქრობ, აუცილებელია შეწყდეს, ვინაიდან ახალი კონსტიტუციით გათვალისწინებული დებულებების მიხედვით საერთაშორისო სამართლის ნორმები და პრინციპები უპირატესი ძალის მქონე არიან შიდასახელმწიფოებრივთან შედარებით. თუ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს პირდაპირი მოქმედების ნორმა, სასამართლო უშუალოდ გამოიყენებს მას. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები - პროცესის წყაროები:

„1. სისხლის საპროცესო სამართლის ნორმებს შეიცავს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებე-

⁴ საქართველოს კონსტიტუცია, 1996 წლის გამოცემა.

ბი და შეთანხმებები, ეს კოდექსი, საქართველოს სხვა კანონები, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები.

2. თუ ეს კოდექსი და საქართველოს სხვა კანონები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, შესაბამისად მოქმედებს კონსტიტუცია ან საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ხოლო თუ საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, მოქმედებს კონსტიტუცია.“

არ არის გამორიცხული, რომ სასამართლომ გამოიყენოს როგორც საერთაშორისო, ისე შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმები. ასეთ შემთხვევაში იგი ალბათ იხელმძღვანელებს კონსტიტუციის მე-6 და 39-ე მუხლებით.

ამრიგად, თუ ერთიანი განმარტების მისაღებად მე-6 და 39-ე მუხლებს, აგრეთვე, 42-ე მუხლის პირველ პუნქტს მთლიანობაში წავიკითხავთ, მივიღებთ, რომ საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას (შემდეგ როგორც ტექსტში). ამასთან ერთად, კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებს და გარანტიებს, რომლებიც მასში არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამოდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან. კონსტიტუცია ასევე ამკვიდრებს ადამიანის უფლებების სასამართლო წესით დაცვის გარანტიის ზოგად დებულებას, რომ ყველა ადამიანს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება განვაცხადოთ, რომ საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებისა და ევროპული კონვენციის რატიფიცირების შემდეგ, მოსამართლეებს, როგორც წესი, გააჩნიათ უფლება და საშუალება გამოიყენონ კონვენციის დებულებები უშუალოდ საქმის სასამართლო წარმოების დროს. რაც შეეხება კონვენციის პირდაპირ ბენეფიციარებს, ანუ საქართველოს სახელმწიფო იურისდიქციის ქვეშ მყოფ ადამიანებს, მათ გაუჩნდათ საშუალება დაიცვან თავიანთი უფლებები მოქმედი საერთაშორისო სამართლის უმაღლესი სტანდარტების დონეზე.

თავმესაფრის მაძიებელ პირებსა და ლტოლვილებთან დაკავშირებული შიდა კანონმდებლობა და პრაქტიკა

საქართველომ თავმესაფრის მაძიებლებსა და ლტოლვილებთან დაკავშირებული რამდენიმე საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ღონისძიება განახორციელა, კერძოდ, თავმესაფრის ძიების უფლებას ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუცია, რომლის 47-ე მუხლის მიხედვით:⁵

„1. საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეები და და მოქალაქეობის არმქონე პირები სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეების თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით გარდა კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.“

კანონი „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს პარლამენტმა მიიღო 1998 წლის თებერვალში. კანონპროექტზე თანდართულ განმარტებით ბარათში კანონის ინტერპრეტირების შესახებ ნათქვამია, რომ მისი განმარტება უნდა მოხდეს როგორც საქართველოს კონსტიტუციასა და „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1951 წლის კონვენციითა და 1967 წლის ოქმით ჩამოყალიბებულ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან შესაბამისობაში მყოფი.“ შესაბამისად, კანონის პრეამბულა უნდა შეიცავდეს ზემოაღნიშნულ წინადადებას და სასურველია იკითხებოდეს შემდეგნაირად:

„წინამდებარე კანონი განსაზღვრავს თავმესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილთა სტატუსს საქართველოში, ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის პროცედურას და იურიდიულ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს იმ პირებისათვის, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქენი, იმყოფებიან მოქალაქეობის ანდა მუდმივი საცხოვრებლის სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ და დევნის რეალური საფრთხიდან გამომდინარე, ესაჭიროებათ საერთაშორისო დაცვა და თავმესაფარს ითხოვენ საქართველოში. ეს კანონი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას და „ლტოლვილთა სტატუსის“ შესახებ 1951 წლის კონვენციითა და 1967 წლის მასთან დაკავშირებული ოქმით ჩამოყალიბებულ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.“

კანონის პირველ მუხლში მოცემულ ლტოლვილის დეფინიციასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი შესწორებების შეტანა:

⁵ იქვე.

ა) პირველი მუხლის პირველ პუნქტში ამოღებულ უნდა იქნას შემდეგი წინადადება: „რომლისთვისაც საქართველო არ არის მისი წარმოშობის ქვეყანა“. ამ შესწორებასთან დაკავშირებით, აუცილებელია განვიხილოთ რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული საკითხი. მოქმედი კანონის შესაბამისად, ტერმინი - „ლტოლვილი“, განმარტებულია შემდეგნაირად: „ლტოლვილად ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლისთვისაც საქართველო არ არის მისი წარმოშობის ქვეყანა და რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მოქალაქეობის ან მუდმივად საცხოვრებელი ქვეყანა, რადგანაც იღვენებოდა რასის, რელიგიის, ეროვნული კუთვნილების, რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულების გამო და არ შეუძლია ან არ სურს ისარგებლოს იმ ქვეყნის მფარველობით ასეთი საშისშროების გამო“.⁶ ჩვენი ვარაუდით ზემოაღნიშნული წინადადება კანონში შეტანილ იქნა გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებების გამო და არ გააჩნია სხვა რაიმე მიზანი. მოცემული წინადადების მნიშვნელობა კიდევ უფრო შემცირდა საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანების შემდეგ, როდესაც (ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დასკვნა № 209 (1999))⁷ საქართველომ ვალდებულება აიღო ორი წლის ვადაში შექმნას სამართლებრივი საფუძველი მესხეთიდან დეპორტირებულ პირთა რეპატრაციისა და ინტეგრაციისათვის, მათთვის შემდეგში მოქალაქეობის უფლების მინიჭების ჩათვლით.

ბ) მეორე შესწორება ეხება ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრის ე.წ. „სუბიექტურ კრიტერიუმს“. ფორმულირება - „ღვენის კარგად დასაბუთებული შიში“, ლტოლვილის დეფინიციაში განსაზღვრულია 1951 წლის კონვენციაში და იგი სრულიად არის უგულებელყოფილი საქართველოს შესაბამისი კანონით. აღსანიშნავია, რომ ეს ფრაზა უმნიშვნელოვანესია ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრებაში და ლტოლვილობის სამართლებრივი ბუნების ერთ-ერთ განმსაზღვრელ საკითხს წარმოადგენს. წინამდებარე ფორმულირება ლტოლვილის სტატუსის მიღების მოტივაციას განსაზღვრავს შიშის კრიტერიუმის მიხედვით, ვინაიდან შიში ადამიანის ბუნების სუბიექტური ნიშანია, რომელსაც თავშესაფრის მაძიებელი ეყრდნობა. განსაზღვრება - „კარგად დასაბუთებული შიში“, თავის თავში გულისხმობს არა მხოლოდ

⁶ საქართველოს კანონი „ლტოლვილთა შესახებ“. 1998 წლის გამოცემა.

⁷ Parliamentary Assembly. Council of Europe. 27 January 1999 (4th Sitting).

თავშესაფრის მადიებლის სუბიექტურ განცდას (შიშს), არამედ გარკვეული ობიექტური ვითარების არსებობასაც. შესაბამისად, ფორმულირება - „დევნის კარგად დასაბუთებული შიში“ აერთიანებს როგორც „ობიექტურ“ (ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული რეალური მდგომარეობა), ისე „სუბიექტურ“ კრიტერიუმებს. პირის სტატუსის დადგენისას დგება ორივე მათგანის გამოყენების აუცილებლობა. ლოგიკური დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ კანონით გათვალისწინებული განსაზღვრება უნდა აერთიანებდეს როგორც „სუბიექტურ“, ისე „ობიექტურ“ კრიტერიუმებს, რადგან ისინი ურთიერთდაკავშირებული და განუყოფელია.

გ) კანონით გათვალისწინებული დეფინიციის მესამე შეუსაბამობა საერთაშორისო სამართლის ნორმებთან მდგომარეობს თავშესაფრის მადიებელი პირის ე.წ. „გამძევების პრინციპის (Non-refoulement) არარსებობით, რომელიც ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული. შეშფოთების კიდევ ერთ მიზეზს იძლევა ის უდიდესი განსხვავება, რომელიც ლტოლვილისა და თავშესაფრის მადიებლის იურიდიულ სტატუსსა და პრაქტიკას შორის არსებობს. მოქმედი დეფინიციის თანახმად, ლტოლვილი არის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული“ პირი. ზუსტად იგივე ფორმულირება გამოიყენება კანონის პრეამბულაში. შესაბამისად, ლტოლვილის სტატუსის განმსაზღვრელი დებულების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნილებაა თავშესაფრის მადიებლის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა. თუ კანონმდებელი ზემოთ განხილულ სამ პრინციპს კანონის პირველ მუხლში გააერთიანებს, იგი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

„1. ლტოლვილად ჩაითვლება პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე და, ითხოვს რა თავშესაფარს საქართველოში, გააჩნია დევნის კარგად დასაბუთებული შიში რასის, რელიგიის, ეროვნული კუთვნილების, რომელიმე სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო, იმყოფება თავისი მოქალაქეობის ან მუდმივი საცხოვრებლის ქვეყნის ფარგლებს გარეთ და არ შეუძლია ან არ სურს ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით, დევნის ამგვარი საშიშროების გამო.

2. ლტოლვილის სტატუსი არ მიენიჭება პირს, თუ არსებობს სერიოზული საფუძველი ვარაუდისა, რომ მას საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლამდე ჩადენილი აქვს სამხედრო დანაშაული, დანაშაული მშვიდობის, ადამიანურობის წინააღმდეგ, ან არაპოლიტიკური

ხასიათის მძიმე დანაშაული, ან ბრალი მიუძღვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების საწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენაში.“

„ლტოლვილთა შესახებ“ კანონით განსაზღვრული დებულებებით არ არის გაზიარებული ე.წ. „ოჯახური თავშესაფრის“ ცნება ან „ოჯახის ერთიანობის“ პრინციპი. შესაბამისად, კანონი არ ითვალისწინებს ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებულ ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს, კერძოდ, 1948 წლის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“, თანახმად, ოჯახი წარმოადგენს საზოგადოების ბუნებრივ და ფუნდამენტურ ჯგუფს და დაცული უნდა იყოს სახელმწიფოთა თანამეგობრობის მიერ. ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების უმრავლესობა ითვალისწინებს მსგავს დებულებას „ოჯახის ერთიანობის დაცვის“ პრინციპთან დაკავშირებით. გაერთიანებული ერების კონფერენციის „საბოლოო აქტში“, სადაც მიღებულ იქნა „1951 წლის კონვენცია“, აღნიშნულია:

“(კონფერენცია) რეკომენდაციას აძლევს მთავრობებს მიიღონ აუცილებელი ზომები ლტოლვილის ოჯახის დასაცავად, განსაკუთრებით:

1. უზრუნველყონ ლტოლვილის ოჯახის ერთიანობა იმ შემთხვევებში, როცა ოჯახის უფროსი აკმაყოფილებს მოცემულ ქვეყანაში თავშესაფრის მიღების კრიტერიუმებს.
2. უზრუნველყონ არასრულწლოვანი ლტოლვილების, განსაკუთრებით მეთვალყურეობის გარეშე მყოფი ბავშვებისა და გოგონების, დაცვა, მათი მეურვეობისა და შვილად აყვანის საკითხების ჩათვლით”.⁸

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია კანონში შევიდეს დამატება ცალკე მუხლის სახით შემდეგი შინაარსით:

მუხლი 2. ლტოლვილის ოჯახი

1. თავშესაფრის მიღების უფლება იმავე სტატუსით უნდა მიენიჭოს იმ პიროვნების მეუღლეს, 16 წლამდე ასაკის შვილებსა და მისი მეურვეობის ქვეშ მყოფ ნებისმიერ პირს, რომელსაც მიენიჭა თავშ-

⁸ The Final Act of the United Nations Conference of Plenipotentiaries on the Status of Refugees and Stateless Persons. United Nations Treaty Series, vol. 189, p. 37.

ესაფარი საქართველოში იმის გათვალისწინებით, რომ ისინი ერთად ცხოვრობენ და არ გააჩნიათ თავშესაფრის მიძღვებისაგან განსხვავებული სხვა ქვეყნის მოქმედი მოქალაქეობა.

2. ლტოლვილის სტატუსის მქონე პირის განქორწინების, დაშორების ანდა გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახის წევრები, რომლებმაც თავშესაფარი ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად მიიღეს, ინარჩუნებენ ამ უფლებას. იგივე დებულებები ვრცელდება ბავშვებზე, რომლებიც მიაღწევენ 16 წლის ასაკს.”

განვიხილოთ „ლტოლვილთა შესახებ“ საქართველოს კანონის კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც, ჩვენი აზრით, შეუსაბამობაშია ლტოლვილთა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან. *Inter alia* ეს ეხება კანონის მე-8 მუხლში ჩამოყალიბებულ დებულებას, რომლის მიხედვით, „გაძევების დაუშვებლობის“ პრინციპი ვრცელდება მხოლოდ საქართველოს მიერ ლტოლვილად აღიარებულ პირებზე. კანონი „ლტოლვილთა შესახებ“ არ ითვალისწინებს დებულებას „გაძევების დაუშვებლობის“ პრინციპის თავშესაფრის მაძიებელ პირებზე გავრცელებასთან დაკავშირებით. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სახელმწიფოებს არ გააჩნიათ ვალდებულება მიანიჭონ ლტოლვილებს გრძელვადიანი საერთაშორისო დაცვა სხვა ქვეყნის იურისდიქციასთან მიმართებაში და ქვეყანაში უვადო ინტეგრაციის შესაძლებლობა. ამასთან ერთად, სახელმწიფოს დისკრეციული უფლება მნიშვნელოვნადაა შეზღუდული „გაძევების დაუშვებლობის“ პრინციპით, რომელიც არ ადგენს დაცვის ხანგრძლივობის კონკრეტულ ვადას. თავისთავად ცხადია, რომ სახელმწიფოს მიერ დაცვის ქვეშ „მხოლოდ ტერიტორიული სუვერენიტეტის ჩვეულებრივი განხორციელება იგულისხმება“.⁹ ისიც გასათვალისწინებელია, რომ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში განხორციელდა „გაძევების დაუშვებლობის“ პრინციპის ახალი, უფრო ფართო ინტერპრეტაცია. სახელმწიფოების არსებულმა პრაქტიკამ გამოიწვია საერთაშორისო კანონმდებლობის პროგრესული განვითარება. კერძოდ, „ტერიტორიული თავშესაფრის შესახებ“ 1967 წლის დეკლარაციის თანახმად, რომელიც გაეროს გენერალურმა ასამბლეის მიერ ერთხმად იქნა მიღებული, არც ერთ პირს, რომელსაც აქვს თავშესაფრის ძიების უფლება, არ უნდა ეთქვას უარი მიძღვები ქვეყნის საზღვარზე, ან თუ იგი ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფება, არ უნდა მოხდეს მისი გაძევება ან განხორ-

⁹ Asylum case, ICJ Rep. ,1950, 266.

ციელდეს სხვა ქმედება, რომლის შედეგადაც ის იძულებული გახდება დაბრუნდეს ან დარჩეს ტერიტორიაზე, სადაც მას დევნის საფრთხე ემუქრება.¹⁰

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული რეზოლუციის თანახმად, წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ შემდეგს: არც ერთი პირი არ უნდა იქნას უარყოფილი საზღვრის გადაკვეთისას, გასახლებული, გაძევებული ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაბრუნებული იმ ტერიტორიაზე, სადაც მას დევნის საფრთხე ემუქრება.¹¹

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდირებულია კანონში „ლტოლვილთა შესახებ“ შემდეგი სახის დამატების შეტანა:

მუხლი 3

გაძევების დაუშვებლობა (Non-refoulement)

1. გაძევების დაუშვებლობის პრინციპი გულისხმობს საქართველოს ვალდებულებას ნებისმიერ შემთხვევაში არ დააბრუნოს თავშესაფრის მაძიებელი ან ლტოლვილი იმ ქვეყნის საზღვარზე ან ტერიტორიაზე, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება რასის, რელიგიის, ეროვნული კუთვნილების, რომელიმე სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო; ან იმ ქვეყანაში, სადაც ის წამების ან არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის მსხვერპლი გახდება;

1. დაუშვებელია თავშესაფრის მაძიებელი პირის გაძევება საქართველოს ტერიტორიიდან მაშინაც კი, თუ მისი მოთხოვნა თავშესაფრის მინიჭების შესახებ უარყოფილ იქნა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს (შემდეგში „სამინისტრო“) მიერ იმგვარად, რომ პირს არ მიეცა ამ კანონით გათვალისწინებული ყველა საპროცედურო უფლებითა და გარანტიით სარგებლობის საშუალება.“

რამდენიმე შენიშვნა გავაკანია მოქმედი კანონის მეორე მუხლში პირის მიერ ლტოლვილის სტატუსის მიღების მიზნით მიმართვის

¹⁰ Art 3.1; GA Res 2312 (XXII) of 14 Dec., 1967.

¹¹ Res. (67) 14 on Asylum to persons in danger of Persecution, adopted on 29 June 1967.

პროცედურასთან დაკავშირებითაც. კანონის თანახმად, თავშესაფრის მაძიებელი ვალდებულია პირადად მიმართოს სამინისტროს, რის შემდეგაც სამინისტრო მიიღებს გადაწყვეტილებას განცხადების რეგისტრაციასთან დაკავშირებით წარდგენიდან სამი დღის განმავლობაში. მოცემული ვადის გასვლის შემდეგ, სამინისტროს უფლება აქვს ან რეგისტრაციაში გაატაროს განცხადება, ან უარი თქვას მასზე. აღნიშნული პროცედურა მიუღებელია, რადგან ის ლტოლვილის ბედის გადაწყვეტას მხოლოდ ერთი ადმინისტრაციული ორგანოს სამინისტროს, კომპეტენციაში აქცევს, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლო წესით გასაჩივრების მეტად შეზღუდული ვადების არსებობისა და განმცხადებლის რეალური შესაძლებლობის გათვალისწინების გარეშე.

ზემოთქმულთან დაკავშირებით, შესაძლებლად მიგვაჩნია კანონში შემდეგი დამატების შეტანა:

მუხლი 4

პირის მიერ ლტოლვილის სტატუსის მიღების მიზნით განცხადების გაკეთების წესი

1. თავშესაფრის მაძიებლის ნებისმიერი განცხადება სახელმწიფო საზღვარზე ან ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელიც გულისხმობს, რომ მას ესაჭიროება დაცვა საერთაშორისო კონვენციებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა ჩაითვალოს როგორც თავშესაფრის მიღების მოთხოვნა;
2. თავშესაფრის მაძიებელი პირი სახელმწიფო საზღვარზე მიმართავს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის (შემდეგში „დეპარტამენტი“) წარმომადგენელს ან პირდაპირ მიმართავს სამინისტროს, თუ იგი იმყოფება ქვეყნის ტერიტორიაზე და წარადგენს განცხადებას თავშესაფრის მიღების შესახებ;
3. ყოველი პირი, რომელიც თავშესაფრის მიღების მოთხოვნით მიმართავს დეპარტამენტის წარმომადგენელს, ამ მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, სასწრაფოდ უნდა გადაიზავნოს სამინისტროში რეგისტრაციისა და თავშესაფრის მიღების განცხადების წარდგენისათვის;

4.16 წლის ასაკს გადაცილებული ბავშვი არ არის უფლებამოსილი მიიღოს თავშესაფარი ოჯახთან ერთად ამ კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით. განმცხადებელი ცალკე წარადგენს ინდივიდუალურ მოთხოვნას, თუკი მას საქართველოში თავშესაფრის მიღება სურს;

5. სამხედრო და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების, ან სხვა გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ემუქრება სახელმწიფო უშიშროებას, იმ პირის მიმართ, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე და ითხოვს თავშესაფარს, სამინისტრომ შეიძლება დროებით შემოიღოს განცხადების შეტანის განსხვავებული ვადა და წესი. იგივე დებულება ვრცელდება ლტოლვილის სტატუსის მინიჭების წესზე, რომელიც წინამდებარე კანონით არის რეგლამენტირებული.

საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „3. დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული პირი, რომელსაც ღვენიან პოლიტიკური მრწამსისთვის, ან იმ ქმედებისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება.“

ამჟამად საქართველოში არ არის მიღებული კანონი ექსტრადიციის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და პრინციპებს შორის არ არის წინააღმდეგობა, ამ საკითხში ჩვენ უნდა ვისარგებლოთ საერთაშორისო სამართლის ნორმებით. ლტოლვილის ექსტრადიციასთან დაკავშირებული საკითხები საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი „1951 წლის კონვენციის“ დებულებებში. თუ ჩვენ შევაჯამებთ იმ ნორმებს, რომლებიც „1951 წლის კონვენციაშია“ წარმოდგენილი (32 და 33-ე მუხლები) და საქართველოს კონსტიტუციას (47-ე მუხლი), ექსტრადიციას შემდგომი პრინციპი შეიძლება ჩამოყალიბდეს:

„ექსტრადიცია და/ან გაძევება უკანონოა, თუ პირი, რომელმაც მიიღო თავშესაფარი იღვენება პოლიტიკურ საფუძველზე ან იმ ქმედებისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება და არ არის გათვალისწინებული საქართველოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან შეთანხმებებით. საქართველოს უფლება არაა აქვს გააძეოს ლტოლვილი, რომელიც კანონიერად

იმყოფება მის ტერიტორიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ზორციელდება ეროვნული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით. ასეთ შემთხვევაში ლტოლვილის გაძევება უნდა მოხდეს მხოლოდ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. საქართველომ არ უნდა გააძეოს ან დააბრუნოს ლტოლვილი იმ ქვეყნის საზღვარზე ან ტერიტორიაზე, სადაც მისი სიცოცხლე ან თავისუფლება შეიძლება საფრთხეში აღმოჩნდეს რასის, რელიგიის, ეროვნების, რომელიმე სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო. ეს დებულება არ ეხება ლტოლვილს, რომლის მიმართაც არსებობს რეალური საფუძველი, რომ იგი საფრთხეს უქმნის საქართველოს უსაფრთხოებას ან რომლის მიმართაც გამოტანილ იქნა საბოლოო განაჩენი განსაკუთრებით სერიოზული დანაშაულის ჩადენისთვის, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს მოსახლეობას.“

„ლტოლვილთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლი განსაზღვრავს ლტოლვილის სტატუსის მიღების წესს. აღნიშნული მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც შემოვიდა საქართველოში ლტოლვილის სტატუსის მიღების მიზნით, პირადად მიმართავს სამინისტროს. ამ დებულებას შესაძლოა ნეგატიური შედეგები ჰქონდეს თავშესაფრის მაძიებლებისათვის. მოქმედი კანონის თანახმად, პირის მიერ ლტოლვილის სტატუსის მიღების მიზნით სამინისტროსადმი მიმართვის ვადა არ არის განსაზღვრული. კანონი ასევე არასრულყოფილია თავშესაფრის მაძიებელი პირის დაკავება/დაპატიმრების წესის რეგლამენტაციის თვალსაზრისით. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში“ თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება განსაზღვრულია შემდეგნაირად: ყველას აქვს პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (მუხლი 3).

არავინ შეიძლება დააპატიმრონ ან დააკავონ დაუსაბუთებლად (მუხლი 9).

1966 წლის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების“ პაქტი და „ევროპული კონვენცია“ იგივე შინაარსით, მაგრამ სხვა ფორმით იცავენ პირის თავისუფლებასა და უსაფრთხოებას. სახელმწიფოთა ვალდებულება, აღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი აქტების

მიხედვით, აბსოლუტური ხასიათისაა და გამოირჩევა დაუყოვნებელი, პირდაპირი მოქმედებით. პირის თავისუფლების” იურიდიული მნიშვნელობის დასაზუსტებლად შესაძლებელია დავეყრდნოთ ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ პრეცედენტებსა და პრაქტიკას. „პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების“ ცნება “მრავალჯერ იქნა განხილული სტრასბურგის სასამართლოს მიერ. მაგალითად, „გუზარდი იტალიის წინააღმდეგ”¹² საქმეზე ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ გამოთქვა მოსაზრება, რომ “პირის თავისუფლების უფლება” განსაზღვრულია „ევროპული კონვენციის“ მე-5 მუხლით და იგი, უპირველესად, პირის ფიზიკურ თავისუფლებას გულისხმობს. „ეროუსმიტი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ”¹³ საქმეზე ადამიანის უფლებების ევროპულმა კომისიამ დაადგინა, რომ “პიროვნული თავისუფლება” ნიშნავს დაპატიმრებისა და დაკავებისაგან თავისუფლებას. „X დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ”¹⁴ საქმეზე ზემოაღნიშნულმა კომისიამ გააკეთა დასკვნა, რომ ფრაზა „პიროვნების თავისუფლება და უსაფრთხოება” ერთიანობაში უნდა იქნას წაკითხული, რაც ნიშნავს, რომ „უსაფრთხოება“ გაგებულ უნდა იქნას „თავისუფლების” კონტექსტში და იგი ფიზიკურ უსაფრთხოებას უნდა ნიშნავდეს, ანუ უკანონო დაპატიმრებისა და დაკავებისაგან თავისუფლებას. იმ მიზნით, რომ განისაზღვროს, ჩამოერთვა თუ არა პირს თავისუფლება, ყურადღება უნდა მიექცეს კრიტერიუმების მთელს სპექტრს, რაც მოიცავს დაკავების ტიპს, ხანგრძლივობას, შედეგებსა და მისი განხორციელების საშუალებებს. „გუზარდი იტალიის წინააღმდეგ” საქმეზე ადამიანის უფლებების ევროპულმა კომისიამ და სასამართლომ განიხილეს საკითხი, შეიძლებოდა თუ არა მოსარჩელეს იძულებითი განსაზღვრა კუნძულზე განხილულიყო როგორც პირისთვის თავისუფლების ჩამორთმევა. კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ ტერიტორიის სიცივრეს, რომელზეც მოსარჩელე იმყოფებოდა, თითქმის მუდმივ ზედამხედველობასა და სოციალური კონტაქტების დამყარების სრულ შეუძლებლობას, აგრეთვე, კუნძულზე იძულებითი ყოფნის ხანგრძლივობას და დაასკვნა, რომ ადგილი ჰქონდა თავისუფლების ჩამორთმევას. სასამართლომ აღნიშნა, რომ თავისუფლების ჩამორთმევაზე ცალკე აღებული თითოეული

¹² (7367/76) Judgement; 3 EHRR 333;

¹³ (7050/75) Report; DR 19,5.

¹⁴ (5877/72) CD 45, 90.

კრიტიკიუმის არსებობისას საუბარი არ შეიძლება თავისუფლების ჩამორთმევაზე, მაგრამ მათი ერთობლიობაში განხილვა ამის საშუალებას იძლეოდა. თავისუფლების ჩამორთმევისა და შეზღუდვას შორის განსხვავება, აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, განისაზღვრება არა არსის, არამედ ინტენსივობის საფუძველზე.

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული დებულებები პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების შესახებ დეტალურად არის რეგლამენტირებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-7, მე-12, 265-ე, 270-ე და 271-ე მუხლებითაც.

დასკვნის სახით, შესაძლებელია კანონში „ლტოლვილთა შესახებ“ ცალკე მუხლის სახით შეტანილი იქნეს შემდეგი დამატება:

„თავშესაფრის მაძიებლების დაკავება“

1. თავშესაფრის მაძიებელი პირი, რომელიც უკანონოდ შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე არ შეიძლება გასამართლდეს სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის დარღვევის გამო, თუკი მან ამის შესახებ განუცხადა შესაბამის ორგანოებს შემოსვლიდან არა უგვიანეს 10 დღისა;

2. ამ მუხლის 1 პუნქტით განსაზღვრული პირი, შეიძლება დაკავებულ იქნას თუ:

- ა) მისი პიროვნება არ იქნა დადგენილი;
- ბ) თავშესაფრის მაძიებელმა გაანადგურა მისი პიროვნების დამადასტურებელი და სამგზავრო დოკუმენტები ან აქვს ყალბი დოკუმენტები ხელისუფლების შეცდომაში შეყვანის მიზნით; ან
- გ) ამას მოითხოვს საქართველოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესები;

3. თავშესაფრის მაძიებელი პირის დაკავება ან დაპატიმრება უნდა განხორციელდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესების შესაბამისად. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს გარანტირებული აქვს მიმართოს საქართველოში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობას და კანონიერი დაცვის უფლებას.

ბოლო განსახილველი საკითხი ლტოლვილი ბავშვების დაცვას უკავშირდება. საქართველო შეერთებულია „ბავშვის უფლებების შესახებ“

1989 წლის კონვენციას. კონვენციის 22-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია შესაბამისი დაცვითა და ჰუმანიტარული დანხარებით უზრუნველყოს თავშესაფრის მაძიებელი ან ლტოლვილი ბავშვი, როგორც ეს „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციითა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებითაა გათვალისწინებული. სახელმწიფო ასევე ვალდებულია სათანადო დანხარება გაწიოს ბავშვს ოჯახთან გაერთიანების მიზნით. ოჯახის გაერთიანების შეუძლებლობის შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფომ ბავშვი იგივე სახის დაცვით უნდა უზრუნველყოს, როგორც ეს 1989 წლის კონვენციის თანახმად გათვალისწინებულია დროებით ან მუდმივად ოჯახის ზრუნვას მოკლებული ბავშვებისათვის.

ამასთან დაკავშირებით, ლტოლვილი ბავშვის დაცვის შესახებ მოქმედ კანონში ცალკე მუხლად შეიძლება შევიდეს შემდეგი დამატება:

ლტოლვილი ბავშვი

1. სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს თავშესაფრის მაძიებელი ან ლტოლვილი ბავშვის, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი მშობლებთან ან სხვა ნებისმიერ პირთან ერთად, შესაბამისი დაცვა და ჰუმანიტარული დანხარება, როგორც ეს საქართველოს კანონმდებლობით და/ან საქართველოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან შეთანხმებებით არის გათვალისწინებული;

2. სამინისტრომ უნდა დაიცვას ასეთი ბავშვი და დაეხმაროს მას მშობლების ან ოჯახის სხვა წევრების მოძებნაში, აგრეთვე მისი ოჯახის გაერთიანებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მოძიების მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა მშობლების ან ოჯახის სხვა წევრების პოვნა, ბავშვი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს იგივე დანხარებით, როგორსაც იღებს სხვა ნებისმიერი დროებით თუ მუდმივად ოჯახის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით და/ან საქართველოს მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებით ან შეთანხმებებით.

დაბოლოს, ზემოთ განხილული საკითხები „ლტოლვილთა შესახებ“ მოქმედი კანონის ყველაზე მნიშვნელოვან და აუცილებელ დამატებებსა და შესწორებებს ეხება. ავტორს გაცნობიერებული აქვს, რომ

კანონის სრულყოფისთვის საკმარისი არ არის მისი მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით დახვეწა და რომ ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული მრავალი პოზიტიური თუ ნეგატიური ფაქტორი. ჩვენი მიზანი ამ ეტაპზე შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ზემოაღნიშნული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას საერთაშორისო სამართლის მიერ დადგენილ ნორმებსა და სტანდარტებთან, თუნდაც ჩვენი ცხოვრების ერთ კონკრეტულ სფეროში.

ნოემბერი, 2000 წელი

VI საერთაშორისო ორბანიზაციები

ევროპის გაერთიანებაში განუვრცლანების კრიტიკიუმიები

გაგა გაბრიჩიძე

XX საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა ევროპული ინტეგრაციის პროცესი, რაც, თავის მხრივ, მიუთითებს ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი და კულტურული ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის გლობალურ ტენდენციებზე.

საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის ურთიერთობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს 1996 წლის 22 აპრილს ხელმოწერილი შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელიც საქართველოსათვის ძალაში შევიდა 1999 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს არაერთხელ გამოუხატავს თავისი ინტერესი ევროპის გაერთიანებაში გაწვევრიანების მიმართ.¹ აქედან გამომდინარე, გაერთიანების სამართლით გათვალისწინებულ იმ კრიტიკიუმიების განხილვას, რომლის შესრულებაც ევროპის გაერთიანებაში გაწვევრიანების მსურველ სახელმწიფოს მოეთხოვება, თითოეული ჩვენთაგანისთვის არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია.

1. ევროპის გაერთიანებაში გაწვევრიანების სამართლებრივი მნიშვნელობა

უდავოა, რომ უახლოეს მომავალში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ევროპის გაერთიანებაში ახალი წვევრების სტატუსით მიღება დასავლეთ ევროპული ინტეგრაციის მთელი ისტორიის მანძილზე ევროპის გაერთიანების წინაშე მდგარ ყველაზე

¹ მაგალითისათვის გამოდგება საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 2 სექტემბრის დადგენილება საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ, რომლის მიხედვითაც "1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროპის კავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს."

ლიდ გამოცდას წარმოადგენს.² შესაბამისად, სახელმწიფოს ევროპის გაერთიანებაში გაწევრიანების საკითხი, თავისი მნიშვნელობიდან და აქტუალობიდან გამომდინარე, დეტალურ სამართლებრივ ანალიზს მოითხოვს.

პირველ რიგში, აღსანიშნავია ის გაუგებრობა, რასაც "ევროპის კავშირისა" და "ევროპის გაერთიანებების" ტერმინების არასწორად ხმარება იწვევს. მოცემული უზუსტობა, ევროპის კავშირისა და ევროპის გაერთიანებების განსხვავებული სამართლებრივი ბუნების გამო, განმარტებას მოითხოვს იმ საკითხთან მიმართებაშიც, რომლის განხილვასაც მიზნად ისახავს წინამდებარე სტატია. აქვე უნდა ითქვას, რომ სტატიაში ტერმინი - "ევროპის კავშირში გაწევრიანება", გამოყენებული იქნება ქვემოთ მოცემული სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით.

ვინაიდან ევროპის კავშირი საერთაშორისო სამართლის სუბიექტს არ წარმოადგენს, სამართლებრივი თვალსაზრისით, არ შეიძლება საუბარი იყოს მასში გაწევრიანებაზე. ევროპის „კავშირის წევრად“³ გახდომის შესაძლებლობა, რომელიც ევროპის კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების (შემდგომში - ეკღხ) მუხლით (ამსტერდამის ხელშეკრულებით დადგენილი ახალი ნუმერაციით - ეგღხ-ს 49-ე მუხლი) არის გათვალისწინებული, თავის თავში აერთიანებს სამართლებრივი თვალსაზრისით ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ კატეგორიებს. ერთის მხრივ, იგი ნიშნავს ზეეროვნული ხასიათის მქონე გაერთიანებებში - კერძოდ კი, ევროპის გაერთიანებას, ევროპის ფოლადისა და ნახშირის გაერთიანებასა და ევროპის ატომურ გაერთიანებაში - გაწევრიანებას, რომლებიც საერთაშორისო სამართლის სრულფასოვან სუბიექტებს წარმოადგენენ. მეორე მხრივ კი, იგი ნიშნავს მონაწილეობას საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (შემდგომში - სსუპ) და პოლიციისა და სასამართლო ორგანოების სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის (შემდგომში - პსოთ) მთავრობათაშორისი ხასიათის მქონე კოოპერაციის ფარ-

² შეად.: Pechstein, M., Osterweiterung und Zukunftsperspektiven der Europäischen Union, ZfRV 1996, გვ. 108; Maresceau, M./Montaguti, E., The Relations between the European Union and central and eastern Europe: a legal appraisal, CMLR 1995, გვ. 1327; Arndt, H.-W., Europarecht, 3. Auflage, Heidelberg 1999, გვ. 19.

³ სტატიაში მოყვანილი ციტატების თარგმანი შესრულებულია ავტორის მიერ.

გლებში. ამასთან, აღსანიშნავია ეკდხ-ს 49-ე მუხლის ის ნაწილი, რომელიც ადგენს, რომ გაწევრიანებული სახელმწიფო ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ევროპის კავშირის სამივე საყრდენში,⁴ ანუ, მაგალითად, იგი არ შეიძლება შემოიფარგლოს ევროპის გაერთიანების ფარგლებში მიმდინარე ეკონომიკური ინტეგრაციით. იმისათვის, რომ გაწევრიანება პოლიტიკურად და სამართლებრივად საერთოდ შესაძლებელი იყოს, ამისათვის უნდა განხორციელდეს გარკვეული პროცედურა და გაწევრიანების მსურველი სახელმწიფოს მიერ უნდა შესრულდეს გაწევრიანების გარკვეული წინაპირობები.

მაასტრიხტის ხელშეკრულების მუხლი (ახალი ნუმერაციით - ეკდხ-ს 49-ე მუხლი) ჩაენაცვლა ევროპის გაერთიანებების დამფუძნებელი ხელშეკრულებების იმ მუხლებს, რომლებიც შეიცავდნენ დებულებებს გაწევრიანების შესახებ (ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების (ეეგდხ) 237-ე მუხლი, ევროპის ატომური გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების (ეაგდხ) 205-ე მუხლი და ევროპის ფოლადისა და ნახშირის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების (ეფნგდხ) 98-ე მუხლი).

2. გაწევრიანების პროცედურა

ა) სამართლებრივი ჩარჩომბი

ევროპის კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების 49-ე მუხლის მიხედვით, ყველა ევროპულ სახელმწიფოს შეუძლია ევროპის კავშირში გაწევრიანებაზე განცხადების შეტანა. თუმცა, ამასთან, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული დებულება არ შეიცავს გაწევრიანების უფლებას.⁵

განცხადების განხილვის პროცედურის პირველ ეტაპზე გადაწყვეტილებას იღებს ევროპის კავშირის საბჭო ერთხმად, ევროკომისიასთან კონსულტაციებისა და ევროპის პარლამენტის თანხმობის შემდეგ. მოცემულ შემთხვევაში პარლამენტი გადაწყვეტილებას იღებს წევრ-

⁴ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულებით, ევროპის კავშირის პირველ საყრდენს ევროპის გაერთიანებები, მეორე და მესამე საყრდენებს კი შესაბამისად საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა და პოლიციისა და სასამართლო ორგანოების სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობა წარმოადგენენ.

⁵ შეად.: Pechstein, M./Koenig, Christian, Die Europäische Union, 2. Aufl., Tübingen 1998, გვ. 223.

თა სიითი შემაღენლობის აბსოლუტური უმრავლესობით.

მორე ეტაპზე, ეკდხ-ს 49-ე მუხლის მიხედვით, გაწვევრიანების მსურველ სახელმწიფოსა და ევროპის გაერთიანების წევრ სახელმწიფოებს შორის დადებული შეთანხმებით განისაზღვრება გაწვევრიანების კონკრეტული წინაპირობები. გაწვევრიანების შესახებ აღნიშნული შეთანხმება საჭიროებს რატიფიცირებას ყველა წევრ სახელმწიფოსა და გაწვევრიანების მსურველ სახელმწიფოს მიერ მათი შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესაბამისად.

ვინაიდან შეთანხმება გაწვევრიანების შესახებ იდება არა ევროპის კავშირთან, არამედ თითოეულ წევრ სახელმწიფოსთან, საკითხავია, თუ რა სამართლებრივი მნიშვნელობა გააჩნია საბჭოს მიერ ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებას. მთავრობათაშორის სფეროებში - სსუპსა და პსოთ-ში, მონაწილეობასთან დაკავშირებით, მას არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია, რადგანაც ევროპის კავშირის საბჭოში თვით წევრი სახელმწიფოები არიან წარმოდგენილი, ისინი კი არ საჭიროებენ გაწვევრიანების შესახებ გადაწყვეტილებაზე ორჯერ თანხმობის გამოხატვას, კერძოდ, - ერთხელ ევროპის კავშირის საბჭოში და ერთხელაც გაწვევრიანების შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირების საშუალებით. ამ ორსაფეხურიანი სისტემის ახსნა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ევროპის სამ გაერთიანებასთან კონტექსტში. მათ საკანონმდებლო ორგანოებს - მინისტრთა საბჭოსა და ევროპის პარლამენტს, გაწვევრიანების წინ საშუალება უნდა მიეცეთ გამოხატონ თითოეული გაერთიანების ნება, ვიდრე წევრი სახელმწიფოები გაერთიანებების გაფართოების პროცესს განახორციელებენ. ამით ხაზი ესმება ევროპის გაერთიანებების, როგორც საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტების, როლს. ევროპის კავშირთან მიმართებაში კი, სახეზე არ არის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობიდან გამომდინარე ნება, რომლის გამომხატველიც იქნებოდა ევროპის კავშირის საბჭო ეკდხ-ს 49-ე მუხლის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების საშუალებით.

აღსანიშნავია, რომ გაწვევრიანების შესახებ ადრინდელი დებულებებიც - ეკდხ-ს ძველი რედაქციის 237-ე მუხლი, ეკდხ-ს ძველი რედაქციის 205-ე მუხლი, მსგავს სისტემას ითვალისწინებდნენ.⁶

⁶ თუმცა სხვა რამ იყო დადგენილი ეფნგდხ-ს 98-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც გაწვევრიანების შესახებ ხელშეკრულება ეფნგ-სთან უნდა დადებულიყო. ეს დამოუკიდებლობა ეფნგ-ს ეკდხ-ს O მუხლის შემოღებით წაერთვა.

ბ) პრაქტიკული მიმდინარეობა

ევროპის გაერთიანებაში ახალი წევრების მიღების დღემდე განხორციელებულ პრაქტიკაში ჩამოყალიბდა გაწევრიანების შემდეგი სახის პროცედურა:⁷

- 1) გაწევრიანების მსურველი სახელმწიფოს გადაწყვეტილება გაწევრიანების შესახებ განცხადების შეტანის შესახებ;
- 2) გაწევრიანების შესახებ განცხადების მიწოდება საბჭოსათვის;
- 3) საბჭო მოუწოდებს კომისიას, რათა მან გამოიმუშაოს დასკვნა გაწევრიანების შესახებ განცხადების თაობაზე;
- 4) კომისია გამოიმუშავებს დასკვნას წევრობის კანდიდატის სამართლებრივი და ეკონომიკური მდგომარეობის დეტალური ანალიზის საფუძველზე;
- 5) კომისიის მიერ აღნიშნული დასკვნის ფორმალური მიღება;
- 6) საბჭო განიხილავს კომისიის დასკვნას და იღებს გადაწყვეტილებას გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყების შესახებ;
- 7) დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ინიშნება კონფერენცია გაწევრიანების შესახებ;
- 8) გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების მოსამზადებელი ფაზა;
- 9) გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები;
- 10) მოლაპარაკებების ფორმალური დასასრული;
- 11) ევროპული საბჭოს მიერ მოლაპარაკებების შედეგების დამტკიცება;
- 12) ევროპის პარლამენტის თანხმობა;
- 13) წევრობის კანდიდატის მიერ გაწევრიანების შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირება;
- 14) ევროპის გაერთიანების წევრი სახელმწიფოების მიერ გაწევრიანების შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირება;
- 15) გაწევრიანების პროცედურის დასასრული გაწევრიანების შესახებ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ.

3. ეკლს-ს 49-ე მუხლით დადგენილი გაწევრიანების წინაპირობები

ეკლს-ს 49-ე მუხლის ძველი რედაქცია წევრობის კანდიდატებისაგან, პრინციპში, მხოლოდ იმას მოითხოვდა, რომ ისინი ევროპულ სახელმწიფოს წარმოადგენდნენ. უდავოა, რომ მოცემული კრიტერიუმი

⁷ შეად.: Preston, CH.: Enlargement and Integration in the European Union, Andover 1997, გვ. 10.

სრულდება უმნიშვნელოვანეს აქტუალურ კანდიდატებთან - გაწევრიანების მსურველ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან, მიმართებაში. საკითხი, თუ სად მდებარეობს ევროპის აღმოსავლეთ საზღვარი, არ არის პრობლემატური ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპაში მდებარე წევრობის კანდიდატებთან დაკავშირებით. სხვათა შორის, ეს არ წარმოადგენს წმინდა გეოგრაფიულად დეფინირებად წინაპირობას. მოცემული წინაპირობა განმტკიცებული უნდა იყოს პოლიტიკური თვალსაზრისითაც. მიუხედავად ამისა, თუნდაც გეოგრაფიული არგუმენტების საფუძველზე უპერსპექტივო იქნება გაწევრიანების სურვილი ისეთი სახელმწიფოების მხრიდან, როგორცაა, მაროკო და ტუნისი. რაც შეეხება თურქეთსა და რუსეთის ფედერაციას, ამ ქვეყნების გაწევრიანების საწინააღმდეგოდ მეტყველებენ ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური არგუმენტები. თუმცა აღსანიშნავია, რომ თურქეთთან ურთიერთობაში ევროპის გაერთიანებამ და მისმა წევრმა სახელმწიფოებმა პოლიტიკურად უხერხულ მდგომარეობაში ჩაიყენეს თავი ხანგრძლივი, გაუაზრებელი და არასამართლიანი მოქმედებით.⁸

ამსტერდამის ხელშეკრულებით ეკდხ-ს 49-ე მუხლის დებულების შეცვლის შემდეგ, ევროპის გაერთიანებაში გაწევრიანების შესახებ განცხადების შეტანა შეუძლიათ იმ ევროპულ სახელმწიფოებს, რომლებიც პატივს სცემენ ეკდხ-ს მე-6 მუხლის პირველ აბზაცში⁹ ჩამოთვლილ პრინციპებს. აღნიშნული პრინციპები წარმოადგენენ ე.წ. გაწევრიანების საყოველთაო წინაპირობებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა წევრობის კანდიდატებისათვის.

4. გაწევრიანების საყოველთაო წინაპირობები

ა) ზოგადი შენიშვნები

ეკდხ-ს 49-ე მუხლში ჩამოთვლილ წინაპირობებზე უფრო მნიშვნელოვანია გაწევრიანების ის კრიტერიუმები, რომლებიც ევროპის გაერთიანებაში ახალი წევრების მიღების დღემდე განხორციელებული

⁸ შეად.: Pechstein, M./Koenig, Christian, Die Europäische Union, 2. Aufl., Tübingen 1998, გვ. 225.

⁹ ევროპის კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-6 მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, „კავშირი ეყრდნობა თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის, ისევე როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს; ეს პრინციპები ყველა წევრი სახელმწიფოსათვის საერთოა“.

პრაქტიკისა და ევროპის კავშირისა და ევროპის გაერთიანების პირველადი სამართლიდან გამომდინარეობენ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გაწვევრიანების საყოველთაო წინაპირობების სამართლებრივი ბუნება მასტრიხტის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე საკმაოდ პრობლემატური იყო. თუკი გაწვევრიანების იმ წინაპირობებს, რომლებიც წევრობის კანდიდატების პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის მიმართ მოთხოვნებსა და, ასევე, მათ მზადყოფნას შიდასახელმწიფოებრივ სამართალში „*acquis communautaire*“-ს იმპლემენტაციისათვის მოიცავდნენ, და რომლებიც ევროპის გაერთიანებაში ახალი წევრების მიღების დღემდე განხორციელებული პრაქტიკიდან გამომდინარეობენ, არა მხოლოდ პოლიტიკური ხასიათი მიეწერებოდა, მაშინ მათი, როგორც ევროპის გაერთიანების პირველადი ჩვეულებითი სამართლის კვალიფიკაცია უნდა მომხდარიყო. თუმცა დღეს არსებული მდგომარეობით, აღნიშნული კრიტერიუმები მთლიანად არიან ნორმატიზებული მასტრიხტისა და ამსტერდამის ხელშეკრულებით დადგენილი ნორმების საშუალებით. იმის გამო, რომ ისინი უკვე პირველადი სამართლის ნაწილს შეადგენენ, აღნიშნული წინაპირობები უკვე აღარ ექვემდებარებიან წევრი სახელმწიფოების იურისდიქციას.

ევროპის გაერთიანების სასამართლომ უარი თქვა აბსტრაქტული კრიტერიუმების მეშვეობით გაწვევრიანების *ex ante* შემოწმებაზე და, ამასთან, აღნიშნა, რომ იმდროინდელი ევდხ-ს 237-ე მუხლის დებულებები ახალი წევრი სახელმწიფოების მისაღებად ადგენდნენ ზუსტ და განსაზღვრულ პროცედურას, რომლებშიც გამოუმუშავებული უნდა ყოფილიყო გაწვევრიანების წინაპირობები. ანუ გაწვევრიანების ამგვარი სამართლებრივი წინაპირობები დადგენილი უნდა ყოფილიყო მოცემული პროცედურის ფარგლებში ისე, რომ შეუძლებელი გამხდარიყო მათი შინაარსის სასამართლოების მიერ განსაზღვრა.¹⁰ სასამართლოს აზრით, წევრ სახელმწიფოებს გაწვევრიანების წინაპირობების გასავითარებლად მოქმედების ფართო არეალი გააჩნიათ. ამასთან, სასამართლოს არ მიუღია გადაწყვეტილება გაწვევრიანების საყოველთაო წინაპირობების მეშვეობით გაწვევრიანების *ex post* შემოწმებაზე. თუმცა სავარაუდოა, რომ მსგავსი კონტროლის საშუალება მას, დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუზღუდავად გააჩნია, რადგანაც ევდხ-ს 49-ე მუხლი შეუზღუდავად ექვემდებარება ევროპის გაერთიანების სასამართლოს კონტროლს.

¹⁰ EuGH - *Mattheus/Doego* -, Rs. 93/78, Slg. 1978, გვ. 2203 (2211).

ბ) მოთხოვნები პოლიტიკური სისტემის მიმართ

მაასტრიხტის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ეკდხ-ს F მუხლი ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავდა, რომ წევრი სახელმწიფოების მმართველობითი სისტემები დემოკრატიულ პრინციპებს ეფუძნებიან. აღნიშნული მუხლის ახალი რედაქცია ეკდხ-ს მე-6 მუხლის პირველი აბზაცის სახით მოცემულ დებულებას აფართოებს და ადგენს, რომ ევროპის კავშირი აღიარებს თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის, ისევე, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს; მოცემული პრინციპები, აღნიშნული დებულების მიხედვით, ყველა წევრი სახელმწიფოსათვის საერთოა. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ ისინი ისევე, როგორც სამივე გაერთიანებისათვის, წევრი სახელმწიფოებისათვის სავალდებულოა. თუმცა, ამასთან ერთად, მათი შინაარსი უფრო კონკრეტულად განსაზღვრული არ იქნა.

წევრი სახელმწიფოებისა და წევრობის კანდიდატების მიმართ დემოკრატიული წყობის მოთხოვნა ჯერ კიდევ ეკდხ-ს ძალაში შესვლამდე მოქმედებდა. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროპული საბჭოს 1978 წლის აპრილის მემორანდუმში დემოკრატიის შესახებ. მემორანდუმში სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურები აცხადებდნენ, რომ საპარლამენტო დემოკრატიის შენარჩუნება და განვითარება ევროპის გაერთიანებებისადმი წევრი სახელმწიფოების კუთვნილების ერთ-ერთ არსებით ელემენტს წარმოადგენს.¹¹ თუმცა აღნიშნული მემორანდუმიდან ისევე, როგორც ეკდხ-ს მე-6 მუხლის პირველი აბზაციდან, არ გამოძინარეობს ის, თუ რა მოცულობით უნდა გააჩნდეთ ეროვნულ პარლამენტებს კომპეტენციები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ დებულებებთან შეუთავსებელი იქნებოდა ისეთი სახელმწიფოს მიღება (ან კიდევ, ისეთი სახელმწიფოსათვის წევრის სტატუსის შენარჩუნება),¹² რომელიც, ფაქტიურად, არსებული დიქტატურის დემოკრატიული ნიღბის საშუალებით დაფარვას შეეცდებოდა.

¹¹ Meng, W., Kommentar zum Art. 237 EGV, in: Groeben, Hans von der/Thiesing, Jochen/Ehlermann, Claus-Dieter (Hrsg.), Kommentar zum EU-/EG-Vertrag, 5. Aufl., Baden-Baden 1997, Rn. 42.

¹² შეად. ევროპის კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების მე-7 მუხლი და ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების 309-ე მუხლი, რომლებიც იმ წევრ სახელმწიფოთათვის, რომლებიც ეკდხ-ს მე-6 მუხლით გათვალისწინებულ პრინციპებს არდგევენ, სანქციების დაწესების შესაძლებლობას ითვალისწინებს.

შესაბამისად, აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი კომუნისტური „სახალხო დემოკრატიები“ ვერ შეასრულებდნენ გაწევრიანების აღნიშნულ წინაპირობას.

აქამდე ევროპის გაერთიანების წევრი სახელმწიფოები, მოცემულ კრიტერიუმებთან დაკავშირებით, გადამწყვეტად თვლიდნენ საკონსტიტუციო სინამდვილეს და არა, უბრალოდ, კონსტიტუციის ტექსტს, მაგრამ, ასევე ხალხში დემოკრატიული თვითშეგნების არარსებობას. 1986 წელს, პორტუგალიისა და ესპანეთის გაწევრიანება სწორედ რომ დიქტატურების არსებობის ათწლეულების შემდეგ ახალგაზრდა დემოკრატიების გაძლიერების მიზნით განხორციელდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მდებარე გაწევრიანების მსურველ სახელმწიფოებშიც დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება საკმაოდ რთულად მიმდინარეობს. ასე რომ, გასაგებია, თუ რატომ მოუწოდა კოპენჰაგენის ევროპულმა საბჭომ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპულ გაწევრიანების მსურველ სახელმწიფოებს შეენარჩუნებინათ ინსტიტუციონალური სტაბილურობა, როგორც გარანტია დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს სისტემისა.¹³

ამასთანავე, გაწევრიანების მსურველმა სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ ადამიანის უფლებებს, სულ მცირე იმ მოცულობით, რომელსაც ადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია. ეს ასევე გამომდინარეობს ეკლხ-ს მე-6 მუხლის მეორე აბზაციდან, რომელიც ევროპის კავშირს და ამით წევრ სახელმწიფოებსაც აღნიშნული კონვენციის სტანდარტებს უწესებს. ეს მოთხოვნები და საპარლამენტო მმართველობით სისტემასთან დაკავშირებული კრიტერიუმები, სხვა წინაპირობებისგან განსხვავებით, ჯერ კიდევ გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყებამდე უნდა იქნას შესრულებული, რადგანაც უბრალოდ ნდობა მასზედ, რომ მოცემული წინაპირობა უკვე განხორციელებული გაწევრიანების შემდეგ გარდამავალი პერიოდის განმავლობაში შესრულდება, მიუღებელ პოლიტიკურ რისკს წარმოადგენს. ამასვე გულისხმობს ეკლხ-ს 49-ე მუხლის პირველი აბზაცის პირველი წინადადების ახალი რედაქცია, რადგანაც აღნიშნული ნორმა მოითხოვს, რომ ჯერ კიდევ გაწევრიანების შესახებ განცხადების შეტანის მომენტიდან იყოს შესრულებული ეკლხ-ს მე-6 მუხლის პირველი აბზაცის მოთხოვნები.

¹³ Europäischer Rat von Kopenhagen, Bull. EG 1993, გვ. 13.

ბ) მოთხოვნები ეკონომიკური სისტემის მიმართ

ვინაიდან გაწვერიანებული სახელმწიფოები ევროპის გაერთიანების სამართლის ეკონომიკურ სისტემას უერთდებიან, მათ ასევე უნდა გააჩნდეთ საბაზრო ეკონომიკა, რომელიც დამყარებული იქნება თავისუფალი კონკურენციის პრინციპზე. მასტრიხტის ხელშეკრულებით დამატებული ეგდხ-ს 3ა მუხლის პირველი აბზაცი (ახალი ნუმერაციით - ეგდხ-ს მე-4 მუხლის პირველი აბზაცი) ევროპის გაერთიანებისა და, შესაბამისად, წევრი სახელმწიფოების ეკონომიკურ პოლიტიკას ერთმნიშვნელოვნად ავალდებულებს, რომ იგი წარმოადგენდეს ღია საბაზრო ეკონომიკას, რომელიც დამყარებული იქნება თავისუფალი კონკურენციის პრინციპზე. საქონლის განაწილება და პროდუქციის ფაქტორების მობილურობა, საერთო ბაზრის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად უნდა განსაზღვროს კონკურენციამ.¹⁴ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპულ გაწვერიანების მსურველ სახელმწიფოებთან დაკავშირებით, კოპენჰაგენის ევროპულმა საბჭომ დამატებით დააზუსტა, რომ ევროპის გაერთიანების წევრობის წინაპირობას წარმოადგენს ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა და, ასევე, იმის უნარი, რომ წევრობის კანდიდატის ეკონომიკამ გაუძლოს ევროპის კავშირის შიგნით არსებულ საბაზრო ძალებისა და კონკურენციის ზეწოლას.¹⁵

ღ) ACQUIS COMMUNAUTAIRE-ს იმპლემენტაცია

acquis communautaire-ს იმპლემენტაცია წარმოადგენს აუცილებელ დამატებას იმ ფაქტზე, რომ განხორციელებული გაწვერიანების შედეგად ევროპის გაერთიანების მთელი სამართალი ისევე, როგორც ევროპის კავშირის მთავრობათაშორისი ხასიათის ორივე საყრდენის - სსუპ-სა და პსოთ-ს, მთელი სამართალი, ახალ წევრ სახელმწიფოშიც გამოიყენება. მართალია, ჩვეულებრივ, წესდება გარდამავალი დებულებები, მაგრამ ისინი ყველა შემთხვევაში კონკრეტული ვადით უნდა იქნას განსაზღვრული. ევროპის გაერთიანების სამართლის უზომოდ დიდი კომპლექსის გამოსაყენებლად წევრობის კანდიდატები მზად უნდა იყვნენ ინსტიტუციონალურადაც, რაც, თავის მხრივ, ადმინისტრაციული პერსონალის განათლების დარგში დიდი მოცულობით

¹⁴ Meng, W., Kommentar zum Art. 237 EGV, in: Groeben, Hans von der/Thiesing, Jochen/Ehlermann, Claus-Dieter (Hrsg.), Kommentar zum EU-/EG-Vertrag, 5. Aufl., Baden-Baden 1997, Rn. 45.

¹⁵ იქვე.

ინვესტიციებს მოითხოვს. ამასთან, ევროპის გაერთიანების სამართლის სისტემა, გარდა დამფუძნებელი ხელშეკრულებებისა და მეორადი სამართლისა ასევე, ევროდნობა სამართლებრივად ნაკლებად განმტკიცებული განცხადებების, პრაქტიკისა და გადაწყვეტილებების ერთობლიობას, რაც მთლიანობაში *acquis communautaire*-ს წარმოადგენს.¹⁶ მხოლოდ და მხოლოდ მთლიანობაში შეიძლება იქნას დანახული ევროპის გაერთიანების თვითმყოფადობა.

acquis communautaire-ს დეფინიცია კომისიამ ევროპის გაერთიანებაში ახალი წევრების პირველად მიღებასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბა: "გაერთიანებებში გაწევრიანებით განცხადების შემომტანი სახელმწიფო აღიარებს ხელშეკრულებებს და მათ პოლიტიკურ მიზნებს, ხელშეკრულებების ძალაში შესვლის შემდეგ მიღებულ ყველა სახის გადაწყვეტილებას და ასევე გაერთიანების განსავითარებლად და გასაძლიერებლად მიმართულ ყველა საშუალებას ყოველგვარი დათქმის გარეშე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ევროპის გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულებებით შექმნილ სამართლებრივ სისტემას ახასიათებს მისი ზოგიერთი დებულებებისა და გაერთიანების ორგანოების მიერ მიღებული გარკვეული ნორმატიული აქტების უშუალო მოქმედება, ასევე, ევროპის გაერთიანების სამართლის პრიმატი მასთან კოლიზიაში მყოფი შიდასახელმწიფოებრივი ნორმების მიმართ და პროცედურების არსებობა, რომლებიც გამოსადეგია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს გაერთიანების სამართლის ინტეგრირაციის ერთიანობა. ევროპის გაერთიანებებში გაწევრიანება მოიცავს ამ დებულებების სავალდებულო ხასიათის აღიარებას, რომელთა დაცვა აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილ იქნას გაერთიანების სამართლის ეფექტურობა და ერთიანობა".¹⁷

გაწევრიანების შესახებ არსებული ხელშეკრულებები ითვალისწინებდნენ, რომ ახალი წევრი სახელმწიფო "განცხადებების, გადაწყვეტილებებისა და საბჭოს მიერ დაფიქსირებული სხვა სახის პოზიციების მიმართ, ასევე, წევრი სახელმწიფოების მიერ ერთმანეთთან შეთანხმებით მიღებული ყველა იმ განცხადებების, დადგენილებებისა და დაფიქსირებული პოზიციის მიმართ, რომელიც ევროპის გაერთიანებებს შეეხებოდა, იმავე მდგომარეობაში იმყოფებიან, როგორც არსებული წევრი სახელმწიფოები".¹⁸

¹⁶ იქვე, Rn. 98ff.

¹⁷ იქვე, Rn. 99.

¹⁸ იქვე, Rn. 100.

აღნიშნული წესები მაასტრიხტის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ევროპის კავშირის მთავრობათაშორისი ხასიათის ორივე საყრდენის - სსუპ-სა და პსოთ-ის, მიმართაც უნდა იქნას გამოყენებული. ანუ მათ ფარგლებში მიღებული ყველა განცხადება და დაფიქსირებული პოზიცია ახლად გაწვერიანებული სახელმწიფოსათვისაც სავალდებულო ხასიათს შეიძენს. აღნიშნული გარემოების მნიშვნელობა არ უნდა იქნას უგულვებლყოფილი სსუპ-სა და პსოთ-ის დღესდღეობით შეზღუდული ეფექტურობის გამო. კომისიის განცხადებაში ნახსენები ევროპის გაერთიანებების დამფუძნებელი ხელშეკრულებების პოლიტიკური მიზნები, რომლებიც გაწვერიანებული სახელმწიფოების მიერ მათთვის სავალდებულოდ უნდა იქნას აღიარებული, სწორედ რომ ევროპის კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების დებულებებში ჰპოვებენ თავის ყველაზე დეტალურ ფორმულირებას. თუნდაც ჯერ კიდევ გაურკვეველი იყოს ევროპული ინტეგრაციის საბოლოო მიზანი (ეს მიზანი კი უახლოეს მომავალში არ შეიძლება იყოს ევროპული ფედერაციული სახელმწიფოს შექმნა), უნდა გათვალისწინებულ იქნას ის ფაქტი, რომ ევროპის კავშირის პოლიტიკური ბუნების ჩარჩოები ძირითადად სსუპ-სა და პსოთ-ის შესახებ დებულებებში აისახება. უახლოეს მომავალში ევროპული პოლიტიკის უმთავრეს ამოცანას მთავრობათაშორისი ხასიათის თანამშრომლობის სფეროებში ევროპის გაერთიანებების ღონისძიებებთან შესაბამისობაში მყოფი პოლიტიკის გატარება წარმოადგენს. ეს კი, თავის მხრივ, გაწვერიანებული სახელმწიფოსაგან სუვერენიტეტის ნაწილის ევროპის გაერთიანებების სასარგებლოდ დაკარგვისადმი მზადყოფნას მოითხოვს.¹⁹

ჟ) შიდა ბაზარში მონაწილეობის უნარი

გაწვერიანების მოცემული წინაპირობების გარდა, კომისიამ მის მიერ შემუშავებულ თეთრ წიგნში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპული სახელმწიფოების ევროპის გაერთიანებაში გაწვერიანების წინაპირობების შესახებ²⁰ აღნიშნა, რომ წევრობის კანდიდატების ეკონომიკური სისტემების ჰარმონიზაცია ევროპული შიდა ბაზრის შესახებ დებულებებთან წარმოადგენს იმ ამოცანას, რომელიც ჯერ

¹⁹ შეად.: Pechstein, M./Koenig, Christian, Die Europäische Union, 2. Aufl., Tübingen 1998, გვ. 230.

²⁰ კომისიის თეთრი წიგნი „ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ასოცირებული ქვეყნების მომზადება კავშირის შიდა ბაზარში ინტეგრაციისათვის“ (1995 წლის 3 მაისი), Doc. COM (95) 163

კიდევ გაწვევრიანებადღე უნდა იქნას განხორციელებული. მოცემული წინაპირობა მიჩნეულ უნდა იქნას აღმოსავლეთ მიმართულებით კარზე მომდგარი გაფართოებისგან დამოუკიდებლად როგორც გაწვევრიანების საყოველთაო წინაპირობა, რომელიც ახალი წვევრების მიღების დღემდე განხორციელებული პრაქტიკის შემთხვევებში განსაკუთრებულ აღნიშვნას არ საჭიროებდა. თუმცა გაწვევრიანების ამ საყოველთაო წინაპირობის შესრულების სავალდებულო ხასიათი არ გამოძინარეობს ეკდხ-ს 49-ე მუხლიდან და მე-ნ მუხლის პირველი აბზაციდან, რადგანაც ეკდხ-ს მე-ნ მუხლის პირველი აბზაცი შიდა ბაზარს საერთოდ არ ახსენებს. იმავედროულად, წვევრობის კანდიდატი, გარდა მისი (საბაზრო) ეკონომიკური სისტემის მიმართ ზოგადი მოთხოვნებისა, უნდა აკმაყოფილებდეს ასევე თავისი სამართლებრივი ნორმების შიდა ბაზრის მარეგულირებელ ნორმებთან ჰარმონიზების მინიმალურ სტანდარტებს. თუმცა, რა თქმა უნდა, გარდამავალი დებულებების დადგენის შესაძლებლობა ეჭვს არ იწვევს.

მიუხედავად იმისა, გააჩნია თუ არა ევროკომისიას გაწვევრიანების სავალდებულო წინაპირობების ფორმულირების კომპეტენცია, სავარაუდოა, რომ თეთრი წიგნი წვევრი სახელმწიფოების შეხედულებებსაც შეესაბამება. სწორედ რომ მათ მოთხოვეს კომისიას აღნიშნული დოკუმენტის შემუშავება. შიდა ბაზართან ჰარმონიზაციის კრიტერიუმში, რომელიც არსებითად საქონლის, პირთა, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების რეალიზებას მოითხოვეს, მოიცავს პროდუქციისა და მრეწველობის შესახებ ევროპის გაერთიანების სამართლებრივი ნორმებისა და, ასევე, ევროპის გაერთიანების სხვა ძირითადი სფეროების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების გადატანას შიდასახელმწიფოებრივ სამართალში. აღმოსავლეთით გაფართოების კონტექსტში მოცემული ამოცანის მოცულობა განსაკუთრებით კარგად ჩანს, კერძოდ კი, აღნიშნული პროცესი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან მოითხოვეს მათი სამართლებრივი სისტემების კარდინალურ ცვლილებებს. მიუხედავად იმისა, რომ გაწვევრიანების მომენტისათვის აღნიშნული ჰარმონიზაციის დასრულება სავალდებულო არ არის, აღსანიშნავია, თუ რამდენად შორს არის სასურველამდე ამ მხრივ მდგომარეობა წვევრობის კანდიდატ ქვეყნებში. აღნიშნულთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ე.წ. ევროპული შეთანხმებების გათვალისწინება, რომლებიც ევროპის გაერთიანებების ფარგლებში არსებული თავისუფალი გადაადგილების სფეროებთან მიმართებაში საკმაოდ დამთობია.

დასკვნა

გაწვევრიანების ზემოჩამოთვლილი წინაპირობები, საბოლოო ჯამში, მიზნად ისახავენ ევროპის გაერთიანებებისა და ევროპის კავშირის თვითმყოფადობის შენარჩუნებას. მათ უნდა უზრუნველყონ ის, რომ საერთო წესების არსებობა ახალი წვერი სახელმწიფოების მიერ იქნას აღიარებული და ეს უკანასკნელნი მათ დაექვემდებარონ. აქედან გამომდინარე, ზოგადად, არანაირი წინააღმდეგობა არ უნდა არსებობდეს ევროპის გაერთიანებებისა და ევროპის კავშირის გაფართოებასა და გაღრმავებას შორის. თუმცა, ფაქტიურად, გაფართოების თითოეული პროცესი ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებების მიღებისას გასათვალისწინებელი ინტერესების სპექტრი იზრდება და მათი გაწონასწორება უფრო და უფრო რთული ხდება. როდესაც კოპენჰაგენის ევროპულმა საბჭომ ევროპული ინტეგრაციის დინამიურობის შენარჩუნება აღმოსავლეთით გაფართოების წინაპირობად დასახა,²¹ ეს მოსაზრება თავის თავში მოიცავდა იმის გათვითცნობიერებას, რომ გაწვევრიანების არსებული კრიტერიუმები საკმარისი არ არის, რათა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიღება უმტკივნეულოდ განხორციელდეს. ევროპის გაერთიანებებისა და ევროპის კავშირის ფუნქციონირების უნარის შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანი შიდა რეფორმების ჩატარება მიჩნეულ უნდა იქნას გაწვევრიანების გადამწყვეტ წინაპირობად, მიუხედავად იმისა, რომ მისი შესრულება წვერობის კანდიდატებს არ მოეთხოვებათ.

²¹ Europäischer Rat von Kopenhagen, Bull. EG 1993, გვ. 13.

VII საერთაშორისო სისხლის სამართალი

საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპები და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იპოპონენტაცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში

მერაბ ტურავა

შესავალი

1999 წლის 22 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 2000 წლის 1 ივნისიდან.

სისხლის სამართლის სარეფორმო კომისიამ, მთელი რიგი ქვეყნების საკანონმდებლო გამოცდილების გათვალისწინებით, ახალ სისხლის სამართლის კოდექსში, 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი კოდექსისაგან განსხვავებით, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევებს მიუძღვნა სპეციალური შემაღვენლობები, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მთელი რიგი მუხლებისა შესაბამისობაში მოიყვანა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დებულებებთან.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 90-იან წლებში, საქართველო შეუერთდა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და ვალდებულია იკისრა მათი მოთხოვნების შესასრულებლად. საერთაშორისო ხელშეკრულებებით, მათ შორის, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროებით, 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციებითა და მათი დამატებითი ოქმებით, საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებები აისახა ახალ სისხლის სამართლის კოდექსში.

იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის კოდექსის ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, სამოსამართლო კანონგამოყენების პროცესში ამ უკანასკნელს, სისხლის

სამართლის კოდექსის ნორმასთან შედარებით, უპირატესი იურიდიული ძალა აქვს. ეს დებულება გათვალისწინებულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლში. ამავე კანონის მე-19 მუხლში ნორმატიული აქტებისათვის იურიდიული ძალის მიხედვით დადგენილი იერარქიიდან გამომდინარე, მაგალითად, გაეროს 1968 წლის 26 ნოემბრის კონვენციით დადგენილ დებულებას იმის შესახებ, რომ ომის დანაშაულებისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების მიმართ არ ვრცელდება როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის, ასევე გამამტყუნებელი განაჩენით დადგენილი სასჯელის აღსრულების ხანდაზმულობის ვადები, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოსათვის აქვს პირდაპირი გამოყენება იმისდა მიუხედავად, ითვალისწინებს თუ არა შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის კოდექსი მსგავს დებულებას. განსხვავებული მდგომარეობაა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებათა დასჯადობის საკითხთან მიმართებაში: შეუძლებელია შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო ორგანოების მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, თუ ეს შემადგენლობა არ აისახა შიდასახელმწიფოებრივ სისხლის სამართლის კოდექსში და არ აღიჭურვა სათანადო საჩქციით. მაგალითად, ჟენევის კონვენციებსა და მათ დამატებით ოქმებში მოცემულია ომის დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობები, რაც ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა სპეციალური ნორმების სახით გაითვალისწინა (იხ. მუხ. 411-413). ამ კოდექსის ამოქმედებამდე ჟენევის კონვენციებში მოცემული შემადგენლობები პირდაპირ არ გამოიყენებოდა. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევისათვის პირის დასჯა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილი ქმედების დასჯადობა თავსდებოდა კოდექსის ისეთ კლასიკურ ნორმებში, რომლებშიც მოცემული იყო მკვლელობის, სხეულის დაზიანების, ქონების განადგურების და ა.შ. შემადგენლობები.

ამდენად, საერთაშორისო ხელშეკრულებაში სახეზე გვაქვს სისხლისსამართლებრივ ნორმათა ორი კატეგორია:

1. ნორმები, რომელთა გამოყენება სისხლის სამართლის კოდექსში იმპლემენტაციის გარეშე პირდაპირ არის შესაძლებელი;
2. ნორმები, რომელთაც აუცილებლად სჭირდებათ სისხლის სამართლის კანონში იმპლემენტაცია.

1. საქართველოს სისხლის სამართლის პრინციპები

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მეორე თავში, რომელიც ეძღვნება სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლებს, მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის პრინციპები. ყველა ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობა განსხვავებულად აყალიბებს ამ პრინციპებს, თუმცა კონტინენტალური ქვეყნების კანონმდებლობაში ჩამოყალიბდა ერთიანი პრინციპები.

აღნიშნული პრინციპების ჩამოყალიბებისას ქართული სისხლის სამართლის სარეფორმო კომისია ძირითადად ეყრდნობოდა გერმანული სისხლის სამართლის კანონისა და დოგმატიკის პოზიციებს.

სისხლის სამართლის კანონის გამოყენებისა და სახელმწიფოს იურისდიქციის გავრცელებასთან დაკავშირებით, ახალი სისხლის სამართლის კოდექსიდან გამომდინარეობს ხუთი პრინციპი:

(1) ტერიტორიულობის პრინციპი

სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, იმას, ვინც დანაშაული ჩაიდინა საქართველოს ტერიტორიაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

დანაშაული საქართველოშია ჩადენილი, თუ იგი დაიწყო, გრძელდებოდა, შეწყდა ან დამთავრდა საქართველოში. დანაშაულის ადგილის განსაზღვრის დროს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა უარყო ე.წ. „მოქმედების“ და „შედეგის“ თეორიები და გაიზიარა ე.წ. „სუვერენობის“ (ანუ „საყოველთაობის“) თეორიის პოზიცია. მოცემული თეორიის მიხედვით, დანაშაული საქართველოშია ჩადენილი, თუ დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია საქართველოს ტერიტორიაზე, ან შედეგი აქ დადგა.

ტერიტორიულობის პრინციპით სისხლის სამართლის იურისდიქციის გავრცელების დროს გამონაკლისია ე.წ. ექსტერიტორიულობის წესი, ე.ი. არ შეიძლება გავრცელდეს საქართველოს სისხლის სამართლის იურისდიქცია დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის მიმართ, თუ მას იმუნიტეტი არ მოეხსნა.

1998 წლის 17 ივლისის „სისხლის სამართლის საქართველოს სასამართლოს სტატუტის“ 27-ე მუხლის თანახმად, არც შიდასახ-

ელმწიფოებრივი და არც დიპლომატიური იმუნიტეტი არ აბრკოლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას იმ პირებზე, რომლებმაც ჩაიდინეს შემდეგი 4 სახის დანაშაული:

1. გენოციდი;
2. დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ;
3. ომის დანაშაული;
4. აგრესია.

იმას, ვინც დანაშაული ჩაიდინა საქართველოს (საზღვაო ან საჰაერო) ხომალდზე, ან ასეთი ხომალდის წინააღმდეგ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსით, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული.

ხომალდი ითვლება საქართველოს მცურავ ან მფრინავ ტერიტორიად. ახალი კოდექსი არ ასხვავებს სამოქალაქო და სამხედრო ხომალდებს. ამ შემთხვევაში მოქმედებს ე.წ. სუვერენიტეტის პრინციპი. მაგალითად, ქართული გემი იმყოფება თურქეთის ნავსადგურში და მასზე მოხდა დანაშაული. ამ ქმედების მიმართ გავრცელდება როგორც საქართველოს, ასევე თურქეთის სისხლის სამართლის იურისდიქცია. დამნაშავეს გაასამართლებს ის სახელმწიფო თავისი სისხლის სამართლის კანონის გამოყენებით, რომლის ხელშიც აღმოჩნდება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირი, ე.ი. უცხოეთის ტერიტორიაზე მდებარე ხომალდზე ან ასეთი ხომალდის წინააღმდეგ, საქართველოს სახელმწიფო აღმით ან ამოსაცნობი ნიშნით, ვრცელდება ჩვენს იურისდიქციაც და იმ ქვეყნისაც, რომლის ტერიტორიაზეც ის იმყოფება. ასევეა პირიქითაც, თუ თურქეთის გემი ჩვენს ნავსადგურში იმყოფება. იგივე წესი გამოიყენება საელჩოს ტერიტორიის მიმართაც. აქ ჩადენილ დანაშაულზე ვრცელდება ორივე ქვეყნის იურისდიქცია. მაგალითად, საელჩოს ტერიტორიაზე შელწევა ამა თუ იმ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ნივთის გატაცების მიზნით, რაც გამოიხატა შენობაში სიგნალიზაციის სისტემის გაფუჭებით შელწევაში, საელჩოს ადგილმდებარეობის ქვეყნის კანონით შეიძლება დაისაჯოს როგორც ქურდობა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება და ა.შ., ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე, 314-ე მუხლებით - როგორც სახელმწიფოს ღალატი ჩადენილი ჯაშუშობით.

ამრიგად, ტერიტორიულობის პრინციპიდან გამომდინარე, საქართველო თავის სისხლისსამართლებრივ იურისდიქციას ახორციელებს მის ტერიტორიაზე ჩადენილ ნებისმიერ დასჯად ქმედებათა მიმართ, ვინც არ უნდა ჩაიდინოს იგი, საქართველოს მოქალაქემ, უცხოელმა თუ მოქალაქეობის არმქონე პირმა, გარდა იმ ქმედებისა, რომელსაც დიპლომატიური იმუნიტეტით აღჭურვილი პირი ჩაიდენს.

ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, დანაშაულის ჩადენის დროისაგან განსხვავებით, დანაშაულის ჩადენის ადგილი განისაზღვრება არა მხოლოდ ქმედების ჩადენის ადგილით, არამედ ორივე - როგორც ქმედების ჩადენის, ისევე შედეგის დადგომის ადგილით. ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის ჩადენის ადგილის განსაზღვრის დროს აღიარებს ე.წ. „სუყველგანობის“ თეორიას.

აღნიშნული თეორიის მიხედვით, დანაშაულის ჩადენის ადგილია როგორც ქმედების ჩადენის ადგილი, სადაც პირმა თავისი დანაშაულებრივი ნება გამოავლინა, ასევე შედეგის დადგომისა. მაგალითად, პირს საწამლავი დაალეწინეს საქართველოში, რომელიც მეორე დღეს ამ მოწამვლისაგან გარდაიცვალა სომხეთში. დანაშაულის ჩადენის ადგილია ორივე სახელმწიფოს ტერიტორია - როგორც საქართველო, ასევე სომხეთი, რაც იმას ნიშნავს, რომ ორივე სახელმწიფო თანაბრადაა უფლებამოსილი ამ პირის მიმართ განახორციელოს თავისი სისხლის სამართლის იურისდიქცია ე.წ. ტერიტორიულობის პრინციპიდან გამომდინარე. ამ ორი სახელმწიფოდან გაასამართლებს ის სახელმწიფო, რომლის ხელშიც აღმოჩნდება დამნაშავე და მას დამნაშავის გადაცემის ვალდებულება არ წარმოეშობა.

როგორც ცნობილია, ე.წ. „სუყველგანობის“ თეორიას ისტორიულად წინ უძღოდა ე.წ. „მოქმედების“ თეორია, რომელიც დანაშაულის ჩადენის ადგილად აცხადებდა მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ადგილს. ასევე, მისი წინამორბედი ე.წ. „შედეგის“ თეორია. ორივე მათგანი, გარკვეულწილად, ზღუდავს სახელმწიფოს სისხლის სამართლის იურისდიქციის ფარგლებს, რის გამოც აუცილებელი გახდა ორივე ამ თეორიის სინთეზირება.

რაც შეეხება დანაშაულის ჩადენის დროს, ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის იმ კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს. სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 და მე-3 მუხლებში აისახა ანსელმ ფოიერბახის მიერ ჩამოყალიბებული კანონიერების პრინციპი, რომელიც ევროპუ-

ლი სისხლის სამართლის ქვაკუთხედს წარმოადგენს: „*nulla poena, nullum crimen sine lege*” (არავითარი სასჯელი, არავითარი დანაშაული სასჯელის გარეშე).

დანაშაულის ჩადენის დროა ქმედების ჩადენის დრო (ანუ დანაშაულებრივი ნების გამოვლინება). შედეგის დადგომის დროს მნიშვნელობა არა აქვს. მაგალითად, დანაშაულის მსხვერპლს საწამლავი დააღვინეს შაბათს, მოკვდა ორშაბათს, დანაშაულის ჩადენის დროა შაბათი. თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში დანაშაულის ჩადენის დროა, აგრეთვე, თანამონაწილის მოქმედების დრო. უმოქმედობის დროს, დანაშაულის ჩადენის დროა ის დრო, როცა პირს უნდა ემოქმედა. მცდელობისას გამოიყენება ის კანონი, რომელიც მოქმედება მისი ჩადენის დროს. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადების დროს, დანაშაულის ჩადენის დროა დანაშაულის მოსამზადებელი ქმედების ჩადენის დრო.

ახალი კოდექსის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, 2000 წლის 1 ივნისამდე ჩადენილ ქმედებათა კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი კოდექსის შესაბამისი მუხლით, იმ პირობით, რომ ახალი კოდექსი არ აუქმებს ქმედების დასჯადობას ან არ ამსუბუქებს სასჯელს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაცია, ახალი კოდექსის მე-3 მუხლიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს კოდექსის შესაბამისი მუხლით. მართალია, ახალი კოდექსის 415-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, აღნიშნული კოდექსის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, მაგრამ მხოლოდ 2000 წლის 1 ივნისიდან ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებთან მიმართებაში. მანამდე ჩადენილი ქმედებების მიმართ, თანახმად კოდექსის მე-2 მუხლისა, გარდა მე-3 მუხლით დადგენილი გამონაკლისისა, კვლავაც გამოიყენება ძველი კოდექსის ნორმები.

(2) აქტიური პრესონალურობის, ანუ მოქალაქეობის პრინციპი

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლის მიხედვით, საქართველო ახორციელებს თავის სისხლის სამართლის იურისდიქციას ნებისმიერი იმ დასჯადი ქმედების მიმართ, რომელიც საკუთარი მოქალაქის ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ ჩადენილ იქნა თუნდაც საზღვარგ-

არეთ. აქედან გამომდინარე, თუ საქართველოს მოქალაქემ ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა მოქალაქეობის არმქონე პირმა უცხოეთში ჩაიდინა დანაშაული, ხოლო ამის შემდეგ იგი საქართველოში დაბრუნდა, საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის და სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლიდან გამომდინარე, საქართველო არ გადასცემს ამ პირს უცხო სახელმწიფოს და მის მიმართ სისხლისსამართლებრივ იურისდიქციას თვითონ განახორციელებს.

ამრიგად, საქართველოს მოქალაქე (ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი), სადაც არ უნდა ჩაიდინოს მან დანაშაული, შეიძლება გასამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. ახალი კოდექსი არ აკეთებს დათქმას, თუ ისინი მსჯავრდებული არ ყოფილან სხვა სახელმწიფოში. ერთი და იმავე ქმედებისათვის ორჯერ დასჯის დაუშვებლობის კონსტიტუციური პრინციპი მოქმედებს სახელმწიფოს შიგნით და არა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში და არც სისხლის სამართლის *ad hoc* თუ მიდმივმოქმედ საერთაშორისო სასამართლოსთან მიმართებაში. ასე მაგალითად:

1. საქართველოს მოქალაქემ დანაშაული ჩაიდინა ჩინეთში. ჩადენილი ქმედება იქ დასჯადია, ჩვენთან - არა. საქართველო ვერ დასჯის და ვერც გადასცემს უცხო სახელმწიფოს თავის მოქალაქეს.
2. საქართველოს მოქალაქემ დანაშაული ჩაიდინა ჩინეთში. ქმედება ორივე ქვეყნის სისხლის სამართლის კანონით დასჯადია. იგი დანაშაულის ჩადენისათვის შეიძლება დაისაჯოს ჩვენი კანონით.
3. საქართველოს მოქალაქემ დანაშაული ჩაიდინა ჩინეთში. ეს ქმედება საქართველოში დასჯადია, ჩინეთში - არა. იგი დაისჯება ჩვენი კანონით მხოლოდ მაშინ, თუ ის მოქმედებდა საქართველოს (სახელმწიფოს ან საქართველოს მოქალაქის) ინტერესების წინააღმდეგ. ამასთან, დანაშაული უნდა იყოს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე, ე.ი. თუ ამ ქმედებისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 5 წელზე მეტი ვადით.

რუანდის საერთაშორისო ტრიბუნალის წესდების მე-9 მუხლი, ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის წესდების მე-10 მუხლი და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის მე-20 მუხლი ეძღვნება *Ne bis in idem*-ის პრინციპს *ad hoc* და მიდმივმოქმედ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან მიმართებაში.

(3) ღაცვის პრინციპი

სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლში მოცემული ამ პრინციპიდან გამომდინარე, საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება ყველა იმ უცხოელის და მოქალაქეობის არმქონე პირის მოქმედებაზე, რომელიც მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს ჩადენს საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ. აქ იგულისხმება არა მხოლოდ საყოველთაო სამართლებრივი სიკეთის, არამედ, აგრეთვე, ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩამდენი პირი ექვემდებარება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადობას, მიუხედავად დანაშაულის ჩადენის ადგილისა და დამნაშავეის მოქალაქეობისა (**ე.წ. პასიური პერსონალურობის პრინციპი**). საქართველოს სისხლის სამართლის იურისდიქცია ვრცელდება აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა მიმართ, მიუხედავად დანაშაულის ჩადენის ადგილისა და დამნაშავეის მოქალაქეობისა (**ე.წ. რეალურობის პრინციპი**).

ამრიგად, თუ უცხოელმა უცხოეთში ჩაიდინა დანაშაული, რომელიც ქმედების ჩადენის ქვეყანაში დასჯადია, პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს კოდექსითაც, თუ ჩადენილი ქმედება არის საქართველოს (სახელმწიფოს ან მოქალაქის) ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ე.ი. თუ ჩადენილია დანაშაულებრივი ქმედება, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით.

თუ უცხოელმა უცხოეთში ჩაიდინა ისეთი ქმედება, რაც მისი ჩადენის ადგილას დასჯადი არ არის, პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსით, თუ ეს საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული (მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე) დანაშაულია.

(4) უნივერსალურობის პრინციპი

უნივერსალურობის პრინციპის შესაბამისად, ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 მუხლიდან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის იურისდიქცია ვრცელდება იმ ქმედებათა დასჯადობაზე, რომელთა დანაშაულებრივი ხასიათი გამომდინარეობს თვით

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან, მაგალითად, 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციებიდან და მათი დამატებითი ოქმებიდან.

თუ პირმა საზღვარგარეთ ჩაიდინა ამ კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რაც იქ დასჯადი არ არის, ჩვენი კანონით პასუხისმგებლობა დაეკისრება არა მხოლოდ მაშინ, თუ ეს საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულია, არამედ მაშინაც, თუ პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

(5) მონაცვლეობითი მართლმსაჯულების პრინციპი

საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლით აღიარებულია პოლიტიკური თავშესაფრის უფლება უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუკი დადგინდება, რომ პირის გადაცემას მომთხოვნი მხარისათვის მოჰყვება მის მიმართ არაობიექტური და არამიუკერძოებელი მართლმსაჯულების განხორციელება, არამედ მოხდება მასთან პოლიტიკური ანგარიშსწორება, მაშინ მისი გადაცემა ამ ქვეყნისათვის დაუშვებელია და დანაშაულის ჩამდენი პირი მონაცვლეობითი მართლმსაჯულების პრინციპით დაექვემდებარება საქართველოს იურისდიქციას. მოცემულმა პრინციპმა ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლში შემდეგი სიტყვებით ჰპოვა ასახვა:

"არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული, დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, აგრეთვე, ის, ვინც ჩაიდინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება, ან თუ ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯაა დაწესებული იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს. ასეთ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით".

საქართველოს მოქალაქე სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად არ შეიძლება გადაეცეს სხვა სახელმწიფოს, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. კერძოდ, სისხლის სამართლის საერთა-

შორისო სასამართლოს სტატუტით გათვალისწინებულია 4 სახის დანაშაული (გენოციდი, ომის დანაშაული, დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, აგრესია), რომლის ჩადენის შემთხვევაში შეიძლება მოხდეს გადაცემა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის.

დანაშაულის ჩამდენი უცხოელი, რომელიც საქართველოში იმყოფება, საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად ან კეთილი ნების საფუძველზე, შეიძლება გადაეცეს სხვა სახელმწიფოს.

არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს:

- შემოხიზნული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის;
- ვინც ჩაიდინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება;
- თუ იმ სახელმწიფოში, სადაც ხდება გადაცემა, სიკვდილით დასჯაა დაწესებული ამ დანაშაულისათვის.

აღნიშნულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით. საერთაშორისო სისხლის სამართალი ასეთ წესად ითვალისწინებს ე.წ. მონაცკლეობითი მართლმსაჯულების პრინციპს.

ზემოთ დასახელებული ხუთი პრინციპი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის იურისდიქცია არ შემოიფარგლება მხოლოდ მის ტერიტორიაზე ჩადენილ ან მხოლოდ მისი მოქალაქეების მიერ ჩადენილ ქმედებათა დასჯადობით, არამედ ამ იურისდიქციის ფარგლები გაცილებით ფართოა.

მოცემული ხუთი პრინციპის არსის სრულყოფილად გაგება აუცილებელია იმიტომ, რომ უცხოური ელემენტით ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის წარმოება უნდა დაიწყოს სწორედ იმ საკითხის შემოწმებით, აქვს თუ არა საქართველოს ამ ხუთი პრინციპიდან ერთ-ერთით შემხებლობა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან. თუ ამ ხუთი პრინციპიდან სახეზე არა გვაქვს თუნდაც ერთი, მაშინ სახელმწიფოს არა აქვს თავისი იურისდიქციის გავრცელების უფლება. მოცემული პრინციპებიდან მხოლოდ ერთი - ე.წ. აქტიური პერსონალურობის პრინციპი უკრძალავს საქართველოს პირის გადაცემას, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხოლო სხვა პრინციპები საქართველოს აძლევს თავისი არჩევანით როგორც გადაცემის, ასევე გასამართლების უფლებას.

ზემოდასახელებული პრინციპებიდან ზოგიერთი ნაკლებად არის დამუშავებული ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში, ამიტომ მათი დაწვრილებითი ანალიზი და შესწავლა ხელს შეუწყობს ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკის განვითარებას.

2. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაციის საკითხები

შეიძლება ითქვას, რომ საქართველო თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილეა. ზოგიერთ მათგანში მოცემულია საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებები სისხლის სამართლის სფეროში. ამ სახის ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნება რომის 1998 წლის 17 ივლისის „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი“, რომლის რატიფიცირებას საქართველოს პარლამენტი უახლოეს მომავალში მოახდენს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი შესაბამისობაში უნდა იყოს უმნიშვნელოვანეს ევროპულ და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან, მათ შორის - ამ სტატუტის დებულებებთან. სწორედ ამ იდეის გამოხატულებაა ის, რომ სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილში ჩაიწერა: „ეს კოდექსი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს“.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა უმრავლესობა, საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ, პირდაპირ შეიძლება იქნეს გამოყენებული, მაგრამ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მთელი რიგი ნორმების გამოყენება შეიძლება მხოლოდ მისი შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ აქტებში იმპლემენტაციის (ინგ. *implementation* - შესრულების უზრუნველყოფა) გზით. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების იმპლემენტაცია სისხლის სამართლის სფეროში ნიშნავს სახელმწიფოს მიერ სისხლის სამართლის სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობებში ფაქტობრივ რეალიზაციას, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ აქტებში ტრანსფორმაციის გზით.

სახელმწიფომ იმპლემენტაციის ღონისძიებები უნდა გაატაროს ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს, რათა შეიარაღებული კონფლიქტის

შემთხვევაში შეუფერხებლად იმოქმედონ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმ ნორმებმა, რომელთა გამოყენება, სპეციალური იმპლემენტაციის ღონისძიებების გატარების გარეშე, შეუძლებელია. ჟენევის კონვენციისა და I დამატებითი ოქმის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, ნაციონალურ დონეზე აღკვეთოს ის ქმედებები, რომლებიც განსაზღვრულია როგორც "სერიოზული დარღვევები", ანუ "ომის დანაშაულები".

ჟენევის კონვენციისა და I დამატებითი ოქმის მოთხოვნით, სერიოზული დარღვევები ეროვნულ დონეზე უნდა აღიკვეთოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჩადენილია საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს. ამასთან, სახელმწიფო არ არის შეზღუდული გააფართოვოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი სისხლის-სამართლებრივ ვალდებულებათა წრე და სისხლის სამართლის წესით დასჯადად გამოაცხადოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა როგორც სახელმწიფოთა-შორისი, ისე შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს. როგორც ყოფილი იუგოსლავიის, ასევე რუანდის საქმეებზე შექმნილი საერთაშორისო ტრიბუნალები ფლობენ უფლებამოსილებას განიხილონ ის სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევასთან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტების დროს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი საერთაშორისო სისხლის სასამართლოს აღჭურავს უფლებამოსილებით განიხილოს საქმეები, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევასთან ყოველგვარი შეიარაღებული კონფლიქტების დროს. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 411-ე, 412-ე და 413-ე მუხლებში, სხვა ზოგიერთი ქვეყნის საკანონმდებლო გამოცდილების გაზიარებით, დასჯადად ცხადდება "საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა სახელმწიფოთაშორისი ან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს".

საქართველოს ახალ სისხლის სამართლის კოდექსში აისახა 1998 წლის 17 ივლისის „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის“ მე-8 მუხლში მოცემული ომის დანაშაულის შემადგენლობა. ეს სტატუტი, როგორც ცნობილია, ყველაზე სრულყოფილია.

ოფილად ასახავს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებს. მართალია, საქართველომ მხოლოდ ხელი მოაწერა ამ სტატუტს, მისი რატიფიცირება საქართველოს პარლამენტს ჯერ არ მოუხდენია, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ხელს მასში მოცემული დანაშაულის შემადგენლობების სისხლის სამართლის კოდექსში ასახვას და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას. სწორედ ამიტომ სტატუტის მე-6 მუხლში მოცემული გენოციდის შემადგენლობა აისახა კოდექსის 407-ე მუხლში, სტატუტის მე-7 მუხლით გათვალისწინებული ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობას შეესაბამება კოდექსის 408-ე მუხლი, რომელიც დანაშაულის ობიექტური მხარის აღწერის დროს კონკრეტულ დანაშაულებრივი ქმედებათა ჩამონათვალში აკეთებს ზოგად მითითებას *სხვა არაჰუმანურ ქმედებებზე*. ამ ქმედებათა ამომწურავი ნუსხის დასადგენად კი სტატუტის შესაბამისი მუხლი უნდა იქნეს გამოყენებული. რაც შეეხება კონკრეტულად *ომის დანაშაულებს*, სტატუტის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, მისი შემადგენლობა მოცემულია კოდექსის 411-ე, 412-ე და 413-ე მუხლებში.

„სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი“ ამ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს აკისრებს საერთაშორისო სისხლისსამართლებრივ ვალდებულებას შიდასახელმწიფოებრივ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ასახოს არა მხოლოდ დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობები, რაც ჩამოთვლილია სტატუტის მე-5 მუხლში, არამედ, აგრეთვე, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს სისხლის სამართლის იმ ზოგად პრინციპებთან, რაც მოცემულია სტატუტში. ესენია: უნივერსალური იურისდიქცია, კანონიერება, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია, მეთაურის პასუხისმგებლობა მისი უმოქმედობის დროს, დანაშაულის ჩადენა უკანონო ბრძანების შესრულებით, პასუხისმგებლობის აცილების მიზნით თანამდებობრივ მდგომარეობაზე მითითების დაუშვებლობა.

როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებულია სახელმწიფოს ვალდებულება დააწესოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სახელმწიფოთაშორისი შეიარაღებული კონფლიქტების დროს ჩადენილ *სერიოზულ დარღვევებზე* - ომის დანაშაულებზე, მაგრამ არ არსებობს ამგვარი ვალდე-

ბულება შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტის დროს ჩადენილ მსგავს ქმედებათა მიმართ.

ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმა, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის რეკომენდაციებიდან გამომდინარე, საერთაშორისო სასამართლოს სტატუტსა და სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, ამ მუხლებით დასჯად ქმედებად გამოაცხადა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა როგორც სახელმწიფოთაშორისი, ისე შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტის დროს. ასევე, სტატუტის ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად, გააფართოვა ომის დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის წრე და დასჯადად გამოაცხადა ისეთი ქმედებებიც, რომლებიც უნევის კონვენციებით სერიოზულ დარღვევად არ არის გამოცხადებული.

2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი „სამხედრო დანაშაულთა“ თავში ითვალისწინებდა ზოგიერთ შემადგენლობას, რომელიც შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევა, მაგრამ აღნიშნული ნორმების ყველაზე დიდი ნაკლი ის იყო, რომ „სამხედრო დანაშაულის“ ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ სამხედრო პირი, ხოლო სამოქალაქო პირის სისხლისსამართლებრივი დევნა ამ ქმედებათა ჩადენისათვის არ იყო შესაძლებელი.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავს სპეციალურ XLVII თავს სახელწოდებით: დანაშაული კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ. მოცემულ თავში გათვალისწინებულია სპეციალური ნორმები (411-ე, 412-ე და 413-ე მუხლები), რომლებიც ითვალისწინებენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევისათვის. ამასთან, ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც სამხედრო, ისევე სამოქალაქო პირი.

(1) საკანონმდებლო ტექნიკის საკითხები

ახალი სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავების დროს სარეფორმო კომისიამ, უპირველეს ყოვლისა, იმსჯელა საკანონმდებლო ტექნიკის საკითხებზე, თუ როგორ უნდა ასახულიყო ახალ სისხლის სამართლის კოდექსში ომის დანაშაულის შემადგენლობები: ბლანკეტური ნორმის სახით, რომელშიც იქნებოდა ზოგადი მითითება საერ-

თამორისო ხელშეკრულებებზე, ომის წარმოების წესებსა და ჩვეულებებზე, თუ კონკრეტული ნორმის სახით, რომელშიც აღიწერებოდა ომის დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური მხარე. საბოლოოდ, სისხლის სამართლის სარეფორმო კომისიამ შეიმუშავა და ჩვენს კანონმდებლობაში გათვალისწინებულ იქნა ომის დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობები.

(2) კანონიერების პრინციპი

საქართველოს კონსტიტუციის 42(5) მუხლიდან გამომდინარე, ახალ სისხლის სამართლის კოდექსში აისახა პიროვნების საზიანოდ კანონის უკუტყვევითი ძალის აკრძალვის პრინციპი. კოდექსი მოცემული პრინციპიდან რაიმე გამონაკლის არ ითვალისწინებს, მაგრამ, ვინაიდან 1950 წლის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შემადგენელი ნაწილია, ამ კონვენციის მე-7 მუხლის II პუნქტიდან გამომდინარე, გამონაკლის შემთხვევაში, პოზიტიურ და ბუნებით სამართალს შორის წინააღმდეგობის ვითარებაში, საკითხი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

კანონიერების პრინციპიდან გამომდინარეობს კანონის უკუძალისა და ანალოგიის საკითხი.

სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა.

თუ სისხლის სამართლის კანონი აწესებს ქმედების დასჯადობას ან ამკაცრებს სასჯელს, მას უკუძალა არა აქვს.

დანაშაულის ჩადენის დროის განსაზღვრას მნიშვნელობა აქვს კანონის უკუძალის საკითხის გადასაწყვეტად. მაგალითად, თუ ე.წ. „დისტანციურ დელიქტებში“ დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილია 2000 წლის 15 მაისს, ე.ი. ახალი კოდექსის ძალაში შესვლამდე, ხოლო შედეგი დადგა 15 ივნისს, ე.ი. ახალი კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ, განსხვავებული სამართლებრივი შედეგები გვაქვს: თუ ახალი კოდექსი აუქმებს ქმედების დანაშაულობას ან ამსუბუქებს სასჯელს, მას უკუძალა ექნება. სხვა შემთხვევაში კი, თუ ახალი კანონი აწესებს ქმედების დასჯადობას ან ამკაცრებს სასჯელს, მას უკუძალა არ ექნება. ახალ კოდექსს დანაშაულის ჩადენის დროდ შედეგის დადგომის დრო რომ დაედგინა, მაშინ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ახალი კანონი გამოიყენებოდა.

თუ ახალი კანონი სხვაგვარად აუმჯობესებს ან სხვაგვარად აუარესებს დამნაშავეის მდგომარეობას, მაშინ ახალ კანონს უკუძალა ექნება. მაგალითად, თუ ახალმა კანონმა დააწესა ხანდაზმულობის ან ნასამართლობის გაქარწყლების ახალი ვადები ან განსხვავებული წესი, ახალ ნორმებს ექნება უკუძალა, მიუხედავად იმისა, იგი ამსუბუქებს თუ ამკაცრებს პირის მდგომარეობას. ეს წესი არ ეწინააღმდეგება არც საერთაშორისო და ევროპულ აქტებსა და არც საქართველოს კონსტიტუციას (იხ. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლი, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი). დანაშაულის ჩამდენ პირს, კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის კანონი აძლევს გარანტიას მხოლოდ ორ საკითხზე: 1) ქმედების დანაშაულებრიობის დაწესებას ქმედების ჩადენის შემდეგ არა აქვს უკუძალა; 2) ქმედების დასჯადობის გამკაცრებას ქმედების ჩადენის შემდეგ არა აქვს უკუძალა. ყველა სხვა შემთხვევაში კანონს უკუძალა აქვს.

ქმედების დასჯადობის გაუქმებას არ ნიშნავს შემადგენლობის სახელწოდების შეცვლა ან შემადგენლობათა გაერთიანება. ეს არის საკანონმდებლო ტექნიკის საკითხი.

თუ ახალი კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისათვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იგი უნდა შემცირდეს ახალი კანონის სანქციის ფარგლებში. ამ საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებულია ევროპული და სხვა ქვეყნების საკანონმდებლო პოზიცია, რომლის მიხედვითაც, არ ხდება კანონიერ ძალაში შესული განაჩენის სისხლის სამართლის ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

ჩვენი კანონმდებლობით, კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვა შეიძლება მხოლოდ ახლად აღმოჩენილ ან ახლად გამოვლენილ გარემოებათა შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 593-601-ე მუხლებში გათვალისწინებული წესით. საპროცესო კოდექსის 593-ე მუხლის მე-3 ნაწილის (ბ) ქვეპუნქტი ახლად გამოვლენილ სამართლებრივ გარემოებად მიუთითებს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ახალი კანონის მიღებას, რომელიც აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი.

თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ ძალაში შესული კანონი ამსუბუქებს პირის მდგომარეობას, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ უფრო მსუბუქი კანონი, ხოლო, თუ ახალი კანონი ამძიმებს პირის მდგომარეობას, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოები ქმედების დანაშაულებრიობისა და სანქციის ნაწილში იყენებენ ძველ კანონს, ხოლო სასჯელის მოხდის რეჟიმის ნაწილში - ახალ კანონს.

აღმზრდელითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებები, რაც მოცემულია ახალი კოდექსის 90-96-ე მუხლებში, ისევე, როგორც სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიებები, რაც მოცემულია ახალი კოდექსის 101-107-ე მუხლებში, წარმოადგენს არა სასჯელს, არამედ - სოციალური დაცვის ღონისძიებებს. ამიტომ ისინი გამოიყენება იმ კანონის საფუძველზე, რომელიც მოქმედებს სასამართლოში საქმის განხილვისას და არა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს.

რომის სტატუტის 22-ე მუხლში ჩადებულია კანონიერების პრინციპის ისეთი ფუნდამენტური დებულება, როგორცაა, *Nullum crimen sine lege*, ხოლო 23-ე მუხლი ადგენს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს: *Nulla poena sine lege* შემდეგი შინაარსით: პირი, რომელიც სისხლის სამართლი საერთაშორისო სასამართლოს მიერ მიჩნეულია ბრალეულად, შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ ამ სტატუტის ნორმების შესაბამისად. სტატუტის 24-ე მუხლი ეძღვნება კანონის უკუძალის საკითხს. პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ სტატუტით იმ ქმედებისათვის, რომელიც ჩადენილია მის ძალაში შესვლამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, შესაძლებელია კანონისათვის უკუძალის მინიჭება მხოლოდ პიროვნების სასარგებლოდ.

(3) უნივერსალური იურიდიულობა

უენევის კონვენციებიდან და I დამატებითი ოქმიდან გამომდინარე, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ითვალისწინებს უნივერსალური იურიდიულობის განხორციელების შესაძლებლობას შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო ორგანოებისათვის.

უნივერსალური იურისდიქცია ეფუძნება დებულებას: *aut dedere aut judicare* (ან გადაეცი ან დასაჯე). სახელმწიფოს უფლებამოსილება - განახორციელოს უნივერსალური იურისდიქცია, გამომდინარეობს შენგენის I კონვენციის 49-ე, II კონვენციის 50-ე, III კონვენციის 129-ე, IV კონვენციის 146-ე და I დამატებითი ოქმის 85-ე მუხლიდან.

ამ პრინციპის შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია განახორციელოს სამართლებრივი ღონისძიებები იმ პირის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა ან უბრძანა სხვას ჩაედინა ომის დანაშაული და, მისი მოქალაქეობის მიუხედავად, გაასამართლოს იგი საკუთარი სასამართლო ორგანოების მეშვეობით ან გადასცეს სხვა ქვეყანას იმ პირობით, რომ ამ სახელმწიფოს აქვს საკმაო საფუძველი პირის სისხლისსამართლებრივი დევნისათვის. საერთაშორისო ხელშეკრულების თითოეული მონაწილე სახელმწიფო უფლებამოსილია განახორციელოს სისხლისსამართლებრივი იურისდიქცია უნივერსალობის პრინციპიდან გამომდინარე, მიუხედავად დანაშაულის ჩადენის ადგილისა, ისევე, როგორც დანაშაულის ჩამდენი პირის თუ მსხვერპლის სახელმწიფოსადმი კუთვნილებისა.

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსი ახლებურად აყალიბებს უნივერსალური იურისდიქციის არსს. საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი ნებისმიერი დანაშაულის, მათ შორის - ომის დანაშაულების შემთხვევაში, საქართველო, სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლიდან გამომდინარე, თავის იურისდიქციას ახორციელებს ტერიტორიულობის პრინციპიდან გამომდინარე და აქ არავითარი თეორიული და პრაქტიკული პრობლემები არ წარმოიშობა. პრობლემურია იმ დანაშაულებრივი ქმედების დასჯადობის საკითხი, რომელიც უცხოეთში იქნა ჩადენილი. თუ საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი ან უცხოელი დანაშაულს ჩაიდენს, ასეთ ქმედებაზე ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის იურისდიქცია იმ შემთხვევაშიც, როცა იმ ქვეყნის კანონმდებლობით, სადაც იგი იქნა ჩადენილი, ეს ქმედება დასჯადად არ არის გამოცხადებული, იმ პირობით, რომ ამ ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

1998 წლის ივნის-ივლისში რომში ჩატარებულ დიპლომატიურ კონფერენციაზე, სახელმწიფოთა დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა

იმ დებულებას, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიეცეს ისეთივე უნივერსალური იურისდიქცია გენოციდის, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა და ომის დანაშაულის მიმართ, როგორსაც თვითონ ფლობენ, თუმცა, ბოლო მომენტში, რათა დაერწმუნებინათ ზოგიერთი სახელმწიფო არ გამოსულიყო სასამართლოს შექმნის იდეის წინააღმდეგ, მიღებულ იქნა კომპრომისული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, რომის სტატუტიდან გამოირიცხა ასეთი იურისდიქცია იმ შემთხვევებში, როცა ბრალდებული მოქმედებს სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციით, გარდა უშიშროების საბჭოსგან მიღებული ინფორმაციისა.

სტატუტის მე-12 მუხლი ზღუდავს სასამართლოს იურისდიქციას დანაშაულებით, რომლებიც მოხდა ხელშეკრულების მონაწილე-სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან გემზე ან მფრინავ აპარატზე და დანაშაულებით, რომლებიც ჩაიდინეს მონაწილე-სახელმწიფოს მოქალაქეებმა, იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა სახელმწიფო, რომელიც არ არის სტატუტის მონაწილე, ამ მუხლის შესაბამისად, სპეციალური განცხადების საშუალებით, აღიარებს საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას მის ტერიტორიაზე, გემზე ან მფრინავ აპარატზე ჩადენილ დანაშაულთა მიმართ, ან მისი მოქალაქეების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე.

უშიშროების საბჭო, გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად, საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების ან აღდგენის მიზნით ან აგრესიის შემთხვევაში, უფლებამოსილია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს განსახილველად გადასცეს საქმე, დაკავშირებული დანაშაულებთან, რომლებიც ჩადენილია სტატუტის არამონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ამ შემთხვევაში სასამართლოს იურისდიქცია გავრცელდება სტატუტის მე-5 მუხლში ჩამოთვლილ დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილია მოცემულ სიტუაციაში.

ამასთან დაკავშირებით, იმ სახელმწიფოების საკანონმდებლო ორგანოებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს და რატიფიცირება გაუკეთეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტს, უნდა მიიღონ შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც სახელმწიფოს უფლებას მისცემს გადასცეს ბრალდებული სასამართლოს და ექნება სასამართლოსთან თანამშრომლობის შესაძლებლობა.

(4) მეთაურის უმოქმედობა

ჟენევის კონვენციის I დამატებითი ოქმის 86(2)-ე მუხლიდან გამომდინარე, მეთაურს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან იცოდა ან შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ მისი ხელქვეითი ჩადენდა ომის დანაშაულს.

ახალი სისხლის სამართლის კოდექსი განსაკუთრებულ ნაწილში არ ითვალისწინებს სპეციალურ შემაღენლობას მეთაურის პასუხისმგებლობის შესახებ, მაგრამ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის დებულებებიდან გამომდინარე, რომელიც მოცემულია მე-8 მუხლის III ნაწილში და მე-9 მუხლში, მეთაურს, თუ მას შეგნებული ჰქონდა მისი ხელქვეითის მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ე.ი. განზრახვის არსებობისას, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება 411-ე, 412-ე ან 413-ე მუხლით, იმ პირობით, რომ მას ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა და სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული. იმ შემთხვევაში კი, როცა მეთაურს შეეძლო სცოდნოდა მისი ხელქვეითის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, ე.ი. გაუფრთხილებლობის დროს, მეთაური მისი დანაშაულებრივი უმოქმედობისათვის პასუხს არ აგებს 411-ე, 412-ე ან 413-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, ვინაიდან ეს დანაშაულები შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახ, არამედ დანაშაულებრივი უმოქმედობისათვის ისეთი ზოგადი ნორმებით, როგორებიცაა სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, სხვისი ქონების გაუფრთხილებლობით განადგურება და ა.შ.

რომის სტატუტის 28-ე მუხლი ითვალისწინებს მეთაურისა და სხვა უფროსის პასუხისმგებლობას. სტატუტი ერთმანეთისაგან ასხვავებს სამხედრო მეთაურსა და სხვა სახის უფროსს. პირველმა მათგანმა იცის ან შექმნილ ვითარებაში უნდა სცოდნოდა (შეიძლებოდა სცოდნოდა) დანაშაულის შესახებ და არ მიიღო გონივრული ზომები მათ აღსაკვეთად ან ამ საქმის გამოსაძიებლად გადასაცემად. სამოქალაქო უფროსებისათვის დაწესებულია უფრო მაღალი სტანდარტი და გამოიყენება აშკარად არაპრეცედენტული მიდგომა. უფროსმა უნდა განახორციელოს ეფექტური ძალაუფლება და კონტროლი იმ პირის მიმართ, ვინც ჩადის დანაშაულებრივ ქმედებას, ამასთან იცოდა ან შეგნებულად იგნორირება გაუკეთა ინფორმაციას, რომელიც აშკარად

მიუთითებს იმაზე, რომ ხელქვეითებმა ჩაიდინეს ან განზრახული ჰქონდათ ჩაედინათ დანაშაული და არ მიიღო ზომები მათ აღსაკვეთად.

ამდენად, რომის სტატუტის მოთხოვნაა სახელმწიფომ დააწესოს პასუხისმგებლობა მეთაურისა და სხვა უფროსის უმოქმედობისათვის, რათა ამ ქმედებისათვის შესაძლებელი იყოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

(5) უკანონო ბრძანების ან განკარგულების შესრულება

ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლი, რომელიც მოთავსებულია ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებათა თავში, ეძღვნება დანაშაულებრივი ბრძანების ან განკარგულების შესრულებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებს.

ეს ნორმა, მართალია, სპეციალურად ომის დანაშაულებისათვის არ არის შექმნილი, მაგრამ აქ მოცემული დებულებები, აგრეთვე, გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ირღვევა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები.

აღნიშნული მუხლის I ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმას, ვინც სავალდებულო ბრძანების ან განკარგულების შესრულებისას დააზიანა სამართლებრივი სიკეთე. ასეთი ზიანისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმას, ვინც მართლსაწინააღმდეგო ბრძანება ან განკარგულება გასცა.

კანონმდებელი აქ გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როცა ხელქვეითს არ ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა მართლწინააღმდეგობის შეგნება. მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა კი ბრალის გამომრიცხველი გარემოებაა. ასეთ ვითარებაში ხელქვეითი სისხლისსამართლებრივად არ აგებს პასუხს, მაგრამ ისჯება მეთაური, ვინც უკანონო ბრძანება გასცა. სისხლის სამართლის დოგმატიკის ენაზე რომ ვთქვათ, სახეზე გვაქვს მეთაურის მიერ დანაშაულის ჩადენა ე.წ. შუალობითი ამსრულებლობის ფორმით.

კოდექსის 37-ე მუხლის II ნაწილი კი ითვალისწინებს წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი ბრძანების ან განკარგულების შესრულებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საერთო წესით დაკისრებას. ამ საერთო წესის მიხედვით, ხელქვეითი უნდა დაისა-

ჯოს როგორც ამსრულებელი, ხოლო მეთაური - როგორც მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების თანამონაწილე. წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი ბრძანების შესრულებისათვის ბრალის გამორიცხვაზე ან შემსუბუქებაზე შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ ე.წ. ტრაგიკული კოლიზიის შემთხვევაში ან ბრალის გამომრიცხველი ან შემამსუბუქებელი სხვა ზეკანონური გარემოების არსებობისას.

უფროსის ბრძანებაზე მითითების დაუმეგობლობას ეძღვნება რომის სტატუტის 33-ე მუხლი, კერძოდ, ის ფაქტი, რომ პირმა სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაული ჩაიდინა მთავრობის ან ზემდგომი სამხედრო თუ სამოქალაქო უფროსის ბრძანების შესრულებისას, არ ათავისუფლებს მას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ:

- (ა) პირს ეკისრებოდა მთავრობის ან უფროსის ბრძანების შესრულების იურიდიული ვალდებულება;
- (ბ) პირმა არ იცოდა ბრძანების უკანონობის შესახებ და
- (გ) ბრძანება არ იყო აშკარად უკანონო ხასიათისა.

ამ მუხლის მიზნებისათვის, ბრძანება, მიმართული გენოციდის დანაშაულის ან ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისაკენ, ჩაითვლება აშკარად უკანონოდ.

სტატუტის 33-ე მუხლი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა ჩადენილი დანაშაული შედის სასამართლოს იურისდიქციაში და ეს მოხდა სახელმწიფოს ან უფროსის ბრძანებით. პასუხისმგებლობისგან გასათავისუფლებლად კი საჭიროა ერთობლივად სამი პირობის არსებობა: -პირს ეკისრებოდა მთავრობის ან უფროსის ბრძანების შესრულების იურიდიული ვალდებულება;

-პირმა არ იცოდა ბრძანების უკანონობის შესახებ (სუბიექტური კრიტერიუმი);

-ბრძანება არ იყო აშკარად უკანონო ხასიათის (ობიექტური კრიტერიუმი).

მოცემული მუხლი აერთიანებს სუბიექტურ (არცოდნა იმისა, რომ ბრძანება უკანონო იყო) და ობიექტურ (ბრძანება აშკარად უკანონოა) კრიტერიუმებს.

რაც შეეხება დებულებას აშკარად უკანონო ბრძანებაზე, იგი ეხება მხოლოდ ომის დანაშაულსა და აგრესიას (როცა ამ უკანასკნელს მიეცემა განსაზღვრება სპეციალურ შემადგენლობაში), რადგანაც

ბრძანება გენოციდისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენის შესახებ აშკარად უკანონოდ ითვლება.

უფროსი, რომელიც დანაშაულებრივ ბრძანებას გასცემს, ისჯება სტატუტის 25-ე მუხლის შესაბამისად, ხოლო 28-ე მუხლი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არეგულირებს უფროსის პასუხისმგებლობას, რომელსაც არ გაუცია ბრძანება, მაგრამ ახორციელებდა რეალურ ძალაუფლებასა და კონტროლს, თუმცა, არ გამოიყენა თავისი ძალაუფლება და ამ გზით უგულებელყო თავისი ვალდებულება უხელმძღვანელოს ხელქვეითის თუ ქვემდგომის ქმედებებს.

დაცვის ეს საშუალება ყოველთვის არაერთმნიშვნელოვანი იყო. ნიურნბერგისა და ტოკიოს წესდებების და ასევე *ad hoc*-ის ორი, ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის, ტრიბუნალების წესდებებით, უფროსის ბრძანებაზე მითითება ნებისმიერ შემთხვევაში არ დაიშვება. ამასთან, მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში შემუშავებულია სხვა მიდგომა, მაგალითად, ამ საკითხთან მიმართებაში, დაცვის საშუალებად დაიშვება უფროსის ბრძანებაზე მითითება იმ შემთხვევების გარდა, როცა ქვემდგომმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ბრძანება იყო უკანონო ან აშკარად უკანონო.

აქედან გამომდინარე, ეროვნულ კანონმდებლობაში უფროსის ბრძანებაზე ან კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებაზე, როგორც დაცვის საშუალებაზე, მითითება არ უნდა იყოს სტატუტის შესაბამის დებულებაზე ფართო. სამხედრო მოსამსახურეების მიერ უფროსის ბრძანების შესრულების მნიშვნელობისა და სავალდებულობის გათვალისწინებით, ისეთ შემთხვევებში, როცა უფროსის ბრძანება ხსნის ხელქვეითის ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, უნდა იყოს შეზღუდული. მაგალითად, უფროსის ბრძანებაზე მითითება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება ბრძანებას ჩაიდინო ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ან გენოციდი.

(6) პასუხისმგებლობის გარდაუვალობა

თანამდებობრივი მდგომარეობის მიუხედავად

რომის სტატუტის 27-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს, რომ ეს სტატუტი ყველაზე თანაბრად ვრცელდება, მიუხედავად სამსახურებრივი მდგომარეობისა, კერძოდ, სახელმწიფოს ან მთავრობის

მეთაურის, მთავრობის ან პარლამენტის წევრის, არჩეული წარმომადგენლის ან მთავრობის წარმომადგენლის სამსახურებრივი მდგომარეობა არ წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ პირი გათავისუფლდეს ამ სტატუსით გათვალისწინებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან ან შეუძლებელია სასჯელი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირის სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული იმუნიტეტები ან სპეციალური საპროცესო წესები, რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული ან საერთაშორისო სამართლით, არ წარმოადგენს დაბრკოლებას სასამართლოსათვის განხორციელოს იურისდიქცია ამ პირების მიმართ.

ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება არ იძლევა მის მიმართ ეროვნულ დონეზე სამართლებრივი დევნის შესაძლებლობას, რითაც სახელმწიფოს ერთმევა იმუნიტეტის მქონე პირის პასუხისმგებლობაში მიცემის უფლება, რადგანაც მას არა აქვს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შესაძლებლობა. ეროვნული კანონმდებლობის ნორმები, რომლებიც ადგენენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სამხედრო დანაშაულის, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა და გენოციდის მიმართ, გამოყენებულ უნდა იქნეს ყველა პირის მიმართ, მიუხედავად მათი წარსული თუ დღევანდელი თანამდებობრივი მდგომარეობისა.

პირის თანამდებობრივი მდგომარეობა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბარიერად მის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მისაცემად და მას არ უნდა ჰქონდეს იმუნიტეტზე მითითების შესაძლებლობა. ეროვნულ კანონმდებლობაში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს იმუნიტეტზე მითითების შეუძლებლობა დაპატიმრების ან გადაცემისას, რომელიც მინიჭებულია შიდა სამართლის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ მოითხოვა პირის გადაცემა. თუ ეროვნულ კანონმდებლობაში არ არის გათვალისწინებული იმუნიტეტის მოხსნის პროცედურა პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის მიზნით, რომელიც ეძლევათ სახელმწიფო თანამდებობის პირებს შიდა სამართლის ნორმების მიხედვით, ეროვნულ სასამართლოებს არ შეეძლება ასეთი პირის პასუხისმგებლობაში მიცემა; მხოლოდ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შეეძლება წარმოებაში მიიღოს მოცემული საქმე „დამატებითი იურისდიქციის“ პრინციპის მიხედვით, რომელიც მოცემულია სტატუტის მე-17 მუხლში.

იმუნიტეტი, რომელიც მინიჭებული აქვს პირს ან შენობებს, ასევე უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო ვალდებულებებს, როგორც, მაგალითად, დიპლომატიური იმუნიტეტი. ცხადია, რომ ეროვნული კანონმდებლობით არ შეიძლება მოიხსნას იმუნიტეტი დაპატიმრებაზე ან გადაცემაზე, რომელიც მინიჭებული აქვს პირს საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ამ უკანასკნელის დარღვევის გარეშე. გამონაკლისი გათვალისწინებულია მხოლოდ სტატუსში მოცემული დანაშაულების ჩადენის შემთხვევაში. ამდენად, ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც ამასთან დაკავშირებით ადგენს სასამართლოს პროცედურებს, საერთაშორისო სამართალს არ ეწინააღმდეგება. მაგალითად, კანადის 2000 წლის 13 ივნისის კანონის 48-ე მუხლის შესაბამისად, ნებისმიერი პირი, მიუხედავად თანამდებობრივი მდგომარეობისა, ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ დევნას იმ დანაშაულებრივ ქმედებებთან მიმართებაში, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუსით.

ამასთან დაკავშირებით, გამომდინარე რომის სტატუსის 27-ე და 89-ე მუხლებიდან, საქართველოს კანონმდებლობამ, მათ შორის კონსტიტუციის დონეზე, უნდა განიცადოს ცვლილება, რათა ეროვნული კანონმდებლობა იძლეოდეს შესაძლებლობას, შეუფერხებლად მიეცეს პასუხისმგებლობა ნებისმიერი პირი, მიუხედავად მისი თანამდებობრივი მდგომარეობისა, თუ მის მიერ ჩადენილი დანაშაული ექვევს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ.

(7) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საგან გავითავისუფლებელი გარემოებები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა ორკვალიანი სისტემა. მისი VIII თავი ეძღვნება "მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს", ხოლო IX თავი - "ბრალის გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებებს".

პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა ასეთ დაყოფას არ იცნობდა არც 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი კოდექსი და არც ქართული სისხლის სამართლის თეორია.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების საფუძველზე პირის გათავისუფლება ნიშნავს მის გამართლებას, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე და 504-ე მუხლებ-

ის მიხედვით, მართლწინააღმდეგობის არარსებობა გამამართლებელი განაჩენის დადგენის საფუძველია, ხოლო ბრალის გამომრიცხველი გარემოების საფუძველზე პირის გათავისუფლება ნიშნავს მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების პატიებას. ბრალის არარსებობის შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმე არ აღიძვრება ან შეწყდება. ეს ეხება როგორც ბრალის გამომრიცხველ ისეთ გარემოებას, როგორცაა შეურაცხადობა, ასევე კოდექსის 36-38-ე მუხლებით გათვალისწინებულ გარემოებებს. მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი ფსიქიკურად ავადმყოფი პირის მიმართ გამოიყენება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებებია: აუცილებელი მოგერიება (28-ე მუხლი), დამნაშავის შეპყრობა (29-ე მუხლი), უკიდურესი აუცილებლობა (30-ე მუხლი), მართლზომიერი რისკი (31-ე მუხლი). 32-ე მუხლი კი ითვალისწინებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ზეკანონურ გარემოებებს.

ქმედების შემადგენლობის განხორციელება, როგორც წესი, გულისხმობს ქმედების მართლწინააღმდეგობას, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა სახეზე გვაქვს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოება, მიუხედავად ქმედების შემადგენლობის განხორციელებისა, ქმედება მართლზომიერია.

ქმედების ჩამდენი პირისათვის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების არსებობა ნიშნავს იმას, რომ მას არ ეკისრება როგორც სასჯელი, ასევე სამედიცინო ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივი ღონისძიება, ვინაიდან ამ ღონისძიებების დაკისრებისათვის, სასჯელისაგან განსხვავებით აუცილებელია მინიმუმ ქმედების შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგოდ განხორციელება; თანამონაწილისათვის, რომ იგი არ შეიძლება დაისაჯოს, რადგან დასჯადი თანამონაწილეობა შეიძლება მხოლოდ განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში (თანამონაწილეობის ე.წ. აქტესორული თეორია); დაზარალებულისათვის, რომ მას არა აქვს მართლზომიერი ქმედების მიმართ აუცილებელი მოგერიების უფლება. თვით დაზარალებულის მოქმედება იქნება მართლსაწინააღმდეგო, თუ ის მართლზომიერი ქმედებისაგან დაიცავს თავს და ამით სამართლებრივ სიკეთეს დააზიანებს.

ბრალის გამოძრეცხველი გარემოებების არსებობის დროს, მართლწინააღმდეგობის გამოძრეცხველ გარემოებებთან შედარებით, გვაქვს განსხვავებული მდგომარეობა: არაბრალეულად მოქმედი პირის მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასჯელი, თუმცა შესაძლებელია, სამედიცინო ან სხვა სახის სისხლისსამართლებრივი ღონისძიების დანიშვნა, ვინაიდან მისი მოქმედება მართლსაწინააღმდეგოა. არაბრალეული ქმედების ჩადენაში თანამონაწილეობა დასჯადია (თანამონაწილეობის ე.წ. ლიმიტირებული აქცესორულობა). არაბრალეულად მოქმედი პირის (მაგალითად, სულით ავადმყოფის) თავდასხმის მოგერიება დასაშვებია აუცილებელი მოგერიებით.

რა არის მართლწინააღმდეგობა?

მართლწინააღმდეგობა ობიექტურ-სუბიექტური კატეგორიაა, რაც ნიშნავს იმას, რომ აუცილებელი მოგერიების დროს თავდასხმა უნდა იყოს ობიექტურად, რეალურად საშიში; ამასთან, მომგერიებელს სუბიექტურად უნდა ჰქონდეს თავდაცვის მიზანი. ობიექტური და სუბიექტური მომენტების ერთობლიობა განსაზღვრავს მართლწინააღმდეგობის გამოძრეცხველ სხვა გარემოებათა შინაარსსაც.

საერთაშორისო სისხლის სამართლის სულისკვეთებიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედება ეწინააღმდეგება არა მხოლოდ პოზიტიური სამართლის (კანონის) ნორმებს, არამედ კულტურისა და ზნეობის ნორმებს, ანუ ცივილიზებულ სახელმწიფოთა სამართლებრივ შეხედულებებს.

მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამოძრეცხველი გარემოებები მოცემულია არა მხოლოდ სისხლის სამართალში და არც მარტო დაწერილ პოზიტიურ სამართალში.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 31-ე მუხლი ეძღვნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლებს. სტატუტით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გამათავისუფლებელ გარემოებათა დიდი უმრავლესობა ასახულია უმრავლეს ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში, ასევე საერთაშორისო სისხლის სამართალში. ამასთან, სახელმწიფოებს შეუძლიათ შესაბამისობაში მოიყვანონ თავიანთი კანონმდებლობა რომის სტატუტის დებულებებთან, თუმცა სტატუტი ამ ვალდებულებას არ აკისრებს სახელმწიფოებს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს სამართალწარმოების უნიფიკაციის მიზნით.

გარდა ამისა, სახელმწიფოები უნდა დარწმუნდნენ, რომ ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვის საშუალებები პირს არ მისცემენ საშუალებას, თავიდან აიცილოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქმედებისათვის, რაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტით გამოცხადებულია დანაშაულად.

სტატუტის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი უთითებს პასუხისმგებლობის გამოძირცხველ ე.წ. ზეკანონურ გარემოებებზე; მართალია, არ ახდენს დიფერენციაციას მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამოძირცხველ გარემოებებს შორის, მაგრამ უთითებს სტატუსის 21-ე მუხლზე, სადაც აღნიშნულია, რომ სტატუტთან ერთად გამოიყენება ეროვნული შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი სისტემებიდან აღებული სამართლის ზოგადი პრინციპები. პასუხისმგებლობის გამოძირცხველ გარემოებათა ასეთი დაყოფა ცნობილია კონტინენტური ევროპის ქვეყნების, მათ შორის - ქართული სისხლის სამართლისათვის.

სტატუტის 32-ე მუხლი ეძღვნება ე.წ. ფაქტობრივ და იურიდიულ შეცდომას.

ფაქტობრივი შეცდომა არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი. ამ საკითხს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არეგულირებს მე-9 მუხლი, რომლის თანახმად, ფაქტობრივი შეცდომა გამოიციხავს განზრახი დანაშაულის სუბიექტურ მხარეს. კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, ასევე გამოიციხება პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისათვის, თუ წინდახეულობის ნორმის დარღვევა თავიდან აუცილებადი იყო.

იურიდიული შეცდომა ეძღვნება კოდექსის 36-ე მუხლი, რომლის თანახმად, იურიდიული შეცდომა ნიშნავს იმას, რომ პირმა ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მაგრამ მას არ ჰქონდა მართლწინააღმდეგობის შეგნება. მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა, გარკვეული პირობების არსებობისას, შეიძლება იყოს განზრახვის ან საერთოდ, ბრალის გამოძირცხველი გარემოება.

თუ პირმა არ იცის, რომ მისი ქმედება აკრძალულია, ე.ი. არა აქვს მართლწინააღმდეგობის შეგნება, არ დაისჯება მხოლოდ მაშინ, როცა შეცდომა მისატყვებელია.

შეცდომა მისატყვებელია მაშინ, თუ პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ დანაშაულს ჩადიოდა.

თუ შეცდომა არაა მისატყვებელი, პირი დაისჯება გაუფრთხილებლობით-სათვის (თუ მისი ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა დასჯადია).

(8) ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ისევე, როგორც რომის სტატუტის 25-ე მუხლი, აგებულია ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპზე, რაც გამოირიცხავს კოლექტიურ პასუხისმგებლობას კოლექტიური ბრალის პრინციპით. სწორედ ამიტომ სტატუტის 23-ე მუხლი აწესებს მხოლოდ ინდივიდუალური ბრალეული პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას.

საერთაშორისო სასამართლოს აქვს უფლებამოსილება თავისი იურისდიქცია განახორციელოს მხოლოდ ფიზიკური პირის მიმართ. იგივე პრინციპია ჩადებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. ამასთან, სტატუტის 26-ე მუხლით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი იწყება 18 წლიდან. ამ ასაკს პირი მიღწეული უნდა იყოს სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის დროს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლი კი პასუხისმგებლობის ასაკად აწესებს 14 წელს.

სტატუტის 25-ე მუხლით, პირს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაული ჩაიდინა მარტო, სხვა პირთან (პირებთან ერთად) ან სხვა პირის (პირების) მეშვეობით, მიუხედავად იმისა, ეს სხვა პირი ექვემდებარება თუ არა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ასევე, ვინც უბრძანებს, წააქეზებს ან სხვანაირად აღუძრავს სხვას დანაშაულის ჩადენის განზრახვას, თუ ეს დანაშაული ან მისი მცდელობა იქნება ჩადენილი. დასჯადია აგრეთვე პირის ქმედება, ვინც სხვას დაეხმარება ან სხვაგვარად ხელს შეუწყობს, ჩაიდინოს დანაშაული, ხელს შეუწყობს პირთა ჯგუფს ჩაიდინოს დანაშაული, აგრეთვე, ვინც პირდაპირ და საჯაროდ მოუწოდებს სხვას გენოციდის ჩადენისაკენ.

სისხლის სამართლის დოგმატიკის ენაზე, სტატუტი იცნობს როგორც ამსრულებლობას, თანამსრულებლობას, თანამონაწილეობას, ასევე, ე.წ. შუალობით ამსრულებლობას. ამასთან, სტატუტი აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას როგორც დამთავრებული დანაშაულისათვის, ასევე დანაშაულის მცდელობისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 თავი ეძღვნება

დანაშაულის ამსრულებლობის, თანამსრულებლობისა და დანაშაულში თანამონაწილეობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებს.

კოდექსის 22-ე მუხლის მიხედვით, ამსრულებელია ის, ვინც უშუალოდ ჩაიდინა დანაშაული (უშუალო ამსრულებლობა), აგრეთვე, ვინც თანამსრულებელთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში (თანამსრულებლობა), აგრეთვე ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც არ ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (ასაკის, ფსიქიკური დაავადების ან სხვა გარემოების გამო). ეს უკანასკნელი შემთხვევა არის შუალობითი ამსრულებლობა.

კოდექსის 23-ე მუხლიდან გამომდინარე, თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში. თანამონაწილეობის სახეებია: ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე.

სტატუტის 25-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას, თუ მან მცდელობის სტადიაზე დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით და მთლიანად აიღო ხელი.

დაუშთავრებელი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებს ეძღვნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 თავი.

სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დაუშთავრებელი დანაშაულის სტადიებია: დანაშაულის მომზადება და მცდელობა. კოდექსით დასჯადია მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება, ე.ი. ისეთი ქმედების მომზადება, რომლისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით. სისხლის სამართლის კოდექსით, ზოგიერთი დანაშაულის მომზადება გამოცხადებულია დამთავრებულ დანაშაულად. მაგალითად, 404-ე მუხლით გათვალისწინებულია აგრესიული ომის მომზადების შემადგენლობა.

დანაშაულის მომზადება არის დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა.

დანაშაულის მცდელობა არის განზრახი ქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მიხედვით, თუ პირმა ნებაყოფლობით ხელი აიღო დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, ამ შემთხვევაში მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება უპრობლემოდ შესაძლებელია დანაშაულის მომზადების სტადიაზე ისევე, როგორც დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე. რაც შეეხება დამთავრებული მცდელობის სტადიას, კოდექსის 21-ე მუხლიდან გამომდინარე, ამ ეტაპზეც პირს შეუძლია ხელი აიღოს დანაშაულის ჩადენაზე.

ნებაყოფლობით ხელის აღების დროს, თუ პირის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს, იგი დაისჯება ფაქტობრივად ჩადენილისათვის. მაგალითად, თუ პირმა ხელი აიღო მკვლელობის განზრახვაზე მას შემდეგ, რაც მან მსხვერპლს მიაყენა სხეულის მძიმე დაზიანება, იგი, მართალია, არ დაისჯება მკვლელობის მცდელობისათვის, მაგრამ დაისჯება სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის.

პირმა ნებაყოფლობითი ხელის აღების დროს თავისი აქტიური მოქმედებით თავიდან უნდა აიცილოს შედეგი. თუ პირმა, მიუხედავად აქტიური მეცადინეობისა, თავიდან ვერ აიცილა შედეგი, ის დაისჯება დამთავრებული დანაშაულისათვის.

დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება პირის უმოქმედობითაც.

დამთავრებული მცდელობის შემთხვევებში პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დასაბუთებულია ე.წ. „ოქროს ხიდის“ თეორიით, რომელიც უკავშირდება ცნობილი გერმანელი მეცნიერის, ანსელმ ფოიერბახის, სახელს.

ამრიგად, ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე გვექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შედეგის დადგომა, ანუ სამართლებრივი სიკეთის დაზიანება, თავიდან იქნება აცილებული.

ნორმა ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ წამახალისებელია სისხლის სამართალში. პირი არ ისჯება არა იმიტომ, რომ დასჯადი ქმედება არ ჩაუდენია, არამედ იმიტომ, რომ, სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანებიდან გამომდინარე, კანონმდებელი ამბობს, რომ ნებისმიერ პიროვნებას შესაძლებლობა ეძლევა, მიუხედავად უკვე გაკეთებულისა, თუ სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას თავიდან აიცილებს, არ დაისჯოს. სწორედ სამართლებრივი სიკეთის და-

ზიანების თავიდან აცილების მიზნის მიღწევა ნებაყოფლობით ხელის ალების მთავარი ამოცანა.

(9) ხანდაზმულობის ვადების გამოუყენებლობა

უენევის კონვენციები და პირველი დამატებითი ოქმი არ შეიცავენ ნორმას, რომელიც შეეხება ომის დანაშაულთა მიმართ ხანდაზმულობის ვადების გამოუყენებლობას. კონვენცია ომის დანაშაულებისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა მიმართ ხანდაზმულობის ვადების გამოუყენებლობის შესახებ თარიღდება 1968 წლის 26 ნოემბრით. აღნიშნული კონვენციის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს უნდა დაეწესებინა ომის დანაშაულისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემთხვევებზე ხანდაზმულობის ვადების გამოუყენებლობა. ახალი სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ორი სახის ხანდაზმულობას:

1. სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობა (მუხლი 71) და
 2. გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობა (მუხლი 76).
- ორივე შემთხვევაში კანონში წარმოდგენილია შემდეგი ფორმულირება: „ხანდაზმულობა არ გამოიყენება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში“.

კანონის ამ ფორმულირების მიხედვით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის რატიფიცირების შემთხვევაში, ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კოდექსში დამატებითი ცვლილების შეტანა არ იქნება საჭირო.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 29-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულებზე ხანდაზმულობის ვადები არ ვრცელდება. ამასთან დაკავშირებით, სახელმწიფო, რომელსაც, ეროვნული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, არა აქვს შესაძლებლობა განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა ხანდაზმულობის ვადასთან დაკავშირებით, სტატუტის საფუძველზე უსიტყვოდ იღებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას. მოცემული გზით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია მოქმედებას ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, გააგრ-

ძელებს ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგაც. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ, რომელსაც სურს თვითონ განიხილოს ასეთი საქმეები, უნდა შეცვალოს თავისი კანონმდებლობა იმ შემთხვევაში, თუ ის ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულებზე.

(10) ომის დანაშაულის შემადგენლობები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში მოცემულია სამი მუხლი (411, 412, 413), რომლებიც ითვალისწინებენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევისათვის სახელმწიფოთაშორისი და შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს.

ომის დანაშაულის შემადგენლობების ობიექტური და სუბიექტური მხარის ანალიზს ჩვენ აქ არ შევუდგებით, აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: სამივე შემადგენლობისათვის საერთოა ის, რომ მათი ჩადენა შეიძლება მხოლოდ განზრახ. სუბიექტი ამ დანაშაულებისა შეიძლება იყოს როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირი. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი ნებისმიერი დანაშაულისათვის, ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლის მიხედვით, შეიძლება იყოს პირი თოთხმეტი წლის ასაკიდან. მოცემული ზოგადი წესი ვრცელდება აგრეთვე, ომის დანაშაულის შემადგენლობებზე. ობიექტური მხრივ, სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული ომის დანაშაულის შემადგენლობები შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა მოქმედებაში, როგორცაა, სამოქალაქო მოსახლეობაზე ან სამოქალაქო ობიექტებზე თავდასხმა, წითელი ჯვრის ნიშნის ვერაგული გამოყენება, დაცვით მოსარგებლე პირის მკვლელობა და ა.შ. დანაშაულებრივი ქმედების საშიშროების ხასიათის მიხედვით, სხვადასხვა ქმედებისათვის დაწესებულია განსხვავებული სასჯელები.

დასკვნა

ჩვენ განვიხილეთ საკითხები საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების იმპლემენტაციის თაობაზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით.

ჟენევის 1949 წლის ოთხ კონვენციასა და მათ 1977 წლის ორ დამატებით ოქმთან ერთად, რომის 1998 წლის „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი“ წარმოადგენს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უმნიშვნელოვანეს წყაროს.

რომის სტატუტი არის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის ძალაში შესვლით პირველად ამოქმედდება მუდმივმოქმედი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო. სტატუტი ძალაში შედის მას შემდეგ, რაც 60 სახელმწიფო მოახდენს მის რატიფიცირებას, რასაც, ექსპერტების აზრით, დაახლოებით კიდევ ორი წელი დასჭირდება.

საქართველოს მიერ ამ საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება უკავშირდება შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას, რათა იგი შესაბამისობაში იყოს ამ სტატუტის დებულებებთან. ამ მიმართებით სისხლის სამართლის ექსპერტები, სხვა ქვეყნების საკანონმდებლო გამოცდილების გამოყენებით, ატარებენ ინტენსიურ მუშაობას, რაც ფართო საზოგადოებრიობისათვის ცნობილი გახდება უახლოეს მომავალში. სტატიაში, ამ მხრივ, ჩვენ წარმოვადგინეთ მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსი, მაგრამ ამ მუშაობას აქვს აგრეთვე კონსტიტუციურსამართლებრივი ისევე, როგორც პროცესუალურსამართლებრივი ასპექტები; ასევე უნდა ჩამოყალიბდეს საკანონმდებლო დებულებები, რომლებიც დაარეგულირებენ სახელმწიფოს თანამშრომლობას საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთან.

მთლიანობაში, საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსში სრულყოფილად აისახა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დებულებები. ამით საქართველო ასრულებს იმ საერთაშორისო სისხლისსამართლებრივ ვალდებულებებს, რომლებიც მან იკისრა ჟენევის კონვენციებისა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად, რომლებიც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წყაროებს წარმოადგენენ.

**საერთაშორისო სისხლის სამართლის ძირითადი
პრინციპები საქართველოს მოქმედ
სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში**

ლაშა-გიორგი კუტალია

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) პირველივე მუხლის („საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა და მისი მიზანი“) მე-2 პუნქტში აღინიშნება: „ეს კოდექსი შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს“.¹ დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული პრინციპების მნიშვნელოვან ნაწილს ქართველი კანონმდებელი საკმაოდ ვრცლად განმარტავს სსკ-ის ზოგად ნაწილში. თუმცა, როგორც ქვემოთ ვიხილავთ, ზოგიერთი მათგანი ნაკლებად თანამიმდევრულად განიმარტება და ამიტომ არც ორაზროვანი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას გამორიცხავს, დანარჩენ პრინციპთა მთელი რიგი კი საერთოდ არავითარ პირდაპირ ასახვას არ ჰპოვებს. ამ უკანასკნელთა რიცხვს, უპირველეს ყოვლისა, განეკუთვნება ისეთი პრინციპები, როგორებიცაა: *ne bis in idem*, ანალოგიის გამოყენების აკრძალვა (სუბიექტის საზიანოდ) და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა.

საქართველოს სსკ-ის მე-2 მუხლის („სისხლის სამართლის კანონის მოქმედება დროში“) პირველ პუნქტში უშუალოდ აისახება საერთაშორისო სისხლის სამართლის ორი მეტად რელევანტური პრინციპი: *nullum crimen sine lege* და *nulla poena sine lege*. აღნიშნული პუნქტის მიხედვით, „ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კანონით, რომელიც მოქმედებდა მისი ჩადენის დროს“.²

მაგრამ მოცემულ დებულებაში *nullum crimen sine lege*-ს პრინციპი სრულყოფილ გამოვლინებას მაინც არ ჰპოვებს, რამეთუ საამისოდ აუცილებელია აგრეთვე ამ პრინციპის ფარგლებშივე ირკვეოდეს ანალოგიის გამოყენების პრობლემა ისე, როგორც ამას, მაგალითად, ადგილი აქვს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს

¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბილისი, 2000, მუხ. 1(2).

² იქვე, მუხ. 2(1).

შესახებ 1998 წლის 17 ივნისის რომის სტატუტის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: „დანაშაულის განსაზღვრება ზუსტად უნდა განიმარტოს და არ შეიძლება ის გამოყენებულ იქნეს ანალოგიით. ორაზროვნობის შემთხვევაში ის უნდა განიმარტოს იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან ბრალდებულად აღიარებულია“.³ უდავოა, რომ სუბიექტის საზიანოდ ანალოგიის გამოყენებლობა როგორც *nullum crimen sine lege*-ს ქვემდებარე პრინციპი საქართველოს სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაშიც უნდა გამოიყოფოდეს. ამას, სულ მცირე, განაპირობებს კანონმდებლის ვალდებულება სისხლის სამართლის კანონის გარკვევით, მკაფიოდ ჩამოყალიბების შესახებ, რაც საერთაშორისო სისხლის სამართლის მორიგი ფუძემდებლური პრინციპია.

ამავე დროს, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სუბიექტის სასარგებლოდ ანალოგიის გამოყენებასთან მიმართებაში არსებითად სხვაგვარ ვითარებასთან გვაქვს საქმე. მოცემულ მომენტს ქართველი კანონმდებელი საგანგებო ყურადღებას უთმობს და ეს ნათლად ჩანს საქართველოს სსკ-ის 32-ე და 38-ე მუხლებში. როგორც ცნობილია, სისხლისსამართლებრივი რეფორმის შედეგად ქართულ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში აღიარებულ იქნა ე.წ. პასუხისმგებლობის ორკვალიანი სისტემა, რომლის მიხედვითაც, ადგილი აქვს ბრალისა და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებათა დიფერენცირებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სსკ-ის 29-31-ე და 33-37-ე მუხლები ეძღვნება მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს, ხოლო, შესაბამისად, 32-ე და 38-ე მუხლებში საუბარია მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ ზეკანონიერ გარემოებებზე, ანუ ისეთ გარემოებებზე, რომლებიც აღნიშნულ კოდექსში „სახელდებით არ არის მოხსენიებული“, მაგრამ სავსებით აკმაყოფილებს კონკრეტული სუბიექტური ქმედების მართლწინააღმდეგობის ან არაბრალეულობის პირობებს“. ეს კი ნიშნავს ანალოგიის გამოყენებას სუბიექტის სასარგებლოდ, რაც უშუალოდ გამომდინარეა თანამედროვე საერთაშორისო სისხლის სამართლის ფუნდამენტური მოთხოვნებიდან.

³ Rome Statute of the International Criminal Court, 17 June, 1998, Art. 22(2).

საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლი („სისხლის სამართლის კანონის უკუძალა“) ეთმობა საერთაშორისო სისხლის სამართლის ორ ურთიერთმომიჯნავე პრინციპს – უფრო მსუბუქი კანონმდებლობის გამოყენების ვალდებულებასა და უფრო მკაცრი კანონმდებლობის არარეტროსპექტიულობას. მოცემული მუხლი არსებითად შეესაბამება საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შესახებ რომის სტატუტის 24-ე მუხლს.

იხევე, როგორც საერთაშორისო სისხლის სამართლის შესახებ რომის სტატუტის 24-ე მუხლში, საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლშიც აღნიშნულ პრინციპთა მოქმედების სფერო მხოლოდ დანაშაულის ჩადენის მომენტიდან საბოლოო განაჩენის გამოტანის მომენტამდე როდი ვრცელდება, არამედ - როგორც ეს საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში აღინიშნება: „თუ ახალი სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისათვის, რომლის გამოც დანაშაულები მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის სამართლის კანონის სანქციის ფარგლებში“.⁴ რაც შეეხება უფრო მკაცრ კანონმდებლობას მოცემულ ასპექტში, საქართველოს სსკ ანალოგიურ მითითებას არ შეიცავს, მაგრამ უკვე იმავე მე-3 მუხლის პირველი პუნქტიდანაც გარკვევით ჩანს, რომ უფრო მკაცრი კანონმდებლობა ვერც ამ შემთხვევაში იქნება რეტროაქტიური.

უკანასკნელ პრინციპებთან მეტნაკლებად ახლოს დგას *ne bis in idem*-ის, ანუ ერთი და იმავე ქმედებისათვის ორჯერ დასჯის (გასამართლების) დაუშვებლობის პრინციპი, რომელიც ფართოდ არის აღიარებული თანამედროვე საერთაშორისო სისხლის სამართალში, მათ შორის, საერთაშორისო სისხლის სამართლის შესახებ რომის სტატუტშიც.

ხსენებული სტატუტის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ვერავინ გასამართლდება ნებისმიერი სხვა სასამართლოს მიერ შესაბამისი დანაშაულის გამო, რომელთან დაკავშირებითაც საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ უკვე გამოიტანა გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენი.

იმავე მუხლის მე-3 პუნქტში კი წარმოდგენილია ის გამონაკლისი შემთხვევები, რომელთა დროსაც საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო იტოვებს მეორეჯერ გასამართლების უფლებას. მოცე-

⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 3(2).

მული პუნქტის პირველი ქვეპუნქტის შესაბამისად, ასეთ შემთხვევად განიხილება ვითარება, როდესაც იმავე საქმის სხვა სასამართლოს მიერ წარმოებული განხილვა მიზნად ისახავდა სუბიექტისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას დანაშაულისათვის, რომელსაც მოიცავს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს იურისდიქცია. ხოლო მორიგ ქვეპუნქტში მითითებულია იმ სხვა გარემოებებზე, რომლებიც იძლევა იმის მტკიცების შესაძლებლობას, რომ სასამართლო განხილვა არ ჩატარებულა დამოუკიდებლად ან მიუკერძოებლად. გარდა ამისა, აქვე მხედველობაში უნდა მივიღოთ ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებები, რაც განსახილველი მე-20 მუხლის პირველსავე პუნქტში პპოვებს თავის გამოხატულებას.

რაც შეეხება საქართველოს სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობას, აქ *ne bis in idem*-ის პრინციპი სრულიად მოკლებულია სათანადო ყურადღებას, განსხვავებით საქართველოს კონსტიტუციისაგან, რომლის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, “არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის”.⁵ რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს კონსტიტუციაში განსახილველი პრინციპი ისეთივე სრულყოფილი სახით უნდა იყოს წარმოდგენილი, როგორც ამას საერთაშორისო სისხლის სამართლის შესახებ რომის სტატუტში ვხვდებით, მაგრამ სრულიად აშკარაა, რომ საქართველოს სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში მოცემული პრინციპი უნდა განიმარტებოდეს ზემომითითებული სახით. მაგრამ აქ, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, სრულიად საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს საქმე.

როგორც მართებულად შენიშნავს მ. ტურავა, „ერთი და იმავე ქმედებისათვის ორჯერ დასჯის დაუშვებლობის კონსტიტუციური პრინციპი მოქმედებს სახელმწიფოს შიგნით და არა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში“.⁶ მართლაც, საქართველოს კონსტიტუცია არაფერს მიგვითითებს იმის თაობაზე, რომ განსახილველი პრინციპი უნდა ვრცელდებოდეს არა მხოლოდ სახელმწიფოს შიგნით“. ჩვენი აზრით, მოცემული პრობლემის გადაჭრა სწორედ სისხლის სამართლის კანონ-

⁵ საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 1996, მუხ. 42(4).

⁶ მ. ტურავა, სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა), თბილისი, 2000, მე-2 გამოცემა, გვ. 24.

ნმდებლობის სფეროში უნდა განხორციელდებოდეს, ხოლო, თუ კონკრეტულად რა სახით, ვფიქრობთ, ეს „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმებისადმი საქართველოს სსკ-ის შესაბამისობის პირობებში“ თავისთავად გასაგები უნდა იყოს.

არსებითად იმავე ვითარებასთან გვაქვს საქმე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპთან მიმართებაში. მოცემული პრინციპის ფარგლებში, უპირველეს ყოვლისა, ირკვევა ის, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ ფიზიკურ პირებს შეიძლება დაეკისროს.⁷ ამასთანავე, ფიზიკური პირი სისხლისსამართლებრივად პასუხისმგებელია მხოლოდ ინდივიდუალური ბრალის საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს კოლექტიური ბრალის შესაძლებლობებს. ეს პრობლემა კი მეტად აქტუალურია თანამედროვე სისხლის სამართალში, რამეთუ ის სამართლებრივად მალაგანვითარებულ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში პრინციპულად სხვადასხვაგვარად არის გადაწყვეტილი. ასე მაგალითად, საფრანგეთის სისხლის სამართალში ინდივიდუალური ბრალის აბსოლუტურობა გადაჭრით უარიყოფა და, შესაბამისად, ერთმნიშვნელოვან აღიარებას ჰპოვებს კოლექტიური ბრალი, რაც, იმავდროულად, იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მომასწავებელია. ამის საპირისპიროდ, გერმანია, ავსტრია და თუ შეეცარიის სისხლის სამართალში ინდივიდუალური ბრალის აბსოლუტური ხასიათი ყოველგვარ ეჭვს გარეშე რჩება. აქ კოლექტიური ბრალი მხოლოდ ე.წ. ადმინისტრაციული სისხლის სამართლის ფარგლებშია აღიარებული. ყოველივე ეს კი მეტად სასურველს ქმნის, რომ საქართველოს სსკ-ის ზოგადი ნაწილი შეიცავდეს პირდაპირ მითითებას იმის თაობაზე, აღიარებს თუ არა ის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის აბსოლუტურობას.

ამავე დროს, რასაკვირველია, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინდივიდუალური პასუხისმგებლობისა და, მასთან ერთად, ინდივიდუალური ბრალის პრობლემა თვით საერთაშორისო სისხლის სამართლის თე-

⁷ იხ. Rome Statute... Art. 25 (1); თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ სტატუტში ეს მომენტი, ტრადიციული გაგებით, თანმიმდევრულ განვითარებას არ ჰპოვებს.

ორიაშიც არ არის საბოლოოდ გადაჭრილი და, ამ მიმართებით, აქ მრავალი წინააღმდეგობრივი მომენტის გამოყოფა შეიძლებოდა.

საქართველოს სსკ-ის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში აღიარებას კპოვებს ექსტრადიციასთან დაკავშირებული საერთაშორისო სისხლის სამართლის მეტად რელევანტური პრინციპი. აქ აღინიშნება: „არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული, დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, აგრეთვე ის, ვინც ჩაიდინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება, ან თუ ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯაა დაწესებული იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაეცემას მოითხოვს“.⁸ მოცემულ დებულებაში სათანადოდ აისახება ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც დამკვიდრებულია თანამედროვე საერთაშორისო სისხლის სამართალში ექსტრადიციის პრობლემასთან მიმართებაში“.⁹

აქვე გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სსკ არ ათავისუფლებს აღნიშნულ პირებს პასუხისმგებლობისაგან, არამედ, როგორც ზემოწარმოდგენილი პუნქტის მეორე ნაწილში აღინიშნება, „ასეთ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გადაწყდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით“.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, ხაზგასმას მოითხოვს ის გარემოება, რომ საქართველოს სსკ არ ითვალისწინებს სასჯელთან ერთად დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების კონფისკაციას მაშინ, როდესაც უკანასკნელი სახის იძულებითი ღონისძიება მყარად არის დამკვიდრებული როგორც, ზოგადად, საერთაშორისო სისხლის სამართალში,¹⁰ ისე სამართლებრივად მოწინავე ქვეყნების სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში.¹¹

საერთაშორისო სისხლის სამართალში აღიარებული უკანასკნელი მომენტის მართებულობა, ვფიქრობთ, თვალსაჩინოა. დაუშვებელია, რომ

⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 6(3).

⁹ იხ. Materialien zum Grotius-Kolloquium “Die Zukunft der Auslieferung in Europa”, Wien, 24-25. Mrz, 2000.

¹⁰ იხ. მაგ., The Convention on Laundering, Search, Seizure and Confiscation of the Proceeds from Crime, 8. November, 1990 ან Rome Statute... Art. 77 (2,8).

¹¹ იხ. მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი, §§ 73-74.

სისხლის სამართალი იცავდეს სუბიექტის უფლებას სისხლისსამართლებრივად აკრძალული გზით მოპოვებულ ქონებაზე, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოსავალი მომენტი არის არა სისხლისსამართლებრივად აღიარებული სიკეთის დაცვა, არამედ მოცემული სიკეთის ხელმყოფი სუბიექტის დასჯა, რაც ვერანაირად მოიყვანება შესაბამისობაში სისხლის სამართლის ჭეშმარიტ ბუნებასთან, მის რეალურ სოციალურ-პოლიტიკურ დანიშნულებასთან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სისხლისსამართლებრივად აღიარებული სიკეთის დაცვის პრიორიტეტულობა აუცილებელს ხდის სასჯელთან ერთად სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიების არსებობას დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევის სახით.

როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, საქართველოს სსკ არამცთუ არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სისხლის სამართლის ძირითად პრინციპებს, არამედ უშუალოდაც აღიარებს მათ პრიორიტეტულობას და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საკმაოდ საფუძვლიანად არის წარმოდგენილი მოცემული კოდექსის ზოგად ნაწილში, თუმცა, იმავდროულად, გარკვევით ვიხილეთ ისიც, რომ არა ერთი უაღრესად რელევანტური მომენტი შემდგომ დახვეწასა თუ პირდაპირ აღიარებას მოითხოვს.

VIII საერთაშორისო საზღვაო სამართალი

მშვიდობიანი გავლის უფლება საქართველოს კანონმდებლობაში

ეკა სირაძე

ტერიტორიულ ზღვაში გემების მშვიდობიანი გავლის უფლება ერთ-ერთი ყველაზე წინააღმდეგობრივი საკითხი იყო და რჩება თანამედროვე საზღვაო სამართალში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს. მიუხედავად ქართული კანონმდებლობის მოდერნიზების არც თუ ისე უშედეგო მცდელობისა, საზღვაო სამართლებრივ აზროვნებაში ჯერ კიდევ იგრძნობა საბჭოთა მემკვიდრეობის გავლენა.

მკითხველს მოეხსენება, რომ 1991 წლამდე, ანუ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენამდე, საქართველოს საზღვაო ზონები მთლიანად რეგულირდებოდა ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ) კანონებით, წესებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით. საქართველოს ტერიტორიული ზღვის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სიფართო და გარე საზღვრები განსაზღვრული იყო სსრკ-სა და თურქეთის რესპუბლიკას შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებებით.¹ მდგომარეობა რადიკალურად არ შეცვლილა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ქართულ მხარეს 7 წელი დასჭირდა, რომ შეექმნა საკანონმდებლო ბაზა საზღვაო სფერ-

¹ იხ., ოქმი სსრკ-ს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბჭოთა და თურქეთის ტერიტორიულ ზღვების საზღვაო საზღვრის დელიმიტაციის შესახებ, 1973 წლის 17 აპრილი; შეთანხმება სსრკ-ს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის მათ შორის შავ ზღვაზე კონტინენტური შელფის დელიმიტაციის შესახებ, 1978 წლის 23 ივნისი; ოქმი სსრკ-ს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საზღვაო საზღვრის დემარკაციის შესახებ, 1980 წლის 11 სექტემბერი; წერილების გაცვლა სსრკ-ს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კონტინენტური შელფის საზღვრის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის საზღვრად ჩათვისის შესახებ, 1986 წლის 23 დეკემბერი და 1987 წლის 6 თებერვალი.

ოში. რა თქმა უნდა, ეს გამოწვეული იყო სხვადასხვა ობიექტური მიზეზებით, რომელთა განხილვა არ წარმოადგენს ჩვენი მსჯელობის საგანს. თუმცა არ უნდა შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ 1991-1998 წლებში საქართველოში საზღვაო სამართლის სფეროში არსებობდა საკანონმდებლო ვაკუუმი. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ 1996 წლის 21 მარტს საქართველო შეუერთდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საზღვაო სამართლის შესახებ 1982 წლის კონვენციას.² ამის პარალელურად, საქართველოს ტერიტორიაზე აგრძელებდა მოქმედებას სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 13 მარტის №284 ბრძანებულება „ნავთობითა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე სხვა ნივთიერებებით ზღვის გაჭუჭყიანებით მიყენებული ზარალის გემის პატრონის მიერ ანაზღაურების ოდენობის შესახებ“ და 1984 წლის 28 თებერვლის №137 ბრძანებულება „სსრკ ეკონომიკური ზონის შესახებ“. თუმცა ამ ბრძანებულებების სათაურებიდანაც კი ნათლად ჩანს, რომ მათ არაფერი ჰქონდათ საერთო ტერიტორიულ ზღვასთან, კერძოდ კი, ტერიტორიულ ზღვაში უცხო სახელმწიფოების გემების მშვიდობიანი გავლის უფლებასთან. მიუხედავად იმისა, რომ გაერო-ს 1982 წლის კონვენცია საქართველოსთვის ძალაში იყო 1996 წლიდან, პრობლემა ღიად რჩებოდა. მხოლოდ 1998 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონებმა დაადგინეს საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი. კერძოდ, ესენია 1998 წლის 17 ივლისის საქართველოს კანონი სახელმწიფო საზღვრის შესახებ³ და 1998 წლის 24 დეკემბრის კანონი საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ.⁴ აღნიშნული კანონების თანახმად, საქართველომ განაცხადა, რომ მას აქვს 12 საზღვაო მილის სიფართე ტერიტორიული ზღვა, 24 საზღვაო მილის სიფართე მიმდებარე ზონა და 200 საზღვაო მილის სიფართე განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა და კონტინენტური შელფი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო-რუსეთის საზღვაო საზღვრების დელიმიტაციის პროცესი ჯერ არ არის დასრულებული. რაც შეეხება საქართველო-თურქეთის საზღვაო საზღვარს, 1997 წლის 14 ივლისის ოქმით საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის

² შემდგომში “გაერო-ს 1982 წლის კონვენცია”.

³ შემდგომში “კანონი სახელმწიფო საზღვრის შესახებ”.

⁴ შემდგომში “კანონი საზღვაო სივრცის შესახებ”.

მთავრობას შორის შავ ზღვაზე საზღვრის დელიმიტაციის შესახებ, მხარეებმა ყოფილი სსრკ-თურქეთის საზღვაო საზღვარი გამოაცხადეს საქართველო-თურქეთის საზღვრად.⁵

წინამდებარე ნაშრომის მიზანია იმის გაშუქება, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოში დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობა საერთაშორისო სამართლის ხელშეკრულებით ნორმებს და ასეთი შესაბამისობის არარსებობის შემთხვევაში, რამდენად არის გამართლებული საქართველოს პოზიცია იგივე საერთაშორისო სამართლის ჩვეულებითი ნორმების გათვალისწინებით. კონკრეტულად, ჩვენ ვიხილავთ საქართველოს საზღვაო სივრცისა და სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონების შესაბამისობას გაერო-ს 1982 წლის კონვენციასთან საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში უცხო ქვეყნის გემების მშვიდობიანი გავლის უფლებასთან დაკავშირებით. ასეთი ანალიზის გაკეთების აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება იყო და დღემდე რჩება საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა. უფრო მეტიც, საქართველო არის სახელმწიფოებო სამართლის შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის წევრი.⁶

გაერო-ს 1982 წლის კონვენციით დამყარებული თანამედროვე საერთაშორისო რეჟიმი, რომელიც აწესრიგებს სანაპირო ქვეყნისა და ღრომის ქვეყნის უფლებებსა და მოვალეობებს, სხვა არაფერია თუ არა დიდ საზღვაო სახელმწიფოებსა და განვითარებად ქვეყნებს შორის მსოფლიო ოკეანეთი სარგებლობისათვის დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის მცდელობა. ეს არის მსოფლიო თანამეგობრობის ერთობლივი ძალისხმევა მსოფლიო ოკეანეზე ბატონობისათვის ათასწლოვანი ბრძოლის მშვიდობიანი და, რაც მთავარია, სამართლიანი მოწესრიგებისა. სანამ საკითხის დეტალურ განხილვას დავიწყებდეთ, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო საზღვაო სამართლის როგორც საკონვენციო, ასევე ჩვეულებითი ნორმების

⁵ იხ. მუხლი 2.

⁶ აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუცია ამ პრინციპს პირობით ხასიათს ანიჭებს და აკონკრეტებს, რომ უპირატესი ძალა შიდასახელმწიფოებრივ აქტთან მიმართებაში აქვს მხოლოდ ისეთ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 6.2.

ჩამოყალიბებაში ძალიან მცირეა. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია თავად შავი ზღვის ფაქტორი, რომელიც სამწუხაროდ მე-18 საუკუნის დასასრულამდე თურქეთის მიერ დაზურული იყო საერთაშორისო ნაოსნობისათვის.

ამდენად, ინტერესს მოკლებული არ არის სხვა საზღვაო სახელმწიფოების პრაქტიკის შესწავლა. იმისთვის, რომ გასაგები გახდეს დღეს არსებული დამოკიდებულება ტერიტორიულ ზღვაში სანაპირო და ღრუშის ქვეყნების უფლებებისა და მოვალეობებისადმი, საჭიროა იმის გაანალიზება, თუ რა პროცესები უძღვოდა წინ გაეროს 1982 წლის კონვენციას, რომელიც შეიძლება, გარკვეული თვალსაზრისით, ჩაითვალოს უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო დოკუმენტად. იგი ასახავს არა მარტო დღევანდელ მდგომარეობას, არამედ, საერთოდ, ცილდება მე-20 საუკუნის ფარგლებს და აწესრიგებს ისეთ საკითხებს, რომლებიც ათასწლეულების მანძილზე სახელმწიფოთაშორისი დავის საგანს წარმოადგენდა. ამის გათვალისწინებით, არა მარტო გაუმართლებელია, არამედ წარმოუდგენელიც კი არის გაერო-ს 1982 წლის კონვენციის დებულებების განხილვა და მათ მიერ დადგენილი წესებისადმი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის გარკვევა, იმ მდგომარეობის გაანალიზების გარეშე, რაც წინ უსწრებდა თანამედროვე რეჟიმს საზღვაო სამართალში.

როდესაც ვსაუბრობთ მშვიდობიანი გავლის უფლებაზე, ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ასეთი ცნების შემოტანა თანამედროვე საზღვაო სამართალში *inter alia* ემსახურება *mare liberum/mare clausum* საუკუნოვანი დილემის სამართლებრივი გადაწყვეტის საქმეს.

სამხედრო და სავაჭრო ფლოტების განვითარებისთანავე, საზღვაო სახელმწიფოები ესწრაფვოდნენ განემტკიცებინათ თავიანთი გავლენა მათ სანაპიროებზე მიმდებარე საზღვაო სივრცეზე. ეს ძალისხმევა სხვადასხვა სახელმწიფოებისათვის სხვადასხვა მიზანს ემსახურებოდა. ზოგისთვის მიმდებარე ზღვების გაკონტროლება ნიშნავდა მათი სახმელეთო ტერიტორიის უსაფრთხოების დაცვას, სხვებისათვის ეს ხაზინის შევსების კარგი საშუალება იყო (იბეგრებოდა სხვა სახელმწიფოების გემები მათ ზღვებში ნაოსნობის უფლების მოსაპოვებლად ან ექსკლუზიურად იყენებდნენ მათი „კუთვნილი“ ზღვების მდიდარ ცოცხალ რესურსებს). ასე მაგალითად, *mare clausum*-ის გამოცხადებამდე საუკუნეებით ადრე მნიშვნელოვანი თევზსაჭერი ზონები იყო დაარსებული ინგლისისა და შოტლანდიის აღმოსავლეთ სანაპიროზე,

რომელშიც თევზჭერაში ვერც ერთი უცხოელი მეთევზე ვერ მიიღებდა მონაწილეობას. ხოლო ადრიატიკის ზღვაში ვენეციის გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ ვერც ერთი გემი, ბაჟის გადახდის გარეშე, ვერ კვეთდა მას. ვენეციის დოჟები ამას უსაფრთხოების ინტერესებით ხსნიდნენ და ამბობდნენ, რომ მიღებული ბაჟის სანაცვლოდ მეკობრეებისაგან იცავდნენ სავაჭრო გემებს.

მე-15 საუკუნეში მსოფლიოში ორი დიდ საზღვაო სახელმწიფო - ესპანეთი და პორტუგალია, არსებობდა, რომელთაც ერთმანეთს შორის ჰქონდა გაყოფილი მთელი მსოფლიო ოკეანე.⁷ მე-16-17 საუკუნეებში ევროპაში, ინგლისისა და ნიდერლანდების სახით, ახალი დიდ საზღვაო სახელმწიფოები წარმოიშვა, რომელთაც საფრთხე შეუქმნეს ესპანეთისა და პორტუგალიის უპირობო ბატონობას მსოფლიო ოკეანეზე. მათ საკუთარი ამბიციური მოთხოვნები გაუჩნდათ თავისუფალ ნაოსნობასთან დაკავშირებით. ამ კონკურენციის შედეგი იყო, რომ „das ist indian“ კომპანიის ხელმძღვანელებმა დავალება მისცეს კომპანიის იურისტს დაესაბუთებინა ჰოლანდიელების მოთხოვნის სამართლიანობა ზღვებზე თავისუფალი ვაჭრობისა და ნაოსნობის უფლებაზე. ეს იურისტი აღმოჩნდა შემდგომში საერთაშორისო სამართლის მამად წოდებული ჰუგო გროციუსი, რომელმაც 1609 წელს დაწერილ თავის ისტორიული მნიშვნელობის ნაშრომში განაცხადა, რომ „როგორც ჰაერია საერთო, რადგან იგი არ შეიძლება იყოს ვინმეს მიერ ოკუპირებული და რადგან იგი არ ამოიწურება მოუწესრიგებელი სარგებლობის შედეგად და, შესაბამისად, იგი ეკუთვნის მთელს კაცობრიობას, ასევე ზღვაა საერთო ყველასათვის“.⁸ მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაშრომი დაიწერა წმინდა კომერციული მიზნით, მან საფუძველი ჩაუყარა ახალ ერას საზღვაო სამართალში.

სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ გროციუსამდე მოღვაწე ორი ესპანელი იურისტი - ფრანსის ალფონსო დე კასტრო და ფერდინანდ ვასკესი, ასევე ამტკიცებდნენ, რომ ზღვა არ შეიძლება ეკუთვნოდეს ვინმეს და რომ დასაბამიდან იგი ეკუთვნის მთელ კაცობრიობას.

⁷ 1494 წლის ტორდესილას ხელშეკრულებით ესპანეთმა და პორტუგალიამ შუაზე გაყვეს მსოფლიო ოკეანე. ესპანეთმა მიიღო დასავლეთ ატლანტიკაში, მექსიკის ყურესა და წყნარ ოკეანეში ნაოსნობის ექსკლუზიური უფლება, პორტუგალიამ კი - ატლანტიკაში მაროკოს სამხრეთით და ინდოეთის ოკეანეში.

⁸ Grotius Hugo, *Mare liberum*, 1609.

გროციუსის წიგნს დიდი წინააღმდეგობა გაუწია ინგლისელმა იურისტმა, სელდენმა, თავის ნაშრომში *Mare clausum*, რომელიც დედოფალ ელისაბედის დაკვეთით დაწერა. ამ პერიოდისათვის ინგლისი უკვე იმპერიად გადაიქცა თავის პოზიციას მსოფლიო ოკეანეზე და მის ინტერესებში აღარ შედიოდა ზღვაზე ყველასათვის თავისუფალი ნაოსნობის იდეის გავრცელება და დაცვა.

Mare liberum/mare clausum დილემაში დროებითი გამარჯვება მოიპოვა დასურული ზღვის იდეამ. 1700 წელს ჩამოყალიბდა დოქტრინა, რომელშიც მართვის უფლება (*imperium*) შეერწყა ფლობის უფლებას (*dominium*) საერთო იურისდიქციაში, რომელიც დომინირებდა სამართლებრივ აზროვნებაზე მომდევნო 250 წლის განმავლობაში. ითვლებოდა, რომ მართვისა და კანონმდებლობის უფლება ზღვაზე ვრცელდებოდა მხოლოდ *dominium*-ის ფარგლებამდე. ასე რომ, ზღვა იყო ან მთლიანად დაკეტილი უცხოეთის გემების ნაოსნობისათვის, ან მთლიანად ღია (რაც, თავის მხრივ, თითქმის შეუძლებელი ხდებოდა ბრიტანეთის იმპერიის გაფართოებასთან ერთად), შუალედური მდგომარეობა გამორიცხული იყო.

მხოლოდ მე-19 საუკუნის დასასრულისათვის გამოიკვეთა გარკვეული სახის ძვრები, რომელთაც დასაბამი დაუდეს ახალ სამართლებრივ აზროვნებას. ცვლილება გამოიწვია თავისუფალი ვაჭრობის დოქტრინის გავრცელებამ, ორთქლის ძრავის შექმნამ და ლათინურ ამერიკაში „ღია კარის“ პოლიტიკის განვითარებამ.

1840-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა ახალ დოქტრინას, ანუ ტერიტორიულ წყლებში „შვიდობიანი გავლის უფლებას“.

მონობით ვაჭრობის აღკვეთისა და ვებსტერნ ამზურტონის ხელშეკრულებაში იმის აღიარებით, რომ ვაჭრობის წინააღმდეგ ცალმხრივი აქტების ერა დასრულდა, ზღვების თავისუფლების იდეამ მანამდე არნახული მასობრივი ხასიათი მიიღო, რამაც თავის პიკს 1893 წლის Behring Sea ur Seals არბიტრაჟში მიაღწია, სადაც არბიტრაჟმა ცალსახად უარყო არგუმენტები ტერიტორიული ზღვის მიღმა თევზჭერის ცალმხრივ შეზღუდვაზე.⁹

საზღვაო სამართალში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მოპოვებულმა სტაბილურობამ, თავის მხრივ, აქტუალური გახადა არსებუ-

⁹ Moore, I.A. 4761, 1893.

ლი წესების კოდიფიკაციის საკითხი. ერთა ლიგის შექმნასთან ერთად, ეს იდეა რეალური გახდა.

1920-იან წლებში საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტმა, საერთაშორისო სამართლის ასოციაციამ, საერთაშორისო სამართლის გერმანიისა და იაპონიის ასოციაციებმა და საერთაშორისო სამართლის ამერიკის ინსტიტუტმა შეიმუშავეს საკუთარი კოდექსები, რომლებშიც მიაღწიეს ერთსულოვნების მაღალ დონეს. ამან თავის მხრივ, შესაძლებელი გახდა 1930 წელს ჰააგის საკოდიფიკაციო კონფერენციის ჩატარება, რომელიც ორგანიზებულ იქნა ერთა ლიგის ასამბლეის მიერ, რათა, სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად, მოეწესრიგებინა ტერიტორიულ წყლების სამართალი. წინამდებარე ნაშრომშიც სწორედ ეს საკითხი წარმოადგენს ჩვენი ინტერესის საგანს.

მიუხედავად იმისა, რომ კონფერენცია ატარებდა წმინდა სამართლებრივ ხასიათს, მან პოლიტიკური მიზეზებით ვერ მიაღწია შედეგს. კერძოდ, სახელმწიფოები არ დათანხმდნენ ელიარებინათ 3 საზღვაო მილის ლიმიტი თევზსაჭერი ზონისათვის. ჰააგის კონფერენციაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოცემული საკითხის მომავალში განხილვის თაობაზე, მაგრამ 30-იანი წლების კრიზისმა და მეორე მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა ამ იდეის განხორციელებას. მხოლოდ გაერო-ს შექმნის შემდეგ გახდა რეალური საზღვაო სამართლის კოდიფიკაციის პროცესის დაწყება.

მიუხედავად იმისა, რომ ჰააგის 1930 წლის კონფერენციამ ვერ შეძლო ერთიანი დოკუმენტის მიღება ტერიტორიულ ზღვასთან დაკავშირებით, მან მაინც უდიდესი წვლილი შეიტანა საკითხის შემდგომი განვითარებისათვის. კონფერენციაზე მიღებული დეკლარაციები შემდგომში სახელმძღვანელოდ იქნა გამოყენებული ჟენევის 1958 წლის კონვენციებისა და, შესაბამისად, გაერო-ს 1982 წლის კონვენციისათვის.

მართალია, ჰააგის კონფერენციამ ვერ მიაღწია შეთანხმებას ტერიტორიული ზღვის სიფართის შესახებ, მაგრამ აღიარებულ იქნა ტერიტორიულ წყალში უცხო ქვეყნის გემებისათვის მშვიდობიანი გავლის უფლება. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი ჯერ კიდევ არ იყო კრისტალიზირებული, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი მაინც იქნა გადადგმული.

საბოლოოდ, ისევე როგორც ტერიტორიული ზღვის სიფართის საკითხი, მშვიდობიანი გავლის პრობლემაც გაერო-ს 1982 წლის კონ-

ვენციით იქნა მოწესრიგებული. სწორედ მშვიდობიანი გავლის უფლება ერთ-ერთი კომპრომისული გადაწყვეტა *mare liberum/mare clausum* დილემისა.

მშვიდობიანი გავლისა და სანაპირო ქვეყნის სუვერენიტეტის დოქტრინები პარალელურად განვითარდა. 12 საზღვაო მილის სიფართო ტერიტორიული ზღვის დადგენა ძალიან გაჭირდებოდა, რომ არა მშვიდობიანი გავლის უფლების აღიარება. ამ უფლების მთავარი ღირებულებაა ის, რომ იგი გარანტიას აძლევს ნებისმიერი საზღვაო თუ ზღვაზე გასასვლელის არმქონე სახელმწიფოს ნებისმიერი ტიპის გემს, სავაჭრო იქნება ის თუ სამხედრო, მიუხედავად ტერიტორიული ზღვის სიფართისა და იმისა, თუ რა სახის სუვერენიტეტს ახორციელებს სანაპირო ქვეყანა მასზე, ჰქონდეს თავისუფალი ნაოსნობის საშუალება.¹⁰ უფრო მეტიც, გაერო-ს 1982 წლის კონვენციის თანახმად, მშვიდობიანი გავლა მოიცავს არა მარტო აქტიურ გავლას, არამედ გაჩერებასა და ღუზაზე დადგომას, რამდენადაც ეს გამოწვეულია ჩვეულებრივი ნაოსნობით ან ფორს მაჟორული გარემოებების, ან ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის გამო.¹¹ სანაპირო ქვეყანას არ აქვს უფლება ხელი შეუშალოს გავლას, რომელიც არის მშვიდობიანი, გარდა გაერო-ს 1982 წლის კონვენციით გათვალისწინებული შემთხვევებისა.¹² თუმცა სანაპირო ქვეყანა უფლებამოსილია აღკვეთოს გემის გავლა მის ტერიტორიულ ზღვაში, რომელიც არ არის მშვიდობიანი ან შეაჩეროს იგი, როდესაც ასეთი შეჩერება მნიშვნელოვანია უსაფრთხოების მიზნებისათვის.¹³

გაერო-ს 1982 წლის კონვენცია იმეორებს ტერიტორიული ზღვისა და მიმდებარე ზონის შესახებ ჟენევის კონვენციას და იძლევა მშვიდობიანი გავლის ნეგატიურ დეფინიციას. 1982 წლის კონვენციის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „გავლა მანამდე მშვიდობიანი, სანამ იგი არ ხელყოფს სანაპირო ქვეყნის მშვიდობას, წესრიგსა და უსაფრთხოებას“. ანალოგიურ განსაზღვრებას იძლევა კანონი საზღვაო სივრცის შესახებ.¹⁴

¹⁰ გაეროს 1982 წლის კონვენცია, მუხლი 18.1.

¹¹ იქვე, მუხლი 18.2.

¹² იქვე, მუხლი 24.

¹³ იქვე, მუხლი 25.3

¹⁴ მუხლი 16.5.

საზღვაო სივრცის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, გავლა ჩაითვლება სანაპირო ქვეყნის მშვიდობისა და უსაფრთხოების დარღვევად, თუ იგი მიზნად ისახავს შემდეგს:

1. ძალის გამოყენების შესახებ მუქარა ან ძალის გამოყენება საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ან სხვა სახით საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების დარღვევა;
2. სამხედრო მანევრები ან ნებისმიერი სახის იარაღის გამოყენებით სწავლება;
3. საქმიანობა, რომლის მიზანია ინფორმაციის შეგროვება საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების საზიანოდ;
4. პროპაგანდა, რომელიც ხელყოფს საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების ინტერესებს;
5. საფრენი აპარატის ჰაერში ასვლა ან გემბანზე მიღება;
6. სამხედრო მოწყობილობის ჰაერში აწვევა ან გემბანზე მიღება;
7. საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით ტვირთისა და ვალუტის დატვირთვა ან გადმოტვირთვა, ფიზიკური პირის გემბანზე მიღება ან გემიდან გადმოსმა;
8. ზღვის გარემოს განზრახ და სერიოზული დაზიანება;
9. თევზჭერა;
10. სამეცნიერო-კვლევითი, საძიებო ან ჰიდროგრაფიული საქმიანობა;
11. საქართველოს კავშირგაბმულობისა და ელექტრონული სისტემების ან სხვა მოწყობილობებისა და ნაგებობების ფუნქციონირებისათვის ხელშემშლელი პირობების შექმნა;
12. საქმიანობა, რომელიც მშვიდობიან გავლასთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული.¹⁵

ეს მუხლი მთლიანად იმეორებს გაეროს 1982 წლის კონვენციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტს. მცირედენი განზოგადებაა მოცემული კანონის მე-7 პუნქტში. კერძოდ, გაერო-ს 1982 წლის კონვენციაში მოცემული დაკონკრეტება „საბაჟო, ფისკალური, საიმეგრაციო ან სანიტარული“ კანონებისა და წესების დარღვევის შესახებ საზღვაო სივრცის შესახებ კანონში განზოგადებულია სიტყვით „კანონმდებლობა“, მაგრამ კანონის მიერ მოცემული განმაზოგადებელი ტერმინი არ შეიძლება ჩაითვალოს სანაპირო ქვეყნის უფლებამოსილების სერიოზულ გადაძვლებად.

¹⁵ მუხლი 17.

რაც შეეხება კანონის სახელმწიფო საზღვრის შესახებ, იგი აცხადებს, რომ მშვიდობიანი გავლის დარღვევად ჩაითვლება „სარეწი და კვლევისითი საქმიანობა საამისოდ აკრძალულ ადგილებში ან დაშვებულ ადგილებში, მაგრამ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნებართვის გარეშე“¹⁶. ეს კანონი ასევე არ მიიჩნევს მშვიდობიანი გავლის დარღვევად კავშირგაბმულობის საშუალებების ხელყოფას, რაც ცალსახად არის გამოცხადებული ასეთად გაერო-ს 1982 წლის კონვენციით და კანონით საზღვაო სივრცის შესახებ. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ სახელმწიფომ თავის კანონმდებლობაში დაადგინოს უფრო შეღავათიანი რეჟიმი, ვიდრე ეს კონვენციითაა განსაზღვრული,¹⁷ მაგრამ გაუმართლებელია, როდესაც ერთსა და იმავე საკითხს სხვადასხვა კანონები სხვადასხვაგვარად არეგულირებენ. ეს არის კანონმდებლობის ხარვეზი, რომელიც აუცილებელ გამოსწორებას მოითხოვს. რაც შეეხება პირველ საკითხს, ანუ სარეწი და კვლევისითი საქმიანობის წარმოება ტერიტორიულ ზღვაში, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონში მოცემული ფორმულირება არა მარტო ეწინააღმდეგება გაერო-ს 1982 წლის კონვენციასა და საზღვაო სივრცის შესახებ კანონში მოცემულ ფორმულირებას, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს მშვიდობიანი გავლის დარღვევად, არამედ - თავად მშვიდობიანი გავლის დეფინიციას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მშვიდობიანი გავლად ითვლება გემის გავლა ტერიტორიულ ზღვაში შიდა წყლებში და პორტებში შეუსვლელად; ან შიდა წყლებიდან და პორტებიდან გამოსვლა და მათში შესვლა. ამავე დროს, გავლა უნდა განხორციელდეს სწრაფად და შეუჩერებლად.¹⁸ ამდენად, ნებისმიერი სარეწი და კვლევისითი საქმიანობა თავისთავად ითვლება მშვიდობიანი გავლის წესის დარღვევად. ხოლო სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონის თანახმად, გემს ნება აქვს მშვიდობიანი გავლის დროს განახორციელოს სარეწი და კვლევისითი საქმიანობა საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ადგილებში და ნებართვის საფუძველზე. აქ ადგილი ექნება ნებადართულ სარეწი საქმიანობას და არა მშვიდობიანი გავლას, რაც აბსოლუტურად განსხვავებული ცნებებია. ამავე მუხ-

¹⁶ მუხლი 19.3 (ბ).

¹⁷ ამ კონკრეტულ შემთხვევაში კონვენცია სახელმწიფოსათვის ადგენს მაქსიმალურ ლიმიტს.

¹⁸ აღსანიშნავია, რომ კანონის მე-19.2 მუხლი იმეორებს აღნიშნულ განმარტებას.

ლის (გ) პუნქტში მოცემულია, რომ გემს ეკრძალება მშვიდობიანი გავლის დროს „ისეთი საქმიანობა, რომელიც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით“. იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ზოგადი შინაარსის პუნქტი მოცემულია დამაკონკრეტებელ მუხლში, თავისთავად არასწორია. იგი ასევე ატარებს ე.წ. „ჰიმალაი“ პუნქტის დატვირთვას და, ფაქტობრივად, უსასრულოს ხდის არსებულ ნუსხას, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის მოთხოვნებს.¹⁹

საზღვაო სივრცისა და სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონები ადგენენ გემების ტერიტორიულ ზღვაში გავლის წესს. ასე მაგალითად, უცხო სახელმწიფოს სამხედრო გემზე ან სპეციალური დანიშნულების გემზე, რომელიც ასრულებს სახელმწიფო დავალებას, საბორტო იარაღი უნდა იმყოფებოდეს გადატანისათვის გათვალისწინებულ მდგომარეობაში, საგანგებო შალითაში, ხოლო თევზჭერის საშუალება და სხვა აღჭურვილობა მოთავსებული უნდა იყოს შესაბამისად განკუთვნილ ადგილზე; წყალქვეშა ნავი ან სხვა წყალქვეშა საშუალება უნდა გადაადგილდეს წყალზედა მდგომარეობაში და უნდა აღმართოს თავისი დროშა.²⁰

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონვენციის თანახმად, ტერიტორიულ ზღვაში მშვიდობიანი გავლის უფლება აქვს ნებისმიერი ტიპის გემს, იქნება ის საავაჭრო, სამხედრო, ატომურძრავიანი თუ სხვა. ეს არის უნივერსალური ხასიათის ნორმა, რომელიც არ უშვებს რაიმე გამონაკლისს.

თავისთავად ეს არ ნიშნავს, რომ სანაპირო სახელმწიფოს არ შეუძლია დაადგინოს წესები ნაოსნობისა და სანაოსნო საშუალებების, ასევე, კაბელების, ზღვის ცოცხალი რესურსებისა და სხვათა დაცვის შესახებ.²¹ მშვიდობიანი გავლის დროს, ყველა გემი ვალდებულია

¹⁹ თუმცა კონვენციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის (1) ქვეპუნქტის გამო (სხვა საქმიანობა, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული გავლასთან) წამოიჭრა დავა, არის თუ არა საერთოდ გაერო-ს კონვენციის მე-19 მე-2 პუნქტში მოცემული ჩამონათვალი ამომწურავი. სსრკ-ს 1989 წლის 23 სექტემბრის დეკლარაციით, მშვიდობიანი გავლის მომწესრიგებელი საერთაშორისო სამართლის წესების ერთგვაროვანი ინტერპრეტაციის შესახებ, მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ეს ჩამონათვალი ამომწურავია, და დღეისათვის იშვიათად მოიხილება სერიოზული სახელმწიფო, რომელიც საწინააღმდეგოს მტკიცებას დაიწყებს.

²⁰ სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონი, მუხლი 19, პუნქტები 4 და 5.

²¹ გაერო-ს 1982 წლის კონვენცია, მუხლი 21.

შეასრულოს და დაიცვას სანაპირო ქვეყნის კანონები და წესები. მაგრამ სანაპირო სახელმწიფომ არ შეიძლება დააწესოს დისკრიმინაციული წესები გემის დროშის სახელმწიფოს ან გემის ტიპის მიხედვით.

კონვენციის თანახმად, სანაპირო სახელმწიფოს განსაკუთრებულ შემთხვევებში, თავისი ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ან იარაღის გამოცდის დროს, შეუძლია დროებით შეაჩეროს მშვიდობიანი გავლის უფლება თავისი ტერიტორიული ზღვის განსაზღვრულ ზონაში. მაგრამ ასეთი შეჩერება უნდა მოხდეს არადისკრიმინაციულ საფუძველზე და ძალაში შევიდეს სათანადოდ გამოცხადების შემდეგ.²²

სანაპირო ქვეყნისათვის მშვიდობიანი გავლის შეჩერების უფლების მინიჭების აუცილებლობა გარკვეულწილად აღიარებულ იქნა 1930 წლის ჰააგის კონფერენციაზე,²³ თუმცა ეს უფლება ოფიციალურად დადასტურდა 1954 წლიდან, როდესაც ტერიტორიული ზღვისა და მიმდებარე ზონის შესახებ კონვენციის პროექტი პირველად განიხილა საერთაშორისო სამართლის კომისიამ.

კომისიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მშვიდობიანი გავლაც კი შეიძლება სახიფათო იყოს სანაპირო ქვეყნისათვის და, ამდენად, აღიარებულ იქნა სანაპირო ქვეყნის უფლება უსაფრთხოების მოსაზრებით შეაჩეროს მშვიდობიანი გავლის უფლება. გაერო-ს 1982 წლის კონვენციამ უსაფრთხოების ფაქტორს დაუმატა კიდევ იარაღის გამოცდის შემთხვევები, რომელშიც სანაპირო ქვეყანა პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს.

საზღვაო სივრცის კანონი ითვალისწინებს მშვიდობიანი გავლის დროებით შეჩერების შესაძლებლობას. კანონის მე-18 მუხლის თანახმად, სამხედრო სწავლებებისა და მანევრების დროს თავდაცვის სამინისტროს, საზღვაო ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, შეუძლია არადისკრიმინაციული ფორმითა და შინაარსით დროებით შეაჩეროს ნაოსნობა საქართველოს ტერიტორიული ზღვის გარკვეულ რაიონებში. გარდა ამისა, კანონი ითვალისწინებს დებულებას „დროებითი შეზღუდვის ან აკრძალვის“ შესახებ, რომელიც ძალაში შევა „ზღვაოსანთა უწყებებში“ გამოცხადების შემდეგ.²⁴ სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონი კი

²² იქვე, მუხლი 25.3.

²³ League of Nations Publications N. 1930.V.7, Conference for the Codification of International Law, Final Act, Art. 5.

²⁴ სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონი, მუხლი 16.6.

აცხადებს, რომ „საქართველოს საციცოცხლო და სუვერენული ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს შეზღუდოს ან აკრძალოს უცხო სახელმწიფოების ატომური, სამხედრო ან არასამხედრო გემის შემოსვლა და ყოფნა საქართველოს ტერიტორიული და შიდა წყლების რომელიმე რაიონში“.²⁵ მოცემული პუნქტი არ ითვალისწინებს არც შეჩერების დროებით ხასიათს, და არც მისი ოფიციალურად გამოცხადების სავალდებულობას, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის მოთხოვნებს. რაც მთავარია, არც გაერო-ს 1982 წლის კონვენცია და არც ჟენევის 1958 წლის კონვენცია არ განსაზღვრავს მშვიდობიანი გავლის შეწყვეტის ან აკრძალვის უფლების მინიჭებას სანაპირო სახელმწიფოსათვის. ასეთი ფორმულირება იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ საქართველოს კანონებით, საქართველოს, როგორც სანაპირო ქვეყანას, მიენიჭა იმაზე გაცილებით მეტი უფლებამოსილება, ვიდრე ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით, კერძოდ კი, გაერო-ს 1982 წლის კონვენციით.

უფრო მეტიც, სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონის 42-ე მუხლი აღგენს გარდამავალ დებულებებს, რომლის თანახმადაც, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენამდე უცხო სახელმწიფოს ატომურ გემს, სამხედრო გემს ან სპეციალური დანიშნულების გემს, რომელიც სახელმწიფო დავალებას ასრულებს, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მშვიდობიანი გავლის უფლების მოსაპოვებლად ესაჭიროება 48 საათით ადრე დიპლომატიური არხებით შეატყობინოს ასეთი განზრახვის შესახებ სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს. ასეთი მოთხოვნა არ ვრცელდება გემებზე, რომლებიც მონაწილეობენ ზღვაზე სიცოცხლის გადარჩენის ოპერაციებში. კანონმდებელი ამ დროს ხელმძღვანელობდა საქართველოს უსაფრთხოების ინტერესებით, ასევე, მისი მიზანი იყო თავიდან ყოფილიყო აცილებული იარაღისა და სხვათა უკანონო გატანა და შემოტანა საქართველოს გარკვეულ რეგიონებში. ამ მიზანს ემსახურებოდა სწორედ საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 25 მაისის ბრძანებულებაც, რომლის თანახმადაც, სოხუმის პორტი დაიხურა საერთაშორისო ნაოსნობისათვის, მაგრამ სოხუმის პორტი წარმოადგენს საქართველოს შიდა წყლებს და მისი რეჟიმი ტერიტორიული ზღვის რეჟიმისაგან განსხვავებულია.

²⁵ მუხლი 19.8.

მიუხედავად იმისა, რომ გაერო-ს 1982 წლის კონვენცია არ უშვებს რაიმე სახის გამონაკლისს მშვიდობიანი გავლის უფლების განხორციელებისას გემის ტიპის მიხედვით, ქართველი კანონმდებელი მაინც გამოყოფს სამხედრო, ატომურ და სპეციალური დანიშნულების გემებს სავაჭრო გემებისაგან. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ასეთი განსხვავებული მიდგომა მართლ საქართველოს კანონმდებლობისათვის არ არის დამახასიათებელი.

სამხედრო გემებისათვის მშვიდობიანი გავლის უფლების მინიჭება იყო ტერიტორიულ ზღვასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე წინააღმდეგობრივი საკითხი. ის, რომ სამხედრო გემს აქვს ტერიტორიულ ზღვაში გავლის უფლება, არ წარმოადგენდა წინააღმდეგობრივ საკითხს. პრობლემატური იყო საკითხი, სჭირდებოდა თუ არა სამხედრო გემს წინასწარი შეტყობინების გაგზავნა და თანხმობის მიღება სანაპირო ქვეყნისაგან. მხარეები ამტკიცებდნენ, რომ სამხედრო გემის გავლას აქვს განსხვავებული ფუნქციონალური დატვირთვა, სავაჭრო გემის გავლასთან შედარებით და იგი არღვევს სანაპირო ქვეყნის სუვერენიტეტს. სამხედრო გემების პრობლემა წამოიჭრა 1856 წლის პარიზის დეკლარაციის მიღების შემდეგ. სწორედ აღნიშნულ დეკლარაციაში იქნა გამოიყვანილი სამხედრო გემები სხვა სახის გემებისაგან. ეს გამოიყვანა მოახდინა მასემ, მშვიდობიანი გავლის უფლების იდეის ავტორმა. მისთვის ასეთი უფლების განხორციელება დაკავშირებული იყო კომერციულ ნაოსნობასთან და არაფერი ჰქონდა საერთო სამხედრო გემებთან.²⁶

ჩრდილოეთ ატლანტიკის სანაპიროს თევზჭერის არბიტრაჟში (1910) აშშ-ს სახელმწიფო მდივანი, ელიუ რუტი, გამოდიოდა სამხედრო გემებისათვის მშვიდობიანი გავლის უფლების მინიჭების წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ „სამხედრო გემს არ შეუძლია გავიდეს ტერიტორიულ ზღვაში, რადგან იგი საფრთხეს ქმნის; სავაჭრო გემს შეუძლია, რადგან იგი არ ქმნის საფრთხეს“.²⁷ საგულისხმოა, რომ ასეთ განცხადებას საუკუნის დასაწყისში აკეთებდა იმ სახელმწიფოს სახელმწიფო მდივანი, რომელიც 60 წლის შემდეგ სამხედრო გემებისათვის მშვიდობიანი გავლის უპირობო უფლების მინიჭების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური დამცველი გახდა.

²⁶ D.P.O'Connell, *The International Law of the Sea*, p. 275.

²⁷ *North Atlantic Coast Fisheries Arbitration, Proceedings* [1912], Vol. 11, p. 2006.

1958 წლის ჟენევის კონვენციამდე უმეტესი სახელმწიფოები მოითხოვდნენ სამხედრო გემებისათვის წინასწარი უფლების მინიჭებას მშვიდობიანი გავლისათვის, თუმცა ჰააგის 1930 წლის კონვენციამ დაადგინა, რომ „როგორც საერთო წესი, სანაპირო ქვეყანამ არ უნდა აკრძალოს უცხოეთის სახელმწიფოს სამხედრო გემის გავლა მის ტერიტორიულ ზღვაში და არ უნდა მოითხოვოს მისგან წინასწარი შეტყობინება და უფლებამოსილება“.²⁸ თუმცა ჟენევის 1958 წლის კონვენციის შემდგომ პერიოდში სიტუაცია შეიცვალა, ძირითადი სურათი მანც ისეთი დარჩა, რომ დიდ საზღვაო სახელმწიფოები ცდილობდნენ მოეპოვებინათ რაც შეიძლება მეტი მოძრაობის თავისუფლება თავიანთი სამხედრო გემებისათვის, ხოლო ნაკლებად განვითარებული საზღვაო სახელმწიფოები ცდილობდნენ რაც შეიძლება შეეზღუდათ ეს უფლება სამხედრო გემებისათვის, რათა დაეცვათ თავიანთი სანაპიროს უსაფრთხოება.

მოცემული საერთო წესიდან არსებობდა ერთი გამონაკლისი და ეს იყო ყოფილი სსრკ. მიუხედავად იმისა, რომ სსრკ მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ გადაიქცა ერთ-ერთ უძლიერეს საზღვაო სახელმწიფოდ, ის მოითხოვდა ტერიტორიულ ზღვაში სამხედრო გემების გავლისათვის სპეციალური წესების დადგენას. მინისტრთა საბჭოს დადგენილებით განსაზღვრული იყო, რომ საბჭოთა ტერიტორიულ ზღვებში შესასვლელად უცხოეთის სამხედრო გემებს უნდა განეხორციელებინათ პროცედურა, რათა შესვლამდე 30 დღით ადრე მოეპოვებინათ ამის უფლება. საკითხისადმი ასეთ მიდგომას ითვალისწინებდნენ სოციალისტური ბანაკის სხვა სახელმწიფოებიც. მათ ჟენევის კონვენციის ხელმოწერის დროს გააკეთეს დათქმა, რომ სამხედრო გემების ტერიტორიულ ზღვაში მოძრაობისათვის ისინი დაადგენდნენ სპეციალურ პროცედურას.

საბჭოთა კანონი უშვებდა სამხედრო გემების შესვლას ტერიტორიულ ზღვაში, წინასწარი გაფრთხილებისა და უფლებამოსილების გარეშე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გემი ნაოსნობისათვის დადგენილ საზღვაო ხაზებს გამოიყენებდა. ასეთი საზღვაო ხაზების ზუსტი ჩამონათვალი გამოაქვეყნა მინისტრთა საბჭომ. სამწუხაროდ, ასეთი საზღვაო ხაზები არ იყო დადგენილი შავ ზღვაზე. აღნიშნულმა

²⁸ League of Nations Publications N. 1930.V.7, Conference for the Codification of International Law, Final Act, Art. 12.

გარემოებამ გამოიწვია სერიოზული ინციდენტი საბჭოთა და შეერთებული შტატების სამხედრო ზომადების მონაწილეობით. 1988 წლის 12 თებერვალს აშშ-ს ორი გემი - *Yortown* და *Caron*, შევიდნენ საბჭოთა ტერიტორიულ ზღვაში ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე. საბჭოთა მთავრობამ გასცა ბრძანება მათი ჩაძირვის შესახებ. ორივე მხარე ამტკიცებდა, რომ მოქმედებდა გაერო-ს 1982 წლის კონვენციის ფარგლებში. ამ ინციდენტს მოჰყვა ერთობლივი საბჭოთა-აშშ დეკლარაციის ხელმოწერა 1989 წლის 23 სექტემბერს მშვიდობიანი გავლის უფლებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლის ნორმების ერთგვაროვანი ინტერპრეტაციის შესახებ. აღნიშნულ დეკლარაციაში მხარეებმა აღიარეს, რომ ნებისმიერ გემს, სამხედრო გემის ჩათვლით, მიუხედავად ტვირთის სახეობისა, აქვს ტერიტორიულ ზღვაში მშვიდობიანი გავლის უფლება, ყოველგვარი წინასწარი შეტყობინებისა და უფლების მოპოვების გარეშე; აგრეთვე, შეთანხმდნენ, რომ გემებმა უნდა გამოიყენონ მოძრაობის გამყოფი და საზღვაო ხაზები, როდესაც ამას მოითხოვს ნაოსნობის უსაფრთხოება, თუ ასეთი დადგენილია სანაპირო ქვეყნის მიერ. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, გემებს მანც უნარჩუნდებათ მშვიდობიანი გავლის უფლება.

მიუხედავად მოცემული დეკლარაციის უდიდესი მნიშვნელობისა, დღეისათვის დაახლოებით 40 ქვეყანა, საქართველოს ჩათვლით, მოითხოვს სამხედრო და ატომური გემებისათვის წინასწარ შეტყობინებას და/ან წინასწარი უფლების მოპოვებას ტერიტორიულ ზღვაში გასავლელად.²⁹ თუმცა, მათი მოთხოვნა ხვდება სერიოზულ ოპოზიციას დიდი საზღვაო სახელმწიფოების მხრიდან.³⁰ ეს ტენდენცია, ალბათ, მომავალშიც გაგრძელდება და გარკვეული დრო იქნება საჭირო, სანამ ყველა სახელმწიფო აღიარებს სამხედრო გემებისათვის ტერიტორიულ ზღვაში მშვიდობიანი გავლის უფლებას, წინასწარი შეტყობინებისა და ა.შ. გარეშე.

დღეისათვის არანაკლებ პრობლემატურია ატომური გემების მოძრაობის საკითხი ტერიტორიულ ზღვაში. გაერო-ს 1982 წლის კონვენცია

²⁹ ამ ქვეყნებს მიეკუთვნებიან ალჟირი, ანტიგუა და ბარბუდა, ბანგლადეში, ბარბადოსი, ჩინეთი, დანია, ესტონეთი, ინდოეთი, ისრა, ლატვია, ლიტვა, პაკისტანი, პოლონეთი, რუმინეთი, კორეის რესპუბლიკა, შვედეთი, უკრაინა, არაბეთის გაერთიანებული სამეორეობი და ა.შ.

³⁰ მათ შორისაა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, დიდ ბრიტანეთი, ნიდერლანდები და აშშ.

ადგენს ოდნავ განსხვავებულ წესს ატომური გემებისათვის ან სხვა საშიში ნივთიერებების გადამზიდავი გემებისათვის. კერძოდ, მათ სანაპირო სახელმწიფოს მოთხოვნისთანავე მის შიდა წყლებში ან ტერიტორიულ ზღვაში ყოფნის დროს უნდა წარუდგინოს სრული დოკუმენტაცია ბორტზე არსებული საშიში ნივთიერებების შესახებ და მათი მოძრაობა უნდა ემთხვეოდეს სანაპირო ქვეყნის მიერ დადგენილ საზღვაო ხაზებს.³¹

ამ შემთხვევაშიც, კონვენციით არ არის გათვალისწინებული რაიმე წინასწარი შეტყობინება და უფლების მოპოვება. თუმცა, მრავალი ქვეყანა, საქართველოს მსგავსად, მოითხოვს ასეთ შეტყობინებას ატომური გემებისაგან. ამის ძირითად მიზეზად მოჰყავთ ის ფაქტი, რომ გავლა მშვიდობიანია მანამ, სანამ ის არ ხელყოფს სანაპირო ქვეყნის მშვიდობას, წესრიგსა და უსაფრთხოებას, ხოლო ატომური გემი თავისთავად არის ასეთი საფრთხის მატარებელი. რა თქმა უნდა, თუ ადგილი ექნა გემის მიერ ტერიტორიულ ზღვაში ისეთი ნივთიერებების ჩამარხვას, რომლებიც აკრძალულია INF კოდექსით,³² ეს გახდება მშვიდობიანი გავლის დარღვევის მიზეზი. მაგრამ ატომური გემის უბრალო ტრანზიტული გავლა ტერიტორიულ ზღვაში *per se* არ წარმოადგენს სანაპირო ქვეყნის არც უსაფრთხოებისა და არც წესრიგის ხელყოფას.

ამდენად, ასეთი არგუმენტების გამოყენება საფუძველსაა მოკლებული, მით უმეტეს, რომ გაერო-ს 1982 წლის კონვენცია იძლევა იმის საშუალებას, რომ სანაპირო სახელმწიფოების მიერ უზრუნველყოფილი იყოს მათი ტერიტორიის უსაფრთხოების დაცვა.

როგორც სახელმწიფო საზღვრის კანონის 42-ე მუხლიდან ჩანს, საქართველოს ხელისუფლება იყენებს განსაკუთრებულ რეჟიმს სამხედრო, ატომური და სპეციალური დანიშნულების გემებისათვის გარკვეული პირობების დადგომამდე, ანუ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქვეყნის უმაღლესი ორგანოების იურისდიქციის სრულ აღდგენამდე. უნდა ვივარაუდოთ, რომ კანონმდებელი ამ დროს ხელმძღვანელობდა არა მარტო საქართველოს უსაფრთხოების ინტერესებით, არამედ თავად ამ გემების უსაფრთხოების გათვალისწინებით.

³¹ გაერო-ს 1982 წლის კონვენცია, მუხლი 22.

³² INF (რადიაციული საწვავის) კოდექსი, რომელიც საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციამ მიიღო 1993 წლის ნოემბერში, მე-18 ასამბლეაზე, 748 (18) რეზოლუციით.

ამ შემთხვევაში იბადება კითხვა, რატომ არის გაკეთებული აქცენტები მხოლოდ გარკვეული კატეგორიის გემებზე და რატომ არ მოიცავენ ეს გარდამავალი დებულებები ყველა ტიპის გემს? ასეთი განსაკუთრებული შემთხვევების დროსაც, გაერო-ს 1982 წლის კონვენცია აძლევს სანაპირო ქვეყანას გამოსავალს დაიცვას თავისი ინტერესები, კონვენციის დებულებების დაურღვევლად. როდესაც ჩვენ კონვენციის უნივერსალურ ხასიათზე მივუთითებთ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ გაეროს 1982 წლის კონვენციაში მაქსიმალურად არის დაცული როგორც სანაპირო ქვეყნის, ისე დროში ქვეყნის ინტერესები. არ არსებობს დროში ქვეყნის უფლება სანაპირო ქვეყნის საპასუხო უფლების გარეშე.

ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ეს არის კონვენციით გათვალისწინებული უფლება სანაპირო ქვეყანამ, თავისი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, დაადგინოს საზღვაო და მოძრაობის გამყოფი ხაზები, რომლითაც უნდა ისარგებლონ სამხედრო და სხვა გემებმა და რაც გაკონტროლდება მის მიერ. ეს შესაძლებლობა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს კანონმდებელმა, რათა აღმოფხვრიდ იქნას საქართველოს კანონმდებლობაში დაშვებული ხარვეზები და ეროვნული კანონები მოვიდეს შესაბამისობაში არა მარტო საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, არამედ ერთმანეთთანაც.

IX საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი

საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი პრინციპები

ირაკლი შაფაქიძე

საგარეო ეკონომიკური ცხოვრების ლიბერალიზაციამ გააფართოვა საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების მონაწილეთა წრე, რომელშიც ახალი ელემენტები შევიდა. მაგალითად, აღნიშნული ხელშეკრულების მონაწილენი გახდნენ სუბიექტები, რომლებიც ადრე საქართველოში ამგვარ საქმიანობას არ ეწეოდნენ, საუბარია კერძო მეწარმეებზე.

ბუნებრივია, იურიდიული პირის პარალელურად ფიზიკური პირის აღიარება საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების მონაწილე მხარედ, საკითხისადმი ახლებურ მიდგომას მოითხოვს.

საქართველოს კანონმდებლობა, თავისუფლდება რა ტოტალიტარული წყობის დროინდელი სამართლებრივი თვალთახედვისაგან, განიცდის ძირეულ ცვლილებებს. თანამედროვე საქართველოს კანონმდებლობა ორიენტირებულია დასავლეთ ქვეყნების სამართლებრივი ფასეულობებზე. ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის შესწავლასა და გაანალიზებას.

სტატიაში ვეცდებით განვიხილოთ საზღვარგარეთის გამოცდილება, საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების შემუშავების წესი და მისი პრაქტიკაში გამოყენების შემთხვევები, გავაანალიზოთ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები და საზღვარგარეთის კანონმდებლობა საგარეო ვაჭრობის სფეროში. სტატიაში გამოყენებულია საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა და მოცემულია მისი ანალიზი, ასახულია აგრეთვე ამ სფეროში საქართველოს სასამართლოს პრაქტიკა, განხილული და განზოგადებულია კონტრაქტის გაფორმებისას დაშვებული შეცდომები და წარმოჩენილია მათი თავიდან აცილების გზები.

საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოში ნაკლებადაა შესწავლილი.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სამართლებრივმა რეგულირებამ საქართველოში დიდი ცვლილებები განიცადა. სხვადასხვა სამეწარმეო საწარმოებისათვის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის უფლებების მინიჭება, უცხოურ ორგანიზაციებსა და ფირმებთან თანამშრომლობის განვითარება, ერთობლივი საწარმოების დაფუძნება ქმნის ახალ პერსპექტივებს ქვეყნის ეკონომიკის თანამედროვე დონეზე განვითარებისა და აქტიური ურთიერთმოქმედებისათვის. პოსტსაბჭოური რეფორმების შედეგად ჩვენმა საწარმოებმა საზღვარგარეთ და უცხოურმა ფირმებმა საქართველოში უფრო ფართო შესაძლებლობები მიიღეს საინვესტიციო და კომერციული საქმიანობის განხორციელებისა და ერთობლივი მეწარმეობის სხვადასხვა ფორმების გამოყენებისათვის. საქართველოში ყოველივე ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო კერძო სამართლის განვითარებისათვის. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების აღმოცენებამ დღის წესრიგში დააყენა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების მოწესრიგების მიზნით შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნა. აღნიშნული, პირველ რიგში, ეხება საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების სფეროს.

საერთაშორისო კერძო სამართალი გავლენას ახდენს საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და კულტურულ ურთიერთობებზე. მოცემულ ურთიერთობებში მთავარ როლს თამაშობს საერთაშორისო კერძო სამართალი, რომლის მნიშვნელობა დღითიდღე მატულობს საერთაშორისო სამეურნეო თანამშრომლობის სფეროში.¹

საერთაშორისო კერძო სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ნასყიდობის ნორმებს და საგარეო-ეკონომიკურ გარიგებებს. საერთაშორისო კერძო სამართალის სფეროში მოქმედმა საერთაშორისო ნასყიდობის ნორმებმა უცხოური ელემენტის მონაწილე სამოქალაქო სამართლებრივ გარიგებებში ზოგადი დებულებების ხასიათი მიიღო.

სამეცნიერო ლიტერატურაში (მ. ბოგუსლავსკი, კარო, გილარსი და

¹ Международное частное право под ред. Г.К. Дмитриевой М., 1993 г. стр.149-150.

სხვა)² ვხვდებით საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების სხვა-დასხვაგვარ განსაზღვრებას.

ფართო გაგებით, “საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულება” გამოიყენება საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების სამართლებრივი რეჟიმის აღწერისათვის.³ “საერთაშორისო სავაჭრო სამართალში” გაერთიანებულია მხოლოდ კერძო სამართლის ნორმები. საერთაშორისო კერძო სამართლის ტერმინების დადგენისა და განსაზღვრის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ისიც, რომ 1966 წელს გაეროს XXI გენერალური ასამბლეის სესიაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელსაც საფუძვლად დაედო საერთაშორისო სავაჭრო კომისიის (უნიტრალი) ჩამოყალიბება. აღნიშნული ორგანოს მიერ მიღებულ რეზოლუციაში აღინიშნა, რომ კომისიის მიზანია “ხელი შეუწყოს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის უნიფიკაციისა და ჰარმონიზაციის პროცესს”, ხოლო საერთაშორისო სავაჭრო სამართალი განისაზღვრა როგორც “კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც შეეხება სხვადასხვა ქვეყნებს”.

საერთაშორისო სავაჭრო სამართალი აერთიანებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: საერთაშორისო ნასყიდობა, საერთაშორისო დაზღვევა, ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვა, საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟი და ა.შ. აღნიშნულ ჩამონათვალში შედის, როგორც საერთაშორისო კონვენციათა ნორმები, ასევე სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების დებულებები. საერთაშორისო სავაჭრო სამართლის რეგულირების მეთოდის შესწავლა გვიჩვენებს, რომ მასში გაერთიანებულია: 1) კოლიზიური, 2) მატერიალურ-სამართლებრივი და 3) კომერციული არბიტრაჟის საქმიანობის მარეგლამენტირებელი პროცესუალური ნორმები.

თუკი ვაღიარებთ საერთაშორისო სავაჭრო სამართლის ამგვარ გაგებას, მაშინ მასში არ შევა საგარეო-ეკონომიური საქმიანობის სახელმწიფო რეგლამენტაციის სფეროში არსებული ეროვნული მიწერილობები (საბაჟო რეგულირება, ლიცენზირება და სხვა), ასევე, - საერთაშორისო ხელშეკრულებათა წესები, რომლებიც საერთაშორისო

² Богуславский М.М. Международное частное право М., 1989 г.; его же. Международное регулирование поставок в рамках СЭВ. М., 1989 г.

³ Международное частное право. Под. ред. М.Богуславского М. 1994 г., стр. 140.

ურთიერთობების სფეროში მსოფლიო სამეურნეო კავშირებს ეხება (მაგალითად, გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ - გატი, ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულება და სხვა). აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ამ ხელშეკრულებებით რეგულირებული ურთიერთობები არ მიეკუთვნება საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროს.⁴

საერთაშორისო სავაჭრო სამართალში ეროვნული კანონმდებლობის ნორმების ჩართვისას უნდა დადგინდეს, თუ კონკრეტულად რომელი ნორმებია ნაგულისხმევი: ან მხოლოდ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მარეგულირებელი ნორმები, ან საერთო დებულებები, რომლებიც შიდასამეურნეო ოპერაციების დროს გამოიყენება. როგორც ცნობილია, შიდასამეურნეო ნორმების ზვედრითი წილი ნორმატიული აქტების მთელ მოცულობაში, რომლებიც საგარეო ეკონომიკურ სფეროში ვრცელდება, არც ისე დიდია: აქ უფრო მეტია საერთო ნორმები,⁵ რომლებიც არ შეიძლება იგნორირებულ იქნას მსოფლიოს სამეურნეო კავშირების ნორმატიული რეგლამენტაციის პროცესში. ამასთან, აღნიშნული ნორმების საერთაშორისო სავაჭრო სამართალთან მისადაგებას მივეყვართ იქამდე, რომ მათი გამოყენების საზღვრები განუსაზღვრელად ფართოვდება. გარდა ამისა, ეს იწვევს ერთი და იგივე ქცევის წესების ეროვნული სამართლის სხვადასხვა დარგებში ჩართვას (ეს ხდება მაშინ, თუკი ჩვენ საერთაშორისო სავაჭრო სამართალს განვიხილავთ როგორც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის დარგს, რაც საკმაოდ საკამათო საკითხია).

ზოგიერთ ქვეყანაში (საფრანგეთი, გერმანია, იაპონია და სხვა) არსებობს საერთაშორისო კერძო სამართლის დუალიზმი, რაც გამოიხატება იმაში, რომ სავაჭრო სამართალი მიჩნეულია სამართლის დამოუკიდებელ დარგად და იგი სამოქალაქო სამართლის პარალელურად ვითარდება.⁶

საზღვარგარეთის იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით საერთაშორისო

⁴ Ежегодник Комиссии ООН по праву международной торговли Нью-Йорк 1971 г. Т 1. стр. 23.

⁵ Бувайлик Г.Е. Правовое регулирование международных экономических отношений Киев 1977 г. стр. 12-15.

⁶ Международное частное право: современные проблемы под ред. М.Богуславского М., 1994 г. стр. 75-78.

სავაჭრო სამართლის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა დოქტრინალურ შეხედულებებს.

ზოგჯერ საერთაშორისო სავაჭრო სამართალი მოიაზრება ძალიან ვიწრო გაგებით (მას ზოგჯერ “ავტონომიურ”-ს უწოდებენ). ამგვარი გაგებისას, სამართლის ამ დარგის წყაროებად მიიჩნევენ: 1) კონვენციებსა და ტიპობრივ კანონებს, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობის მსგავსად, საერთაშორისო დონეზეა დამუშავებული;⁷ 2) საერთაშორისო სავაჭრო ჩვეულებებს. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში ეს ტერმინი ინტერპრეტირებულია “lex mercatoria“-ს თეორიის დებულებებით.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის განსაზღვრებასთან დაკავშირებული რამდენიმე დოქტრინა: 1) საერთაშორისო სავაჭრო სამართალი არის კოლიზიურ ნორმათა ერთობლიობა; 2) საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კოლიზიური ნორმებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების უნიფიცირებული მატერიალური ნორმების ერთობლიობა; 3) საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კოლიზიური ნორმების, საერთაშორისო ხელშეკრულებების უნიფიცირებული მატერიალური ნორმებისა და საზღვარგარეთული ელემენტის მონაწილეობით სამოქალაქო სამართლის ურთიერთობათა რეგულირებისათვის შემუშავებული შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მატერიალური ნორმების ერთობლიობა.

მეცნიერთა ნაწილის აზრით, საერთაშორისო კერძო სამართალს მიეკუთვნება აგრეთვე სამოქალაქო სამართლის პროცესის საკითხებიც.⁸ არსებობს სხვაგვარი შეხედულებებიც.⁹ “საერთაშორისო სავაჭრო სამართლისა” და “საერთაშორისო კერძო სამართლის” ტერმინების სხვადასხვაგვარი განსაზღვრა ხელს უშლის მათ შედარებას (დაპირისპირებას). ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღნიშნულ ტერმინთა განსაზღვრებისას შეიძლება მიზანი სხვადასხვა იყოს. თუკი გაეროს მიერ შემუშავებული ტერმინით ვიხელმძღვანელებთ, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ორივე კატეგორიას აერთიანებს ამ სფეროში მოქმედ

⁷ Международное частное право под ред. М. Богуславского М., 1994 г., стр. 144.

⁸ Лунц Л.А. Курс международного частного права Особенная часть М., 1975 г. стр. 78-79.

⁹ Перетерский И.С., Крылов С.Б. Международное частное право М. 1980 г. стр. 56-64.

ნორმათა კერძო-სამართლებრივი ხასიათი. საგარეო ეკონომიკურ სფეროში მოქმედი ნორმები წარმოადგენენ საერთაშორისო კერძო სამართლის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. ამასთან, საერთაშორისო კერძო სამართლის მოქმედების სფერო უფრო ფართოა. მას მიეკუთვნება ისეთი სფეროები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობებით (მაგალითად, მემკვიდრეობის, უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის, საოჯახო სამართლის და სხვა საკითხები). საერთაშორისო სავაჭრო სამართალსა და საერთაშორისო კერძო სამართალში ერთი და იმავე სახის ნორმების (კოლიზიური, უნიფიცირებული მატერიალურ-სამართლებრივი და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სპეციალური სამართლებრივი ნორმები) ჩართვისას ეს ორი სფერო ერთმანეთის მიმართ გამოდის როგორც მთლიანის ნაწილი.¹⁰ სხვა შემთხვევებში, როდესაც იხმარება საერთაშორისო კერძო სამართლის ვიწრო გაგებით ან პირიქით, ხდება საერთაშორისო სავაჭრო სამართლის ფართო გაგებით ინტერპრეტაცია, არც ერთი ეს გაგება ერთმანეთში არ ჯდება, ისინი ნაწილობრივ ემთხვევიან და ხშირ შემთხვევებში ერთმანეთს კვეთენ კიდევც.

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ, საერთაშორისო კერძო სამართალში მოხდა არსებითი ცვლილებები, რომლებიც შეეხო საგარეო სავაჭრო ურთიერთობებსაც და, პირველ რიგში, საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებას. აღნიშნული საკითხის სამართლებრივი რეგულირების სფეროში ცვლილებები აისახა არა მარტო კონკრეტული ნორმების შინაარსში, არამედ არსებითად იქნა კორექტირებული ხელშეკრულებაში ასახული პრინციპები, ნორმების გამოყენების რიგითობა და წესი.

იურიდიულ ლიტერატურაში საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულება ტრადიციულად იწოდებოდა როგორც საერთაშორისო ნასყიდობის ან საგარეო ვაჭრობაში მიწოდების ხელშეკრულება.¹¹

¹⁰ Палиашвили И.А. Унификация права международной торговли: на примере Конвенции 1980 года о договорах международной купли-продажи товаров Автореферат канд. диссерт. Киев., 1986 г. стр. 13.

¹¹ Размайцев Д.Ф. Договор купли-продажи во внешней торговле СССР. М., 1961 г.; Правовое регулирование внешней торговли СССР М., 1961 г.; Правовое регулирование внешней торговли СССР М., 1961 г.; Экспортно-импортные операции: Правовое регулирование М., 1970 г.; Лунц Л.А. Внешнеторговая купля - продажа М., 1972 г.ж Право и внешняя торговля М., 1987 г.

საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულება საგარეო-სავაჭრო შეთანხმებებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია. სწორედ ამგვარი ხელშეკრულებების დადებისა და შესრულების გზით ხორციელდება საგარეო-სავაჭრო საქონელბრუნვა. აღნიშნული სახის ხელშეკრულებასთან მჭიდრო კავშირშია სხვადასხვა ტიპის გარიგებები, რომლებიც მიზნად ისახავენ სხვადასხვა სამუშაოების შესრულებასა და გარკვეული მომსახურების გაწევას. აღნიშნული სახის ხელშეკრულების შესრულება გულისხმობს გადაზიდვისა და დაზღვევის, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში - ლიცენზიური ხელშეკრულების დადებას. ეს კი, თავის მხრივ, ხდება იმიტომ, რომ უზრუნველყოფილი იყოს საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის წარმოება.

უცხოელ კონტრაგენტთან დადებულ ყოველ საგარეო-სავაჭრო გარიგებას გააჩნია დამოუკიდებელი იურიდიული ხასიათი. გარიგებით განსაზღვრული მხარეთა უფლებები და მოვალეობები დგინდება მხარეთა შეთანხმებით. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარიგების პირობების სწორად ჩამოყალიბებას, მხარეთა პასუხისმგებლობის საკითხების დადგენასა და სხვა პირობებს.

მიუხედავად ამისა, გარკვეულ პრობლემებს ვაწყდებით ეროვნული კანონმდებლობის გამოყენებისას ან როდესაც უნდა დადგინდეს გარიგების დადებისას გამოსაყენებელი სამართალი.

პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი გამოსავალი მდგომარეობს იმაში, რომ ხდება საერთაშორისო ნასყიდობის სფეროში არსებული მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების უნიფიცირება.

ერთიანი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების არსებობა საერთაშორისო ნასყიდობის სფეროში იწვევს კოლიზიური მეთოდის გამოყენებას, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს საერთაშორისო ვაჭრობაზე. 1966 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის XXI სესიაზე მიღებულ 2205 გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ სხვადასხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობის შეუსაბამობა საერთაშორისო ვაჭრობაში იწვევს ვაჭრობის განვითარების შეფერხებას.¹²

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ეროვნული საკანონმდებლო აქტები ხშირად შეიცავენ აბსოლუტურად ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს. ამიტომ საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულება და-

¹² Carreau D., Juillard P., Flory Th. Droit international économique. P., 1980. p. 5.

დებულად ითვლება მას შემდეგ, რაც გადაწყდება კოლიზიური ნორმების საკითხი და დადგინდება, თუ როგორია პასუხისმგებლობის მოცულობა, რა უფლება-მოვალეობები ეკისრება ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებს და სხვა.¹³

სხვადასხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები, ასევე, ცალკეული სახელმწიფოები ყველა ღონეს ხმარობენ საერთაშორისო ნასყიდობის მარეგულირებელი ნორმების უნფიკაციისათვის. ჩვენი აზრით, ამგვარი უნიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს შემდეგი გზით: 1) ეროვნულ კანონმდებლობაში შევიდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ნორმატიული დებულებები; 2) შემუშავებულ იქნას მოდელური და ერთიანი საკანონმდებლო აქტები ასევე - 3) სხვადასხვა სახის ტიპობრივი ხელშეკრულებები; 4) ეგრეთ წოდებული სავაჭრო ტერმინები, რომელთაც საფუძვლად დაედება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩამოყალიბებული ჩვეულებები. 1964 წლის ჰაავის საერთაშორისო კონფერენციის სესიაზე მიღებულ იქნა კონვენცია “საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ერთიანი კანონის შესახებ”.

საექსპორტო-საიმპორტო საგარეო ეკონომიკური ოპერაციების ძირითად სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს საგარეო სავაჭრო ხელშეკრულება (კონტრაქტი).

საქართველოს თანამედროვე სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა არ შეიცავს საგარეო სავაჭრო ხელშეკრულების სპეციალურ განსაზღვრებას, რომელიც საშუალებას მისცემდა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაგვესაბუთებინა გარიგების საგარეო-სავაჭრო ხასიათი. საქართველოს თანამედროვე სამოქალაქო სამართალი არ შეიცავს მხოლოდ ზოგად ნორმებს, რომლებიც დაასაბუთებენ საგარეო-სავაჭრო ხასიათის ხელშეკრულებებს, ამასთან, არ არის განსაზღვრული სამეწარმეო (სამეურნეო) შეთანხმება, როგორც ასეთი, რომელიც უნდა გამხდარიყო საბაზისო საგარეო-სავაჭრო და საგარეო-ეკონომიკური ხელშეკრულებების სახეების განსაზღვრისას.

ამ მიზეზით, საგარეო-სავაჭრო ხასიათის გარიგებების იურიდიული კვალიფიკაციისას, წარმოიშობა მთელი რიგი პრობლემებისა (მაგალ-

¹³ Лунц Л.А., Внешнеторговая купля-продажа (коллизийные вопросы), М., 1972 г.; Лунц Л.А., Мартышева Н.И., Садилов О.Н. Правовое регулирование во внешней торговле, ч.1. М., 1985 г., стр. 23.

ითად, საბაჟოზე გაფორმება, შეღავათიანი დაბეგვრა, სავალუტო-საექსპორტო რეგულირება და სხვ). აღნიშნული საკითხები წყდება ადგილობრივ დონეზე, რაც იწვევს კონკრეტული გარიგების იურიდიული პრაქტიკისადმი სხვადასხვაგვარ მიდგომასა და, თავის მხრივ, დავას საგარეო-სავაჭრო გარიგებათა მონაწილეობას შორის სავადასახადო პოლიტიკის, სავადასახადო ინსპექციისა და საბაჟო ორგანიზაციების მხრიდან.

საგარეო-სავაჭრო კონტრაქტების პროექტების შედგენისას, რეკომენდირებულია გამოვიდეთ საგარეო-სავაჭრო შეთანხმების შემდეგი განსაზღვრებიდან:

საგარეო-სავაჭრო ხელშეკრულება წარმოადგენს სამეურნეო გარიგების სახეს, ანუ ეს არის შეთანხმება ეკონომიკურ აგენტებს შორის, რომელთაგანაც ერთ-ერთი არ არის სახელმწიფოს რეზიდენტი, ან არის რა ასევე სახელმწიფოს რეზიდენტი, საზღვარგარეთ გააჩნია კომერციული ორგანიზაცია, რომელიც მიმართულია სავაჭრო ოპერაციების სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების დასადგენად, შესაცვლელად ან შესაწყვეტად განხორციელებისას (ექსპორტი, იმპორტი და რეექსპორტი).¹⁴

საგარეო-სავაჭრო ხელშეკრულების სამართლებრივი რეჟიმი, მათ შორის იმ დროსაც, როდესაც გამოიყენება საბაჟო შეღავათები და სავადასახადო შეღავათები, გარდა სამოქალაქო სამართლისა, რეგულირდება (განისაზღვრება) საქართველოს საბაჟო, სავადასახადო და სავალუტო რეგულირების კანონმდებლობის საფუძველზე.

მიგვაჩნია, რომ საგარეო-სავაჭრო ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის იმპერატიულ და ფაკულტატიურ ნიშნებს.

იმპერატიულ ნიშნებს მიეკუთვნება საგარეო-სავაჭრო სამართალური-ეთრობების ერთ-ერთი მონაწილის არარეზიდენტულობა – იმპორტიორისა და ექსპორტიორის სხვადასხვა სახელმწიფოსადმი მიკუთვნება ან მათი კომერციული ორგანიზაციების სხვადასხვა სახელმწიფოში მდებარეობა, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება საექსპორტო საქონლის გადაზიდვა, მიღება და ანგარიშსწორება.

საგარეო-სავაჭრო გარიგების უცხოელ მონაწილეს მიეკუთვნება უცხოელი სამართლის სუბიექტი, რომელიც ლეგალიზებულია საქართველოს

¹⁴ Богуславский М.М., Международное частное право, М., 1998 г., стр. 204-210.

კანონმდებლობის მიხედვითა და კანონმდებლობით დადგენილ ფორმებში. უცხოეთის კანონმდებლობით განსაზღვრული სამოქალაქო უფლებათა უნარიანობის მქონე ორგანიზაციები, რომლებიც დაფუძნებულია საზღვარგარეთ ან თავიანთ საწესდებო საქმიანობის ძირითად ნაწილს ამ ტერიტორიაზე ახორციელებენ.

ფიზიკური პირები – უცხოეთის მოქალაქეები, რომელთა უფლებათა უნარიანობა განისაზღვრება უცხოეთის იმ სახელმწიფო კანონმდებლობით, რომელთა მოქალაქეებიც ისინი არიან.

მოქალაქეობის არმქონე პირები, რომელთა სამოქალაქო უფლებათა უნარიანობა განისაზღვრება უცხოეთის იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომელთა ტერიტორიაზეც მუდმივად ცხოვრობენ ეს პირები. საგარეო-სავაჭრო საქმიანობაში უცხოელ მონაწილეებს უთანაბრდება საზღვარგარეთის სახელმწიფო, სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, სახელმწიფო ორგანოები, ფედერალური სახელმწიფოს სუბიექტები, საერთაშორისო ორგანიზაციები.

საგარეო-სავაჭრო ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის რეზიდენტობა მითითებულია კონტრაქტის შესავალ ნაწილში, რომელშიც ხდება ხელშეკრულების მხარეთა განსაზღვრა.

საგარეო-სავაჭრო გარიგების მეორე იმპერატიულ ნიშანს წარმოადგენს გარიგების შინაარსის მოდელირებისას საერთაშორისო სავაჭრო და სხვა საგარეო ეკონომიკური ჩვეულებათა გამოყენება.

მესამე ნიშანია საგარეო-სავაჭრო კონტრაქტით გათვალისწინებული „სავალუტო დათქმა“, რომლითაც რეგულირდება ექსპერტ-იმპორტის ოპერაციებისას უცხოეთის სახელმწიფოთა ვალუტით ანგარიშსწორება ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებათა ვალუტით შეფასება.

საგარეო-სავაჭრო გარიგებების ფაკულტატურ ნიშანს წარმოადგენენ: – ნიშნები, რომლებიც გამოხატავენ საგარეო-სავაჭრო ოპერაციათა ხასიათს (მაგალითად, საქონლის მიერ საქართველოს საზღვრების გადალახვა). ისინი გამოიხატება შემდეგში: საქართველოს მხრიდან საკუთრების შექმნა საზღვარგარეთ და მასზე საკუთრების ან სხვაგვარი საკუთრების ტიტულის წარმოშობა საიმპორტო გარიგების ობიექტზე; საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ ვალდებულებათა შესრულება (ან მისი ელემენტის შესრულება), რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულებიდან;

– მატერიალურ-სამართლებრივი ნიშანი. იგი აისახება კონტრაქტის ნაწილში, რომელიც შეეხება „გამოსაყენებელ სამართალს“. აღნიშნულ განყოფილებაში ასახულია უცხოეთისა და საერთაშორისო სამართლის გამოყენების საკითხი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა რეგულირებისას.¹⁵

– პროცედურულ-სამართლებრივი ნიშანი – ხელშეკრულების მონაწილეთა შესაძლებლობა მიმართონ საერთაშორისო იურისდიქციის საშუალებებს თავიანთი დარღვეული უფლებების და კანონით დაცული ინტერესების აღსადგენად (მაგალითად, კონტრაქტის ნაწილი საარბიტრაჟო დათქმა).

ყოველი ორგანოსათვის, რომელიც ახორციელებს კონტროლს რეზიდენტების საგარეო-სავაჭრო საქმიანობაზე, მთავარია „საკუთარი“, „თავისი“ ნიშანი, რომელიც აუცილებლად უნდა არსებობდეს საგარეო-სავაჭრო კონტრაქტში.

ასე მაგალითად, საბაჟო სამსახურისათვის ინტერესს წარმოადგენს ის ცნობები, რომლებიც ასახულია სამეზავრო საბაჟო დეკლარაციაში, და ნეიტრალურია გარიგების მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო ნიშნები. სავალუტო კონტროლის ორგანოები, პირველ რიგში, ახალბედა გარიგების სავალუტო-საფინანსო ურთიერთობების მარეგულირებელ ნაწილს. საგადასახადო ორგანოებისთვის, გარდა სავალუტო დათქმისა, საინტერესოა ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეების სახელმწიფო-ტერიტორიული კუთვნილება.

თუკი კონტრაქტს გააჩნია ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებიდან ყველა ნიშანი, სახელმწიფო ორგანოებში მისი კვალიფიკაციისას პრობლემები არ წარმოიშობა.

საზღვარგარეთის სავაჭრო კანონმდებლობაში საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულება მოდელირდება როგორც ორმხრივი კონსენსუალური ხელშეკრულება უცხოელი მონაწილის ან მასთან გათანაბრებული ელემენტის მონაწილეობით,¹⁶ რომელიც ფორმდება წერილობით (საქართველოს კანონმდებლობა) ან ზეპირი ფორმით (საერთაშორისო კერძო სამართალი), რომლის შინაარსს წარმოადგენს

¹⁵ Мусин В.А., Международные торговые контракты, л., 1986 г., стр. 75.

¹⁶ Розенберг М.Г., Заключение договора международной купли-продажи товаров, М., 1991 г.; его же, Международная купля-продажа товаров, М., 1996 г., стр. 34.

სახელმწიფოთაშორისო ანაზღაურებადი ექვივალენტური გაცვლა საქონლისა ფულზე (ვალუტაზე).

ხელშეკრულების კონსენსუსი ნიშნავს იმას, რომ ექსპორტიორისა და იმპორტიორის უფლება-მოვალეობები დგება იმ მომენტიდან, როდესაც მათ მიაღწიეს ხელშეკრულების ყველა პირობაზე შეთანხმებას და ხელშეკრულებას მისცეს კანონით მოთხოვნილი ფორმა, ანუ, მონაწილეთა უფლება-მოვალეობები არ წარმოიშობა იმ მომენტიდან, როდესაც იწყება რაიმე იურიდიული ხასიათის მოქმედებების შესრულება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია გავარჩიოთ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტი, მონაწილეთა უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა და გარიგების შესრულება, რომლებიც ხელშეკრულების ხასიათის მიხედვით, შეიძლება ერთმანეთს არ ემთხვეოდეს.¹⁷

მაგალითად, სამოქალაქო კანონმდებლობის ძალით, გადაზიდვის ხელშეკრულება არის არა რეალური, არამედ კონსენსუალური გარიგება, რომლის დროსაც უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა არა საქონლის გადაზიდვის დროს, არამედ ხელშეკრულების დადებისას.

როგორ უნდა იქნას შეფასებული ტომობრივ ხელშეკრულებებში სწორად გამოყენებული ფორმა - „გამყიდველმა გაყიდა, ხოლო მყიდველმა იყიდა საქონელი“? იურიდიული თვალსაზრისით, ეს ნიშნავს იმას, რომ მხარეებმა დამოუკიდებლად შეცვალეს ხელშეკრულების კონსენსუალური რეჟიმი, გახადეს რა თავიანთი შეთანხმება გარიგებად, ანუ განსაზღვრეს სამართლებრივი შედეგების წარმოშობა.

მხარეთათვის შედეგი შეიძლება იყოს მოულოდნელი, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებაში, რომელიც ჩამოყალიბებულია როგორც რეალური გარიგება, ამ შემთხვევაში შესასყიდი საქონლის ფასის გადახდის ვადა გადაიწვეს შედარებით საკონსენსუსო შეთანხმებასთან. ასე მაგალითად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს შექმნილი საქონლის ფასი 30 დღის განმავლობაში, დღიდან გარიგების დადებისა. საკონსენსუსო გარიგებაში 30 დღის ათვლა დაიწყება ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან, რეალურ გარიგებისას კი, - 30 დღე ათვლება საქონლის რეალურად მიწოდების დღიდან. აქედან გამომდინარე, საჯარიმო სიგნალები პირველ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას 31-ე დღეს ხელშეკ-

¹⁷ იქვე, გვ. 37-39.

რულების ხელმოწერის მომენტიდან, ხოლო მეორე შემთხვევაში ჯარიმის საკითხი საერთოდ არ დადგება.¹⁸

ვენის 1980 წლის “საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ კონვენციის”¹⁹ მე-11 მუხლში საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმის შესახებ მითითებულია: არ არის სავალდებულო, რომ ხელშეკრულება დაიდოს ან დამტკიცდეს წერილობითი ფორმით ან დაექვემდებაროს ფორმის შესახებ სხვა მოთხოვნას. ის შეიძლება დამტკიცებულ იქნას ნებისმიერი ფორმით, მათ შორის მოწმეთა ჩვენებითაც. აქედან გამომდინარე, დამტკიცება ხდება ნაციონალური სამოქალაქო სამართლისა და საერთაშორისო სამართლის კონკურენტთა ზოგადი წესის თანახმად, უპირატესობა უნდა მიეცეს საერთაშორისო სამართალს, თუმცა, მაგალითად, რუსეთმა ისარგებლა კონვენციის 96-ე მუხლით, რომელშიც მითითებულია, რომ სახელმწიფოზე, რომლის კანონმდებლობაც მოითხოვს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდოს ან დამტკიცდეს წერილობითი ფორმით, უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განაცხადოს, რომ კონვენციის მოთხოვნა გარიგების ფორმის შესახებ მისთვის მიუღებელია.

ინტერესს იწვევს საგარეო-სავაჭრო გარიგებათა (დოკუმენტურად გაფორმებული) ხელმოწერის წესი. ცნობილია შემთხვევები, როდესაც საარბიტრაჟო სასამართლო ბათილად ცნობს გარიგებას იმის გამო, რომ დარღვეული იყო სამოქალაქო სამართალურთიერთობების დოკუმენტალურად გაფორმების პროცედურა.

საგარეო-სავაჭრო გარიგება ფორმდება წერილობითი ფორმით და ხელის მოწერა ხდება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ე.ი. არ არის საჭირო რაიმე დამატებითი პროცედურის გამოყენება.

კონტრაქტში საგარეო-სავაჭრო გარიგების სამართლებრივი ბუნების ადეკვატური ასახვის იურიდიული მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში: იურიდიულ დოკუმენტში ხელშეკრულებითი სამართალურთიერთობის გვარობითი და სახეობითი ნიშნების მაქსიმალურად სრული ასახვა განპირობებულია 2 მიზეზით. პირველს გააჩნია პროცესუალურ-გამოყენებითი ხასიათი და ეხება სასამართლოში განხილვის პერსპექტივას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას კონტრაქტის დადებისას.

¹⁸ Розенберг М.Г., Международная купля-продажа товаров, М., 1995 г., стр. 76-81.

¹⁹ Документы ООН, Dist. General A/CN/9/401, 25 May 1994.

პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც სამართალურთიერთობების მონაწილენი ხელშეკრულების დადებისას მის შინაარსში განზრახ „დებენ“ სხვადასხვა სახის დარღვევებს, რომლებიც გარიგების ხელმოწერის წესს ეხება, ან ხელშეკრულების ვალდებულებათა შესრულებას შეეხება და სხვ. შემდგომ მხარეები ამ დარღვევებს იყენებენ არბიტრაჟში დავების გადაწყვეტისას.

საარბიტრაჟო პრაქტიკა და სამართალმეფარდებელი ორგანოები საგარეო-სავაჭრო შეთანხმებების ახსნა-განმარტებისას გამოდიან არა ხელშეკრულების სამოქალაქო-სამართლებრივი დასახელებიდან, არამედ იმ პირობათა ერთობლიობიდან, რომლითაც დაილო ეს ხელშეკრულება.²⁰

მეორე მიზეზი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საგარეო-სავაჭრო გარიგების შინაარსის მოდელირებისას, არის მატერიალურ-გამოყენებითი ხასიათის და დაკავშირებულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის წევრების მიერ შეღავათების მართებულ გამოყენებასთან.

ასე მაგალითად, რუსეთის ფედერაცია, სამაჟლო წარმოების ექსპორტის სტიმულირების მიზნით, ექსპორტირებულ საქონელს, სამუშაოებსა და მომსახურებას ათავისუფლებს დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან. აღნიშნული საგადასახადო შეღავათის მიმართული ხასიათი მდგომარეობს იმაში, რომ მისი გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის იმ მონაწილეებს, რომლებიც მუშაობენ საქონლის, სამუშაოსა და მომსახურების ექსპორტის სფეროში. ამასთან, სამართალმეფარდებითი ორგანოები გამოდიან იქიდან, რომ დღე-ს გადასახადზე შეღავათები ვრცელდება მხოლოდ რეალური ექსპორტის სფეროზე. შეღავათის საგნობრიობა იმაში მდგომარეობს, რომ ის გამოიყენება მხოლოდ იმ ეკონომიკურ ურთიერთობებში, რომლის სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს საგარეო-ეკონომიკური შეთანხმების გარკვეული სახე – საქსპორტო კონტრაქტი. სხვა სახის საგარეო-ეკონომიკური შეთანხმებები (საინვესტიციო, საკრედიტო და ა.შ.) ამგვარ შეღავათს არ ითვალისწინებს.²¹

²⁰ Розенберг М.Г., Правовое обеспечение торговли, □кономика и жизнь, М., 1991 г., №25.

²¹ Розенберг М.Г., Поздняков В.С., Договор купли-продажи (поставки), Экспортно-импортные операции: правовое регулирование, М., 1970 г., стр. 70; его же. Договор купли-продажи, Правовое регулирование отношений купли-продажи во внешней торговле, ч.2. М., 1987 г., стр. 23.

რუსეთის 1995 წლის 11 ოქტომბრის კანონში დღე-ს შესახებ დადგენილია, რომ საგადასახადო შეღავათებით სარგებლობს საქსპორტო მომსახურება, საქონელი, სამუშაო, ე.ი. დღე არ ედება აღნიშნულ ობიექტებს, რომლებიც გააქვთ რუსეთის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.²²

იმ საკითხთა წრეში, რომლებიც მიეკუთვნება კონვენციით მოცული საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას, შედის: ხელშეკრულების ფორმა, ოფერენტის შინაარსისადმი მოთხოვნა, ოფერენტის ძალაში შესვლის მომენტი და მისი მოქმედების შეწყვეტა, ოფერენტის გამოთხოვნა ან შეცვლის შესაძლებლობა, აქცეპტის მიმართ მოთხოვნა და მისი ძალაში შესვლა, აქცეპტის იურიდიული მნიშვნელობა, რომელიც შეიცავს დამატებით ან განსხვავებულ პირობებს, აქცეპტის აღრიცხვის დროის ათვლა, აქცეპტის გაუქმების შესაძლებლობა, ხელშეკრულების დადების მომენტი ხელშეკრულების შეცვლის ან გაუქმების წესი.

ვენის 1980 წლის კონვენცია (მუხლი 14) ოფერენტს უყენებს 3 მოთხოვნას: 1. აღრესატის განსაზღვრა; 2. შინაარსის ნათლად გამოსახვა; 3. ოფერენტის მიზანი ჩაითვალოს თავისი თავი შეკრულად აქცეპტის შემთხვევაში.²³ პირველი მოთხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ წინადადება უნდა იქნას მიმართული ერთი ან რამდენიმე კონკრეტული პირის მიმართ, თუკი იგი გამოთქმულია განუსაზღვრელ პირთა წრის მიმართ, უნდა ჩაითვალოს ოფერენტისათვის (მოწოდებად). ამასთან, არ აღიარებს რა საჯარო ოფერენტს, კონვენცია არ გამორიცხავს წინადადების მიმცემი პირის შესაძლებლობას პირდაპირ გაითვალისწინოს წინადადებები განუსაზღვრელ პირთა წრის მიმართ და მიუთითოს, რომ თვითონ იზღუდავს თავს ამგვარი წინადადებით. კონვენციაში ჩამოთვლილია ის მინიმუმი მოთხოვნები, რომლებსაც ოფერტა უნდა შეიცავდეს. მასში უნდა იქნეს გათვალისწინებული: საქონლის აღნიშვნა, მისი რაოდენობა და ფასი. თუკი საქონელი პირდაპირ და ნათლად უნდა იყოს დაფიქსირებული, რაოდენობა და ფასი შეიძლება იქნეს არაპირდაპირად იყოს მოცემული ან მიუთითებდეს შეთანხმებას ამ კრიტერიუმების დადგენის შესახებ.

²²Розенберг М.Г., Контракт международной купли-продажи, М., 1997 г., стр. 45.

²³Венская конвенция о договорах международной купли-продажи товаров, Комментарий, Отв. ред. А.С. Комаров, М., 1994 г., стр. 12, 34-36, 45.

აღნიშნული დებულება გვხვდება კონვენციის II ნაწილის მე-14 მუხლში, რომლის მონაწილედ კონვენციის ყველა სახელმწიფო არ არის. ამ დროს შეიძლება გამოყენებულ იქნას 55-ე მუხლი, რომელიც მოთავსებულია კონვენციის III ნაწილში; მოცემული მუხლის თანახმად, გამოსაყენებელი სამართალი იქნება იმ სახელმწიფოს სამართალი, რომელიც მონაწილეობს კონვენციის II ნაწილში.

პირის მიზანი ჩათვალოს თავი წინადადებით შეზღუდულად, შეიძლება გამოხატულ იქნას პირდაპირ, მაგალითად, იმის მითითებით, რომ წინადადება უკან არ იქნება გამოთხოვილი.²⁴

კონვენციის მე-8 მუხლი ითვალისწინებს, რომ განცხადებით ან მხარის სხვაგვარი მოქცევით მულავენდება მისი მიზანი.

წინადადებაში აქცეპტისათვის ვადის მითითება, კონვენციის ძალით, განიხილება როგორც მიზანი მხარეთა გარკვეული წინადადებით შეზღუდვის შესახებ.

აქცეპტისა და ოფერტის ძალაში შესვლა კონვენციაში დაკავშირებულია მისი აღრესატის მიღების მომენტთან (კონვენციის მე-15 მუხლის 2 პუნქტი და მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი).

ოფერტის მიღების ან სხვაგვარი მიზნის გამოყენებისას შეტყობინება შეიძლება გამოიხატოს წერილობით ან ნებისმიერი გზით პირადად გადაეცეს ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს, ან გაეგზავნოს მის კომერციულ საწარმოს, ან მის საფოსტო მისამართზე. თუ მხარეს არც ერთი ასეთი მისამართი არ გააჩნია, მას შეტყობინება ეგზავნება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (24-ე მუხლი). ოფერტისა და აქცეპტის შეცვლა დასაშვებია, თუკი შეტყობინება ამის თაობაზე აღრესატს მიღებული აქვს ოფერტის ან აქცეპტის მიღებამდე ან მასთან ერთად (მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი და 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ოფერტა ძალადაკარგულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც ოფერატორი მიიღებს შეტყობინებას მისი უარის შესახებ (მე-17 მუხლი). აქცეპტს არ გააჩნია ძალა, თუკი ოფერენტი არ იღებს თანხმობას ოფერტზე დათქმულ ვადაში, თუკი ვადა არ არის დათქმული, მაშინ - მისაღებ ვადაში.

კონვენცია ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც აქცეპტი ძალაში შედის არა იმ მომენტიდან, როდესაც ოფერტები აქცეპ-

²⁴ Розенберг М.Г., Международная купля - продажа товаров, М., 1998 г., стр. 40-51.

ტორის თანხმობას მიიღებენ, არამედ, მაშინ როდესაც აქცეპტი გამ-
ოინხატება აქცეპტორის რაიმე მოქმედების შესრულებაში რაც, იმის
დასტურია, რომ ის ეთანხმება ოფერატს, კერძოდ, საქონლის გა-
გზავნას ან მის ფასს.

ამ შემთხვევაში საუბარია არა იმაზე, რომ ოფერატორმა მიიღოს
საქონელი, არამედ იმაზე, რომ აქცეპტანტი განახორციელებს მოქმე-
დებას, რომლის შესახებაც ოფერენტმა შეიძლება შეიტყოს ოფერტის
მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც. მოცემული წესის გამოყენებ-
ისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემდეგ მოქმედებებს: 1. მოქმედებას
ოფერტის ძალით; 2. მხარეთა ურთიერთობების რეზულტატის შედე-
გად დამკვიდრებულ პრაქტიკას; 3. ჩვეულების ძალით.²⁵

ოფერტის შეცვლის უფლებისაგან, რომელიც ეფუძნება იმას, რომ
ოფერენტს შეუძლია უარი თქვას ძალაში შეუსვლელი ოფერტიდან,
განასხვავებენ ე.წ. „ოფერატის გამოთხოვნას“. ამ დროს საუბარია
უკვე ძალაში შესულ ოფერტზე უარის თქმაზე, მაგრამ ეს უნდა
მოხდეს მინამდევ, ვიდრე მას მიიღებს აქცეპტანტი. კონვენცია მიუ-
თითებს (მე-16 მუხლი), რომ ოფერტორს შეუძლია უარი თქვას და
გამოითხოვოს ოფერტი, თუკი გამოთხოვნის განცხადებას ოფერტის
ადრესატი მიიღებს აქცეპტის გაგზავნამდე. მე-16 მუხლის მე-2 პუნ-
ქტში არაორაზროვნად მითითებული 2 შემთხვევა, როდესაც ოფერ-
ტის გამოთხოვნა არ ხდება; 1. ოფერტში მითითებულია აქცეპტი-
სათვის ვადა ან ამის არსებობის სხვა სახის მითითება; 2. ოფერტის
ადრესატისათვის გონივრული იქნებოდა ოფერტა განეხილა როგორც
აქცეპტი და ადრესატიც იმოქმედებდა შესაბამისად. აღნიშნული წესების
ანსნა-განმარტება მიგვანიშნებს იმაზე, რომ გამოწვევა ხდება არა
ყველა ოფერტის, არამედ იმისი, რომელიც ატარებს არასრულ ხას-
იათს. ამასთან, იგულისხმება, რომ ოფერტში აქცეპტის ვადის გან-
საზღვრა უდრის მის აღიარებას.²⁶

აქცეპტი, კონვენციის თანახმად, შეიძლება გამოიხატოს არა მარტო
აქცეპტის მოთხოვნის ფორმაში, არამედ სხვა ქცევაშიც, რომელიც
გამოიხატება ოფერტის თანხმობაში. ამგვარი მოქმედებები შეიძლება
გამოიხატოს საქონლის გაგზავნას ან ფულის გადახდაში, ოფერტის
მოქმედების ვადაში. აქცეპტის ამგვარი მოქმედება ოფერტზე თანხმო-

²⁵ იქვე გვ. 45.

²⁶ იქვე გვ. 45-46.

ბად რომ ჩაითვალოს, სავალდებულოა ის გამოძინარეობდეს ჩვეულებიდან.

ოფერტის ადრესატის უმოქმედობა ან დუმილი არ წარმოადგენს აქცეპტს (მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტი). კონვენციის მე-6 მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მხარეებს, სურთ რა შეცვალონ კონტრაქტში გათვალისწინებული დებულება ან რაიმე მოქმედება, დუმილს ან უმოქმედობას ანიჭებენ კანონის ძალას. დუმილის ან უმოქმედობის გამოყენება და მისთვის კანონის ძალის მინიჭება შეიძლება დამკვიდრდეს როგორც პრაქტიკა (კონვენციის მე-8 მუხლი). ჩვენი აზრით, ამ დროს წერილობითი ფორმის მოთხოვნის აუცილებლობა გამორიცხავს დუმილის ან უმოქმედობის სამართლებრივ ეფექტს.²⁷

ზოგადად, აქცეპტი უნდა იყოს უპირობო თუკი მასში მოცემულია დამატებები, შეზღუდვები ან სხვაგვარი ცვლილებები, ის ითვლება ოფერტიდან გადახრად და წარმოადგენს საპასუხო ოფერტს (მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტი). მაგრამ, სავაჭრო პრაქტიკის ინტერესიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია არსებითი გამონაკლისი ზოგადი წესიდან, კერძოდ, ისეთი შემთხვევისას, როდესაც ოფერტის პასუხი, რომელიც მიზნად ისახავს აქცეპტს, შეიცავს ისეთ დამატებებსა და განსხვავებულ პირობებს, რომლებიც ოფერტის პირობებს პირობითად არ ცვლის (მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი). ამგვარი პასუხი აქცეპტად ჩაითვლება, თუკი ოფერენტი გაუმართლებელი დავიანებით არ განაცხადებს უარს ამგვარ განსხვავებულ პირობებზე. თუკი ოფერენტი ცვლილებებზე უარს არ განაცხადებს, მაშინ ხელშეკრულების პირობად ჩაითვლება ოფერტის პირობები აქცეპტში მითითებული ცვლილებებით.

კონვენციის ძალით, ოფერენტის დუმილს, აქცეპტანტის შეთავაზების საფუძველზე, ოფერტის შეცვლაზე თანხმობის ეფექტი გააჩნია.²⁸

სპეციალურ ლიტერატურაში ამგვარი წესის გამოყენებისას წარმოიშობა საკითხი იმის შესახებ, თუ ოფერტის რა ცვლილებები შეიძლება ჩაითვალოს არსებით ცვლილებად. კონვენცია (მე-19 მუხლის,

²⁷Гражданское и торговое право капиталистических государств, М., 1992 г., стр. 187-193.

²⁸ აღნიშნული წესი გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც კონვენციით სავალდებულოა არსებობდეს ხელშეკრულების წერილობითი ფორმა (კონვენციის მე-12, 96-ე მუხლი).

მე-3), განსაზღვრავს ამ პირობების ჩამონათვალს, რომელიც არ არის ამომწურავი, კერძოდ: ფასი, გადახდა, საქონლის რაოდენობა და ხარისხი, მიწოდების ადგილი და ვადა, ერთი მხარის პასუხისმგებლობის მოცულობა სხვა მხარს მიმართ და დავების განხილვა.²⁹

კონვენცია, ადგენს რა აქცეპტის ათვლის წესს (მე-20 მუხლი), ითვალისწინებს ორ შემთხვევას, როდესაც დაგვიანებული აქცეპტი ინარჩუნებს ძალას (კონვენციის 21-ე მუხლი): 1. ოფერატორს უფლება აქვს თვითონ გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, მიიღოს თუ არა დაგვიანებული აქცეპტი. ამგვარი აქცეპტის ძალის შესანარჩუნებლად, ოფერენტმა თავისი გადაწყვეტილება სასწრაფოდ უნდა შეატყობინოს ოფერტის ადრესატს ზეპირად ან გაუგზავნოს მას წერილობითი შეტყობინება; 2. როდესაც წერილიდან ან ზეპირი შეტყობინებიდან ნათელი ხდება, რომ დაგვიანებული აქცეპტი მიღებული იქნებოდა დროულად, თუკი მას ნორმალურად გადმოგზავნიდნენ. ამგვარი აქცეპტი ინარჩუნებს თავის ძალას, თუკი ოფერენტი არ გააფრთხილებს ოფერენტის ადრესატს აქცეპტის გაუქმების შესახებ.

ხელშეკრულება ჩაითვლება დადებულად იმ მომენტიდან, როდესაც აქცეპტი შედის ძალაში კონვენციის თანახმად (23-ე მუხლი), ანუ ზოგადი წესის მიხედვით, ეს ხდება ოფერენტის მიერ აქცეპტის მიღებისას.

²⁹ Шмитхофф К., Экспорт: право и практика международной торговли, М., 1993 г., стр. 56-58.

ავტორთა სია

ბლექსიძე ლევანი

პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საერთაშორისო სამართლის კათედრის გამგე, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბარათაშვილი გიორგი

საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (ლუნდის უნივერსიტეტი, შვედეთი)

ბეჟუაშვილი გელა

საერთაშორისო და შედარებით სამართლის მაგისტრი (ტეხასის უნივერსიტეტი, აშშ) საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე

ბოძაშვილი ლევანი

საერთაშორისო სამართლებრივი განყოფილების უფროსი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ბაბრიჩიძე გაბა

ევროპის სამართლის მაგისტრი (საარბრუკენი, გერმანია) საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი

კვაჭაძე მარინა

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, მსოფლიო სამართლებრივი სისტემები კათედრის გამგე, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (თსუ); საერთაშორისო სამართლის მაგისტრი cum

- კორკელია კონსტანტინე** laude (ლეიდენის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები), ლექტორი, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- კუტალია ლაშა-გიორგი** იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (თსუ); საქართველოს უზენაესი სასამართლოს უფროსი კონსულტანტი
- მატარაძე ლევანი** პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი
- ორახელაშვილი ალექსანდრე** საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (ლეიდენის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები); საერთაშორისო სამართლის დოქტორანტი (კემბრიჯის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი)
- სირაძე ეკა** საერთაშორისო საზღვაო სამართლის მაგისტრი (საერთაშორისო საზღვაო სამართლის ინს-ტიტუტი, მალტა); ლექტორი, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერ-ობების ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ტურავა მერაბ** სამართლის დოქტორი (ბერლინი, გერმანია); საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯ-დომარის მოადგილე, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარე
- ქურდაძე ირინე** ლექტორი, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შაფაქიძე **ირაკლი**

საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შევარდნაძე **ვახტანგ**

საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (რაულ ვალენბერგის სახელობის საერთაშორისო და ჰუმანიტარული სამართლის ინსტიტუტი, ლუნდის უნივერსიტეტი, შვედეთი), იურიდიული მრჩეველი, გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისრის სამსახური (საქართველო)

ცნობილაძე **პაატა**

მსოფლიო იურისტთა ასოციაციის ეროვნული პრეზიდენტი, საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე, ჟურნალი „სამართალი“-ის რედაქტორი, დოცენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი